

ქარველ მაჰმადიანთ დიდი

გადასახლება ოსმალეთში

მუჰაჯირი-ემიგრაცია

გამოცემული

იაკობ ალექსანდრეს-ძე მანსვეტაშვილის საფასით.



შერიფ ბეგი ხიმშიაშვილი – 1878 წ. რუსეთის გენერალი.
ეს ურჩევდა ქართ. მაჰმად. ოსმალში ნუ სახლდებიო.

ქართველ მაჰმადიანთ გადასახლება

ოსმალეთში

მუჰაჯირი ემიგრაცია

ზ. ჭიჭინაძისა

გამოცემული

იაკობ ალექსანდრეს-ძე მანსვეტაშვილის საფასით

თფილისი

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა პრ. კერესელიძისა, გაბაევის შესახ. № 1
1912

ქართველ მაჰმადიანთ გადასახლება.

მუჰაჯირი

ანუ

ქართველთ გადასახლება-ემიგრაცია სპარსეთს-ოსმალეთს

მუჰაჯირი – ოსმალური სიტყვა არის – ქართულად ნიშნავს სამშობლოდამ წასვლას-გადასახლებას. დამატებით ჩვენ ვუწოდებთ ემიგრაციას, რადგანაც ეს საგანი რასაც ჩვენ ვეხებით, გახლავს ქართველ მაჰმადიანთ დიდი გადასახლება ოსმალეთის ყოფილ საქართველოდამ შორეულს აღმოსავლეთის სხვა და სხვა კუთხეებში. წინათვე ვიტყვით, რომ ამ შავზნელ არშიით გარემოვლებულ ქართველ ტომის ძეთა უბედურების ბევრი რამ ამბები არ ვიცით, ბევრზედ ბევრი და მასთან მრავლად გულის და სულის შემაწუხებელი ცნობები ჩვენთვის მკვდარია, დაკარგულია ყველა ის, რაცკი ოსმალეთის შორეულს ადგილებში ქართველთ გადასახლებულნი დიდს სულის სატანჯველს წუთებს იტანდნენ.

ამას ვერავინ ანუსხავს, რადგანაც ჩვენ მათი განწირულების და ტანჯვის მნახველნი არა ვართ და მათი მნახველნიც ჩვენთან არ მოსულან, არავის რა უამბუნია მათის ტანჯულის ცხოვრების შესახებ. მეტად ბევრმა და ერთობ დიდმა რიცხვმა ქართველ მაჰმადიანებისამ დალია სული შორეულს ოსმალეთის კუთხეებში. უსიხარულოდ ბევრი ოჯახი გამოესალმა მთლად ამ წუთიერ ქვეყნის სინათლეს. ყოველივე ეს მოხდა ჩვენის სჯულის თავი კაცებისაგან, მათის რჩევით, ქადაგებით და ოსტატურის მტრობით. მათ დაღუპეს აუარებელი რიცხვი ქართველ მაჰმადიანების და მოაცილეს თავის სამშობლოს. ასეთ მოშორებულთ ცნობები თუმცა არა ხშირად და არც მრავალთაგან მოთხრობილი, მაგრამ მაინც ხანდისხან ვტყობულობდით ქართველ მაჰმადიანთ მწარე ბედს ოსმალეთის შორეულს მიწა-მამულზედ, გვესმოდა ისიც, თუ იქ ქართველ მაჰმადიანები რა სინანულში იყვნენ შთავარდნილნი და როგორის ცხარე ცრემლებით მოსტირდნენ თვისგან დატოვებულ საქართველოს, თავიანთ უმეცრებით გაოხრებულ სახლ-კარს.

ამას ჩვენ ადვილად ვამბობთ და ვწერთ, თორემ იგი ადვილი საქმე არ არის. კაცისგან სამშობლო ქვეყნის დატოვება და უცხო, უცნობ ადგილას გადასახლება არ უნდა გახლდეს ადვილი დასათმობი, მაგრამ რაკი გარემოებამ მოიტანა ეს და დაიძრა ერთი წყობა ქართველთა და წავიდა, მას მიჰყვა მეორე წყობა, მესამე და რამდენიმე ხნის განმავლობაში ერთ თავად განუწყვეტლივ გადასახლება სწარმოებდა. საკვირველი იყო და თან მეტად საოცარი ის გარემოება, რომ 1877 წ. ომის შემდეგ ქართველ მაჰმადიანებმა ისე გულგრილად იწყეს სამშობლოს დატოვება და საცალა გადასახლება. ამის წინააღმდეგი ბევრნი იყვნენ ჩვენში. ესენი მათში დიდად მოქმედებდნენ, მაგრამ სამწუხაროდ მათი გამგონიკი არვინ იყო. ამ გადასახლების დიდი წინააღმდეგნი თვით ქართველ მაჰმადიანებშიაც იყვნენ, მაგრამ ესენიც ვერას აწყობდნენ, რადგანაც გარემოება სასტიკათ აიხვეწა, აქ ფანატიკებმაც მომართეს ბასრი ენა და საბრალო ქართველ მაჰმადიანებს დაუწყეს ქადაგება და წაქეზება გადასახლებისათვის.

ბოროტი ენების წყალობით, ქართველ მაჰმადიანები მიეცნენ გადასახლების სამზადისს 1877 წლიდამ. ეს მის მერეც არ შეწყვეტილა. მოგეხსენებათ, რომ ქართველობა ძველადვე მიჯაჭული და მიბმული იყო თავის მიწა-მამულზედ. ქართველი ვერ სთმობდა თავის სამშობლოს ადვილად, სხვაგან ვერსად სახლდებოდა. გადასახლება ქართველის კაცისათვის ერთობ ძნელი საქმე იყო. იგი შინ მოკვდებოდა, გაწყდებოდა და საყოველთაოდ კი თავის სამშობლოდამ ფეხს არსად დასძრავდა, სამუდამოდ არსად წავიდოდა, რადგანაც მისი მამა-პაპის ქვეყანა და მათი ხსოვნა შეკავშირებული იყო მთელს

მის ადამიანურ ღირსება და ცხოვრებასთან. სულ ამისი მაგალითებით იყო აღვსილი ძველად ქართველთ ვითარება, რომ მთელ ოსმალეთისაგან აღებულს საქართველოში ქართველთ იკისრეს ქუდზედ კაცის ძახილი, დიდი სისხლის ღვრა, მერე მაჰმადის სჯულის მიღებაც, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ საქართველოდამ მათ ფეხი არ მოეცვალად – ისე, ეს როგორც მოუხდათ კახელებს და ბერდუჯელთ, საიდგანაც ბორცტმა შაჰაბაზმა გიორგი მოურავის გეგმით საქართველოდამ სპარსეთში გადაასახლა 100 ათასი ქართველი. ზოგი ძველი მწერლის ცნობით ასოცი ათასი, ზოგის თქმით ნაკლები. ორივე შემთხვევაში 100 ათასზე ნაკლები კი არა. რაც დაიხოცა, ის სხვა იყო. ასე რომ გიორგი მოურავის და შაჰაბაზის წყალობით საქართველოს მარტოდ კახეთის და ბერდუჯის მხრიდამ დაეკარგა ორასი ათასი ქართველი კაცი. ქართველთ მაშინ მეტი გზა არ აქვდათ, დასტოვეს თვისი სამშობლო, დაემორჩილნენ შავს დროდ წოდებულს ხანას და გაჰყვნენ მტერს სპარსეთში. რას იზამდენ, ერთზედ ათი მოდიოდა და სრულიად გაწყვეტას ისევ ის არჩიეს, რომ დიდის მწუხარებით და ტანჯვით დამორჩილებოდნენ თავის მტერს, სისხლის ცრემლმფრქვეველნი გაჰყოლოდნენ უცხო ქვეყანაში თავის მოსიხარ მტერს. დიდ სულის და გულის საქენჯ წუთებს გაივლიდნენ იმ დროის აყრილ და დაწიოკებულ ქართველნი.

ასეთი იყო ჩვენი წარსული, ასეთი იყო ძველი ქართველი და იგი თავის ხრიაკ კლდეებსაც კი არა სცვლიდა სხვათა შესამჩნევ ადგილებზედ. ცნობილი იყო მთელს აღმოსავლეთში, რომ ქართველი თავის მამულის დიდი ერთგულია და ამიტომაც იგი ადვილად ვერ დასთმობს თავის ქვეყანასაო. სულ ეს მიზეზები გახლდათ მის უმთავრეს საგნად მამხდარი, რომ XVII საუკუნის შემდეგიდან ოსმალ-სპარსთა ასეთ პოლიტიკას დაადგნენ: სამცხე გავათათროთო, ქართლი ამოვწყვიტოდ და კახელნი სპარსეთში გადავასახლოთო. ყველა ესენი გამოწვეულ ჰყო ქართველ კაცის თავ განწირულმა მამულის შვილობამ, სამშობლო ქვეყნის ადვილად არ დათმობამ. დღეს კი ეს ისე აღარ არის და 1877 წ. ქართველ მაჰმადიანი ემორჩილებოდა შავ-ბედს და საქართველოდამ სახლდებოდა იქით, რასაც მათი წინაპარნი მკაცრად ერიდებოდნენ. ესეთი საქციელი ქართველის კაცის იყო საკვირველი და თან მეტად სამწუხარო. როგორ, განა ქართველ კაცს ისე უნდა გარდაცვლოდა გული, რომ მას თავის სამშობლო ადვილად დაეტოვებინა? ამას განა მოიფიქრებდა ვინმე. არავინ, მაგრამ უკანასკნელ კი სულ სხვა აღმოჩნდა და ქართველი გამოსჩნდა, რომ რასაც მისი წინაპარნი ერიდებოდნენ და ვერ ბედავდნენ ადვილად, რისთვისაც იგინი სწყდებოდნენ და რჯულსაც იცვლიდნენ, სწორედ იმ საუნჯეს მათი შთამომავალნი გულ გრი-

ლად უმზერენ და ამიტომ შავს დროს ემორჩილებიან, თავიანთ მტრებს თვით თავიანთის ნებით, თავიანთის სურვილით მისდევდნენ საცაღა გადაკარგულს შამს, დიარბეჭირს, ქურთის-ტანს და მისირსაც კი. განა ეს ეკადრებოდათ ქართველ მაჰმადიანებს, რომ ივინი თავიანთ კოპწია საქართველოს სტოვე-ბდნენ და სხვაგან, უცნობს ადგილას მირბოდნენ. რასაკვირვე-ლია, რომ ეს მათგან დიდი შეცდომა იყო და ამათ არც არა-ვინ აპატივებს, მაგრამ რა გამოვიდა და რაღა დროს, როცა უკვე დიდი მსხვერპლი შეიწირა, დიდი რიცხვი მოისპო და და-ილუპა უცხო ალაგას, დანადვლიანებულნი და მწარედ მგოდე-ბელნი თავის მამა-პაპის სახლ-კარზედ.

ღმერთმა ჰკითხოს იმ პირთ და იმ მტრებს, ვინც საბრა-ლო ქართველ მაჰმადიანებში გადასახლების სიყვარულს ნერ-გავდენ და მით სთესდენ ქართველ მაჰმადიანთ დალუპვის და-საწყისს. სანატრელია აქ მხოლოდ ის, რომ ეს გარემოება გა-ხდეს საყურადღებო საგნად აწინდელ ქართველ მაჰმადიანთა და მათ ამ სამწუხარო საქმეებს ჯეროვანი ყურადღება მიაქ-ციონ. უამისობა მათგან არ შეიძლება და ის, რაც 1877 წლის ქართველთ მაჰმადიანთ ეპატიებათ, იმას მომავალში ამათ არა-ვინ აპატიებს, ამისთვის მათ მწარედ დასწყევლიან. ამას ჩვენ მიტომ ვამბობთ აქ, რადგანც ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქართველ მაჰმადიანთ შორის დღესაც არიან თითო-ოროლა ისეთი ბოროტი პირები, რომელნიც თავიანთ გესლი-ანის ენით ქართველ მაჰმადიანებს ოსმალეთში გადასახლე-ბას ურჩევენ, მით აზრიყვებენ კიდევაც მრავალთ, თავიანთ მამა-პაპეულს მიწა-მამულს აცილებენ და მით ჰლუპავენ სამუ-დამოდ, საყოველთაოდ. ასეთის საქმეებით ცხადათ მტკიცდე-ბა ის, რომ დღევანდელი ქართველთ მაჰმადიანთ უმეტესი ნაწი-ლი ღრმა საღათას ფანატკურს ძილით არის დაძინებული და ამ ძილს მათი მტრები უფრო ავრცელებენ, თავიანთ საძაგელს რჩევას სარწმუნოებრივის სასწაულითაც მოსავენ. სამგლოვია-როს განმარტემით თავს არავის შევაწყენთ. დავიწყებთ ისევ გადასახლების მაგალითების და ცნობების მოყვანას. განსჯა და დაკვირვება მკითხველისთვის მიგვინდვია.

ქართველთა გადასახლება იწყება იმ დღიდან, როცა საქარ-თველოს სამეფო სამად გაიყო, ერთი სამეფო სამ სამეფოდ განსქდა და ხუთ სამთავროდ. ერთ მეფობას თავისი ძალა დაეკარგა. ამის დაკარგვით ქართველ თავად-აზნაურებსაც ფრთები შეესხათ, ყოველ მათგანს თავი ხელმწიფედ და მთავრად მიაჩნდა, თავის საბრძანებელში ყველა მეფე იყო და მისი მოყმენიც ქვეშევრ-დომნი, მონანი. ამ გარემოებამ მათ გონება გაუღალა, გალა-ღებულთ გონებამ ბოროტებაც დაიწყო, მათში რაღაცა მანქა-ნებით გამოირკვა მათ ყმათა გაყიდვის საქმეც. ამ გა-რემოებას მუსულმანთა ტომნი გაფაციცებით უმზერდენ.

გლებ-კაცობა თავის მებატონის ყურ მოჭრილი ყმა იყო. ლოგინი მათ ისე ჰყვანდათ დამორჩილებული, რომ მასზედ უსასტიკესი და უბოროტესი სხვა აღარა იქნებოდა. ყმას მებატონე საითაც წაიყვანდა, ესეც მისდევდა მას ყელზედ თოკ მობმული. მიჰყავდა ოსმალეთში გასაყიდათ დ ესეც მისდევდა, ასევე სპარსეთში და სხვა ქვეყნებში, ყველგან ყმა მებატონეს მონურად ემორჩილებოდა, რადგანაც პირველი: მას თავის ბატონი პატრონად მიაჩნდა და მეორე არცა ჰქონდა მისი მოსაზრებაც, რომ ყმას შესძლებოდა რამე ადამიანური უფლება ჰქონიყო, რომ მას თავისი ბატონის წინაშე ხმა ამოეღო და ეთქვა, რომ ბატონო, თქვენ მე ნუ მყიდით, მე ხომ თქვენი ცხვარი არა ვარ, ან კიდევ სხვა ასეთნი. გლებს არ ჰქონდა ამის მოსაზრება და მებატონეც სარგებლობდა მათის ასეთის ველურობით.

გალაღებულ მებატონეთ ვაჭრობას ოსმალ-სპარსნიც კაის თვალთ უმზერდენ და მათს აღებ მიცემის ხელს ბაჯალლო ოქროებით მოსავდენ. დაბრმავებულ მებატონეებს ოქროები ახარებდა და ტილა თათრის შთამომავალთ ქართველ სახიერ ქალ-ვაჟთ შეძენა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველო ჯერეთ თათრის ტომის მფლობელობის ქვეშ არ იყო შესული, რომ ქართველთ ქალ-ვაჟთა გასყიდვის საქმე კარგ წესად დაიდო. ნელ-ნელა ამ უბედურებას კარგად შეეჩვივნენ ქართველ მებატონენი, ადვილ სავაჭრო საქმეთ გაიხადეს ეს, ოსმალ-სპარსთაც გზა გაეხსნათ თვისი ტომის გამშვენების წინაშე. მათ საქართველო გაიცივნეს ცოცხალ კაცთა სავაჭრო კუთხეთ, სადაც იგინი ამით ბევრს რამეს ჰპოვებდენ. უკანასკნელ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჩვენთვის რა საჭირო არის, რომ ბაჯალლო ოქროებს ვაბნევთ ქართველ ქალ-ვაჟების სყიდვაში. ჩვენ ეს კუთხე მთლად დავიმორჩილოდ და მაშინ ხომ ყოველივე ჩვენი იქნებაო. ამ აზრის იყვნენ ოსმალ-სპარსნი ქართველებზედ, ამიტომაც დაუწყეს მათ საქართველოს განადგურება. ამ განადგურებაში რამდენათაც იგინი იღვწოდნენ, არა მათზედ ნაკლებ თვით ქართველი გმირებიც თარეშობდენ.

ტყვის თუ ყმის გაყიდვიე ანუ გაყიდვ-გამოყიდვის საქმეს თან დაჰყვა ქართველ მეთა საქართველოდამ გადასახლება. ამ გადასახლების გეგმას ოსმალთ-სპარსნი კარგის კირკიტის ჭკუით არკვევდენ და როგორც ამზადებდენ საქართველოს დაპყრობას, ისევე აწესრიგებდენ ქართველთ მეთ გადასახლების სამზადის და მის პირობებსაც. ქართველთ გადასახლება სპარსეთში ძველადგანვე სწარმოებდა. ოსმალეთში კი ეს არ იყო. ბიზანტიის დამხობის (1453 წ.) შემდეგ კი, რაკი ოსმალნი საქართველოსაც მოადგნენ ასაკლებათ, მაშინ ამათაც იწყეს ამის სამზადისი და განიზრახეს საქართვე-

ლოს დაჭერა და მერე ქართველთ გადასახლება ოსმალეთში. ქართველთა გადასახლება ოსმალეთში იწყება იმ დროდამ, როცა ქართველ ერმა დაკარგა თავის უფლება, როცა სამცხე-საათაბაგო გახდა ოსმალთს საფაშალიკოდ. ესე იგი მის ხანა იწყება XVII საუკუნის დამდეგიდამ, ანუ 1627 წ. როცა ათაბაგობა მოისპო და ახალციხეში ფაშობა იქმნა დადგენილი. მუსულმანთაგან ქართველ გადასახლებას აქვდა ორ ნაირი აზრი: პირველი იყო ის, რომ საქართველოს იმ ადგილებში სადაც ოსმალთს ფლობა იყო დამკვიდრებული, რომ იქ ქართველთ ტომის რიცხვი შემცირებულიყო, მათ მაგიერ სხვა ტომის, ანუ მუსულმანნი გამრავლებულიყვნენ. ესევე გარემოება ხდებოდა მის ძალათაც, რომ ოსმალთს საქართველოს ადგილებზედ საკმარისად მოისპობოდა მათ მთავრობის მოწინააღმდეგეთ რიცხვი. ამის ოსტატობას ოსმალეთი არამც თუ მარტოდ იმ დღიდან მიეცა, როცა სამცხე სრულიად დაიმორჩილეს და თვის საფაშალიკოთ გამოაცხადეს, არამედ ესენი მისდევდნენ ქართველ გადასახლებას კარგის მადით თვით იმ დღიდანაც კი, როცა საქართველოს ნაწილი სამცხე-საათაბაგო მათ მეხარკეთ გახდა, ესე იგი 1580 წლიდამ.

მეორე ნაირი აზრი ამათი შეეხებოდა იმ გარემოებასაც, რომ იგინი ამ ქართველთ გადასახლებით ავსებდნენ მთელს ოსმალეთს, მის საშვალეებით კარგად ამშვენებდნენ თვის ტომის ძეთა რიცხვს. ამისთანა ოსტატობით განაშვენეს მათ თურქთა ტომის რიცხვი ძველს ბიზანტიის სამეფოში. დასართავია ამის გარემოებაც, რომ ასეთ გამშვენების გარდა, ქართველთა ძეთა რიცხვი უადვილესად გადაჰყვანდათ ისლამზედ და ესეც ხომ დიდი საქმე იყო მათი სჯულისთვის. ამის შესახებ ქართველ მაჰმადიანებში ზეპირ ლაპარაკიც იციან. ზეპირ ცნობები გვაცნობს, რომ ქართველთ გარდასახლების საქმე, ანუ ქართველთ ძეთა წაყვანის ტრფიალება ოსმალეთში ისე წასულა წინ, რაც თითქმის მთელს საოსმალოში ძველადვე აშკარა სავაჭრო საქმედ გამხდარა.

ოსმალთს სახელმწიფოს გამაღიანებამდე საქართველოზე მეტად დიდი გავლენა აქვდა სპარსეთს, ესენიც ისევე ეტრფოდნენ ქართველთ შვილებს, როგორც ოსმალნი. აქ განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ოსმალთა ქართველთ შვილებზედ ნავარდობა იწყეს ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ და სპარსელებს კი ბევრად უწინარეს აქვდათ ქართველთ შვილებზედ ეს დაწყობილი. რადგანაც სიტყვამ აქ სპარსეთიც მოიტანა, ამიტომ უწინარეს ავსუხსავთ იმ ცნობებს, რაც კი სპარსთაგან ჩვენს კარზედ მოყენებულ უბედურებას შეეხება და მის მერ შეეხებით ოსმალთაგან ჩვენის სამშობლოდამ ქართველთ გადასახლებას.

სპარსელებს ქართველთ შვილებთა შეძენის მადა ძველად-

განვე აქვნდათ. ესენი ამისთვის ხმარობდენ ყოველ ძალასრომ ქართველთ შვილები მრავლად შეეძნათ. ამის მადა მათ იმ დროსაც კი აქვნდათ გახსნილნი, როცა საქართველოს ერთ მეფობა გაძლიერებული იყო, თუმცა მაშინ ესენი ვერას აწყობდენ, მაგრამ განვლო დრომ, საქართველოს მოევლინა თავის დარღვევის დასაწყისი, აქ გათახსირდა ქართველობა, დაეცა, დანაწილდა, ამ დროს სპარსთაც წამოყვეს თავი და დაუწყეს ქართველთ მძლავრება, აოხრება, ხალხის მოტაცვა, გადასახლება და სხვანი, რაცკი მათთვის სარგებლიანი საქმე იყო და ჩვენის ტომისთვის კი დასალუპი.

სპარსნი ქართველთ ძეთა ტრფიალებით დიდათ იყვნენ ბანღვიძებულნი. ამისთვის იგინი ხმარობდენ ყოველ ნაირ ღონისძიებას, რომ რაც შეიძლება მრავლად წაეყვანათ ქართველთ ძენი სპარსეთში. თვით ჩვენ მებატონებმაც კი თავიანთ ყმათა შვილების დასყიდვა მათის წინადადებით ისწავლეს, მათ ასწავლეს ამათ ეს დასალუპი საქმე. ამ სენის ვრცელების მეთაურობა პირდაპირ მათ ედებათ კისერზედ. ქართველ მებატონე თავის ყმათა შვილებს ვის მიჰყიდიდა, რომ მას მყიდველი არ ჰყოლოდა. მისი მყიდველნი იყვნენ სპარსნი. ესები ამ საყიდელში კაი ფასსაც აძლევდენ. ჯერედ საქართველო დაუძლურებული არცკი იყო, რომ ქართველ ზოგ თავად-აზნაურნი ამის ჩურჩუნას იძლეოდენ. მათ იცოდნენ, რომ სპარსნი ყმათა შვილებში კაი ფასს მისცემდენ, ამიტომაც იგინი კარგად შრომობდენ, რომ მის საშვალეებით გამოერკვიათ და აეღორძინებინათ ყმათა შვილთა გასყიდვის და გაადვილების საქმე, მისი დაკანონებაც კი.

ამის შესრულება მათ მოეცათ იმ დროს, როცა საქართველო დაუძლურდა, როცა ერთი სამეფო რამდენიმე ნაწილად გაიყო. თითო ხეობის მებატონეთ ანუ მეფეთ თავადი და აზნაური გამოცხადდა. აი მაშინ კი გაადვილდა ამ სავაჭრო საქონლის სყიდვა-გასყიდვის საქმიანობა, მაგრამ სპარსთა არც ეს იკმარეს, მათ არამც თუ მართოდ თითო ოროლა პირთა სყიდვა და შეძენით განისაზღვრეს წადილი, არამედ მთელ საქართველოს დაუწყეს შებოჭვა და მის მერე ქართველთ შვილთა სყიდვა კი არ უნდებოდათ, არამედ მთელ ჯგუფებით შებოჭვა, ტყვეთ პყრობა და უფასოდ წაყვანა სპარსეთში, რომელნიც მათ უფასო მონებად შთებოდნენ. ამ მცნებით გატაცებულ სპარსთა ქართველთა შვილებს ადრიდგანვე უწყეს ტყვეთ პყრობა და ათასობით და ათიათასობით წაყვანა. ჩვენ ყველა ასეთ წაყვანილთ ცნობები არ გვაქვს და რაცკი არის დარჩენილი ამ უბედურების შესახებ, იმის აქ მოვიყვანთ.

პატარ-პატარა შემთხვევებით გარეშე, დიდ შემთხვევებით შორის შაჰ-ისმაილისა და იაყოზ ყაენისაგან აღმოსავლეთის

სპარსთა ქვეყნებში გარდასახლებულ იქმნა 25, 000 ქართველი.

დაუსრულებელის დიდი სისხლის ღვრის შემდეგ ესენი გადასახლეს უმეტესად სამხრეთ საქართველოს კუთხიდან, რამაც ერთობ დიდი დამლუპავი გავლენა იქონია ამ კუთხეზედ. ამ დღიდან იწყება ამ კუთხეში ქართველთ შემცირება და მოსპობა. დღეს რაც არის ეს სამხრეთის ნაწილი და ან რამდენი სოფელშიდა სცხოვრებს ქართველი ხალხი, ეს ხომ ყველამ ვიცით და იგი ჩვენი ტომის ისტორიის დიდი საგოდებელი მასალა არის. იქ, სადაც ადრე სამი საეპისკოპოსო სოფლები და ხალხი იყო, დღეს ერთი საბლადოჩინო არის. მორჩა აქ ქართველი ტომის არსებობის ისტორია, აქამდის მიწა-მამული მაინც ქართველ მეტონების იყო, ეხლა ამეებსაც ჰყიდიან იგინი. ნახევარზედ მეტი უკვე გაჰყიდეს. შაჰ-თამაზმა გადაასახლა 50,000 ქართველნი, ესენიც იყვნენ უმეტეს თრიალეთელნი და სამცხელნი. ყეინი ამათ ასახლებდა არამც თუ მძლავრებით, არამედ სხვა და სხვა სამთავროების მთავრებისაგან შეყვარებით, მეგობრობით და ნათესაობითაც კი, მაგალითებრ ყეინის ცოლი სამცხელი თავ. შალიკაშვილის ქალი იყო, უმეტეს ნაწილ გადასახლების გაადვილებას ამ გარემოებამ დაუდო ადვილი ნიადაგი და საფუძველი. წაუყვანიათ აჭარიდან მრავლად, სამხრეთ საქართველოს ნაწილიც თითქმის ამ დროს დაიცალა და აოხრდა ფითარეტი, ტანძია, ბოლნისი. ამ დრომდის ქართველთ რიცხვი კიდევ დიდი იყო, ხოლო შაჰ-თამაზის პოლიტიკამ კი იგინი ნახევრამდე მოსპო.

შაჰ-აბაზმა 1618 წ. გიორგი მოურავის ოსტატობით საქართველოდამ გადაასახლა 100 ათასი ქართველი. ზოგის თქმით 80 ათასი, ზოგის თქმით 120 ათასი. ერთი ამდენიც გზაში დაიხოცა. მიზეზი ამისი ის იყო, რომ ამოდელა ხალხს სპარსეთში ფეხით მიერეკებოდენ. ჯერეთ ვიდრე აქ დაიმორჩილებდენ, მინამ სპარსელებმა ცნობილის გიორგი მოურავის წყალობით კახელობა და სამხრეთელნი ჭიანჭველისავე სრისეს. ასე ხოცვის გამო კათოლიკის იმ დროინდელი მისიონერები აი რას სწერენ დანამდვილებით: ქართველების აყრა და დიდი გადასახლება მოხდა ბარბაროს შაჰაბაზისაგან. გადასახლებულნი მიჰყვანდათ სპარსეთში ფეხით. გზაში ესენი სცდიდენ დიდ გაჭირვებას, ბევრს ალაგას გზაში ავათ მყოფთ რაკი სიარული არ შეეძლოთ, იმათ გზაში სტოვებდენ და თან აღარ მიჰყვანდათ. ესენი გზაში იხოცებოდენ. მერე ამათ ხორცს მგლები სჭამდენ. ხშირათ მკვდართ სხეულებზედ აქლემები დადიოდნენ. ხშირად ხდებოდა ისიც, რომ რაკი დედას არ აქვნდა ძალა და ღონე თავის ყმაწვილების ხელით ტარების და ზიდვის, მაშინ ამ ყმაწვილებს იგინი გზაში ხოცავდენ და მით ირჩენდნენ თავს ტვირთის ზიდვისაგან.

ასე და ამ გვარად, გზაში დაიხოცა თურმე დიდი ძალი

ქართველობა. მაინც რამაც სპარსეთში ჩაახწია, იმათი რიცხვიც იმოდენი იყო, რომ მარტოდ ცხენოსან ქართველთ ჯარისაგან შესდგა 30,000 ათასი ცხენოსან მხედარი. ამათ გარდა მთელი სპარსეთი ისე იყო ქართველებით სავსე, რომ თითო სახლში ორ-ორი მონა ჰყავდათ მსახურათ. ასეთებს გარდა თეირანის, თავრიზის, შირაზის და სხვა დიდრონ ქალაქების ბაზრებზედ, ქართველთ შვილები ცხვრებზედ უფრო იაფად იყიდებოდა. ხშირად ასეთ დაყიდვის დროს დაშორებულითა ერთმანეთს ძმა – ძმის, დას ძმის, ცოლი ქმარს, ნათესავი ნათესავს და ესენი წაუყვანიათ მყიდველთ აქეთ იქით ისე, რომ მათ გამწარებულს სულს იმედიც კი აღარ შერჩენიათ მის, რომ იგინი ოდესმე ერთმანეთს შეხვდებიან სადმე ცოცხლები და ნახავენო.

ამ დროს მომხდარა დიდი უბედურება ქართველთა, დიდი საცოდავობა, როგორც პატრი დელავალე სწერს რომის პაპს 1622 წ. „ღირსი შებრალებისა, რომელთ საცოდაობასაც კაცი თქვენის უნეტარესობის წინაშე ვერ მოსთვლისო“. კათოლიკების მისიონერები ქართველთ ამ ვაებით სავსე დაღუპვას და ნამეტურ გადასახლებას დიდის სიბეჯითით აღწერდნენ. ამის ცნობებს მიხ. თამარაშვილის წიგნიც ასაბუთებს. ცნობა არის, რომ აზანს წაუყვანია 5000 ქართველი, ესენი დაუსახლებია გილანის მიდამოებში. აქ დასახლოებულთა ქართველნი 1840 წლამდე ქართულ ენაზედ ლაპარაკობდნენ. დღეს მათში ქართული ენა დაკარგულია. სელიმ ხანმა გადასახლა და მთელს სპარსეთში მონებათ დაფანტა 30,000 ქართველი. ამავე ყაენმა მოიყვანა თათრები და დასახლა ქართლ-კახეთში. უსეინ ყაენმა წაიყვანა 3000 ქართველი, შაჰ-ნადირმა წაიყვანა 5000 ქართველი, უზუნ-ხანმა წაიყვანა 300 ქართველი, მირვეისმაც გადასახლა. გადასახლებულთ ცნობა არ სჩანს. კონსტანტინეს მძევლობის დროს წაყვანილ იქმნა 100 ოჯახზედ მეტი, ლეონ ირანთა მსაჯულის დროს 200 კომლი, ირაკლი ნაზარალიხანმა 100 კომლი, დიმიტრი თავდადებულის დროს 500 კაცზედ მეტი. ბევრი ამათგანი ურუმისაკენ იქმნენ დასახლებულნი. 1795 წ. უბედურობის გამო წაყვანილ იქმნა 30,000 ათასი ქართველი. ვახტანგ მეექვსეს ორჯერ 400 კაცზედ მეტი გაჰყვა სპარსეთს, ესენი სულ იქ დარჩნენ.

ქართველთ გადასახლება თუ რამდენათ სასურველი იყო სპარსთათვის, თუ იგინი ქართველებს რა სიუხვით ასახლებდნენ და რა მძლავრებით, ესა სჩანს თვით ისეთის გარემოებისაგანაც, როგორც არის მაგალითებრ ქართველთ გადასახლებულთა რიცხვის მოკრება და მომზადება არამც თუ საერთოდ მთელის საქართველოდამ, არამედ ყმათა შვილებით ხარჯის გადახდას იგინი თვით კერძოთ თითო მებატონესაც კი ადებდენ კისერზედ ტვირთათ, რომ მას, ანუ მის სახლის კა-

ცებს თვისის საყმოდამ უნდა მოემზადებინათ გადასასახლებლად აღნიშნული რიცხვის კაცი და ქალი, ანუ რასაც მათი ოჯახობის რაოდენობა მოითხოვდა და რიცხვი შესდგებოდა.

XVII საუკუნის ნახევრამდე, ანუ შაჰბაზის შემოსევის და ქართველთ გადასახლების დღიდან, სპარსთ ისე მოემარჯვათ ქართველთ გადასახლება, რომ ზემო ქართლიდან ავალიშვილების საყმოდამ სპარსეთში გადასახლეს 5000 სული. საციციანოდამ, ანუ ციციშვილების ყმებთაგან 500 კომლი. თითო კომლი ისე მრავალი იყო თურმე, რომ 500 კომლში ირიცხებოდა 4000 სული. ქსნის საერისთაოდამ გადასახლეს 1000 კომლი. უეჭველია ამ ათას კომლში ათი იმდენი სული მაინც იქნებოდა. არაგვის საერისთაოდამ 800 კომლი. ასე და ამ გვარად ზოგის საბატონოდამ სულ მცირე, საიდანაც რა მოხერხდებოდა. ასეთ საბატონო გადასახლებულ ყმათა ოჯახების შესახებ დიმი. ბაქრაძე სწერს, რომ „ჩვენ თუ სახეში ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ მაშინდელი ქართველთ ოჯახები გაუყრელნი იყვნენ და ოჯახში 10-20 და 30 სულიც კი ერთათ სცხოვრობდაო, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ ის გარემოება, თუ გადასახლებულთ კომლთა შორის რა დიდი რიცხვი უნდა ყოფილიყოს ბედშავ ქართველთაო.

აქ საკითხია ერთი ისიც, რომ ამოდოლა ხალხს რომ ასახლებდენ, ნეტა ეს გადასახლება როგორ ხდებოდა, ან აქ ქართლ-კახეთში რაღა შთებოდა საცხოვრებლად და ან გადასახლებულნი რა იყვნენ, ქათმები იყვნენ თუ ცხენები და თხები, რომ ისე მიერეკებოდენ მათ და იგინიც კი ხმას არ იღებდენ მათზედ. ამის შესახებ ითქმის შემდეგი. რაკი საქართველო გაიყო სამ სამეფოთ და ხუთ სამთავროთ, მის გამო ქართველთ ძალა ისე დაეცა და ისე გათახსირდა, რომ აქ ქართველნი ჩავარდნენ მეტად განწირულს მდგომარეობაში. გმირობა მათში ყოველთვის არსებობდა, მტრის წინააღმდეგ იგინი ყოველთვის მკაცრად იღვწოდნენ, ხოლო მათ ბრძოლას ხშირად არ ეძლეოდა გამარჯვება, რადგანაც როცა სპარსნი ქართველთ ასეთ გადასახლებას აპირებდნენ, მაშინ ისინი საქართველოში მეტად დიდის ჯარით, დიდის ხალხით, საომარის იარაღით და ასეთის სამზადისით მოდიოდნენ, რომ აქ მათ ამ დროს დამარცხება არ მისცემოდათ. აქ მათი დამარცხება იქნებოდა მათის მუსრის გავლება და აბა ისინი ამისთანა საქმისთვის უბრალო სამზადისით და საომარის იარაღით როგორ წამოვიდოდნენ, ეს მათგან შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც იგინი საქართველოში დიდის ძალით მოდიოდნენ და ამის წყალობით ყოველთვისაც იმარჯვებდენ.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ქართლსა და კახეთში იმდენი უძლურების და გარდასახლების შემდეგ სადღა იყო

და ან ვილა რჩებოდა აქ და ვილა მრავლობდაო? ამაზედ ითქმის იგივე გარემოება ქართველის კაცის ოჯახის გაუყრელობისა და მათსავე ოჯახის წევრთა რიცხვზედ, რასაც ამბობს დიმიტრი ბაქრაძე, ესე იგი მაშინდელ ოჯახის წევრთა დიდი რიცხვი, თითო ოჯახში მაშინ სამი, ოთხი ძმა, მამები, ბიძები და ბიძაშვილები ერთად სცხოვრობდნენ განუყრელად, ზოგს ოჯახში ცხრა აკვანი იდგა, ზოგში მეტ-ნაკლები. ასეთ გაუყრელობას პირველი მტრის თავ დასხმა და შიშინაობა ითხოვდა, რომ როცა სადმე მათ ქურდულათ სპარსნი, ანუ ლეკნი დაეცემოდნენ, მაშინ ადვილათ შეეძლებოდათ, რომ ასეთ ოჯახის წევრთ პასუხი რიგიანათ მიეცათ და მტერი გაედევნათ. ამიტომაც იყო, რომ საშუალ საუკუნეების შემდეგიდამ ყოველი სოფელი თავისთვის საკუთარს საომარს კომპლასკ კი იკეთებდა. მეორე მიზეზი იყო მათი ერთობით ცხოვრების, მათის ოჯახის კეთილ დღეობის და მეურნეობის კარგად ცოდნა, რომ თუ არ ასეთის ერთობით, ისე იგინი სასოფლო სამეურნო, ანუ ოჯახის საქმეს კარგად ვერ გაუძღვებოდნენ და ამიტომაც იყვნენ ერთად, განუყრელათ და მის მეოხებით. ოჯახიც მათი იყო ძრიელი და სავსე ყოველის საჭიროს სანოვაგით. ასეთი სიმტკიცე ოჯახის და მასთან სიმამლრე ოჯახის წევრთა ხელს უწყობდა ხალხის გამრავლებას მაშინ. ძნელად რომ კაცს კაი მოხუცებადის არ ეცხოვრა. გარდა ამისი ყმაწვილების რიცხვიც კი ისე არ იხოცებოდა, ეს როგორც დღეს არის ჩვენში, არამედ მეტად იშვიათად, როგორც მაშინ ჰაერიც სუფთა იყო და საკვებიც კაი და იაფი იყო და ყოველივე ეს კიდევ უწყობდა ხელს ქართველ კაცის ოჯახის გამრავლებას. მართალია ქართველებს ბალახივით სთიბავდნენ, მაგრამ იგინი მაინც მალიად მრავლდებოდნენ თავიანთის ჭკვიანურის საოჯახო საქმეთა წყობილების წყალობით.

სპარსეთში გადასახლებულთ ისტორია მეტად მდიდარია მასთან გულ საწვავი და ცეცხლით სავსე. მარტოდ სპარსეთში გადასახლებულთ და დაყიდულთ ისტორია ერთი წიგნი გამოვა და არა ეს პატარა, ღარიბი მიმოხილვა. ყველაზედ მეტი უბედურება გადასახლებით ლანგთემურს მიუყენებია ქართველთათვის. ამისგან წაყვანილი და გადასახლებულთ რიცხვი 180 ათას ქართველამდის მიდის. ირაკლი მეორესაც გაჰყვა 300 ქართველი. ესენი ავღანისტანში გაწყდნენ. უნდა ითქვას, რომ სპარსნი ქართველებს უმეტესად ინდოეთს, ავღანისტანს და ასეთ კუთხეებში გზავნიდნენ სალაშქროდ, სადაც, ესენი იხოცებოდნენ უცხო ტომთათვის, უცხო ალაგას. ვიცით კარგად და ამას ჩვენი მეისტორიენიც მოგვითხრობენ, რომ ასე უხვათ სპარსნი მიტომ მისდევდნენ ქართველთ გადასახლებას, რადგანაც იგინი უმთავრესად ამით ამშვენებდნენ თვის მოდგმას. მთელი სპარსეთის ერი ქართველთ სისხლით არის გამშვენებუ-

ლი. აი თვით დღესაც ერთმა ქართველმა ვაჭრობის მიმდევარმა *), რომელიც სპარსეთში კარგა ხანია მგზავრობს და ვაჭრობს. იქ ნაამბობი მოხუცებულთა სიტყვით სთქვა, რომ სპარსეთში დღეს ქართველთ შთამომავალნი 2 მილიონი უნდა იყოს და არა რამდენიმე ათასიო. მთელი სპარსეთი სავსეა ქართველთა კვალისაო. ქართველთა ძეთა სახის ნიშნებითაო.

ჩვენ ისიც ვიცით კარგად, რომ სპარსეთი დიდის სიხარულით იმორჩილებდნენ ოსებს, ჩერქეზებს, თვით ლეკებსაც ვი. ამათგანაც ხშირად მიჰყვანდათ როგორც ტყვენი, ისევე გადასახლებულნი და ნაყიდი ყმანი, რომელთა რიცხვი არ უნდა იყოს პატარა. ამას თვით სპარსეთში უცხო მოგზაურნიც აღნიშნავენ. აქ ნუ დავივიწყებთ იმ გარემოებასაც, რასაც ქართველთ მეფენი და მთავარნი სპარსეთის ყეინებს ქართველ გოგო-ბიჭებით წლიურათ ხარჯს უხდიდნენ. ეს ჩვენ არ გვიხსენებია, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ ასე ხარკში მიცემულთა

*) ყარამან კიკნაველიძე. ეს დღესაც სპარსეთში სცხოვრობს.

რიცხვიც ერთობ დიდი იქმებოდა. სამწუხაროდ ასეთ მიცემულთა რიცხვს ჩვენი სამეფო დავთრები, ისტორიული წიგნები და სიგელი-გუჯრები სულ არ გვიჩვენებენ, ოსმალეთზედ კი არის ცნობები, თუ წლიურად რამდენ სულს აძლევდნენ იმერთ მეფე, მთავრები და ათაბაგი. სპარსეთის შესახებ ჩვენ ვიცით ისიც, რომ მცირე წლოვან სახიერ ქალ-ვაჟთ სპარსნი ჩარდახიანის ურმებით მიერეკებოდნენო. ამას გარდა მოვიყვანთ იმასაც, რომ საქართველოში არ მოიძებნება ისეთი თავადის და აზნაურის ოჯახი, რომ მათ ოსმალ-სპარსეთში თავისი ყმების შვილების ჩუმათ, ცხადათ, ქურდულათ თუ ტყვის მოტაცების მსგავსად რამდენიმე სული კაცი და ქალი არ აქედესთ წაყვანილი და დაყიდულნი.

საჭიროთ ვსთვლით, რომ ამ გადასახლების შესახებ ჩვენი ცნობების შესამოწმებლად სხვა ქართველთ ცნობებიც მოვიყვანოთ, რომ ჩვენი ცნობები ბევრს ისტორიულ სიყალბეთ არ ეჩვენოს. თუმცა ზემოთაც მოვიყვანეთ ამაზედ ცნობები, მაგრამ აქაც მოვიყვანთ ერთ შენიშვნას თავის სიტყვებით, როგორც ამას გადმოგვცემს დიმიტრი ბაქრაძე. აი მისი ცნობები:

„შაჰაბაზის ომში დაიხოცა 70 ათასი ქართველი, ტყვეთ წაიყვანეს 100 ათასი ქართველი. ესენი მათ დაასახლეს მაზანდარანს, ფარსისტანს, მიდიას და სომხეთს. 1567 წ. შაჰთამაზს წაუყვანია ტყვეთ 30,000 ათასი ქართველი. ყველა ესენი დაუსახლებია სპარსეთის სხვა და სხვა ადგილებში. XVII საუკ. შემდეგ ოსმალთაგან ომებში დახოცილი იქმნა 75,000 ათასი ქართველი, 15000 კომლი ტყვეთ პყრობილი. ესენი დაუსახლე-

ბიათ შუა გულ ოსმალეთში. ამ 15000 კომლში 15 ათას სულ-ზედ მეტს ანგარიშობენ. იმავე დროს ანუ XVII საუკ. დამდეგს სპარსეთში გადაასახლეს 8000 სულზედ მეტი, ზემო ქართლის, ავალიშვილების საყმოდამ წაიყვანეს 5000 სული ქართველი, საციციანოდამ 500 კომლი, რომელთა წევრთა რიცხვი 4000 სული იქნებოდა, ქსნის საერისთაოდან წაიყვანეს 1000 კომლი, უეჭველია ამაში იქნებოდა 7000 სული მეტი თუ არა ნაკლები კი არა. აღსანიშნავია ისიც, რომ მაშინდელ ოჯახის წევრთ რიცხვი 10-15 სულისაგან შესდგებოდა და არა ეს ისე, როგორც დღეს არის".

ქართველთ სპარსეთში გადასახლების საქმეს ჩვენი ძველები ერთობ გულგრილად უმზერენ. ამ უბედურობის შესახებ კერძოდ არავის რა დაუწერია. „ქართლის ცხოვრებაში" ორი სიტყვა არის მოხსენებული ასე: „ყენი მოვიდა, კახეთი აჰყარა და სპარსეთს გადაასახლა". ეს უბედურება ქართულ ისტორიაში სისხლის ცრემლით თუ მელნით უნდა იქმნეს ანუსხული, რადგანაც ხსენებულ გარდასახლება ქართველთა სისხლის მორევით არის მოცული. ეს ვაება არის ჩვენი ისტორიისა. მტერი ჰყრის ქართველს, აწიოკებს, ასახლებს შორს, უცხო ალაგას. ეს ადვილი საქმე არ გახლავთ.

ასე და ამ გვარად, სპარსეთმა შეისრულა თავის გულის წადილი. მათ ქართველთა მენით გაავსეს მთელი სპარსეთი. ამით განაშენეს თვისი ტომი არამც თუ მარტოდ სახიერებით, არამედ ყოველ ნაირის მიდრეკილებით და სამხედროს მეომარის გმირის კაცებითაც. სპარსელებმა ქართველებზედ ისრულეს გული ძველადგანვე და ვიდრე ოსმალთა გამლიერდებოდა გაოხრებულ ბიზანტიაში და იქიდან ესენი ქართველთაც დაუწყობდნენ ბრძოლას, მინამდის სპარსელთ აი რა უქმნეს, რა ოსტატობა იხმარეს ქართველ გვარის ნაციის მოსასპობად. ამას ეხლავ ვნახავთ ძველის ცნობებით.

საქართველოს ერთ XII საუკ. იყო ოთხი მილიონი მარტოდ კაცების, დედა-კაცების რიცხვი სხვა იყო. ეს მაგალითი აი საიდან ვიცით: XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლის დროს, იყო ქართველთა ლაშქრობა. მაშინ მეფის რჩევით განსაზღვრული იქმნა ათს კაცზედ ერთის მამა-კაცის სალაშქროდ გაყვანა და ამ რიგად დავითის სამეფოში ათის თავზედ ერთი კაცი იქმნა გამოსულ და „დავითის სამეფოში გამოხდა კაცი ოთხასი ათასიო". ოთხასი ათასი ათის თავზედ რომ გავამრავლოდ, გამოვა ოთხი მილიონი. ეს ცხადი არის, მამა კაცი თუ ოთხი მილიონი იყო, მაშ დედაკაცობაც ოთხი მილიონი იქნებოდა. ორივე კი ყოველთვის რვა მილიონი უნდა ყოფილიყოს და არა ისე, როგორც ეს დღეს არის ქართველთა შორის.

ქართველი ერი ორივე სქესის XII საუკ. XIII საუკუნის ნახევრამდის იყო 8 მილიონი ორივე სქესის.

ამ საუკუნის შემდეგ კი ქართველთა რიცხვმა კლება იწყო. წარმატების მაგიერ 8 მილიონ ხალხს ყოველ წლობით აკლდებოდა თავის შვილებთან რიცხვი. საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველთ საკმარისად იწყეს კლება. აქ ამათ აღარც მდევარის ხმობა შველოდათ, აღარც ქუდზედ კაცის ძახილი.

სპარსელთ გაუნათლდათ მზე და მთვარე, ქართველთ შვილებზედ თავისუფლად იწყეს ნავარდობა. მათ არამც თუ მარტოდ ამის თავისუფლება აქვნდათ, არამედ XIII საუკ. შემდეგ ანუ XIV საუკუნის დამდეგიდამ სპარსელებს ხელთ ეკავათ მთელის ქართლ-კახეთის ერის ცხოვრების და სიცოცხლის გასაღები, ასე რომ სპარსნი ქართველთა შვილების ზვარაკათ მიძღვნის საქმიანობით XIV საუკუნიდამ გულ სრულნი იყვნენ და იგინი მთელს საშვალ საუკუნოებში ქართველთა შვილებზედ კარგად ყრილობდენ თავის ჯავრს. ამიტომ სპარსელებზედ თავისუფლად ითქმის შემდეგი.

XIV საუკ. ქართველთა ძეთაგან ზვარაკათ შეიწირეს ერთი მილიონი ქართველი.

XV საუკ. განმავლობაში შეიწირეს ერთი მილიონი ქართველი.

XVI საუკ. განმავლობაში შეწირულ იქმნა ერთი მილიონი ქართველი. ასე რომ XVII საუკუნის დამდეგს ქართველთა რიცხვი საქართველოში უნდა ყოფილიყო 5 მილიონი. ამ ხუთ მილიონში ირიცხებოდა ასე: ერთი მილიონი მესხეთ-ჯავახეთი, რაც ოსმალომ აიღო 1580 წ. და მეხარკეთ გაიხადა. ამასთან ორი მილიონი იყო ქართლი, კახეთი და სამცხე საათაბაგო. მაშასადამე სულ სამი მილიონი. ამისთანავე იმერეთიც იყო ორი მილიონი. ამ რიცხვში შემოდიოდა იმერეთი, გურია სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი და სხვანი. ვგონებთ, რომ ამ ხალხთა მიწა-მამულზედ ორ მილიონ ხალხს ყოველთვის თავისუფლად შეეძლო ცხოვრება. ამას ასაბუთებს დღევანდლამდე ამ კუთხის ადგილებზედ დაშთენილი ნასოფლარები და ძველი საყდარ-კოშკები. თუმცა სოფლების რიცხვი კი დღეს აღარც მეთასედი არის დაშთენილი.

ასე და ამ გვარად XVII საუკ. დამდეგს მთელ საქართველოში ქართველთ რიცხვი ორივე სქესის იყო 5 მილიონი. სპარსელებმა უკანასკნელად დიდის ცდით ქართლ-კახეთიდან მთელი საუკუნის განმავლობაში აპყარეს იმოდენი ქართველობა და სპარსეთში გადაასახლეს, რაისა გამო აქ აღარ დარჩა აღარც ნახევარი რიცხვიც კი ქართველთ მცხოვრებთა.

ქართლ-კახეთის ორი მილიონი ქართველობა მთელი საუკუნის განმავლობაში ისე შემცირდა, რომ უკანაკნელ გახდა აღარც ნახევარ მილიონი.

მესხეთ-ჯავახეთის ერთი მილიონი მთლად ჩაყლაპა ოსმა-

ლეთმა და გააქრო.

იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი და გურიაც ამავე დროს დანაწილდა სასტიკათ და XVII საუკ. ნახევარს საქმე იქამდის მივიდა, რომ ხსენებული საუკუნის დამდეგს 2 მილიონ მცხოვრებთ მაგიერ მთელს ამ კუთხეში ირიცხებოდა და ნახევარ მილიონი ქართველობა.

ასე და ამ გვარად დაიშალა 8 მილიონი ქართველობა და XVII საუკ. გასულს ამიდამ აღარც ერთი მილიონი იყო ორივე საქესის. ასე გათავდა სპარსელების ცდა ქართველთ ტომზედ შაჰაბაზის შემოსევის დროს. სპარსელებმა გადასახლების ცდას არც შემდეგ დაანებეს თავი. ამათ ტყვეთ პყრობა და გარდასახლება ქართველთა მძლავრად 1795 წ. კიდევ სცადეს. ამ წლის თავ-დასხმით და გადასახლებით თავდება სპარსელთ მეცადინეობა საქართველოს ქართლის და კახეთის მცხოვრებ ქართველობაზედ.

სპარსნი XIV საუკ. დამდეგიდამ ქართლ-კახეთზედ ისე ნავარდობდენ, რომ ამათის წყალობით ქართველთ გადასახლება სპარსეთში ყოველთვის სწარმოებდა. სპარსელთ წყალობით მეტად უწყალოდ და შეუბრალებლად მცირდებოდა ქართლისა და კახეთის მცხოვრებნი. საქმე იქამდის მივიდა, რომ XVIII ნახევარს, მთელი კახეთი აყრილი იყო და დაცარიელებული. ასეთ ჯილდოს არც ქართლი გახლდათ მოკლებული.

რაც ქართლს და კახეთს სპარსთაგან ევლინებოდა XIV საუკ. დამდეგიდამ, იგივე ეფინებოდა მძლავრებით ოსმალთაგან სამცხე-სათაბაგოს 1580 წლიდამ და იმერეთს, სამეგრელოს, გურიას, აფხაზეთს და სვანეთს 1640 წლიდამ. ამიტომ სპარსთა და ოსმალთ მძლავრება ყოველთვის ერთნაირად სწარმოებდა, მათგან ყოველთვის სულ ქართველთ აყრა და გარდასახლება ისმოდა. სპარსთა შემდეგ ახლა ოსმალთ მძლავრებას და ქართველთ გარდასახლებას შევეხებით.

ოსმალეთმა ქართველთ გარდასახლება დაიწყო 1580 წლიდამ. ამისთვის იგინი ხმარობდენ ყოველ ნაირ მახვილს და ბოროტ ოსტატობას.

ყარსის (კარი) თემში ძველადგანვე მთლად ქართველის ტომის ერთი იყო დასახლებული. აქ ქართველთ სოფლებში ისევე სცხოვრობდენ ქართველნი, როგორც დღეს ქართლს, კახეთს და იმერეთში. აქ მათში ყველგან ქართული ენა არსებობდა. მათში იყო ერთი საეპისკოპოზო, რომელიც იწოდებოდა კარელად. მთელი ეს კუთხე იყო ნაწილი ზემო ქართლისა. ოსმალეებმა აქიდამ ქართველებს აყრა და გარდასახლება დაუწყო 1585 წლიდამ. XVII საუკ. დამდეგიდამ 1650 წლამდე მთელს კუთხეში აღარ დარჩა ქართველთ ერის აღარაფერი. აქ ქართველთ რიცხვი ისე მოისპო, რომ დღეს კაცი ვეღარც კი წარმოიდგენს, თუ ოდესმე ეს კუთხე ქართველთ ტომის

ძირეული კუთხე იყო. ყარსის თემში 1877 წ. იყო ქართველ მაჰმადიანთ შთამომავალთ რიცხვი 170 ათასი, დანარჩენი სხვა ტომისანი იყვნენ. ეხლა აღარც ესენი არიან. ვინც არის, იმათაც ქართული ენა დაკარგული აქვსთ, თავიანთის ვინაობის აღარაფერი ახსოვთ. ყარსში 1878 წ. ქართულ ძველ ტაძრის შთენიც იყო დაცული, რომლის ქვებსაც წარწერაც აქვდა ქართული. ორიოდე სხვა ნაშთიც აღმოსჩნდა, დღეს-კი აქ ქართველობის ყოველივე ნატამალობს, დარჩა მხოლოდ ცოტაოდენი ქართველთ ძველის ძველი ნაშთები.

არტაანი (არდაგანი), ეს კუთხე ყარსის თემის ნაწილი არის, იგიც შეადგენს კარის ნაწილს და იწოდებოდა ზემო ქართლად. ამ თემის ქართველ მაჰმადიანებს ოსმალში გადასახლება დაუწყეს XVIII საუკ. დამდეგიდამ. ოსმალთ აქ საკმარისად მოსპეს ქართველთ რიცხვი. აქ ამათ მაგიერ მოჰყვანდათ ქურთები, შამის თათრები და მათ ასახელებდნენ. საქმე ისე მოაწყეს, რომ მთელ არტაანის სოფლები ხსენებულ საუკუნის ნახევარს თითქმის განახევარდა. ამ განახევრებას მთავრობა სიხარულით მზერდა. საქმე ისე მოეწყო, რომ XIX საუკუნის დამდეგამდე აქ უკვე ქართულ ენამ ამოვარდნა იწყო, დღეს მთელ არტაანის ოლქში ქართული ენა აღარსად არსებობს. თუმცა მთელ არტაანის ოლქში ნახევარზედ მეტი მცხოვრებნიც ქართველ მაჰმადიანთ შთამომავალნი არიან, ზოგ ხეობაში ესენი თავს ქართველად იწოდებენ „გურჯად“, მხოლო თითონ კი არ იციან ქართული ენა, ქართველობის თამარ მეფის სახელის მეტი სხვა არა ახსოვთ რა.

ოსმალს მთავრობას ქართველთ აყრის და გადასახლების საქმე ისე კარგად არსად წაუვიდა, როგორც კარის (ყარსი) და არტაანის (არდაგანი) თემში. ამათი ცდა იყო ამ კუთხეებში ქართველ ტომის შემცირება, მოსპობა ქართველი ერის. ეს მათ აქ ერთობ ადვილათაც მოაწყეს. ამ დრომდის კი აქ ეს ენა ისე სუფევდა როგორც იმერეთში. ქართული ენის ადვილად გაქრობას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ აქ მრავლად ასახლებდნენ თათრებს გარდა თათრულსავე ენით მოლაპარაკე ბერძნებს, სომხებს, აისორებს და სხვაც. აქ ძველად ქართველთ რიცხვი იმოდენი იყო, რომ მათ აქვდათ შესანიშნავი საკათედრო ტაძარი, რომელიც იწოდებოდა ბანელად. ამის შთენიც დღემდის არის დაშთენილი, რასაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. იგი ანუხსულიც არის და მრავალნაირად გადაღებული.

დღეს კი არტაანის ოლქის შესახებ შეიძლება აღარც კი ვინმემ იფიქროს, რომ ეს კუთხე ოდესმე ძლიერი ზემო ქართლის კუთხე იყო და ამის მცხოვრებნიც ძველად მთლად ქართველი ტომისაგან შესდგებოდა, ხოლო იგინი მოსპო, აჰყარა

და გარდასახლა შორეულს ქვეყანაში ოსმალს მახვილმა. კარის და არტანელთ ქართველთ მძლავრად აყრა და გადასახლება იწყება 1670 წლიდან და გრძელდება 1760 წლამდე. ამის მერე აქ გარდასახლებას მთავრობამ თავი დაანება, რადგანაც ქართველთ რიცხვი საკმარისად შემცირდა.

მესხეთიდან ქართველთ გადასახლება ოსმალს მთავრობამ დაიწყო 1640 წლიდან. იგი განაგრძო კარგა ხნობამდის, ხოლო აქედამ ათასობით კი ვერ ასახლებდენ, არამედ თითო ოროლა კომლს. ამათ მაგიერ ნელ ნელა სხვა ტომის თათრებს ასახლებდენ, თან ქართულ ენასაც სასტიკათ სდევნიდენ. ამის მიზეზები არის, რომ მესხეთის ქართველ მაჰმადიანთ შორის ბევრს ალაგას ქართული ენა სადღეისოდ უკვე დავიწყებული აქვთ. ამ დავიწყებას ხელს უწყობდა ახალციხის ფაშების მართვა-გამგეობა და იქაური მუფთის უპირატესობა და „მეჯლისში“ ყადებისაგან ოსმალური ენის ხმარება, ამ ენით მოქმედება და ლაპარაკი საყოველთაოდ ყველას წინაშე.

ჯავახეთელთ გადასახლება იწყება მესხეთის გადასახლების დროს. ამასვე ზედ ერთვის ჩილდირის ხეობის ქართველთ აყრა და გადასახლება. ოსმალში ამათი უკანასკნელი გადასახლება მომხდარა 1770 წლებს. მიზეზი იქმნა ქრისტიანობის შემცნევა, მუსულმანობის წინაშე სიყალბე, ამას გარდა სხვაც ბევრი რამ. XVIII საუკ. დამლევს აქ ქართველობის რიცხვი განახევრდა.

ფოცხოველთ გადასახლება. ფოცხოვიც ისეთივე ქართლის ნაწილი არის, როგორც კარი და არტაანი. ოსმალს მთავრობამ ფოცხოვს რაღაც მანქანებით შეხედა და აქედამ ქართველებს ისე ოსტატობით ასახლებდნენ, რომ იქ ერთი ქართველი კაცის ოჯახის დატოვებაც არ უნდოდათ, ხოლო ეს მათ ვერ მოახერხეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ფოცხოველნი ისლამზედ ადვილად არ გადადიოდნენ, იბრძოდნენ კიდევ. ბოლოს მთავრობამ დასძალა ესენი და მათში ქართული ენის ყოველივე აღმოკვეთა. 1780 წლებს ფოცხოველთ დარაჯი დაუყენეს, რომ მათ მესხელ-ჯავახელებთან მისვლა-მოსვლის დროს ქართული ენა არ იხმარონ სალაპარაკოთაო. აქ იტყოდნენ მოხუცებულნი 1876-77 წლებს, რომ ფოცხოველთ წასვლა ანუ გადასახლება ოსმალში ორასი წლის წინედ დაწყობილაო. მაშასადამე ეს უნდა მომხდარიყო 1680 წლებს აქედამ. გადასახლებას თავი დაანებეს ასი წლის წინეთო. ეს უნდა ყოფილიყოს ასპინძის ომის შემდეგ, როცა აქ ქართველობის ყოველივე უკვე ამოვარდნილი გახლდათ.

ჩვენ ვიცით, რომ ასპინძის ომის შემდეგ 1770 წლებში მესხეთ-ჯავახეთიდანაც აჰყარეს და გადასახლეს, ასევე ქვაბლიანიდანაც კი, რადგანაც ესენი შეწამებული იქმნენ მასში, რომ თქვენ ახალციხელებს დაეხმარეთ მეფე ერეკლეს სასარგებლოდ

ასპინძის ომში. ამის ამბები აქ მოხუცებულთაც იციან. უთქვამთ ისიც, რომ ძველთაგან დარჩენილია ის გადმოცემა, რომ ოსმალნი ქვაბლიანში თათრებს და ქურთებს არ ასახლებდნენ. აქ არავინ მოუყვანიად და დაუსახლებიათ, ამიტომ აქ ქართული ენა დარჩა მკვიდრად. ცოტაოდენიკი უცხო ტომის თათრები ახალციხის მხრით ზარზმის შეყოლება დაუსახლებიათ, სადაც ამის მიზეზით რამდენსამე სოფელში ქართველ მაჰმადიანთ შორის ქართული ენა ამოვარდნილა. დღეს აქ ქართველ მაჰმადიანები წვალებით ლაპარაკობენ ქართულს ენაზედ.

შავშელთ გადასახლება. 1895 წ. აი რა მიაშვს მოხუცებულთ: „ჩვენი გადასახლება ოსმალში დაწყობილა ძველათგანვე“. ვკითხე: მას შემდეგ რა ხანი იქნება გასული, რაც ეს გადასახლება დაწყობილა? მომიგეს, ძველთ კაცნი იტყოდნენ: რაც ჩვენები პირველად აჰყარეს და ოსმალში გადასახლეს, მის შემდეგ იქნება გასული ორას წელიწადზედ მეტით. მაშასადამე ეს დროც უნდა მიეწეროს 1680 წლებს. გადასახლებულთ სოფლებში ასახლებდნენ ქურთებს და თათრებს. ამიტომაც მოხდა, რომ აქ ქართველ მაჰმადიანებმა ქართული ენა უკვე დაკარგეს. შავშელთ გარდასახლების შესახებ ბევრი ცნობები არის დაშთენილი, ხოლო დრო და წელი არ იციან მათ, თუ როდის რა მოხდა, რა გადასახლება, რისთვის და რა მიზეზებისთვის. უმეტესად კი სჯულის გამო ასახლებდნენ. აყრა და გადასახლებით შავშელნი ქართულ ენას არ დაკარგავდნენო, მაგრამ ამის მიზეზი ის იყო, რომ შავშელ ქართველთ მაჰმადიანებს მრავლად რთავდნენ ქურთის ქალებსაო. შავშეთში ქართული ენა ამიტომ დაიკარგა 1790 წლებს.

შავშეთში ქურთის ხალხის მოყვანა და დასახლება აი რას გამოუწვევია: შავშეთი მეტად მშვენიერი კუთხეა, კარგი, ჰავიანი, მოსავლიანი და ხალხიც მეურნე არის, ერთის სიტყვით ეს კუთხე არის მარგალიტის ქვეყანა. ასეთ ქვეყანაში ქართველთა არსებობა ოსმალთ დიდათ შურდათ, ამიტომაც მორეკეს აქ ქურთები და დაასახლეს, რაისა გამო ქართველთ მაჰმადიანებიც ქართულის ენით და ჩვეულებით დამალეულ და დაჩრდილებული იქმნა მათგან. შავშელთ საკათედრო იყო ტბეთის ტაძარი, რაც დღემდეც სდგას მთლათ გუმბათით დაუქცეველი. ერთ დროს ჯამეთ იყო. ჯამე მოშალეს მთავრობის შიშით, მის გამო იგი უპატრონოდ დასტოვეს.

იმერ-ხევი. შავშეთის გვერდით სძევს. მას შავშეთისაგან ყოფს ტბეთის ტაძარი. ეს კუთხე არის მეტად ხრიაკ-კლდიანი ადგილები, მიუსავალი. ამიტომ ოსმალნი ამ კუთხეს არ შეშურებინან, აქ უცხოელების არავინ დაუსახლებიათ, მიტომაც დღემდე იმერხევი აჭარული ენა არ დაკარგულა ქართველ მაჰმადიანთ შორის.

ლაზისტანის და ჭანეთის მცხოვრებთ გადასახლების საქმე მიაჩნებოდა მოხუცებულთ: ლაზების გადასახლება ოსმალში იწყება ძველადგანვე. ოსმალნი ჩვენ ყმაწვილებს ყიდულობდნენ, კაი ფასს იძლეოდნენ. აქედამ ძალიან მრავლად მიჰყვანდათ ქალები. თქმულება არის, რომ ოსმალს მთავრობას თითქმის ნახევარი ლაზების დაუპნევია ოსმალს ქვეყნებში. ლაზების აყრა და გარდასახლება ანუ ოსმალში დაფანტვა იწყება 1640 წლებიდან და იგი გრძელდება 1750 წლებამდე. ლაზების აყრის და ოსმალეთში გარდასახლების ამბების მთელი წიგნი დაიწერება. იგი სისხილის ცრემლით არის სავსე. ამის აღარც მომთხრობი არიან, სულ დაიხოცნენ, არც ამწერი. მითხრეს, რაც ლაზების გადასახლებას თავი დაანებეს, ეს იმ დროს უნდა იქმნეს, როცა იგინი ნამდვილ მუსულმანებათ აღმოსჩნდნენ. ამ დროდ ასახელებენ 1750 წ.

ქობულეთელთ გადასახლება მომხდარა 1790 წლებს. გადასახლების მიზეზები იყო სჯულის საქმე და მასთან მთავრობის წინაშე უჯატობა, სიმაგრე და მუსულმანობაზედ გადასულ ალი გურიელის დახვრეტა.

მოხუცებულთ სთქვეს: ჩვენი ანუ ქობულეთელთ გადასახლების საქმე თვითონ მათი ბრალი არისო. სჯულს უარობდნენ და ოსმალნიც მიტომ ასახლებდნენ აქეთ იქითო. ჩვენც ეს მოგველოდა, რომ არ დაკავშირებოდით ისლამსაო. ტყუილად წაიხდინეს თავი, მით ქვეყანაც წახდაო. ამავე მოხუცის თქმით ქობულეთიდან სხვა და სხვა დროსაც გადუსახლებიათ ქობულეთელნი ოსმალში. რაკი ამ გადასახლების შესახებ ისტორიული ცნობები არა გვაქვს, ამიტომ მე მგზავრობის დროს ზეპირ ამბები ვკრიბე ამის შესახებ. არ არის ისეთი კუთხე ქართველ მაჰმადიანთა, რომ იქ მოხუცებულთ არ ეამბნათ ცნობები მასზედ, თუ ძველად ოსმალთ მათ ხეობიდან რამოდენა ხალხი აჰყარეს და გადაასახლესო.

მაჭახლელთ გადასახლება. მაჭახლელნი სჯულზედ მაგრად იდგნენ, ბეჩავნი ამისთვის სისხლსაც ღვრიდნენ. ამიტომ ოსმალს მთავრობამ ესენი აჰყარა და სულ ოსმალს შორეულს ქვეყანაში გადაასახლა, მერე კი მოისვენა ქვეყანამა და ყველანი მშვიდობით დაუკავშირდნენ ისლამს. მათი სიტყვით ეს დრო ყოფილა სამასი წლის წინეთ. ასე მიაჩნეს, ხოლო ეს არ უნდა იყოს სწორე, მოხუცებულნი ისლამთან დაკავშირების ცნობებს ყოველთვის აზვიადებენ და დიდის ხნიდან ამბობდნენ. 300 წელი კი არ უნდა ყოფილიყოს მაშინ 1893 წ. ორასი კი იქნებოდა, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ მაჭახელში ქრისტიანობა მოისპო სრულიად 1770 წ. და აბა ამ დროდამ საიდან იქმნება სამასი წელიწადი გასული. მაშასადამე, მაჭახლელების ოსმალში გადასახლება უნდა მომხდარიყოს 1770 წ. ხოლო ეს გადასახლება უკანასკნელი იყო, მეორე თუ მესამე

ამის ჩვენ არა ვიცით რა, არც არა თვით მაჭახლელ მოხუცებულთ იციან.

აჭარიდამ გადასახლებიანთ რამდენიმე ასი კომლი 1780 წლებს. მიზეზი ამათ გადასახლების იყო მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება, ისლამის აღიარების დროს სხვა რჯულის რწმენაც და ბევრიც სხვა ასეთნი. აჭარელთ, ლივანელთ და ამ თემის სხვა კუთხის ქართველ მაჰმადიანთ გადასახლებაც ხშირად მომხდარა, რადგანაც ესენი თურმე წინააღმდეგნი ხდებოდენ მთავრობის. თქმული არის მრავალ ჯერ, რომ აჭარლებს როგორც ოსმალთ მთავრობა ასახლებდა შორეულს ოსმალთ ადგილებში, ისევე აჭარლები, ლივანელები, და მაჭახლელნი თქვენსკენაც მორბოდნენ და იმალეზოდნენო. აჭარელთ უარობაზე აი რას იტყოდნენ მოხუცებულნი: აჭარელთ გადასახლება ერთ დროს მიტომ მომხდარა, რადგანაც იგინი ახალციხეში ფაშას არ ემორჩილებოდნენ, ნამეტურ სხვა (უცხო) ფაშას, ესენი სხვას ხმარობენ მაშინ, როცა უცხო უნდა გამოხატონ. იტყოდენ: ახალციხის უცხო ფაშა ბოროტი იყო. აჭარელნი მათ არ ემორჩილებოდნენ, ამიტომ ფაშა აბეზლებდა მათ სულთანის წინაშე, მთავრობაც სჯიდა მათ და აქედამ ასახლებდა სხვა და სხვა ქვეყნებში. ამ გადასახლებამ გამოიწვია ის გარემოება, რომ აჭარლებმა ეს ბოროტი ფაშა აბდულ ალა ხიმშიაშვილის მეთაურობით მოკლეს. ეს რომ არ მოეკლად, მაშინ მთლად აპყრიდნენ და ოსმალთ შორს ქვეყნებში გადასახლებდნენო. ვინ იყო ეს ფაშა და როდის მოხდა ეს გადასახლება, ამის შესახებ მათ არაფერი იციან. მაინც მათში არავის რა უწერია ამაზედ.

ამბათ არის თქმული ძველადვე რომ, 1755 წლებს, როცა სულეიმან ფაშა ნიზამეს თავი მოკვეთეს სულთანის ბრძანებით. მაშინ მისი მომხრე ქართველთ მაჰმადიანთ ბეგები და აღიები ახალციხიდან, აჭარიდამ და სხვა კუთხიდანაც ოსმალეთში გადასახლესო. სულეიმან ფაშის მაგიერ მთავრობამ სხვა ფაშა დანიშნაო. უცხო ფაშა ხალახს ბოროტად ექცეოდა, ხალხიც წინააღმდეგი იყო მისიო. ფაშა ტყუილად აბეზლებდა, ამის წყალობით აჭარიდამ რამდენიმე კომლი იქმნა ოსმალეთში გადასახლებულნიო. მათში ზეპირ ყველას ახსოვს. რომ ოსმალთაგან ქართველთ გადასახლება არას დროს არ მოსპობილა, რადგანაც ქართველნი თუმც ისლამს მიეცნენ და ამას აღიარებდნენ, მაგრამ მათ მაინც ოსმალთ ფლობა არ მოსწონდათ, ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ, ოსმალთ მათ ჯავრს გადასახლებით ყრილობდა. გადასახლებას მით უფრო საჭიროებდნენ ოსმალნი, რადგანაც ქართველ მაჰმადიანები კარგი მეომრები იყვნენ, მოხერხებულ გმირნი. ამისთვის უფრო სცდილობდნენ და ყოველ უბრალო დანაშაულისთვისაც კი ოსმალში ასახლებდნენ.

მარადიდელთ გადასახლება. მარადიდელნი შეწამებულ იქმნენ ისლამის ღალატში, ამიტომ იმათგან ქრისტიანების აღდგომა ღამის გათენებისას 100 კაცზე მეტი გაზაფხულის აღელვებულ ჭოროხში დაიხრჩვენ და ორი ამაზედ მეტნი ოსმალოს მთავრობამ შორს ქვეყნებში გადაასახლა, რადგანაც ამათაც სწამებდნენ სიმაგრეს. ეს ამბები მომხდარა 1740 წლებს. ამ შემთხვევის ამბების შესახებ ბევრი რამ უთქვამთ, თან დაუმატებიათ ხოლმე, – „ასი წითელა კვერცხისთვის ათას კაცმა დაიღუპა თავი და ოჯახიო“. სხვა რამ ცნობები ამაზედ არ იციან, თუ ეს გადასახლებულნი საით გარეკეს, ოსმალეთში სად დაასახლეს.

სხვა და სხვა კუთხის სოფლის ხალხთა გადასახლების ცნობები ჩვენ არ გვაქვს, ვერა შევკრიბეთ რა, თუმცა 1890 წლიდამ ამისთვის ხშირად ვიარეთ და საუბარი გვქონდა ქართველ მაჰმადიანთ მოხუცებულებთან, მაგრამ იგინი ვერას ამბობდნენ გადაწყვეტით, თუმცა აყრა და გადასახლების ამბები კი მრავლად იცოდნენ. იტყოდნენ: – „ჩვენი ძველები აუყრათ და ოსმალეთში გადასახლებიან“, ხოლო რისთვის, რათა და რადროს, ამისთვის მათ არაფერი იციან. ამიტომ ჩვენ აქ ასეთ ხეობათა ხალხის შესახებ არას ვამბობთ. ის კი სჩანს, რომ ოსმალეთის საქართველოში არ მოიძებნება არც ერთი ძველ დროთა და მის სოფლის მცხოვრებნი, რომ იქიდამ ძველიდგანვე ოსმალეთში არავინ იყოს გადასახლებული.

ზედ მიწევნით სჩანს, რომ ქართველთ გადასახლება ოსმალეთში იწყება XVI საუკუნიდამ. ხოლო ოდნავ, ხან ქურდულათ, ხან მოტაცვით, ხან დასყიდვით, ხან ტყვის მოტაცვით და სხვანი. XVII საუკუნის 40 წლიდამ კი ქართველთ გადასახლებას აშკარა სახე ეძლევა. XVIII საუკუნეში ამ საქმის წარმოება ისე მიდის წინ, რომ ოსმალოს ქალაქებში იმართება თვით სავაჭრო ბაზრებიც კი, სადაც იყოდებოდნენ ქართველთ ძენი. ყოველივე ეს გასაყიდნი კი რასაკვირველია თავიანთ ქვეყნიდამ იყვნენ აყრილნი და წაყვანილნი ანუ გადასახლებულნი ოსმალში დასასყიდათ თუ საცხოვრებლად. ეს ჩვენთვის ორივე ერთია. XIX საუკუნის გადასახლებულთ შესახებ ჩვენ ვიცით შემდეგი.

სელიმ ფაშის თავის მოკვეთის შემდეგ 1816 წ. ზედა და ქვედა აჭარიდამ ყველა მომხრენი ამ ფაშის ბეგები, ადიები და სოფლიერნიც კი გადაასახლეს ოსმალში. მათი რიცხვი არ ჩანს. იტყვიან კი, რომ „კაი ძალი ხალხი იყოვო“. გადასახლებულთ ბინა არ იციან.

მესხელთ გადასახლება. ახალციხის რუსთაგან აღების შემდეგ 1829 წ. ოსმალთაგან ზოგიერთ ქართველ მაჰმადიანთ ოჯახები ექვ ქვეშ იყვნენ ჩავარდნილნი. ამიტომ ყველა იგინი ოსმალოს მთავრობამ ოსმალეთის შორს ადგილებში გადაასახლა. ამათი რიცხვის კაი ძალი ყოფილა, ბარე

5000 ოჯახზედ მეტი.

აჭარელთა და ლივანელ მაჭახლელთა გადასახლება.

ოსმალის მთავრობამ 1840 წლებს განიძრახა ქართველ-თაგან ჯარის კაცთა გაყვანა. ამის განცხადება მათ ქართველ მაჰმადიანებს აუწყეს, მაგრამ ქართველ მაჰმადიანებმა იუარეს და არ გავიდნენ. ამისთვის ბრძოლაც მოხდა მთავრობისა და ხალხს შორის. 1850 წლებს მთავრობამ მოწინააღმდეგენი და-აშოშმინა, ჯარი გაიყვანა. მის შემდეგ მოწინააღმდეგენიც ოს-მალის ქვეყნებში გადასახლა და დაფანტა. რა რიცხვისაგან შესდგა ეს გადასახლებულნი, ამაზედ არაფერი ცნობა არის დაშთენილი. ან სად დაასახლეს იგინი?

გადასახლებულთა გასყიდვის ამბავი

ნამბობი სხვა და სხვა ქართველ მაჰმადიანთ მოხუცებულ-თაგან.

აჭარის სოფ. სალორეთში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთ უზეირ ალა დევრიშ ოლლი დევამემ მიამბო შემდეგი:

ძველად ჩვენში იყვნენ ისეთი საქმის კაცები, რომელთაც სახელად „გოთაულს“ ეტყოდნენ. მეც ამ საქმის კაცი ვიყავ და ამ საქმით მე 1840 წლებში კაი ფულიც მოვიგე. ეს „გო-თავლობა“ აი რა ყოფილა. საქართველოს ერის ბატონყმობის დროს, როცა მებატონენი თავიანთ ყმის შვილებს სტაცავდნენ, ამათ ოსმალში მიერეკებოდნენ და იქ ჰყიდდნენ სხვა და სხვა ბაზრებზედ. ამ დასაყიდ ყმათა შვილებს ვინც ყიდულობდა, მათ სახელად ერქვათ: – „გოთაულები“. ეს სახელი მათ იმი-ტომ ერქვათ, რადგანაც იგინი ამ ნაყიდ პირთ მოგებით სხვებ-ზედ ჰყიდდნენ. „გოთაულთ“ ნათქვამი:

ვიდრე რუსნი ახალციხეს აიღებდნენ, მინამდის ჩვენ იქ მოვდიოდით და ვყიდულობდით თქვენებურ ქილ-ვაჟებს. ახალ-ციხის დაჭერის შემდეგ ჩვენ იქით აღარ მოვდიოდით, მის მე-რე სავაჭრო ბინად ბათუმი და ქობულეთი დაიდვა. აქ მოყ-ვანდათ თქვენებურნი, ხშირად აჭარაშიც გადმოჰყვანდათ და აქა ჰყიდდნენ იგინი. ყველა მათ ჩვენ ვყიდულობდით, მერე ოსმალში მიგყვანდა და იქ ვყიდდით კაი ფასად. აქეთ ამის ვაჭრობა სწარმოებდა თურმე თვით 1870 წლამდე.

ამათივე ნათქვამი: ჩვენა ვყიდდით თქვენებურ ქრისტიან კაცთა შვილებს, რომელნიც შემდეგ ისლამზედ გადაჰყვანდათ. ამათ გარდა, თქმულ არს, რომ ოსმალეთში ძველადგანვე ის-ყიდებოდნენ ხშირად კაი ფასად თვით ქობულეთელ-აჭარელ-თა და სხვათა შვილებიც, ესე იგი ქართველ მაჰმადიანთ შვი-წლებიც. ამათგან უფრო კაი ფასად ისინი იყიდებოდნენ, ვინც

უფრო სახიერი იყვნენ. ეს ნამდვილი უნდა იყოს, რადგანაც ასე და ამ გვარად ქართველ მაჰმადიანთ შვილებთა დასყიდვა ოსმალეთში თვით 1879-80-81 წლებსაც კი სწარმოებდა.

იქ რაკი მუჰაჯირათ წასულებთ დიდათ გაუჭირდათ და სიღარიბეში ჩავარდნენ, მის მერე იგინი თურმე თვით შვილებსაც კი ჰყიდდენ. აქედამ ანალებ ფულით სიმინდს ყიდულობდენ და მით თავს ირჩენდნენ.

ასე უღთოთ ეფანტებოდა საქართველოს თავის შვილები: ასე და ამ გვარად ისპობოდა ქართველი ერის ტომი თავის მამაპაპის მიწა მამულოზედ.

ამ „გოთაულების“ ბევრი რამ ამბები უამბნიათ ჩემთვის. ყველა ეს ამბები მე არ ვსწერე. მათი სმენაც კი მეზიზღებოდა, მიტომ რომ მიდამ სჩანდა ის გარემოება, თუ საქართველოდამ რა უღვთოდ და შეუბრალებლად იპნეოდა ქართველთ შვილები, იგინი თუ რა გვარ ისყიდებოდენ ოსმალეთის ბაზრებზედ ცხვრები და თხებივით. მე არ ვიცი სწორე მნიშვნელობა სავაჭრო სიტყვა „გოთაულისა“. ის კი მითხრეს, რომ ეს სავაჭრო სახელი ძველადვე არის შემოღებულიო. მამასადამე, საბა ორბელიანი რომ მოგვითხრობს: თავის „ევროპის მოგზაურობაში“ 1714 წ. „ბათუმში ოსმალთა ვაჭრებს ქართველთაგან (მებატონენი) ყმანი და ტყვენი ეყიდნათ და ოსმალში მიჰყვანდათ დასაყიდავათო“. მამასადამე ამ ოსმალთს ვაჭრებს, რომელნიც ქართველთ შვილებს ყიდულობდენ, მათ სახელად უეჭველათ „გოთაული“ ეწოდებოდათ. ცხადი საქმე არის, რომ ჩვენებურ ქართველ მებატონე დამსყიდავსაც ესევე სახელი „გოთაული“ უნდა უწოდოთ, რადგანაც მყიდველთ თუ გამყიდავთ ჩვენ ორივე ერთი ხელობის ხალხად მიგვაჩნია.

ამავ გოთაულის ნათქვამის ზოგი რამ ცნობანი: თქვენმებურ კაცები მარტოდ თავიანთ საკუთარ ყმის შვილებს კი არ ჰყიდდენ ოსმალელებზედ, არამედ იგინი სხვებსაც სტაცავდენ კაცებს, ესენი ტყვეთ პყრობილნი აქეთ მოჰყვანდათ და ჰყიდდენ. ოსმალში მგზავრობის და ვაჭრობის დროს ჩვენ იქით – ჩვენებურ თათრებს ყოველთვის ვხედავთ. მათი რიცხვი იქ ერთობ დიდი არის, მთელი აჭარა იქ არის თითქმის. ამ დიდს რიცხვში შედის როგორც დაყიდულნი, ისე სხვა და სხვა დროს მძლავრებით გადასახლებულნი. ესენივე იტყოდნენ, რომ ძველად ჩვენები მრავლად გადაუსახლებიათ ოსმალშიო. ასეთ ძველ ცნობათა მოყვანის შემდეგ შეძლებისად ავუნახავთ უკანასკნელ დროთა ქართველ მაჰმადიანთ გადასახლების საქმეს, რაც უფრო საყურადღებო არის და რასაც აქვს დიდი ისტორია. დიდი ისტორია აქვს მით, რადგანაც ეს გადასახლება მოხდა ისეთ დროს, როცა ქართველთ მაჰმადიანებში ეს აღარ უნდა მომხდარიყო, როცა იგინი ძალითაც რომ ერე-

კათ მაშინაც კი არ უნდა აყრილიყვნენ და გადასახლებულიყვნენ შორს უცხო, უცნობ ადგილებში. ქართველთა ერის ასე გათახსირებისათვის ოსმალოს მთავრობამ ისე იმაცადინა, მათ ისე იშრომეს, რომ ქართველ მაჰმადიანთ შორის მათ დაამყარეს თავისი მძლავრი მახვილი. ამას გარდა მათს სულიდამ და გულიდამ ამოლადრეს და ამოგლიჯეს მის მცნებაც კი, რომ იგინი ანუ ქართველ მაჰმადიანები არიან გურჯები, მათი ქვეყანა არის გურჯისტანი და მათი დედა ენაც ქართული. აქამდე თუ აჭარელს თავი მოსწონდა გურჯისტანით, ქართული ენით და გურჯობით, ახლა 1870 წლების შემდეგ ესეც შეიძულეს და შეძულების გარდა ისე დაბრმავდნენ, ისე გათახსირდნენ, რომ სიმძულვარეს გარდა ქართველობას ჭირივითაც გადაეკიდნენ, ყოველთვის განუსაზღვრელის მტრობით სპობდნენ და აქრობდნენ ქართველობის ხსოვნას.

ქართველ ტომის მოღები და ხოჯები ამ მტრობას დიდს მხარს აძლევდნენ, დიდს სამსახურს უწევდნენ ოსმალოს მთავრობას. ქართველ მოღებმა და ხოჯებმა საქმე იქამდის მიიყვანეს, რომ ქართველ მაჰმადიანებს შეაჯავრეს საქართველო, შეაძულეს ქართული ენა ისე, რომ ბევრს ალაგას ამის ხმარებაც კი აკრძალეს. სიტყვა ქართული ისე შეჯავრეს, რომ ქართველ მაჰმადიანისათვის რომ ვისმეს სიტყვა ეთქვა და იგი ქართველად ეღიარებინა, მაშინ მისთვის ის იქნებოდა, რომ ვითამც გულში ტყვია მიგერტყა. გადაგვარება და გათახსირებაც შეიძლება, მაგრამ როგორც იგინი გათახსირდნენ და გადაგვარდნენ, ეს კი მეტად შეუძლებელია და წარმოუდგენი. ამ სიმძულვარებით მათ იქამდის მიიყვანეს საქმე, რომ ადრე თუ ქართველ მაჰმადიანს სასტიკათ გაურბოდა ოსმალეთში გადასახლებას, ამისთვის აყრას და სხვაც ბევრს ასეთებს, ეხლა კი იგი ასე აღარ არის.

წინად ქართველ მაჰმადიანს როცა მთავრობა ჰყრიდა და ოსმალეთში ასახლებდა, მაშინ ესენი ბრძოლას იწყებდნენ, მთავრობას ეწინააღმდეგებოდნენ, ამისთვის სისხლსაც კი ღვრიდნენ, რომ იგინი არ გადაესახლებინათ ოსმალეთში, მამა-პაპურის ადგილების დაკარგვას ადვილად ვერ ურიგდებოდნენ. როცა ბრძოლით ვერას აწყობდნენ, გადასახლება კარს აქვდათ მიმდგარი, მაშინ კი ხმარობდნენ ყოველ ნაირს ღონის ძიებას, ემორჩილებოდნენ მთავრობას და ხარჯსაც უხდიდნენ მხოლოდ იმ პირობით, რომ ჩვენ ჩვენს მამა პაპურს ქვეყანაში დაგვტოვეთო. როცა არც ეს შველოდათ მათ და როგორც საშიშს მთავრობისათვის გადასახლება ეცხადებოდათ, მაშინ კი წასვლის დროს მათს გოდებას საზღვარი არ აქვდა. იგინი თავიანთ მამაპაპეულს მიწა-მამულს, სახლს, ბაღ-ბოსტანს და სოფლებს ცრემლით ეთხოვებოდნენ. სამშობლოს მოშორება გულში გენიის ცეცხლს უნთებდა და მწარედ ადარდებდა. ასეთი

იყო სურათი წინედ ქართველ მაჰმადიანთ გადასახლების. იგინი სისხლის ცრემლით ესალმებოდნენ თვის ტომთ და ნათესავებს. ასე იყო წინედ ქართველ მაჰმადიანობა საქართველოზედ მიბმულ-მიჯაჭული.

შემდეგ ანუ 1870 წლების დასაწყისიდან კი ამათ აზრი შეიცვალა. რასაც ისინი ადრე მწარედ ეწინააღმდეგებოდნენ, რაც წინეთ მათ ჭირივით სძულდათ, ადარდებდათ, რაც წინეთ მათვის იყო აუტანელი და წარმოუდგენი ვარამი, დღეს კი ფანატიკ მოლების და ხოჯების წყალობით მორიგება და პატივისცემა დაუწყეს. ადრე თუ ესენი გადასახლებას მწარედ დასტიროდნენ, დღეს ისე გათახსირდნენ, რომ სამშობლოს დაკარგვა, გარდასახლება ჩინებულ საქმედ მიიმჩნიეს. ამისთვის არამც თუ გოდება, არამედ სიხარულიც კი მორთეს, მთავრობას ეხვეწებოდნენ, რომ სადმე გადაგვასახლეთ და მოგვაშორედ ამ ჭირივით ჩვენ სამშუღვარო საქართველოსაო! საქმე ისე გაუთახსირდათ, რომ მათ სასიხარულოდ და სანატრათ მიაჩნდათ საქართველოდამ აყრა, ოსმალში და ქურთისტანში გადასახლება, რადგანაც იქ ეძებდნენ ესენი სულის ცხოვნებას და ჯენეეთის კარის გაღებას. ამ უბედურობით საქართველოს მტრებს შეუსრულდათ თავიანთი გულის წადილი და 1878 წლიდან რუს-ოსმალთ ომის გათავების შემდეგიდან ქართველ მაჰმადიანებმა მრავლად იწყეს საქართველოდამ აყრა და ოსმალეთში გადასახლება.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ქართველ მაჰმადიანები ფანატიკები არიან და ამით მეტად წრესაც გადასულნი. ეს თვითონაც კარგად იციან და ამიტომ იგინი თავიანთ თავს ნამდვილ თათარს უწოდებენ. ამბობენ: ჩვენა ვართ პირველი თათრებიო. მართლაც და ფანატიკობით ესენი თვით არაბისტანის თათრებსაც სჭარბობდენ. ფანატიკები ამათში არიან მრავლად თვით ერის კაცებშიც. ოსმალეთის საქართველოს შემოკავშირებამდე სჯულის ფანატიკებმა ყვირილი მორთეს ასე, ჩვენი ქვეყანა რომ მტერმა აიღოს, მაშინ ჩვენი აქ დგომა აღარ შეიძლება, რადგანაც რუსნი უსჯულონი არიან, მოვლენ აქ, სჯულს წაგვიპილწამენ, ქალბაღანას წაგვართმევენ, სალდათსაც გამოგვართმევენ, მერე მერე ჩვენც გაგვაქრისტინებენ, ამიტომ ვისაც შეგიძლიანთ მოშორდით ამ ქვეყანას. ზოგნი ამაზედ უფრო მძლავრის ქადაგებით აშინებდენ ხალხს და ვინ იცის რაებს არ ასმენდენ. ხალხს დიდი შიში მიეცა. ჯერეთ შემოერთებული არც კი იყო ეს კუთხე, რომ აჭარაში ქართველ მაჰმადიანთ დეპუტაცია შესდგა და იმ დროის ოსმალს სამხედრო მთავარ სარდალს წარუდგნენ ბათუმში და მოახსენეს: ჩვენ ოსმალეთს ყიდვით არ უყიდნივართ, რომ ახლა მთელს ჩვენს მხარეს არზუმში სცვლითო. ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ, რუს არ ჩავბარდებითო. თქვენ თუ ამ საქმეში არ დაგვეხმარებით, მაშინ ჩვენ სულთანს მივმართავთ და თუ არც იქიდან იქმნა რამე, მაშინ ინგლისში გავგზანოთ კაცებ-

საო.

მთავარ სარდალმა მოახსენა: სულთანის ბრძანება ასეთია, თქვენ თუ სულთანს პატივს სცემთ, მაშინ აუცილებლად უნდა ჩაბარდეთ, სულთანის ბრძანება უნდა შეასრულოთ. თუ ამას არ იზამთ, მაშინ მე მეტი გზა არ მექნება, თქვენში ზარბაზნებით ამოვალ, ჯერეთ თქვენ დაგიმორჩილებთ და მერე მათ ჩაგაბარებთ, მაგრამ გთხოვთ, რომ ეს არ ქმნათ და თქვენ პატიოსნათ და წყნარად ჩაბარდეთ. თუ მათს ხელში ყოფნა არ გინდათ, მერეც შეგიძლიანთ, რომ ოსმალეთში გადმოსახლდეთ, ამას არავინ დაგიშლით. მე იქ ვიმეცადინებ და სხვა და სხვა კუთხეებში კაი ადგილებს მოგცემთ. ასე გირჩევთ, სულთანის ბრძანება შეასრულებთ. თუ აქ ცხოვრებას არ ინდომებთ, მაშინ იქით წამოდით და ჩვენ მოგცემთ ადგილებს. აჭარელთ შეისმინეს ეს წინადადება, დაბრუნდნენ შინ. მთავარ სარდლის ასეთი წინადადება ზოგიერთ ხოჯებს და მოლებს ძრიელი მოეწონათ. ამათ ხელზედ დაიხვიეს მთავარ სარდლის წინადადება და გადასახლების შესახებ ქადაგება უფრო გაამრავლეს და მასთან გაამწვავეს კიდევ.

რაკი ერთსა და ორს ალაგას ხოჯებმა და მოლებმა სიტყვა დასძრეს, მის მერე ყოველი ქართველ მაჰმადიანი „წავიდეთ, ყვიროდა, წაიდეთ, წაიდეთ, ჩვენი აქ დადგომა აღარ შეიძლება, დავიღუპებით. წავწყმდებით, წავიდეთ, წავიდეთ. თავს უშველოდ და ვიხსნად თავი ასეთის სენისაგან“.

მოხდა მალე შეერთებაც და ამასვე მოჰყვა მოლების და ხოჯების ცხარე ქადაგება გადასახლების შესახებ. ვიტყვით იმასაც, რომ თითქმის ყოველს სოფელში და ყოველს ჯამაზედ ლოცვის დროს ლაპარაკს მართავდა ხოჯა და ხალხს უქადაგებდა გადასახლებას. იქნება ამ ხოჯებსა და მოლებში ხუთს და ან ათს ეთქვა, რომ მოიცადეთ, ვნახოთ და თუ მართლა ცუდათ იქმნეს საქმე, მის მერე გადავსახლდეთო. არა, ეს მათ ასე არ უნდოდათ და მხოლოდ **წავიდეთ** ყვიროდნენ. ჩვენ აქ **დაშთენა შეუძლებელიაო**. ვინ იცის ამ ლაპარაკის დროს ხოჯები რა ბოროტებას არა სთესავდნენ. იგინი სულისა და და ხორცის ცხონებას მარტოდ ოსმალეთის სამფლობელოში ხედავდნენ და საქართველოში, თავიანთ მიწა მამულზედ კი არაფერს. აქ წაწყმედა იყო მათის ფიქრით და ოსმალეთში ცხონება, სულის სამოთხე – ჯენეეთი.

მათ აიყოლიეს ქართველ მაჰმადიანთ უმრავლესობა, სოფლის მხენელ-მთესველ მუშა ხალხისა, აიყოლიეს ვაჭრები, აღიები, ბეგები, და თვით თავი კაცებიც. მათ მტკიცეთ დაუნერგეს ქართველთ მტრობა და ათასნაირი ბოროტება. ასეთ ბოროტ ქადაგებას ავრცელებდნენ თვით მოწინავე ხოჯები და მოლებიც. ამათ წინააღმდეგი იყო ქედის მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი. ფანატიკ მოლების და ხოჯების ქადაგების

აღლო ალი ფაშა თავდგირიძესაც აეღო და მანაც დაიწყო ქართველთა მაჰმადიანებში გადასახლებაზედ ლაპარაკი. იგი თავის საწადელს მისწვდა, მისის შრომით ოსმალეთში მრავლად გადასახლდა ქართველ მაჰმადიანობა და მით ალი ფაშამაც სულთანის წინაშე მიაღწია საწადელს, ნდობა მოიპოვა და თავიც გაიმართლა იმ ცილის წამებით, რაც კი მას ბრალდებოდა, ესე იგი სჯულის ღალატი, ქვეყნის გაცემა.

გადასახლების ქადაგება და მეთაურობა პირველად მათ სასულიერო წოდებას ეკუთვნის, მათ მერე მოწინავე პირებს და ნამეტურ ალი და ოსმან თავდგირიძეებს, ქემილ ფაშა ხიმშიაშვილს, ყემპერ ალა ტაკიძეს, ბეგებ გუგუნავეებს, დუმბაძეებს, თავდგირიძეთა გვარის წევრთ მრავლად და ბევრთაც კიდევ სხვებს, მოთვლა ძნელია. თითქმის ყველა სოფლის ხოჯა, მოლა, მოწინავე კაცი და უბრალოც სულ გადასახლებაზედ თათბირობდნენ, ყველას გადასახლება სწადდა. შეერთების შემდეგ ყველა სამზადის მიეცა, ყველას წასვლა უნდოდა. ვინც ამას არ ახერხებდა, ის თავის თავს უბედურად სთვლიდა და ბევრნი ასეც იტყოდნენ ხოლმე: – ამ ქვეყანაზედ მხოლოდ ფუხარა და უვარგისი კაცი დადგება, თორემ ვისაც შეძლება აქვს, ის ქვეით წავა, ის აქ არ დარჩება. საწყლებსაც ასევე მიაჩნდათ თავიანთი თავები და რაკი მათ გადასახლების შეძლება არ აქვდა, ამიტომ ბედს და გარემოებას ემორჩილებოდნენ და თავიანთ მიწა-მამულზედ შთებოდნენ.

ასეთ პირებმა ამით საქმე არც წააგეს, იგინი შეუმცდარნი დაშთნენ და მასთანავე მოგებულნიც. რაც არ აქვდათ რა და არ ებადათრა, ის მათ ოხერ ფასად იშოვნეს, რადგანც წამსვლელთ სახლ-კარი, საქონელი და სახლის ავეჯეულობა ოხრად შთებოდა, სულ იაფ-ფასად იყიდებოდა, მყიდველიც იყო. თუ ვინმე რამეს ყიდულობდა, მაშინ ისევე ეს ფუხარა ღატაკნი იყნენ და ამიტომ იგინიც ყველაფერს ოხერ ფასად ყიდულობდნენ, თითქმის მუქთად. ზოგ წამსვლელთაგან მუქთადაც კი შთებოდა სხვა და სხვა ნივთები, საქონელი და თვით სახლ-კარი და ბალი ბოსტანი, ოღონდ კი მალე მოშორებოდა ყველა ამაებს და სულის ცხოვნების სამფლობელოს ოსმალის მიწაზედ გადასულიყო. ეს ბედ შავნი ისე აირივ-დაირივნენ, ისე წააქეზეს ბოროტ ხოჯებმა და სხვებმაც, რომ მათ გადასახლების მეტი სხვა აღარა აქვდათ რა სახეში მიღებული. ქალი, კაცი, პატარა და დიდი სულ ამით იყვნენ შეპყრობილნი და ფანატკობით აღვსილნი. იგინი ემორჩილებოდნენ რაღაც ბნელ განგებას და მით ჰკარგავდნენ საყოველთაოვ თვის ძვირფას სამშობლო საქართველოს.

კაცმა თავის მოსისხლე მტრების გულისთვის რომ სამშობლო დაკარგოს, მეტის მეტი უბედურება არის. ქართველ მაჰმადიანები ბუნებით ნიჭიერი ხალხია და მიმხვედრნი, მაგრამ

ამ ძვირფას სამშობლო ქვეყნის მნიშვნელობის მიხედვარაში კი ვერაფერი შნო და ნიჭი გამოიჩინეს. რასაც მათი წინაპარნი თავ განწირულად აკვდებოდნენ და ადვილად ვერ სთმობდენ, ის ამათ დასთმეს თავიანთის მიუხვედრობით და სამშობლო ქვეყნის არ ცოდნის მნიშვნელობით. დღეინდელის ქართველ მაჰმადიანთ შვილების კი ჩვენ მოიმედენი ვართ, რომ ამ საგანს მკაცრის თვალით შეხედვენ, იცნავენ თავიანთ მამების შეცდომებს და დღეის შემდეგ ნათლად მიხვდებიან სამშობლოს სიყვარულს, მამებისავე ადვილად არ დაჰკარგენ თავიანთ ძველებისაგან სისხლით მორწყულ ქვეყანას.

განა ადვილი საქმეა, კაცმა თავის სამშობლოზედ გული მაგიერ აიცრუოს და ისიც ისეთ დროს, როცა მისი ქვეყანა თვის შვილებთანაგან გულგრილობის მაგიერ ერთგულებას თხოულობდეს. ეს არ შეჰფერის არც ერთს რიგიან ხალხს. თუ ამ რიგიანებისაგან ქართველთ მაჰმადიანები გამოაკლდებიან, ეს იქმნება მხოლოდ მათი დაბრმავება და უბედურება. კაცმა რომ თავის ქვეყნის ისტორია არ იცოდეს, კაცს რომ თავის მამულის სიყვარული არ აქენდეს, – ერთი მითხარით ის რას უნდა ჰგვანდეს, არაფერს? – პირუტყვს და უმეცარს არსებას. დღეინდელ ქართველ მაჰმადიანთ შვილებს კი ნუ ეწყინებათ ესა და ვიტყვიდ თამამად, რომ აქამდე ქართველ მაჰმადიანობა წარმოადგენდა ყოველივე უბედურებას წინაშე სამშობლო ქვეყნის და მან არც საქართველო იცოდა, არც სამშობლო სიყვარული, არც წარსული, არც აწმყო, არც მომავალი. ფანატიკი ხოჯებისაგან იგი გამცნებელი იყო და მყვირალა მხოლოდ მის, რომ თათარი ვარო, თათარიო. ამის მეტი მათ სხვა არა უნდოდათრა. ეს იყო მათი ფარი და ხმალი, მათი განძი და სიმდიდრე. ამით კი იგინი იხატებოდენ სრულს უმეცრებათ.

ასეთის გულ-გრილობით ძველადგან ანუ 1820 წლიდამ სამცხე-საათაბაგოს, ანუ მესხელთ-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანები აღმოსჩდნენ. მაშინ მათ ეს მიეტევებოდათ, რადგანაც ხანა ბნელი იყო და ადამიანობის შეგნება არ აქენდათ. 1882 წელი კი სხვა დრო არის და ამ დროთა ქართველ მაჰმადიანებს კი შეცდომა არ ეპატივებათ. ამ დროს ყველაზედ მეტის ფანატიკობით აღმოსჩდნენ იმ კუთხის ქართველ მაჰმადიანები, სადაც უფრო მეტად ცხარე ფანატიკ მოლები და ხოჯები სცხოვრობდენ, ანუ ისეთი ცნობილნი მოწინავე პირნი, როგორიც იყო ალი ფაშა თავდგირიძე, ქემილ ფაშა ხიმშიაშვილი და მრავალიც სხვანი. ასეთ კუთხის ფანატიკ ქართველ მაჰმადიანებად უპირველესად ირიცხებიან ქობულეთელნი, ბათუმ – კახაბრელნი, ჩაქველნი, მაჭახლელნი, ლივანელნი, აჭარელნი და ზოგნიც სხვა და სხვა ხეობის და კუთხის ქართველნი. ზოგს კუთხის ხალხს ჩვენ არ ვასახელებთ. უპირველესად კი ესენი არიან, რომელნიც აქ მოვსთვალეთ.

ქობულეთში ქართველ მაჰმადიანებში მოხდა დიდი წყევ-
ლა შეჩვენება და ხალხის მოშლა და არევ-დარევა. ესენი თუმ-
ცა გურიასთან უფრო ახლო იყვნენ და სცხოვრობდნენ, ამათ
უფრო მეტი სიღბო უნდა გამოეჩინა და თავიანთ მშობელ
ქვეყნიდამ არ უნდა ააყრლიყვნენ. მაგრამ ნაცვლად მის, ამათ
უფრო დიდი გულ გრილობა გამოიჩინეს წინაშე სამშობლო
ქვეყნისა, აჰყვნენ ბოროტ ფანატიკ პირებს და მრავლად იწყეს
ოსმალეთში გადასახლება. ამათი გადასახლება იყო გულ საწ-
ყავი და ცეცხლით სავსე გენია არამც თუ მარტო ჩვენთვის,
არამედ ქართველ მაჰმადიანთათვისაც, რადგანაც იგინი საუკუ-
ნოების განმავლობაში ტანჯვით და მამა-პაპის სისხლით მორ-
წყულს ქვეყანას მხოლოდ ერთის შემთხვევით ესალმებოდნენ.
ერთის სიტყვით პირველ მაგალითად თითქმის ესენი უნდა ჩაი-
თვალნენ გადასახლების ასპარზედ თავიანთ ოჯახის დალატის
წინაშე.

მერე რა წვალება გამოსცადეს ამათ. რა ცრემლი, რა სი-
სხლის ღვრა, რა ტანჯვა, ყველას ვერ მოვთვლიდით. განა
ეს ყოველივე მისთვის დაითმინეს მათ, რომ ბოლოს სამშობ-
ლოდამ აბარგულიყვნენ და ოსმალეთში გადატყორცნილიყვ-
ნენ. რასაკვრელია, რომ არა და ეს ასე არ უნდა მომხდარი-
ყოს, მაგრამ მოხდა ეს ქობულეთელების გულცივობით, მამა-
პაპათა ქვეყნის არ სიყვარულით, ფანატიკობით და გაუგებარის
მტრობით. მტრობით საქმე იქამდის მივიდა, რომ თვით მათ
დაჰკარგეს თავი თვისიცა. უკანასკნელს მწარე დროს მიაღწი-
ეს ამით და მიტომ დაიწყეს კვნესა და გოდება და სინანული
საქართველოს სურათზედ, შავი ზღვის ნაპირებზედ, კეკლუცს
კახაბერზედ, მაგრამ რაღა დროს, ერთობ გვიან და ერთობ
შორს მყოფთ და გადასახლებულთ. ძნელია ითქვას ყველა ის
ტანჯვ, რაც კი ქობულეთელთ ფანატიკობის წყალობით გა-
ჭირვება გამოსცადეს, ცრემლი, ვაება და მსხვერპლის შეწირ-
ვაც კი. ქობულეთელთაგან გადასახლების მეოხებით დაიქცა
დიდი ცრემლი და დიდი სისხლი. უცხო ქვეყანას გარდახვეწ-
ილთ ქართველ მაჰმადიანებს თუმცა მგლოვიარობის გამოთ-
ქმის შნო არ აქენდათ, მაგრამ მაინც იგინი მწარედ მოსთ-
ქვამდნენ თავიანთ სახლ-კარის ოხრად დატოვებას, გლოვნას
და მწუხარებას. დღესაც ვიცი კარგად, ოსმალეთში მყოფნი
ქობულეთელნი წყევლით მოიგონებენ იმ პირთა სახელებს,
ვინც იგინი წააქეზა სამშობლოდამ გადასახლებაში და შორს
წასვლაზედ. დღესაც მრავლათ ვნებავთ ქობულეთში ისეთ ქა-
რთველ მაჰმადიანებს, რომლებიც წყევა-კრულვით მოიხსენებენ
თვის მონათესავეთა გაბრიყვებულთ და წამქეზებულთ.

მაჭახელი. ქვეყნის უარყოფის ასპარზედ მაჭახელნი არი-
ან ცნობილნი. მაჭახელელებს ქობულეთელებზედ უარესად სძულ-
დათ სიტყვა **ქართველი**. საქართველო მათთვის იყო ღვარ-

მლი, ჭირი. მაჭახლელებმა ფანატიკობით გადააჭარბეს აჭარ-
ლებს. ამათ აღმოიჩინეს საქართველოსადმი დიდი ნადირული
მტრობა, ზიზღი, შური და ვინ იცის, რამდენ რა გინდა რა
სამტრო გარემოებანი. ამიტომაც იყო, რომ მაჭახლის ძველი
გმირი ხალხი ისე უსაგნოდ და უსაბუთოდ ტყის მეღებვიით
მირბოდნენ ოსმალეთში.

მაჭახლელები ქობულეთელებს შემდეგ ისეთ გადაჭარ-
ბებულის ფანატიზმით აღმოსჩნდნენ, რომ მათი გული დღე-
საც არ დაწმენდილა, დღესაც ჭირივით სძულთ ქართველები
და საქართველოს შესახებ ხომ წარმოდგენაც არა აქვსთ. უნდა
ითქვას, რომ მაჭახლელები რამდენათაც ქებული იყვნენ ძველა-
დგანვე სისხლის ღვრასა დი ფირალებში, იმდენადვე გაუგება-
რნი იყვნენ თავიანთ ქვეყნის საქმეებთა ცოდნაში. ამიტომაც
იგინი ადვილად სტოვებდნენ თვის სამშობლოს და მირბოდნენ
ოსმალეთში. იმდენი სივერაგე და უბედური ოხრობა გადასახ-
ლების დროს ქობულეთელებსაც კი არ გამოუვლიად, რაც მა-
ჭახლელებმა გამოიარეს. მთელი მაჭახელი დაიცალა და ოსმა-
ლეთში წავიდა. უბრალო ჭორების და ბოროტ ენების წყალო-
ბით მაჭახლელთა დაკარგეს თავიანთი ძვირფასი სამშობლო,
ქვეყანა და გადაქუხდნენ უცხოეთში, უგზოდ, უკვლოდ. მთელი
მაჭახელი დაიცალა. სოფლებში ხალხი აღარსად იყო და სა-
დაც იყებენ თითო ოროლა, ისინიც წასვლაზედ ლაპარაკობ-
დნენ და მირბოდნენ. სოფლებში მრავლად დამთათ მშვენი-
ერი სახლები და ყველა ესენი გადაიქცა ტყის ნადირთა თავ-
შესაფარად.

ერთ მშვენიერ დღეს მთელი მაჭახლის ხალხი დაგროვ-
და. ქალი, კაცი, დიდი და პატარა, ესენი ჩავიდნენ ბათუმში
და იქიდან ოსმალეთში გადასახლდნენ. მაჭახლში დარჩა მცირე
რიცხვი მცხოვრებთა. თუ რა უბედურება იყო მაშინ და რა
სულიერი ტანჯვა მრავალთა, ეს ძნელია ენამ სთქვას. ერთი
მეორეს აქეზებდა, აშინებდა რუსებისაგან. ზოგს ქალსა და
კაცს არ ეთმობოდა თავის ქვეყანა და სახლ-კარი. როცა გემ-
ში ჩასხეს და დაიძრა გემი, ბევრმა კაცმა თუ ქალმა, მოხუც-
მა და ახალგაზრდამ ტირილი მორთეს. ზოგმა სინანულიც დაი-
წყო, რომ რად წამოვედითო, ინატრეს უკანვე დაბრუნება, მა-
გრამ იქვე ბოროტი ენები არწმუნებდნენ ასე: ნუ გეშინიანთ
თქვენა, ოსმალეთში ოქროს ცხოვრება გექნებათ, ნუ გეშინი-
ანთ, წადით, იქით თქვენ კაი ადგილებს მოგცემენ, იქ მდი-
დრად იცხოვრებთ, აქ კი ყოველთვის დატაკათ იქმნებით ანუ
ფუხარათ. ბედმავე მაჭახლელებს წასვლის დროს ყოველივე
ოხერ ფასად ეყიდებოდათ, თითქმის მუქთად და თან არაფე-
რი მისდევდათ. იმათი საქონელი და ავეჯეულობა ბათუმში
ხურმის ფასად ფასდებოდა. მათს ავადმყოფს გადასახლებას
ხელს უწყობდა მათი შიმშილიც, რადგანაც ომის დაწყების

დღიდან იგინი სოფლის საქმეებს და მეურნეობას მთლად მოსცილდნენ. აღარავინ რა დათესა, მოსავალი აღარ აქვდათ და ამიტომ მესამე წელს (1880) დიდი შიმშილიც მიადგა კარს.

ასეთივე ხვედრი ხვდათ აჭარელთ და ზეგნელთ. შავშეთიდანაც წავიდნენ, ლივანლებმა კი ზეგნელთ გადააჭარბეს და მარადიდის ახლო-მახლო სოფლები მთლად აიყარნენ და წავიდნენ სულის საცხონებლად. როგორც ქობულეთელ და მაჭახლელთ ამათაც დიდი უძლურება გამოსცადეს, დიდი გაჭირვება და მწარე წუთები. ამათაც ისევე ატყუილებდნენ მქადაგებელნი, რომ ოსმალში კარგად იცხოვრებთ, ყველას კი ადგილებს მოგცემენ, კაი ფულს, დახმარებას, არც არავინ გააჭირისტიანებსთ, არავინ. რას გიზამსთ, მოშორდით გიაურების ქვეყანას და წადით იქით, ოსმალშია თქვენი სულის ქვეყნები. ასეთის მქადაგებლების წინააღმდეგი იყო ცნობილი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი, მერისელი. ამ პირს დიდი შრომა მიუძღვის გადასახლების წინააღმდეგ ქადაგებით და ამიტომ სამართალია მას ვუწოდოთ თავის დროის კვალად შემნეულ შესმენილ პირი. როგორც ქობულეთელთ, მაჭახლელთ, აჭარელთ და ზეგნელთ, ისევე ლივანელთა სახლის საქონელი და ავეჯეულება ოხერ ფასად იყიდებოდა. ლივანაც დაიცალა თითქმის, მეორე ნაწილი აღარ დარჩა. გადასახლებულთ ცნობები ჩვენ კარგად არ ვიცით. მაინც იმ დროს ეს კუთხე და ხალხი არც ოსმალეთის მთავრობას აქვდათ აღწერილ-ანუსხული და მათ შემდეგ ახლად შემოერთებულთ აღწერა ვერც რუსის მთავრობამ მოახერხა დაწვრილებით და დროით. ასე რომ ჩვენ გადასახლებულთ რაოდენობა სულ არ ვიცით. რაც ვიცით და რაც შევკრიბეთ, ის უკვე თავის ალაგას მოვიხსენეთ.

გადასახლების მიზეზები მრავალ ნაირია და უმეტესად კი ჭორები და ცილის წამებანი. მთლად ქართველთ მაჰმადიანები თავიანთი ქვეყნის კიდებიდამ არ დაიძრებოდენ, ფეხს არ მოიცვლიდენ. იგინი მართალია ფანატიკები იყვნენ და ქვეყნის სიყვარულის გაგება სულ არ აქვდათ, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ მათ წამქეზებლები არ ჰყოლოდათ, უამისოდ იგინი თავიანთ მამულიდან ფეხსაც არ მოიცვლიდნენ. ეუბნებოდნენ: იქ თქვენ ოქროს ცხოვრება გექმნებათ. ასეთ პირების წყალობით მარტოდ ოსმალურად „გეთთი“ ისმოდა, სხვა არაფერი. ბოროტნი ღუპავდნენ საბრალოებს და აკარგვინებდნენ სამშობლო ქვეყანას. ჩვენ ვიცით კარგად, რომ ბოროტ ენის პატრონები უკანასკნელ ოსმალს მთავრობისაგან საჩუქარს და მადლობას იღებდნენ. შევიტყეთ, რომ ვინც უფრო ეცდებოდა მეტს გადასახლებდა, იმას უფრო მეტი საჩუქარი მიეცემოდა. თურმე ქართველი მეტის მეტი ერთგული მეომარი იყო და ოსმალთაც ამიტომ უფრო სურდათ მათი მრავლად წასვლა და გადასახლება.

ქართველ მაჰმადიანები რომ ადვილად ვერ დასთმობდენ თავიანთ სამშობლოს და გადასახლდებოდენ უცხო ქვეყნებში, ესა სჩანს კარგად იმ გარემოებიდანაც რომ ვიდრე მათგან გადასახლება დაიწებოდა, მინამ მათში დიდი ყოყმანობა იყო. გული არ ენდობოდათ, მუდამ დღე ჯამეებში მოიყრიდნენ თავს და თათბირი აქვდათ: თუ რა ვქნათ, რა უყოთ და როგორ გადავსახლდეთ აქედამ, აქაურობას თავი როგორ დავანებოთო. ზოგი სახლ-კარს თავის მონათესავეს ან მეზობელს ანდობდა, თვით სახლის ავეჯს და ნივთებსაც კი არ ჰყიდდა, თვით ოთხფეხს, ყველა ამას ნათესავ და მეზობელს აბარებდა. ამბობდა: ჯერეთ წავალთ, ვნახავთ, თუ კარგია, ხომ კარგი, იქ დავრჩებით. თუ არა და ისევ უკან დავბრუნდებითო. ყველა ესენი პირველ ხანებში ისე ხდებოდა, რომ მთავრობამ მისი არაფერი იცოდა. ზოგი ვაჭრობის სახელით მიდიოდა, ზოგი ნათესავების სანახავათ, ზოგი მექაში მოსალოცად, მაგრამ არც ეს დარჩა დიდ ხანს საიდუმლოდ, მთავრობამ ესეც მალე შეიტყო და წამავალთ წინააღმდეგ ზომებიც იქმნა მიღებული.

ასეთ წამვალ პირებთან ხშირად გვქონდა საუბარი. მიკითხავს მიზეზი, თუ რათ მიხვალთ, რათ სახლდებით მეთქი? მათ უთქვამს: რა ვქნათ, ჩვენი აქ დგომა აღარ შეიძლება, წახდა ქვეყანა, უნდა წავიდეთ ქვეით, უნდა წავიდეთ, აქ ვერ დავრჩებით. ზოგნი იტყოდნენ: ჩვენი ფაშები და ბეგები სულ იქ წავიდნენ და ჩვენ რაღად დავრჩეთ აქა. ჩვენც იქ წავალთ და იქით ვიცხოვრებთ კარგად. პირველ ხანებში მთავრობა ვიდრე შაუტყობდა ჩუმ გადასახლების საქმეს, მინამდის გადასახლებულთ უკან დაბრუნებას არ უკრძალავდენ და თუ გადასახლებული დაბრუნდებოდა საქართველოში, იმას უფლება აქვდათ თავის მამულზედ მისვლის, მიწა-მამულის ფლობის და ცხოვრების კულანდებულად. არ გავიდა დიდი დრო და მთავრობამ რაკი შეიტყო ეს ამბები, მის მერე უკან დაბრუნებულთ ნებას აღარ აძლევდენ სახლში მისვლის და მამულის მფლობის. ერთის სიტყვით, თუ სახლობით წავიდოდა ვინმე ოსმალეთში და შინ არავის დასტოვებდა, მერე მისი მობრუნება საქართველოში უბრალო იყო და უმნიშვნელო. ზღვიდამ ხმელეთზედ ფეხს არავის გადმოადგმევინებდენ, უკანვე უნდა დაბრუნებულიყვნენ.

თუმცა საქმე ასე მოეწყო, თუმცა გადასახლება მეტად ძნელ საქმედ შეიქმნა და წასულს შინ დაბრუნება ერთობ გაუძნელდათ და აღეკრძალად, თუმცა შინ მყოფნი მრავლად ხედავდენ უკან დაბრუნებულთ მთელს ჯგუფებს და მასთანავე მგმობელთ თავიანთ ბედისას და მაწყევართ იმ პირთა სახელებისას, ვინც იგინი წააქეზეს და წაახალისეს გადასახლებაზედ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, რომ მნახველნი ყველა ამ შინ დაბრუნებულთ და მათის მწუხარების, მაინც არ აკვირდებო-

დნენ თავიანთ ბედს და არ ითვალისწინებდნენ მწარე სვე-ბედს, ტანჯვით ცხოვრებას, შავბედითი უბედურებას, მამა-პაპელთ მამულის დაკარგვას, სამშობლო ქვეყნიდამ ხელის აღებას. არ აკვირდებოდნენ მას, რომ წავიდეთ ვაი თუ ამათსავებ ისევ უკან დაბრუნება მოგვიხდესო. იგინი ყველა ბოროტ მქადაგებელთ მეამიტად ემორჩილებოდნენ და მით ღუპავდენ თავიანთ თავებსაც.

ქართველთ მაჰმადიანთ უმრავლესობას იქმნება თავის სახლ-კარი და სამშობლო არ დაეტოვებინა და არ გადასახლებულიყოს, იქმნება მდაბიოთა უმრავლესობა იმ სიდიდით არ მოსცილებოდა, როგორც მოსცილდენ იგინი, რომ მათ წინაშე არ მომხდარიყო მთელის ბათუმის ბეგების და მოწინავე კაცების გადასახლება. ჰფიქრობდნენ საბრალოები, რაკი ჩვენი დიდი კაცები მიდიან იქით, ალბათ იქ უფრო კარგიაო და ამიტომ ჩვენ იქით წავიდეთო. მოწინავე ბეგებმა, ფაშებმა და შეძლებულ პირებმა ამით ვერაფერი სამსახური და მაგალითები გაუწიონ მდაბიო ხალხს. მათ ამის მხრით თითქმის ღალატი მიუძღვით და მტრობა წინაშე სამშობლოსი. მათ რომ უადვილესად უღალატეს თავიანთ ქვეყანას და თავისი მამულე-ბიც უბრალო ფასებად დააბნიეს, ეს მთელმა ქართველ მაჰმადიანებმაც იციან და ამას ვერც არავინ უარს ჰყოფს, რადგანაც დღეს თვით ეს მოწინავე პირნიც დიდს სინანულში არიან ჩავარდნილნი მას ზედ, რომ მათ ისე ოხრად დაკარგეს თავიანთ სამშობროს ძვირფასი მიწა-მამული.

გადასახლების დროს მომავალთ შორის დიდს სამწუხარო სურათს წარმოადგენდა ქართველთ მაჰმადიანთ ქალების ნახვა. თუმცა ლურჯ ჩადრებში იყვნენ გეხვეულნი და მათი მოწყვნილი სახე არ სჩანდა, თუ იგინი რასა ფიქრობდნენ წასვლაზედ, რა გულით მიდიოდნენ. ჩვენ ვიცით კარგად, რომ ზოგი მათში მოხუციც იყო და ამ ქვეყნის პირიც არ აქვნდათ, ზოგი სნეული, ზოგი უძლური, რომელსა წასვლის ძალაც არ აქვნდათ, მაგრამ მიდიოდნენ და ემორჩილებოდნენ ბედს, რადგანაც ოჯახის უფროსი მამა კაცის მორიდება აქვნდათ და რასაც უმფროსი ჩადიოდა, იმას ისიც ემორჩილებოდა და ასრულებდა, მეტი რა გზა აქვნდათ. ასეთის ზოგნი გზაშიც იხოცებოდნენ და თავიანთ დანიშნულს ალაგას ვერც კი მიაღწევდნენ. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენთ თვალთ წინ მეტის მეტს სატანჯველს ცხოვრების სურათს წარმოადგენდა თვით ადგილობრივ მათი ცხოვრება. თვით ბათუმში, თავიანთ ქვეყნის ქალაქში, სადაც ყოველიფერს ოცნებობდნენ და ყოველივე იცნობდა მათ, ჯერეთ აქ რომ ასეთი მწარე სვე ერტყათ გარს, აბა შორს, უცხო ოსმალეთის ადგილებში რა დახვდებოდათ წინ და რა მოევლინებოდათ. ცხადი საქმეა, რომ სილატაკის, ტანჯვის და სხვერპლის მეტი სხვა არაფერი ექმნებოდათ. ეს

ასეც მოხდა.

ხალხის ასეთ უბედურებას უფრო აუბედურებდა ხოჯების ცდა და შრომა. ხოჯებმა მოახერხეს და გადასახლების ქადაგებაც კი შედგინეს და საერთოდ ქადაგებდნენ ჯამეებში, სულიერსა და ხორციელს მხარეებს ერთმანეთს უკავშირებდნენ, სამოთხის საქმეს და სამოთხის მოპოვებას ანუ ჯენეთში შესვლის უფლებასაც ოსმალს მიწაზედ ცხოვრებით უჩვენებდნენ, გადასახლებით, იქ ცხოვრება, იქ სიკვდილით და მერე მუსულმან ხემწიფის მიწაში დასაფლავება. იქ არის ჩვენი ბინა, იქ არის მუსულმანის მზე და მთვარეო. ამიტომ ყოველი ჩვენთაგანი უნდა მოსცილდეს აქაურობას და იქით გადასახლდესო. ჩვენი აქ ყოფნა შეუძლებელია, რადგანაც აქ წაწყმენდა მოგველის და იქ კი ცხოვნებაო. მაგრამ ვისაც გადასახლება სურს, იმას ვეტყვი, რომ მან ჯერეთ ეს კუთხე უნდა დაივიწყოს, გულიდამ ამოირეცხოს და მერე გადასახლდეს იქითაო. რაკი კაცი დაიძრება და წავა იქით, მერე იმან აქეთ დაბრუნების აღარა იფიქროსო. ვინც კი სინანულში შევა, ის ისევ აქ დაშთეს, იმისთანა მჩატე ბლაცვები ჩვენს მიწას არა სჭირია. გადასახლება მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ რა უყოთო. ეს სიძნელე ჩვენი სჯულის გამო უნდა დავძლიოთ და იქით წავიდეთ, სადაც ჩვენი მზე და მთვარე ამოდისო. მუსულმანის ბინა იქ არის, სადაც მისი ცხოვნება იქნებაო.

ასე და ამ გვარად ფანატიკურის ქადაგებით ამზადებდნენ და რაზმავდნენ ქართველს მაჰმადიანებს მათი ხოჯები და მოლები. როგორც ზემოთაც ვახსენეთ, ასეთი ხოჯების ქადაგების დიდი წინააღმდეგი იყო აჭარის მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი და იგი გადასახლების წინააღმდეგ ქადაგებდა. აჭარიდამ რომ ცოტა გადასულა ხალხი, ეს სულ მისი შრომა და ცდა იყო. ასეთ ქადაგებათა გარდა იყვნენ ისეთი ხოჯებიც, რომელნიც მუჰაჯარად წასულთა ცხოვრების შესახებ დიდს სიბრაღულს ქადაგებდნენ და ქართველს მაჰმადიანებს ურჩევდნენ, რომ საქართველოდამ გადასულიყვნენ და წასულიყვნენ საცხოვრებლად იქ, სადაც მათი მოძმენი სცხოვრობდნენ და იტანჯებოდნენ. ამათი საოცრება ერთი ისიც გახლდათ, რომ მათ გონება ისე აქვნდათ დაბნელებული, რომ საქართველოში კაი ცხოვრების მაგიერ ოსმალს მიწაზედ ტანჯვას და მწუხარებას ურჩევდნენ. ეს რასაკვირველია მათ ფანატიკობით მოსდიოდათ. მაჭახელში აი რასა ქადაგებდნენ ხოჯები და როგორ აბრმავებდნენ ისეც თვალთ დახუჭულ საწყალ ქართველ მაჰმადიანებს.

მართლ მორწმუნე მუსულმანებო! თქვენ ცეცხლად უნდა შაგერგოთ იმ ლუკმის ჭამა, რომელსაც თქვენ დღესა სჭამთ, რადგანაც იმავე დროს თქვენი ძმები და ნათესავები ოსმალში მუჰაჯირად წასულნი ულუკმაპუროდ იხოცებიან და

იტანჯებიან. ადექით, მოშორდით, მურტალ გიაურების ქვეყანას, წადით იქითკენ, სადაც თქვენი ნათესავები და ძმები არიან. რაც შეიძლება გაქვსთ, იქ იმათ დაეხმარეთ და როგორც ნამდვილი თათრები იქვე თქვენ ძმებთან დაიხოცენით ერთად. თუ არა და ისინი იქ იტანჯებოდნენ და თქვენ კი აქ სცხოვრობდეთ, ეს არ შეფერის წმინდა მუსულმანის სჯულის კაცს. ადექით წადით, წადით და უშველეთ ოსმალში მყოფთ მშერთ თქვენ ძმებს. ისინი აქ ვეღარ მოვლენ, იმათ ამის ძალა და შეძლება არა აქვთ. თქვენკი ძალა შეგწევსთ და იქ ადვილათაგ შეგიძლიანთ წახვიდეთ, მით ბოლოს სულიც იცხოვრეთ, ჯეენეთში შეხვედით.

სასულიერო პირთაგან ხალხის გაბრიყვება იქმნება და ასეთი კი არა. ესეთი გაბრიყვება ხალხის მოტყუებაც არის და დაბრმავებაც, ამას გარდა დიდი უდიერობა და უსამართლობაც. განა საკადრისია ასეთი დაბრმავების და მტრობის ვრცელება ხალხში, რასაკვირველია არა, მაგრამ უბედურება აქ ერთი ის გახლავთ, რომ ამ **არასთან** ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო წოდებას საქმე არ აქვდა. უქადაგებდნენ შორს წასვლას, იქ სულის მოგებას მით, თუნდ დაღუპვასაც კი. ისტორიაში ბევრი რამ ხალხის უბედურებანი მიკითხავს და გათახსირება და ისეთი კი რაც ქართველთ მაჰმადიანთ მქადაგებლებმა გამოიჩინეს და რაც ხალხმა ჩაიდინა თავის თავის და ოჯახის დასაღუპავათ. ასეთი კი არსად რა გვინახავს. ეს მეტის მეტია და ზომას გადასული. საუკეთესო ოჯახის შვილები ბოროტ მქადაგებელთა საშუალებით ცხვრის ფარასავებ ემორჩილებოდნენ და მირბოდნენ უცხო ადგილებში სულის და ხორცის საშვებათ.

მერე რა მოხდა და რა მოუვიდათ ამ ბედშავთ, ოქროს და სულის პოვნის მაგიერ მალე სიმშლიც და გაჭირება იპოვნეს და ეს გაჭირება იმ ზომის იყო თურმე, რომ მის ამბებს ევროპიელთ გაზეთებმაც კი მიაქციეს ყურადღება. სწერდნენ, რომ ოსმალეთში გურჯისტანიდან გადმოსახლებულთ მუჰაჯირები დიდს სიღატაკეს სცდიან და თითქმის მშვირები იხოცებიანო. ამ სამწუხარო ამბებმა მალე ჩვენც დაგვიკარგა თავი და მალე საქართველოშიაც მოგვივიდა ცნობები, რომ ოსმალეთში წასული ქართველები მოტყუვდნენ, დაიღუპნენ. იქ ესენი დიდს სიღატაკეს სცდიან. რაც აქედამ ფული გაჰყავთ, ის გაუთავდათ. მის შემდეგ თუ რამ საქონელი ჰყავდათ, ის დაყიდესო, ესეც არ ეყოთო და მერე სახლის ნივთებსაც დაუწყეს სყიდვაო, მაგრამ არც ამით ეშველათ რამე და რაკი ერთხელ სიღატაკეში ჩაცვივდნენ, მის მერე მათ მეტად ბევრნაირი უბედურებანი შეხვდათ გარსაო. საქმე ისეთ განწირულებამდის მიუვიდათ, რომ სიმშლის წყალობით თვით შვილებსაც კი დაუწყეს დაგირავება, მოსამსახურედ დაყენება და საუკუნოდ და-

სყიდვაცკიო, ოღონდ მით რამე ეშოვნად, სიმინდი ეყიდნათ და არ მომკვდარიყვნენო. ძლიერ ხშირად და ძლიერ მრავლად ქართველ მაჰმადიანები 8 და 10 წლის ბავშვებს და გოგონებსაც კი აქირავებდნენ თურმე.

ამ გარემოებამ მათზე ერთობ ცუდი გავლენა იქონია და განუსაზღვრელი სატანჯველი მოევლინა. დიდს საცოდავებაში მოთავსდნენ. აქედამ ჩასულთ ხელში მხოლოდ მოტყუილება დაშთად, არსად ადგილები მისცეს, აქა იქ აცდევინებდნენ და იმედებს აძლევდნენ, რომ საცხოვრებელ ადგილებს მოგცემთო. ამ ცნობამდე ბედ შავთ ქართველ მაჰმადიანებს ქირით უხდებოდათ დგომა და ხარჯი. შესავალი კი არსაიდამ რა აქვდათ. ასეთის გარემოების წყალობით მათი საქმე ისე წახდა და დაიღუპა, რომ მრავალ ალაგას ერთობ ხშირად და მრავლად იწყეს მათ ოჯახის წევრთა ხოცვა, ჟლეტა წყვეტა, სიღარიბე, სიმშლილი და სიცივე, სიტიტვლე და არაფრის ქონვა. ეს გარემოება მათში ისე მძვინვარებდა, რაისა გამო იგინი ათობით და ოცობით ეწირებოდნენ მსხვერპლად და უსიხარულოდ ლევდნენ თვის ნაწვალე და ზღვით მგზავრობაში შიმშილით ნატანჯ სულს. ეს გარემოება ქართველ მაჰმადიანთ მეტად გულ საწვავია და თითქმის გენიის ცეცხლით სავსე. ამით მათში ბევრი საუკეთესო ოჯახი დაეცა და მოისპო საყოველთაოდ, ბევრს ახალგაზდა ქართველ მაჰმადიანს მოევლინა სიღატაკის წყალობით ამ სოფლიდამ გამოსალმება, ბევრ ახალგაზდა ქართველ მაჰმადიანთ ქალს აეხადა პირბადე და ნამუსი, ბევრი მოხუცი კაცი და ქალი, რომელნიც ჯერ კიდევ სასიცოცხლონი იყვენ და სიკვდილის არა აქვდათ რა, ესენიც მოისპნენ უღვთოდ სიმშლიის, სიტიტვლის და სიღარიბის წყალობით. გურჯისტანის ქალი და კაცი სიტიტვლეს და სიღატაკეს ჩვეულები არ არიან. მათთვის დიდი სირცხვილია, რომ დაგლეჯილის ტანთ საცმელით იარონ, ტანზედ არა ეცვათ რა და ფეხზედ. ოსმალეთში კი ხშირად ნახავდით ამ თავმომწონე შესანიშნავთ მშვენიერს ქართველ მაჰმადიანთ ვაჟკაცთ და ყმაწვილებსაც, რომელთაც ტანზედ ძველი დაგლეჯილი ტანთ საცმელი ეცვათ, ფეხზედ დაგლეჯილი ჩუსტები, აქა იქ თითები უჩანდათ და თავზედაც დაგლეჯილი ყაბალახი ან წითელ გახუნებული ფესი. აღარც აქაური სუფთა ტანთ საცმელი, აღარც მაჭახლის იარაღი, აღარც ფული და აღარც ქართული ფაქიზი გული და მედიდურება. იქ ქართველ მაჰმადიანები მიკედლებულნი სხვათა კედელს და კარის წინ იყო მარად ჟამს მობუზული, მოკატუნებული, თავდაბალიც. რასაც იგი თავის სამშობლოში ვერ აიტანდა და არავის რას დაუთმობდა, იმას იგი ხელმოკლეობით იტანდა და ითმენდა უცხოობაში მყოფი, სხვათა კარს მიკედლებული. ყველა ეს კიდევ არაფერი, ამაზედ უარესს სცდიდნენ იგინი. ეს განსაცდელი იყო

მათი დღიური სიმშლილი, გაჭირვება. ხანდისხან გადიოდა ორი, სამი დღე კაცთა და დედაკაცთ ცივი მჭადიც არ აქვნდათ საჭმელად. ეს იყო მათი საწუხი და ეს იყო მათი სავალალო. ყველაფერს იტანდენ და სთმობდენ სილატაკეს, სიცივეს, სიშიშვლეს და სიმშლეს კი ვეღარ უმაგრდებოდნენ, ამას კი ვერ იტანდნენ. ასეთივე სამწუხარო დგომარეობაში შთაცვივდნენ ქართველ მაჰმადიანთ ქალები. ბედ-შავთ ტანზედ და ფეხზედ შამოეფცქვნათ ყოველივე და ახლის სყიდვას კი ვეღარ მოესწრნენ. საქმე ისე გულსაწვავ ცეცხლით მოერთვათ, რომ საუკეთესო ოჯახის ქალები და ცოლები უბრალო შავს ჭუჭყიანს ჩადრებშილა იყვნენ გახვეულნი, მათ ერთი ლურჯი ჩადრილა ჰფარავდა, სხვა არაფერი. პერანგს და პერანგის ამხანაგის გარდა სხვა რამ სამოსელი თუ აქვნდათ, ყოველივე მას ქალები ტანიდამ იხდიდნენ, ჰყიდდნენ და მით ანალებ ფულით სიმინდს ყიდულობდნენ და სჭამდენ. ხშირად ამით სიმინდსაც ვერ შოულობდენ, ნაშოვარიც ცოტა ხანს ჰყოფნიდათ.

ასეთ საუკეთესო ქართველ მაჰმადიანთ ქალთაგან მრავალ ალაგას ძლიერ ხშირად და მრავლად დაღვრილა ცხარე სიღარიბის ცრემლები და გმობაც უთქვამსთ მათზედ, ვინც იგინი გააბრიყვეს და წაიყვანეს უცხო ადგილებში, ვინც მოშალეს თავიანთ მამა-პაპის ადგილებზედ, მიწა-მამულზედ, ბალ-ბოსტანზედ და სახლ-კარზედ. ასეთ ქალებისაგან არამც თუ კვნესა და გოდება ისმოდა, არამედ მოთქმით ტირილი და გამოტირვა მათის შეცდომების, მწარე ბედისა და სილატაკის. შორს მყოფს და გაბრაზებულთ თავი საკვდავათაც აღარ ენანებოდათ. თავიანთი ქვეყნის გახსენების დროს ყველა მათგანი სულიერად იტანჯებოდა და იწვოდა. ამათ საცოდავობამ მთელი სტამბოლიც მოიცვა და მრავალ ალაგას ყვედრებაც დაუწყეს ქართველ მაჰმადიანებს, რომ რათ მორბიხართ აქეთ, თქვენს მშვენიერს ქვეყანას რათა სტოვებთ, თავს და ოჯახს რათ ილუპავთო, მაგრამ რაღა დროს, ერთობ გვიან. ნეტა ესეთი მდგომარეობა მრავალთა სხვათა საყურადღებოთ გამხდარიყოს და მით მოლებსა და ხოჯებსაც ეკლოთ გადასახლებაზედ ქადაგება და ან წამსვლელთა რიცხვიც შემცირებულიყოს. არა და არა, მაინც დასაღუპი უბედურება არ კლებულობდა. იგი ქართველ მაჰმადიანებში შეუგნებლობით უფრო წინ მიდიოდა, ამით მათი ოჯახებიც ისპობოდა.

ქართველ მაჰმადიანები მოტყუილებულნი დაშთნენ. იგინი მოატყუეს ხოჯებმა და მოლებმა, მოატყუა თვით ოსმალეთის მთავრობამაც. წამსვლელთ ჰპირდებოდნენ, რომ კარგს ადგილებს მოგცემთო, ოთხფეხ საქონელს, ფულს და ყოველივე სახსარს ოჯახის მოსაშენებლათო. ბედშავ ქართველ მაჰმადიანებიც აიყარნენ თავიანთ ქვეყნიდამ, გადასახლდნენ შორს, უცხო ადგილებში და იქ მათ არც ადგილები მისცეს, არცარა

სხვა სახსარი და დახმარება. მწარედ მოტყუილებულნი და-
შთნენ. ცოტაოდენი მისცეს აქა იქ ადგილები, უმეტეს ნა-
წილ კი აცდევინებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მოიცადეთ,
თქვენთვის ალაგებს ვძებნით ოსმალეთის მიწებზე და მალე
მოგცემთ. ამ ლოდინში მათ დღიური ხარჯი და მასთან შე-
უსავლობა ძლიერ აწუხებდა. ბევრი მათგანი ჩავარდა გაჭირვე-
ბაში, ადგილების მიღების ლოდინში დაღლია სული. სილატა-
კით მოცდას როგორც იქმნებოდა აიტანდნენ, რომ იქ დღიუ-
რი სამუშაო საქმე მაინც ეშოვნათ, რომ მათ სიმინდის ფუ-
ლი მოეპოვნათ და მშვივრები არ დახოცილიყვნენ.

ოსმალეთში დღიურ მუშათა საქმიანობა ერთობ ცოტა
არის. იქ დღიურად მუშა დღეში 20 კაპ. იღებს, ხან ესეც
არა აქვსთ. ყველამ კარგად ვიცით, რომ ოსმალთს მუშა ხალ-
ხის უმეტესი ნაწილი აქეთ, ჩვენში გადმოდის და აქ ეძებენ
სამუშაოს. ამის ცხადი საბუთია, რომ მთელის ქურთისტანის
ქურთები სულ აქა ჰყრიან უბრალო ნაგვის მუშებათ. ამათ
გარდა სხვა თათრებიც მრავლად მოდიან და მათ მუშაობის
მხრით საქართველო ნამდვილ სამოთხედ მიაჩნიად. აბა მით-
ხარით, თუ ამათ ქვეყანაში ქართველ მაჰმადიანები რა საქმეს
იშოვნიდნენ, არაფერს. გინდ რომ ეშოვნათ მაინც მედიდური
და თავ-მომწონე ქართველ მაჰმადიანი დღეში 20 კაპ. ვერ
იმუშავენდა. ეს ასეც იყო და ესენი თუ სადმე მუშაობას ბე-
დავდენ, იქვე უნდებოდნენ მათ: ოსმალთა მუშა მეტოქნი და
ესენი ეუბნებოდნენ მათ, თუ თქვენ ჩვენს ქვეყანაში რათ მო-
დიხართ, ჩვენ რათ გვეცილებით, რათ გვახდენთ, რათ გვი-
დგებით ჯიბრში, როცა თქვენს ქვეყანაში სამუშაო ბევრია,
მუშა ხელიც სჭირიაო. ჩვენები თქვენში მოდიან საქმის და
ფულის საშოვნელად და თქვენ კი აქ მორბიხართო. აბა ეს
რასა ჰგავს, თუ არ თქვენს სიბრიყვესო. ეს სწორედ ასეც გახ-
ლავთ.

ქართველ მაჰმადიანთ ვერ გაიხარეს თავიანთ წადილით ოს-
მალეთში, მათ ყოველივე უკუღმართად წაუვიდათ საქმე, უმე-
ტეს ნაწილ უსინანულოდ დაშთენ და თუ ვისმეს რამე აღირ-
სა მთავრობამ და მისცა მიწა-ადგილები, ისინიც უხეიროები,
გამოუსადეგი, სადაც მის ქვეშევრდომთა თათრები ვერ სცხო-
ვრებდნენ, რადგანაც ადგილები უხეიროები იყო, ჭაობიანი,
კლდიანი, მოუსავლიანი და უბაზარ-უბოლაზო. ასეთ ადგილ-
ებს აძლეოდნენ ქართველ მაჰმადიანებს, თორემ უკეთესებს აბა
მათ ვინ მისცემდა. უხეირო ადგილებზე დასახლებით კი ქა-
რთველ მაჰმადიანთ დიდი ზარალი მოსდიოდათ. იგინი ცივს,
ნოტიო ჰაერს ვერ იტანდნენ, მასთან არც მიწის ნიადაგს
იცნობდნენ და ამიტომ ხშირად და თითქმის ყოველველთვის
მოცელა და დაღუპვა ელოდათ მათ, რადგანაც ჰავის წყალო-
ბით მათში მუდამ რაღაც შხამიანი ციებ-ცხელება და სხვა და

სხვა სენი და ჭირები მძვინვარებდა. ადგილების მიცემის გამო ოსმალთ გლეხნი დიდს პროტესტს უცხადებდნენ ქართველ მაჰმადიანებს ასე: ჩვენც არ გვყოფნის ჩვენი ადგილები და აბა თქვენ რაღას მორბიხართ გურჯისტანიდამ აქაო. გურჯისტანი რომ კაი მოსავლიანი ადგილია, აბა რათ სტოვებთ იქაურობას და აქეთ რათ მორბიხართო. ჩვენ იქაურობას დავნატრით და თქვენ კი იქ სტოვებთ და აქ მოდიხართო. ასეთ საქმეთა საყვედურები ისეთი ფართო იყო და დიდი, რომ მათში ხშირად კამათი და ბრძოლაც კი იმართებოდა. ამ მხრით ოსმალთა თათართ გლეხნი მართალნი იყვნენ და ქართველ მაჰმადიანები კი მტყუანნი გახლდნენ. აბა რას მირბოდნენ იქ, სადაც არავის იცნობდნენ და არც საქმიანობა იყო. მაგრამ ღმერთმა ჰკითხოს ავ ხალხს და ბოროტ ენებს, ვინც ამათ აბრიყვებდა და შლიდა თავიანთ სამშობლოდამ.

გადასახლებულთ საცოდავობამ იქამდის მიაღწია და იმ სიმალემდის ავიდა, რომ უკანასკნელს ჟამს ამ გარემოებას თვით ქართველთ ფაშებმაც მიაქციეს ყურადღება და მუჰაჯირად წასულთ დაუწყეს დარიგება, რომ საშუალება მიიღეთ და დაბრუნდით შინისკენაო. თქვენ ჩვენ ნუ გვიყურებთ. ჩვენ ფაშები და ბეგები ვართ, ჩვენ სამსახური მოგვცეს და მიტომ გადმოვედით აქეტკენაო. თქვენ კი ბიჭო გურჯები ხართ, მასთან მუშა სოფლის ხალხი და იმიტომ გაჩერდით გურჯისტანშიო, დაბრუნდით შინისკენაო. ასევე არიგებდა მათ ერთ თავად ტრაპიზონის ფაშა ანუ გუბერნატორი ოსმან ფაშა თავდგირიძე *). ეს ყველა გადმოსახლებულთ ეუბნებოდა, რომ ბიჭო, გაჩერდით თქვენს ქვეყანაში, აქედ ნუ მოდიხართ, თორემ დაილუპებით. იქ თქვენ არაფერი მოგივათ, ჩვენ ნუ გვიყურებთ, რომ აქედ წამოვედით, ჩვენი საქმე სხვა არის და თქვენი სხვა, თქვენ გაფრთხილდით. ასე და ამ გვარად ბევრნი ეუბნებოდნენ ქვეით წასულ ქართველ მაჰმადიანებს და მრავალთ აბრუნებდნენ უკანვე თავიანთ სამშობლოში. მე ვარ მნახველი თვით ასეთის შინ დაბრუნებულს საბრალო ქართველ მაჰმადიანის, რომელნიც შავი ზღვის ნაპირას რომ მოვიდნენ, ბათუმთან მათ სიხარულს საზღარი არ აქვდათ. როცა გემი დამ გადმოვიდნენ და მიწაზედ ფეხი დადგეს, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ დედაკაცები ჩადრებში გახვეულნი მიწაზედ დაემხნენ და დაიწყეს ტირილი და ცრემლები და მიწასაც დაუწყეს კოცნა. შემდეგ ამის მათ შინ დაბრუნების სიხარულს საზღვარი არ აქვდა.

ქართველ მაჰმადიანთ გადასახლებას დიდი ისტორია აქვს. იგი ღირსია დაწვრილებით გაცნობის, ამიტომ ჩვენ კიდევ მოვიყვანთ აქ რამე ცნობებს. პირველ გადასახლებულთაგანნი რაკი გაჭირებაში ჩავარდნენ და მწუხარებას სცდიდნენ, იგინი დიდს სინანულს მიეცნენ, მაგრამ ბევრი მათგანი მაინც ხალ-

ხის თვალში თავს არ იმცირებდა და არსად არავის რას ატყობინებდა თავიანთ გაჭირებულის ცხოვრების შესახებ. ასეთი პირები საიდუმლოდ შინაც კი მოდიოდნენ, აჭარაში აქა იქ დროებით რჩებოდნენ და ამ ხნის განმავლობაში თავიანთ დამშუვლ ოჯახისათვის სიმინდსა და ფულსაც აგროვებდნენ, მაგრამ ერთობ ჩუმად, საიდუმლოდ. თუმცა ესენი ასე ახერხებდნენ საქმეს გა-

*) ეს წინედ კი წასვლას უქადაგებდა.

ჭირების გამო, ხოლო რაც შეეხება ხალხში მის ცოდნას და გამოაშკარავებას, ამაშიკი მეტად ფრთხილნი იყვნენ და არავის რას ეტყოდნენ თვისის გაჭირების შესახებ. ნაცვლად ამის ყველა ყველგან ამას ლაპარაკობდნენ: ჩვენ იქ კარგად ვცხოვრებთ, მეტად შესანიშნავად, ჩინებულად და საქმეებიც კარგად მიგვიდისო. თუ რამეს აგროვებდნენ, ეს მათის ფიქრით იყო დახმარება ისეთის გზით, რომ ვითომც აქაურებს სიმინდი და ფული მეტი აქვდათ და მიტომ ეხმარებოდნენ ქვეით წასულთ ქართველ მაჰმადიანებს, წესი არის თავიანთის მოსავლიდან მათში ხაც ეწილადებინათ რამე.

სამწუხაროდ არც ერთს ქართველ მაჰმადიანს არ მოსდიოდა ჰაზრად თუნდ ის, რომ ეკითხა მათთვის, თუ ბიჭო, იქ თუ ესე კარგად სცხოვრობთ და ყველაფერი მრავლად გაქვსთ, მაშინ აქ რაღას მოიპარებით ჩუმად და ჩვენ შორის რათ აგროვებთ საიდუმლოდ სიმინდსა და ფულს და მერე ყველა ეს მონაგროვი რათ მიგაგვთ იქით საიდუმლოთაო. სამწუხაროდ ამეების შეგნება ქართველ მაჰმადიანებს არ აქვდათ და ამიტომ ოსმალეთიდან ძლიერ ხშირად მორბოდნენ აქეთ სხვა და სხვა ასეთი პირნი და ხალხში დახმარებას აგროვებდნენ. ასეთი პირები მე თვით მინახავს ერთობ მრავლად და თითქმის ყოველ კუთხეს და ხეობაში. ისიც კი უნდა ითქვას, რომ იყვნენ თითო ოროლა ისეთ ქართველ მაჰმადიანები, რომელიც გადასახლება ზიზღის თვალთ უმზერდენ და მეტად დიდს სინანულშიც იყვნენ იმ ოჯახებზედ, ვინც კი აიყარნენ და საქართველოდამ ოსმალეთში გადასახლდნენ.

ჰასან ეფენდი ციციშვილის ნაამბობი.

გადასახლებულთ რიცხვის აწინდელის ცხოვრების ჩვენ ბევრი აღარა ვიცით რა. გადასახლებულთ უმეტესობა დასახლებულ იქმნენ ისეთ კუთხეებში, რომელთა არსებობა დღეს ჩვენ აღარც კი ვიცით. იგინი დაკარგულები არიან ჩვენი ტომის და ქვეყნისთვის, დაკარგულ არიან თვით თავიანთ ნათესავთათვისაც. მოკლე დროის განმავლობაში შორს წასვლამ ანუ გადასახლებამ გამოსწყვიტა ნათესავური კავშირი

ორ ძმათა და სახლთ კაცთ შორის. დღეს ქართველ მაჰმადიანებს რომ ჰკითხავთ: თუ თქვენ ვინ ხართ, რა გვარის და რა ნათესავობის? იგინი მაშინათვე ასე იტყვიან, – ჩვენი ნათესავები ძიავ, ქვეითაც არიან წასულნი, ანუ ოსმალში. ჩვენ ძიავ დავიკარგენით, აღარც აქა ვართ და აღარც იქ. ან სულ არ უნდა წავსულიყავით და ან სულ უნდა წავსულიყავით. ნახევარი აქ დავრჩით, ნახევარი წავედით, ეს ვერაფერი საქმე იქმნა. ჩვენ ძიავ, დღეს აღარაფერი ვართ და ბევრი ჩვენი ნათესავები დავკარგეთ. ჩვენ იმათთვის დავიკარგენით და ისინი ჩვენთვის. დღეს მათი ხსენებაც აღარ ვიცით. შემდეგ ხომ სულ აღარ გვეცოდინება. ეს სიტყვები ნათქვამია ჰასან ეფენდი ციციშვილისაგან.

მართლაც ასე უნდა ვსთქვათ ჩვენც. ამოდოლა ხალხის დაკარგვა და მივიწყება ჩვენგან დიდს უბედურებად უნდა ჩაითვალოს. ჩემის მგზავრობის და ცხოვრების დროს ქართველ მაჰმადიანებთან ხშირად მქონია საუბარი გადასახლებულთ შესახებ და ბევრს ოჯახში დიდი მწუხარებაც უთქვამს: თითქმის ტირილით მოუგონებიათ ხოლმე ასე: გვაშინებდნენ, ადექით, წადით, თორემ გაგაქრისტიანებენო. ჩვენც დავიჯერედ და გავიქეცით. განვლო დრომ, ყოველივე დაწყნარდა, არც არავინ გააქრისტიანეს, არც არავის ამისთვის ძალა დაატანეს, ჩვენ კი დავიღუპენით ჩვენის ქვეყნიდამ, ჩვენის ოჯახიდან. ბევრს ალაგას მინახავს ოსმალეთიდან ნათესავებთან ასეთის შინაარსის მოწერილი წერილები, დედა სწერს შვილს ასე: – „შვილო მიშველე რამე, აქედამ შენ ძმას და მის ქალ ბაღანას თუ ვერ წაიყვან და ვერ უშველი, ვერ დაიხსნი ამ ვაებისაგან, მე მაინც მიშველე, გამამიგზავნე რამე ფული და მით დამიხსენი, რომ აქ უცხო ალაგას არ მოვკვდე, მოხუცების ჟამს ნუ დამანატრულებ შენი შვილების ნახვას და ჩვენს სოფელში სიკვდილს. შვილო როცა ეს ქალადლი იწერება, მაშინ დედაშენის ცრემლიც იღვრის. რათ ვქენით ესე, რათ დავიღუპეთ თავები. მიშველე შვილო, რამე და წაგვიყვანე თქვენკენო“. ეს წერილი ნამდვილიდამ არის გადმოწერილი. მოწერილია ასე: ერთი ძმა საქართველოში, თავის მამულზედ დაშთენილა, მეორე ძმა კი გარდასახლებულა, ამას დედა თან გაჰყოლია. ბოლოს დედა სინანულში შესულა და ასე მოუწერია შვილისთვის, რომ მიშველე რამეო. ასეთი წერილები ბევრი მინახავს და ყოველი მათგანი გოდება და ტირილი ყოფილა სამშობლო ქვეყნის და სოფლების დაკარგვაზედ. მინახავს ისეთი წერილებიც, რომელთა უმეტესი ნაწილი არაბულის ასოებით და ქართულის სიტყვებით ყოფილა დაწერილი.

რამდენათაც მწარეა ისტორია ქართველ გადასახლებულთა, იმდენადვე მრავალფეროვანია და საყურადღებო ის გარემოებაც და მისი ისტორიაც, თუ გადასახლებულნი ბოლოს რა დიდს სინანულში შთაცვივნდნენ, რა გოდებას მიეცნენ ქვეყ-

ნის დაკარგვისთვის, ყოველი მათგანი რა ოხვრით და გოდებით მოსთქვამდა თვის წუხილს და ოხვრას, რამდენი ცრემლი იღვროდა მათში, რამდენი მომაკვდავი მოხუცი კაცი თუ ქალი სტიროდა და სწუხდა მწარედ არა იმაზედ, რომ იგი კვდებოდა, ამ სოფელს უღვთოდ ესალმებოდა, არამედ მასზედ, რომ მას უცხო ქვეყანაში ეღებოდა ბოლო, უცხო ალაგას ესალმებოდა სოფელს და თვალთ წინ ეშლებოდა თავის სფლავის დაკარგვა და მტერთა, მეგობართა, მოყვასთა და ნათესავთაგან შორს ყოფნა. მნახველთ უთქვამთ, რომ ვინც კი გვინახავს ოსმალში მომაკვდავი, ყველა სინანულში იყო და ზოგი მწარეთაც სტიროდა და შვილებს შინ დაბრუნებას ავალეზდა და ეუბნებოდა, რომ მერე თქვენი ქვეყნიდამ ფეხი აღარსად მოიცვალოდ და არავინ გაგაბრიყვოთო. იყავით ერთ ალაგას, თქვენი ძველების ადგილსო. პირველ გადასახლების და შემდეგ დროსაც, ვიდრე მთავრობა აღკრძალავდა შინ დაბრუნებას, ბევრმა მოახერხა და დაბრუნდა საქართველოში, თავიანთ მამულზედ დასახლებაც მოასწრეს. ეს მოუხდათ უფრო იმათ, ვინც შორეულს ოსმალის ქვეყნებში არ იყვნენ წასულნი, ვინც ახლო მახლოს იყვნენ გაჩერებულნი, მაგალითებს ტრაპიზონის ვილაეტში, არზუმის და სხვა ასეთ კუთხეებში. შორის კუთხეებიდამ კი აქ აღარავინ მოსულა, მთლად იქით დაშთენ, იგინი ჩვენთვის დღეს მთლად უცნობათ არიან დაკარგულნი.

თუმცა ასეთი მწარე შედეგი მოჰყვა ქართველ მაჰმადიანთ გადასახლებას და ასეთის სახმილის ალით აინთო გადასახლებულთ გული და სული, მაგრამ მაინც არც შემდეგ მოისპო ქართველ მაჰმადიანთ შორის გარდასახლების ოცნება, გარბენა და გამორბენა. კაცს რომ შემოჰკდომოდა ვინმე, ეს მაშინავე ოსმალში გაიქცეოდა და მით იხსნიდა თავს, ან სისხლს აიღებდა ვინმე ან გაყაჩაღდებოდა, ვისმეს მოკლავდა, ან სამართალი ციხეს მიუსაჯავდა, ან ქალს მოიტაცავდა და მერე ამისთვის დასჯიდენ, ან რამე შუღლი მოუხდებოდათ და ჩხუბი ჩამოვარდებოდა და ვინმე დაიჭრებოდა, ან მოკვდებოდა, ერთის სიტყვით ყველას იქით უხდებოდა გაქცევა, თითქმის სამუდამოთ იქ დარჩენა, ნათესავებთან დასახლება. ზოგი კი რამდენიმე ხნის უკან ბრუნდებოდა, ზოგს იჭერდენ და ისე მოყვანდათ. ასეთი გადასვლა გადმოსვლა, ანუ გაქცევა დღესაც კი სწარმოებს მათში, ამის გარდა ვინმე უფროსს სამართველოში რამ საქმე ეთქვათ, ან სამართალი სწორე არ მიეცათ, ან ბეგარად გაეყვანათ, ან ხარჯი შეაწერეთ ცოტა მეტი, ან ტყის საქმეზედ ლაპარაკი მომხდარიყოს და ან კიდევ სხვა ამ გვარი სოფლის საქმენი, მაშინ აღარ იცოდენ რა ექმნათ და გაგულისებულნი ყვიროდნენ.

წავიდეთ, წავიდეთ. ჩვენი აქ დგომა აღარ შეიძლება. დუნია წახდა, დაიღუპა ქვეყანა, წავიდეთ სხვა საშველი ჩვენ არ გვაქვს.

ასეთ პირებს წადილიც შესრულებიათ და წასულან, მოშლილან მამაპაპეულის ოჯახიდან, ჩასულან ოსმალში და დამდგარან საცხოვრებლად. მალე გასჭირებიათ და ისევ შინ დაბრუნებულან. ასეთ შინ მოსულთ უპირველესად თავიანთ ქვეყნის სამართველოში მისვლა მოხდენიად და განცხადება. მინახავს ქობულეთსა და აჭარაში, რომ წასულთათვის მოსვლის დროს პირველ ნახვისა შინ მყოფ ქართველ მაჰმადიანს ასე უთქვამს: ბიჭო, რომ მიდიოდი, ხომ ხედავდი, რომ ეს ადგილები და მთა და ბარი თან არ მოგდევდა. ხომ ხედავდი, რომ ყოველივე აქ რჩებოდა. შენ რაღას მირბოდი იქით და თუ წახველი, რაღას დაბრუნდი აქეთ, რატომ არ დარჩი იქით. იქ ხომ სულ ჩვენები არიან და ჩვენი სჯულისანი, ჯერ წასვლა არის ძნელი და მერე აქეთ მოსვლა. ისიც ფუხარა ცარიელ კაცისათვის. ასეთი საუბარი ხდებოდა მაშინ, როცა აი რა შემთხვევები იყო: წარმავალნი თავიანთ მამულს ან გაჰყიდდნენ, ან გადასცემდნენ ვისმეს რამდენიმე წლით. ამლებიც აიღებდა მამულს, ოთხფეხ საქონელს და დაუწყებდა მოვლა მოშენება და პატრონობას. მაგრამ არ გავიდოდა დიდი დრო და ვნახოთ გადასახლებულნი ისევ შინ მობრუნდნენ და თავიანთ მამულის მყიდველს თუ მოიჯარადრეს მამულს კვალად შეეცილებოდნენ, დავას ან თხოვნას დაუწყებდნენ, ნასყიდის უკან დაბრუნებას. ზოგ ალაგას მშვიდობით თავდებოდა საქმე და ზოგ ალაგას კი ჩხუბი და დავიდარაბა სტყდებოდა. შინ დაბრუნებულნი აქა იქ სცხოვრობდნენ, ნათესავთა და მეზობელთან მიკედლებულნი და ამიტომ დიდს მწუხარებასაც გამოსცდიდნენ.

ამათის ასეთი საჩივრებით სავსე იყო მთელი ბათუმის ოლქის სამართველოები, ასევე ართვინის და სხვა კუთხეებშიც, სადაც კი ქართველ მაჰმადიანები სცხოვრობდნენ და სადაც გარდასახლების ოცნება სენივით მძვინვარებდა მათში. თვით ჩემს თვალ წინ ყოფილა ასეთი შემთხვევა: ოსმალეთიდგან დაბრუნებული მთელი გჯგუფი გადმოსულან გემიდან ხმელეთზედ და დაუწყვიათ ხვეწნა და მუდარება შინ დაბრუნებისათვის. ამავე დროს იქვე ყოფილა მეორე ჯგუფი შინაურების, რომელთაც დაუტოვებიათ მამაპაპისეული სოფელი, მამული და განმზადებულან ოსმალში წასასვლელად. ერთმანერთიც უნახავთ და ლაპარაკიც დაუწყვიათ. მეც მისაუბრია მათთან და იგინი ვერ მისულან იმ გარემოებასა და საგანზედ, რომ ერთმანერთისათვის ეკითხნათ თუ ან ერთი ჯგუფი რათ ბრუნდებოდა ქვეიდან და ან მეორე რაღათ მიდიოდა. საოცარი იყო ჩემთვის ასეთი გაუგებრობის ნახვა. მიზეზები ვერ შევიტყე. ბოლოს გავიგე, რომ თურმე წამსვლელთა წინაშე საუბარი და გადასახლების გულის აცრუება და ლაპარაკი დიდი ცოდვა არის სჯულისათვისაო. კაცი ნურაფერს ეტყვის და ნუ შუაგული

ნებსო, თვით უნდა მიხვდესო.

ასე ამიხსნეს მცოდნე ქართველ მაჰმადიანებმა. თვით კი მიხვედრით ვერ თვითცნობიერებდნენ, თუმცა ერთიც და მეორენიც კარგად ხედავდნენ იმ სურათებს, როცა ოსამლეითიდან შინ დაბრუნებულნი ოხვრით და მწუხარებით იყვნენ სავსენი, ამათ ყოველივე მწუხარებას სპობდა მათ ქვეყანაში შე-მოსვლა, შინ დაბრუნება. მეორენი კი გახარებულნი და გამზადებულნი მიემშურებოდნენ იქით, საიდგანაც მათი თანამემამულენი გმობით და შეჩვენებით ბრუნდებოდნენ. ასე იყო საქმე ქართველ მაჰმადიანთა, ასე გათახსირდნენ იგინი და ყოველ მათგანს ბოშა ციგნებივით გრძნობა დაკარგული აქვდათ სიტყვა სამშობლოზე, ქვეყანაზე, ერზე, ეროვნებაზე, ენაზე და თვით თავიანთ ოჯახის ბედნიერ ცხოვრებაზე ფიქრიც არა ჰქონდათ, მიტომაც მირბოდნენ და მორბოდნენ უკან, რაისა გამო იგინი საკმარისადაც სწყდებოდნენ. ამ გაუგებარ უბედურებას მათგან დიდი რიცხვი შეეწირა.

მეცხრამეტე საუკუნეში არ მომხდარა ისეთი დაბრმავება რომელიმე ერისა და გარდასახლება, ეს როგორც მოხდა ქართველ მაჰმადიანებში. ასეთ საქმეთა გულგრილობით და უხეირობით ქებულნი არიან ქართველი მაჰმადიანები, და მასთანვე საკმარისად გასაკიცხნიც თავიანთ შთამომავლობის წინაშე, თუ მათ თავიანთის უმეცრებით რა ზარალი მოუტანეს თავის მომავალ თავობას, მათს ქონებრივ სახსარს, მათს აღზრდას და ან რა დაუმკვიდრეს მათ ამ გადასახლებით კარგი და კეთილი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ მაჰმადიანთ შვილების უმეტესი ნაწილი დღესა თუ ხვალე თვალს გაახელს, იგინი გამოვლენ მოქალაქობის ასპარესზე, *) მის მერე მოიკითხავენ თვის სამშობლო ქვეყნის ისტორიას და გარდასახლების ცნობებს და მაშინ იგინი გულცეცხლით სავსენი დაშთებიან თვის მამა პაპათა შეცდომებზე, ამოდოლა ხალხის გადასახლება-დაღუპვაზე, აუარებელი ძვირფას მამულების და ადგილების დაკარგვაზე. ასეთ თავობათა საყურადღებოდ მოვიყვან შემდეგს, რომელიც ერთმა ქართველ მაჰმადიანმა მიაძმო. – თქვენი ჭირიმე, მე სიტყვა ქართველი ჭირივით მძულდა, ამისთვის დავტოვე ჩემი სოფელი და ოსმალში გავიქეცი ჩემის ცოლ-შვილით. ჩავედი იქ, რაცა მქონდა სულ დამეხარჯა. მალე დავრჩი ცარიელი. მის მერე სადაც კი წაველ და ფეხი გადავდგი, ვინც კი მნახა, ყველამ ქართველი-გურჯი მიწოდა. ვისაც კი ვკითხე და ვუთხარ რამე, ყველამ ქართველი დამიძახა და ამიტომ ვამჯობინე შენი ჭირიმე და ისევ შინ დავბრუნდი. ასე და ამ გვარად, მე ყველას ვურჩევ გადასვლას და გაქცევას თავი გაანებონ, თორემ იქ ისეთ დღეში ჩავარდებიან, რომ ის თქვენმა თვალმაც არ ნახოს, ეს ნურც თქვენს მტერს მიადგეს კარზე. იქ, ბატონო ოსმალს კაცნიც გვმ-

ტრობენ და გვიყვირიან, აქეთ ნუ მოდიხართ, ადგილები ჩვენც არ გვაქვსო.

ეს ამბავი მიაშო კარგად შესმენილმა ქართველ მაჰმადიანმა, მრავალ გზის ნამგზავრმა ოსმალეთში და გამოცდილმა პირმა. თუმცა ასეთ მცოდნე პირებს ქართველთ მაჰმადიანები ხშირად ხედავდნენ და ბევრნი დიდის აცრემლებითაც მოუთხრობდნენ ოსმალეთში გადასახლებულთ მწარე ცხოვრების ცნობებს, მაგრამ მაინც მათში ღელვა გარდასახლებისა არ კლებულობდა, რადგანაც არ კლებულობდა თვით ბოროტ მქადაგებელთ და წამქეზებელთ რიცხვიც. რაც კი ქმნეს ასეთ პირებმა და რა ღვაწლიც დასთესეს თვის თანამემამულეთა

*) ეს დაწერილია 1891 წ. დღეს უკვე გამოვიდნენ.

წინაშე, ეს კარგად სჩანს თვით მომხდარ საქმეთა არსებულის ცნობებიდამაც. მხოლოდ ამისთვის ფხიზელი დაკვირვება არის საჭირო.

გადასახლებულთ შორის ხშირად იყვნენ ისეთ ქართველ მაჰმადიანებიც, რომელნიც მხოლოდ საქართველოსთან ახლოს სახლდებოდნენ, იმ ადგილებში რაც ოსმალს ხელში დაშთა, ანუ მათს სამფლობელო საქართველოს ნაწილს შეადგენდა. დღესაც ოსმალეთის საქართველოს ადგილების დიდი ძალი მანძილი უკავია და ამ ადგილებში მთლად ქართველ მაჰმადიანები სცხოვრობენ, სადაც მიეკედლნენ და დასახლდნენ ეს ახლად მისულ ქართველ მაჰმადიანებიც. გარდასახლებულთ შორის მეტად დიადი უბედურება, ერთობით გარდასახლება და დაღუპვა მურღულელთაც მიიჩნიეს, ამათაც დაკარგეს მშვენიერი კუთხე მშობელის ქვეყნისა კაი ჰავიან-მოსავლიანი და ქებული მრავალ ნაირის მადნებით.

ნამშობი დედი ალა ნიჟარამისაგან. 1890 წ.

„ქობულეთის კუთხიდან, ჩაქვის ხეობიდან, ბათუმის და კახაბრის ნაწილიდან აჭარამდე მცხოვრებთ შორის გადასახლებულ იქმნა 2000 მოსახლე. ასე რომ, თითო ოჯახში რომ ვიანგარიშოთ 5-6 სული. სულ გამოვა 10, 12 ათასი ორივე სქესისა. ბათუმიდან გადასახლდა 5000 ათასი სული. კახაბრის ნაწილიდან 3000 ათასი სული. სულ 20,000 მეტი და არა ნაკლები. მაჭახლიდან წავიდა 30,000 სული, ორივე სქესის. ქვედა აჭარიდან წავიდა 10,000 სული, ზედა აჭარიდან ავიდა 8000 სული. ლიგანის ხევიდან წავიდა 25,000 სული, მურღელის ხევიდან წავიდა 8000 სული. იმერხევიდან 5000 სული. შავშეთიდან 10,000 სული, არტაანიდან 25,000 სული. ოლთისის კუთხიდან 25,000 სული. ჩხალის ხეობიდან

500 სული. ართვინიდან 4000 სული".

ჩვენის შეკრებილის ცნობებით 200,000 ათასზედ მეტი სული უნდა ვიანგარიშოდ. ეს ცნობები ძრიელ ეწინააღმდეგება რუსის და ოსმალეთის მთავრობის ოფიციალურს სტატისტიკურს ცნობებს, რადგანაც ქართველ მაჰმადიანთ შესახებ დაწვრილებით და ზედმიწევნით ცნობანი არც ერთს მთავრობას არ ჰქონდა შედგენილი და არც მეორეს. ამიტომ მათი ცნობები სწორეს არას იძლევიან არც წასულთა შესახებ და არც დარჩენილებზედ. ოსმალეთს ქართველ მაჰმადიანთ სრული ანუსხვა ერთობ უძნელდებოდათ, ნამეტურ აჭარელები არ ემორჩილებოდნენ და 1820 წლიდან საქმე ისე მოეწყო, რომ ლივანა მურღულის ხეობა თვით ბათუმის ფაშის და კაიმაკამისტვისაც უცნობი იყო. მურღულელნი წელიწადში ერთხელ ხარჯს ჰკრეფდენ ერთმანეთში და ბათუმში ჩაჰქონდათ და ფაშას აძლევდენ, სხვა რამ საქმე ოსმალეთის მთავრობას მათთან არ აქვნდა. არ იცოდენ თუ მთელს ხეობაში რამდენი მცხოვრები იყო, რამდენი სული ორივე სქესისა. ჩვენთან დაკავშირების დროს ვერც რუსის მთავრობამ მოასწრო მათი აღწერა კარგად, ასე რომ არც ამათ იცოდენ რიცხვი ახლად ჩაბარებულთ და ამიტომ ვერც ამათ შეუძლიანთ მოგვცენ სწორე ცნობები გარდასახლებულთ და დაშთენილთ შესახებ.

ჩვენი შენიშვნა რომ მართალია, ამას ასაბუთებს თვით ის გარემოებაც, რომ დღესაც ოსმალეთის დაბებს, სოფლებს, და ქალაქებში ქართველ მაჰმადიანთ რიცხვი ერთობ დიდია და მრავლად მცხოვრებნი. აქ მცხოვრებთ ქართველთ შესახებ ჩვენ ბევრს ვეცადეთ, მაგრამ დაწვრილებით კი მაინც ვერაფერი ცნობები ავწერეთ. ვიტყვით თამამად, რომ კონსტანტინეპოლის მცხოვრებ თურქებთ შორის ქართველთა რიცხვი უნდა იყოს არა ნაკლებ 400 ათასისა. რასაკვირველია ამათში ბევრის ბევრს ქართული ენა დღესაც ეხსომებათ. ეს 400 ათასი მცხოვრებნი არიან სხვა და სხვა წვრილი სოფლების, დიდი ქალაქების სხვა უნდა იყოს. ამას დაასაბუთებს შემდეგი გარდმოცემაც.

ოსმალეთიდან დაბრუნებულის ნაამბობი

ოსმალოდამ დაბრუნებულმა ერთმა შესმენილმა ბეგმა, ბეჟანიძეთაგანმა, გადმომცა შემდეგი ცნობა 1892 წ. რომ ოსმალეთში ქართველ მაჰმადიანთ რიცხვი დღეს 3 მილიონზედ მეტი იქნებაო. ამანვე გადმომცა შემდეგი ცნობები:

ოსმალეთის სამფლობელო ადგილებზედ დღეს ქართველ მაჰმადიანები სცხოვრობენ შემდეგ ადგილებს:

ხოფას 100 კომლი.

არახვეს 120 კომ.

ირიზეს 100 კომლი.
ოფს. 120 კომლი.
ფლატანს 120 კომ.
თრიპოლს 100 კომ.
ორდს 1000 კომ.
უნიას 1000 კომ.
ჩერშმებს 100 კომ.
ბაფარს 100 კომ.
ბოლომანს 100 კომ.

სურმენს 100 კომ.
ტრაპიზონს 100კომ.
ბელლევანს 150 კომ.
გერესონს 120 კომ.
აბდალას 130 კომ.
ბაცას 1000 კომ.
თერმეს 100 კომ.
სინოპს 150კომ.

სამსონს 150 კომ. – და ზოგიც სხვა ადგილებს. ყველა ესენი გადასახლებულ იქმნენ უკანასკნელ ომის დროს. აქ მოყვანილ ქალაქები და სოფლები არის ერთობ მცირე რიცხვის. არის თურმე ისეთი შორეული ოსმალეთის ქალაქები, სადაც ქართველ მაჰმადიანთ რიცხვი ათი ათასობით სცხოვრობს, ხოლო ყველა იგინი ჩვენთვის მივიწყებულ-მიკარგულნი არიან, მათ თავიანთ სამშობლო და ვინაობის აღარა იციან რა და ამათ ნათესავთაც, რომელნიც საქართველოში სცხოვრობენ, მთლად მიავიწყდათ იგინი. დღეს ყველა ესენი იკარგებიან თავიანთის ტომის და საქართველოსთვის, იგინი ყოველივე მამა პაპურს ცნებას ჰკარგავენ და მის ნაცვლად ოსმალურს ითვისებენ. ქართული ენის მაგიერ ოსმალურ ენას მისდევენ, ასევე მათს სხვა წესებს.

ამ გულ საწვავ ცეცხლის ამბებით თავს არავის მოვაწყენ, სამშობლო ქვეყნის დამკარგველთ მწარე გოდების მოთხრობით სულს არავის შევუწყუხებთ, მუხანათ სოფლის და მის წესებს არავის ვაგმობინებთ, ჩვენს ცილის საწამებლად ცნობათ განმარტვას არ დავადგებით. აწინდელ ქართველ მაჰმადიანთ ახალგაზრდობის საყურადღებოდ ცნობებს მოვიყვანთ თვით ძველის ქართულის გაზეთებიდგან, რომელნიც საკმარისის აღსავსეობით ხატვენ გარდასახლებულთ ტანჯულს ცხოვრებას და სამშობლო გარეშე თითქმის წამებასაც. თვით ეს ცნობები გამოაჩენს მნიშვნელობას და სინამდვილეს იმ ტანჯვისას, რაც კი საბრალო ქართველ მაჰმადიანებმა სხვათა მეოხებითა და ბოროტებით გამოიარეს.

რისხვა მიყენებული გადასახლება 1829 წ.

ქართველებს ბევრჯერ მოსდგომიათ კარს კაცის რისხვა და ბოროტება. ქართველებმა XV საუკუნიდამ XIX საუკუნის გასვლამდე გამოსცადეს დიდი უბედურება და ვაება. რასაკვირველია ყოველ ვაებას და სისხლის ღვრას აქვს თავის მიზეზები, თვისი პირობები, თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ ქართველნი არას დროს არ გამხდარან თვის სამშობლოდამ აყრის საბაზნი და მიზეზნი, ყოველთვის უცხონი იყვნენ ამის

მაგალითნი და საბაზნი. შეიძლება მცირედ ქართველთაც სდებოდათ ბრალი, მაგრამ ეს იქნებოდა, როგორც წვეთი ზღვაში. მართალია ზოგი გადასახლების მიზეზნი ჩვენ ქართველ მაჰმადიანებს მივაწერეთ და პირდაპირ იგინი დავასახელეთ თავიანთ თავის და ოჯახის დაღუპვის მიზეზათ, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგში პირდაპირ ჩვენც გახლავართ და ჩვენის ქრისტიან მთავრობის მოხელენიც, რომელთა ბოროტების შესახებ ჩვენ ორს მაგალითს მოვიყვანთ და ესეც საკმარისი იქნება.

ავწერეთ, რომ რადგანაც ქართველთ ისლამთან დაკავშირების შემდეგ შუა გულ ქალაქად ახალციხე იყო, ამიტომ პირველად ამ კუთხის ქართველებში წავიდა წინ ისლამი. ისიც ვიცით, რომ ოსმალეთის მთავრობას და სასულიერო წოდებას ყველაზე მეტი ყურადღება ამ კუთხის ქართველებზედ აქვდათ მოპყრობილი. ვიცით ისიც, რომ ამ კუთხეში ისლამის გამო დაიღვარა დიდი სისხლი ქართველებისა. ვიცით ისიც, რომ ყველაზე ადვილათ და საქართველოს მტრობას ამ კუთხის თავადაზნაურობა დაადგა. მათ შეიძულეს ქართველობა, საქართველო და ქართული ენა. ვიცით ისიც, თუ იგინი რა ფანატიკოსები იყვნენ და რა უჯათნი ყოველივე გვაროვნობის თვით ცნებიერებაში. ვიცით ისიც, რომ ყველაზედ სასტიკი მახვილი ამ კუთხის ქართველებზედ იყო გართხმული და აქ საქართველოს და ქართველობის ყოველივე თახსირდებოდა და ისპობოდა. მაგრამ ვიცით ისიც, რომ ამავე კუთხეში, ქართველთ შორის, საიდუმლოდ ქართველობის შემნახავნიც არას დროს არ მოსპობილან და თუმცა მცირედ, მაგრამ მათ მაინც საიდუმლოდ შეუნახავთ თავი, წესები, ენა და ტომობა. ეს შესანახი მათ ორის მწვავის კალთებით უტარებიათ და ამისათვის ხშირად სისხლი და ცრემლიც უღვრიათ.

ასე და ამ გვარად, ამ კუთხის ქართველთ თავიანთ თავი საიდუმლოდ შეუნახავთ 1829 წლამდე, ხოლო ამ შენახვისთვის იგინი რამდენს ეწვალნენ, ამას ხომ კაცი ვერ ასწერს. ახლა ბოლოს, ამ ახალციხის რუსთაგან აღების დროს, თუ რა დაემართათ ასეთ ნაწვალეზ და დატანჯულთ ქართველთ, ამას გამოაჩენს შემდეგი ცნობები, რაც განუსაზღვრელს უბედურებით არის გარემოცული. ასეთ ჩუმ ქართველთ 1827 წ. შეიტყეს, რომ რუს-ოსმალთ ომი იწყება და ისიც არის თქმული, რომ რაც გინდ მოხდეს, რუსნი ახალციხეს აუღებელს მაინც არ გაუშვებენ, უსიკვდილოთ აიღებენო. ეს გარემოება მათ ახარებდა დიდათ და თან სასოებაც უმაგრდებოდათ მასზედ, რომ ჩვენც გვეღირსება თანამექვეყნე და ერთი ენის ქართველებთან დაკავშირება და მაშინ ჩვენს ცხოვრებას მოსვენება მიეცემა და ჩვენი ქართველობაც გამოსჩნდებაო. ასე ფიქრობდენ მა-

შინ ეს პირნი და დღე და ღამ სულ განაბულნი უცდიდნენ ომის დაწყებას, მთელ მესხეთ-ჯავახეთის შეერთებას ქართლ-კახეთ-იმერეთთან.

უნდა ვსთქვათ, რომ ასეთ ქართველთ რიცხვი მაშინ ახალციხის და ახალქალაქის კუთხეებში მრავლად ყოფილან. იგინი საერთოდ სულ მაჰმადიანები ყოფილან, ანუ ქართველნი, ისლამთან დაკავშირებულნი. ყველამ იცოდა, რომ ესენი მუსულმანები იყვნენ, იცოდნენ მით უფრო, რადგანაც ესენი ყოველ მუსულმანთ დღის ლოცვას თურმე სასტიკად ასრულებდნენ და ყოველივეს უფრთხილდებოდნენ, რაისა გამო მნახველს იგინი ნამდვილ მტკიცე მუსულმანათაც ეყოლებოდა მიღებული, მათზედ არაფერი ეჭვი არ იქნებოდა. ამავე დროს ამ პირთ მსლამთან ერთად თვისი სჯულიც უღიარებიათ, იგი საიდუმლოდ სჭერიათ და ამის წესებიც საიდუმლოდ უსრულებიათ. ამისათვის ჰქონიათ მიწაში სამლოცველო დარნები, ანუ საყდრები, სადაც ჰქონიათ საეკლესიო ნივთები, წიგნები და აქ თურმე ესენი საიდუმლოდ გროვდებოდნენ და ლოცვებსაც ასრულებდნენ. მღვდელი იყო მათში ასე; მამა მოამზადებდა შვილს სამღვდელით, მამის სიკვდილის შემდეგ შვილი გახდებოდა მღვდლად, რომელსაც საიდუმლოთ ტრაპიზონის ბერძენთა ეპისკოპოზი აკურთხებდა. ასე და ამ გვარად და ასეთის წვითა და დაგვით უნახავთ თვისი საიდუმლოება. ერთ დროს ამათ პატივისცემა ორი სარწმუნოების ჰქონიად.

ასეთ პირთ ნატვრა შეუსრულდათ და რუსთა და ოსმალთ ომიც დაიწყო 1828 წ. ომში ესენი მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ, ხოლო შორიდან კი თანაგრძნობას უწყევდნენ. ომში რუსთა გაიმარჯვეს, 1829 წ. ახალციხე ანუ მესხეთ-ჯავახეთი რუსეთის იმპერიის საქართველოსთან იქმნა დაკავშირებული. ამით უნდა მისცემოდა ზემო ხსენებულ საიდუმლო ქართველთ ნატვრის შესრულება. ომის გათავების შემდეგ ქართველ მაჰმადიანებში დიდი შლილობა იყო. ხოჯები და მოლები ამინებდნენ, რომ მუსულმანები რუსების ხელში არ დარჩეთ, თორემ ბოლოს სულ გაგაქართველებნო. ამათ ისარგებლეს დიდათ და ქართველ მაჰმადიანთ რიცხვი აშალეს თავიანთ მამაპაპეულის მიწა-მამულიდამ, მათ იწყეს მძლავრად და მარდათ გადასახლება. ზოგს მათგან ზედა და ქვედა აჭარაში ასახლებდნენ და უმეტეს ნაწილს კი შორეულს ოსმალეთის ადგილებში, რადგანაც იგინი რამდენადაც უფრო შორს წავიდოდნენ, მექას და მედინას დაუახლოვდებოდნენ, იმდენი მრავალს მათგანს მექაში წასვლა გაუადვილდებოდა, მასთან ჰაჯობასაც მიიღებდა და ბოლოს ცხონდებოდა, ჯენეეთის კარიც ღია დახვდებოდა.

ამიტომ დიდი რიცხვი აიშალა მესხ-ჯავახელების თავის

მიწა მამულიდამ, იგინი ოსმალოს მთარობას გაჰყვნენ და მით დაიღუპეს თავი ოსმალეთის უშორეს ადგილებში. ამათ გადასახლების მიზეზებს ოსმალოს მოლებს და ხოჯებს გარდა ხელს უწყობდა იმ დროის ჯარის გენერალი ვასილი ოსეფის ძე ბებუთოვი, რომელიც მაშინ მთავარ სარდლობდა რუსის მხედრობას. ამას და ამის ამხანაგებს თურმე ეჩმიაძინის სასულიერო წოდებასთან მოლაპარაკება ჰქონოდა გამართული და პირობა მიცემული, რომ რუსთაგან აღებულ საქართველოს ადგილებში, თუ კი არზრუმის და ვანის სომხები გადმოსახლდებიანო, მაშინ ჩვენ ვეცდებით, რომ აქაური მაჰმადიანობა სულ ავყაროთ, იგინი ოსმალეთში გადასახლდნენო. ამის შესახებ მათს სასულიერო წოდებას ხსენებულს ადგილებში ქადაგებაც ჰქონიათ გამართული, ხალხიც დაუყოლიებიათ. მერე ეს ხალხის თანხმობა თავ. ბებუთოვისთვისაც უცნობებიათ. ეს მაშინვე დაფაცურებულა, ქართველ მაჰმადიანთ შეშინება, აყრა და გადასახლებაც მალე დაწყებულა, რომელთაც თურმე ყოველი მოხელე აქეზებდა მათ ოსმალში წასასვლელათ. ასე და ამ გვარად მესხეთ და ჯავახეთიდან აიშალა დიდძალი ქართველობა და გადასახლდა უცხო ქვეყნის ადგილებში, ამათი სოფლებიკი დარჩა ცარიელები.

თუმცა ქართველ მაჰმადიანები ასე უხვათ გარბოდნენ ოსმალეთში, იგინი ეკარგებოდა ჩვენს ტომს და თავის სამშობლოს, მაგრამ მაინც მათ შორის, ვინც კი საიდუმლო ქრისტიანები იყვნენ, იგინი კი ჩუმათ ფეხს მაგრულობდენ და უცდიდენ შემთხვევას, რომ ერთს დღეს მივალთ მთავარ სარდალთან და მოვახსენებთ ჩვენს საიდუმლოებასო. ესენი მხოლოდ შემთხვევას უცდიდნენ, რომ მათ მეზობელთ ქართველთ წამსვლელთ რიცხვი ცოტათი შემცირებულიყო, რათა მათგანს ამათთვის საიდუმლოების განცხადების გამო რამე უბედურება არა სწვევოდათ. ეს ასეც მოხდა, მთელი მხარე მალე დაიკალა ქართველების რიცხვით. საიდუმლო ქართველთათვის საშიში აღარ იყო თავის ქრისტიანობით გამოჩენის. თუ ამათ ვინმე აეწინააღმდეგებოდა, მაშინ ამათი რიცხვი მათ დასძლევდა. ასე დაიმედებულთა რიცხვმა შეკრიბეს თვის შორის მოწინავე კაცები და მთავარ სარდალს გაუგზავნეს თვისი ამბის საცნობლად. ესენი მალე მივიდნენ თავ. ვასილი ბებუთოვთან და მოახსენეს ასე.

მოვახსენებთ ბატონო, რომ ჩვენ ქრისტიანები ვართ, დღემდე ჩუმად, საიდუმლოდ შევინახეთ ეს ჩვენი მამაპაპის სჯული, მოვახსენებთ ფაშავ, რომ ჩვენ ერთსა და იმავე დროს ისლამსაც ვაღვარებდით. ეხლა გაუწყებთ თქვენ ჩვენს საიდუმლოებას და იმედი გვაქვს თქვენ თქვენს ჯარის და ხლმის ძალით დახმარებას მოგვცემთ, რომ ჩვენ ასე ვიქნეთ ცნობილი და განცხადებული. იმედი გვაქვს, რომ თქვენ დაგ-

ვიფარავთ ეხლა. მთავარ მართებელმა მოისმინა ამათი განცხადება და მაშინათვე მიუგო პასუხი სწორედ ამ სიტყვებით, რაც ახალციხეში. ეს 1890 წლამდე ბევრს ახსოვდა კიდევ ზეპირად, ამას ხშირად იტყოდნენ მოსაგონებლად.

„გასწით, დაიკარგენით აქედამ თქვე თათრებო, რომ აქ თქვენი ერთი კაციც არ დარჩეს, გასწით, გასწით, წადით, წადით, მოშორდით აქაურობას, თქვენი აქ დარჩენა არ შეიძლება, თქვენ თათრები ხართ, წადით იქით, საითაც თქვენი ძმები მიდიან, ჩქარათ, თორემ ამ ამბავს თქვენი თათრები შეგვიტყობენ, ჩვენ არაფერს დახმარებას არ მოგცემთ, ისინი კი თქვენ სულ დაგხოცავენ. წადით, გირჩევენიათ, რუსები თქვენ არ მიგიღებენ, რადგანაც თქვენ არა ხართ კაი ხალხი, რუსის მტრები ხართ.“

ასეთის პასუხის მიცემით მსმენელნი დაღონდნენ, დადარდიანდნენ დიდათ, ვეღარა გააწყეს რა, რადგანაც მართლაც და თვით მუსულმანებისაც ეშინოდათ. ეს თავი კაცები გულცეცხლით სავსენი წავიდნენ თავ-თავიანთ სახლებისაკენ და ყოველივე მოახსენეს თანამემამულე ქართველებს. ამათში ამ გარემოებამ დიდ მწუხარება დაბადა, დიდი საგოდებელი მღელვარება, მაგრამ რაღას იზამდნენ, რა კი ასეთი უარი სთვითა მთავარ სარდალ ბებუთოვმა, ამიტომ ესენი საყოველთაოდ ისლამთან მიკედლებულნი დაშთნენ, გაჯავრებულები მალე აყრის და გარდასახლების ფიქრსაც მიეცნენ და მცირე ხნის განმავლობაში ესენიც აიშალნენ და იწყეს ოსმალეთში გარდასახლება. ასე და ამ გვარად მთავარ სარდალის მეოხებით ეს ამოდელა ქართველობაც გამოესალმა თავის სამშობლოს და წავიდა უცხო, შორს უცნობ ოსმალს ადგილებში, რის მიზეზიც პირდაპირ ზემო ხსენებულ მიზეზები იყო. ამის ცნობები ახალციხის ქართველ კათოლიკეთა შორის ბევრს დღესაც ახსოვს. ამ მანქანებით მესხეთს-ჯავახეთს დაეკარგა დიდი რიცხვი ქართველობის. ამათის მოცილებით და დაკარგვით შეუსრულდათ წადილი მათ მოკამათე-მოდავე პირებსაც.

ქართველთ გადასახლების გეგმა ომის დაწყებამდისვე ჰქონდათ შედგენილ-შემუშავებული. ამისათვის არზრუმის სომეხთა ეპისკოპოსთან მიწერ-მოწერაც ჰქონია ბებუთოვს გამართული, საქმე გაუჩარხავთ და მიტომაც მოაწყეს და მოახერხეს მათ, რომ იმავ დროს ოსმალეთის სომეხეთის ადგილებიდან იმოდოლა სომეხ გრიგორიანები და სომეხ კათოლიკენი გადმოსახლეს მესხეთ-ჯავახეთში, ყველა იგინი დაასახლეს სწორედ იმ ქათველ მაჰმადიანთა სოფლებში, სადაც კი წინედ ქართველნი სცხოვრობდნენ. რაც დღეს მესხეთ და ჯავახეთში სომეხები სცხოვრობენ, ესენი სულ მაშინ არიან გადმოსახლებულნი, თორემ მინამდის სომეხთა ხსენებაც არ იყო აქ. ასე უბედურად დატრიალდა ქართველ მაჰმადიანთ

საქმე და იმოდოლა ქართველობა ისე უღვთოთ და უმიზეზოდ დაეკარგა საქართველოს.

გადასახლებულთა ამბები.

შეკრებილი და დაბეჭდილი 1891 წ.

კინტრიშის და ჩაქვის ხეობის მაჰმადიან ქართველებს ოს-მალეთიდან ამბავი მოუვიდათ, რომ ტრაპიზონში მცხოვრები გამოჩენილ ქართველი ყემპერ ალა ფაშიოღლი (ჩივაძე) გარდაიცვალაო. ამ კაცის სიკვდილის ამბავი ყოველს ქართველს მაჰმადიანს სიბრალულს უღმრავდა და ყველა სინანულით იხსენიებდა ყემპერ ალა-ფაშიოღლის. ურიგო არ იქნება, რამდენიმე სიტყვით მოვიხსენოთ ისიც, თუ ამ კაცმა რა გააკეთა ისეთი საქმე, რომ ქართველ მაჰმადიანთ შორის ასე დაიმსახურა სახელი.

ყემპერ ალა-ფაშიოღლი (ჩივაძე) ქართველი მაჰმადიანი იყო. ამის წინაპარნიც ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც სხვა ქართველ მაჰმადიანების. ესენი სცხოვრობდნენ სოფელ ხუცუბანში. თვით ფაშიოღლი ოსმალეთის სამსახურში მსახურებდა და ოსმალს დროს ბათუმის ჯარის უფროსად ყოფილა. განათლება ამას სულ არ ჰქონია, ისე რომ არც თათრული წერა-კითხვა სცოდნია და არც ქართული. ქართულს ენაზე ეს ლექსებსაც სთხზავდა თურმე. ამის ზოგი ლექსები ხალხშიაც იციან ზეპირათ, ერთი ლექსი დაწერილიც ვიშოვე. სცოდნია მხოლოდ არაბულის ლოცვების კითხვა და იმის მეოხებით საშინელი ფანატიკოსიც ყოფილა, სწორედ ისეთივე, როგორც იყო ცნობილი ალი ფაშა თავდგირიძე. ეს ორი კაცი ერთი თვისებისანი იყვნენ, ერთის მიმართულების და ერთნაირი ფანატიკოსებიც. ამათის ანგარებით, მუხანათობით და ფანატიკოსობით ჩვენს ქართველს მაჰმადიანებს დიდ ზარალი და დაღუპვა მოუხდათ, რადგანაც ეს ანგარებით სავსენი და შურის მეძიებელნი ასახლებდნენ ქართველს მაჰმადიანებს საქართველოდან და ოსმალეთში გადაჰყავდა. ყემპერ ალა-ფაშიოღლის ომის გათავებისას რამდენს ემუდარებოდა თავგრ. გურიელი, რომ დაწყნარდი, ნუ მიხვალ სათათრეთშიო, ნუ ჰყრი ხალხს და ნუ აკარგვინებ ამ ძვირფასს ბინასაო.

მაგრამ იმისაგან ყოველთვის უარი ისმოდა: არ შემძლიან, მე, ბატონო, თათარი ვარ, მე აქ ვერ დავდგები, სათათრეთში უნდა წავიდეო. თითონ წავიდა და თავისის ენით მგონი ორმოცი ათასი კაცი გადაასახლა ოსმალეთში, რომელთა უმეტესნი გზაში დაიხოცნენ გემში ავადმყოფობისაგან და ამ მკვდრებს ზღვაში ჰყრიდნენ. ზოგმა მიაღწია და ესენი დაასახლეს აქა-იქ, მაგრამ არც ამათ დაადგათ კარგი დღე: სამოთხის მზგავს საქართვე-

ლოში გაზრდილებმა იქაური ჰაერი ვერ აიტანეს, მათში გაჩნდა ავთიმყოფობა და ერთი ნაწილიც იქ გაწყდა უბედურად. აი ასეთი საქმეების გამო სცემს აქაური ხალხი ყემპერ აღას პატივს და ასეთის საქმეების გამო იხსენიებენ მისს სახელსა და თანაც ამბობენ, რომ ყემპერ აღა ნამდვილი თათარი იყოვო და ქართველი ხალხის სისხლის მსმელი, ბევრს რუსსა და ქართველს მოსჭრა ამან თავიო.

მოგეხსენებათ, ის შავი და ბნელი დღეები, რაც საქართველოს მეჩვიდმეტე საუკუნეში ეწვია მძლავრის შაჰაბაზისაგან, როდესაც მოხდა ქართველების დიდი გადასახლება. ამ დროს ქართველ ძველმა მწერლებმა „შავი დრო“ უწოდეს. სწორედ ასეთივე შავი დრო ეწვია ამ უკანასკნელ ომის დროს დასავლეთ საქართველოში მცხოვრებთ ქართველ მაჰმადიანებსაც. ზოგიერთების მეოხებით აქედამ ოსმალეთში გადასახლდა და გაწყდა თითქმის ოთხასი ათასი ქართველი კაცი. ეს რიცხვი გამოანგარიშებული აქვსთ აქაურს ქართველს ბეგებს და აღიებს. ესენი ამბობენ, რომ ამაზე მეტიც იქმნა გადასულიო, ეს ჩვენ იქიდან ვიცით, რომ ქართველ მაჰმადიანთ რიცხვი ნახევარ მილიონზე მეტი იყოვო. ასე, ექვსას ათასს ამბობენ. დღეს-კი იქ ოსმალეთში ორას ათასზე მეტი აღარ იქნებო, რადგანაც უმეტესი ნაწილი ამ გადასულებისა დაიხოცაო. დახოცილან იმიტომ, რომ მეტის მეტს სილატაკეში ჩავარდნილან. ოსმალებს ესენი ვერ დაუჯილდოვებია. ესენი დაუსახლებიათ ისეთ ადგილებში, სადაც ვერც სიმინდი მოდის რიგიანათ, ვერც საქონელი სძლებს საღათ და ვერც სხვა რამ მოდის კარგად.

ეს ის ადგილებია, რომლებისთვისაც ბერძნებსა და თათრებს თავი დაუნებებიათ და სხვაგან გადასახლებულან: ჩვენ აქ ვერ გავძლებთ, ვიხოცებითო. სწორედ ამ ადგილებში დაასახლა ოსმალეთმა აქედგან გასული ხალხი და ამ ადგილებმა დიდძალი ხალხიც გაწყვიტა. დასახლებით თუმცა დაასახლა, მაგრამ დახმარება კი არა მისცა რა, მისცეს მხოლოდ ორი-ოდე ოყა სიმინდი, რომელიც პურად შესჭამეს და სათესლედ ვერ შეინახეს; პირველად ამათთვის არც საქონელი იყო, არც ექიმი, არც წამალი, არც სახლები და სხ. დიდ სილატაკემდე მიაღწიეს, ისე რომ თავიანთს შვილებს ოსმალებზე გაყიდვაც დაუწყეს და იქიდან ანალების ფულებით აქეთ საქართველოში კაცებს ჰგზავნიდნენ, ესენი საჭმელს სიმინდს ყიდულობდნენ და ნავებითა და გემებით მიჰქონდათ იქით. ეს დღესაც ისევ ისეა და აქედამ ოსმალეთში დიდი ძალი სიმინდი მიაქვთ.

ასეთ შავ დღეში ჩავარდა იქ გადასული ქართველობა და ასეთ მწუხარება ადგათ თვით დღესაც. ყველა ეს უბედურება, შეწუხება და გაჭირვება მოუხდათ თავიანთის შეცდომებით და სხვების ჩაგონებათ. ეს ჩამგონები არიან მოლები და ხოჯები. ჩამგონებელნი სამზღვარ გარედამაც მოდიოდნენ და თვით დღე-

საც მოდიან. ამ მოლებს და ხოჯებს გარდა, რამდენიმე ქართველ მაჰმადიანთ ბეგი, ალა და ფაშებიც ღალატობდენ. ყველა ამ ბოროტებას და მოტყუებას იმიტომ სჩადიოდნენ, რადგანაც ოსმალეთისაგან ამათ დიდის საჩუქრების იმედები ჰქონდათ. მაგრამ იმედი ვერ აღუსრულდათ, ოსმალეთის მთავრობამ ამათ მხოლოდ მიწები მისცა და სხვა კი არაფერი. ერთი მათგანი ეს ფაში ოღლია, რომელსაც ბოლოს გული სტკიოდა, სინანულშიაც შევიდა მაგრამ ეს გვიანლა იყო.

ამან საქართველოში წამოსვლაც დააპირა, აქედამ წასვლაც კი არ უნდოდა, ხოლო დღეს, როცა ის იქ გარდაიცვალა, მისი ცოლი-კი, აქ საქართველოში სცხოვრობს. ასე უბედურად დაღუპულ ქართველების შესახებ კიდევ ამას ვიტყვი, რომ მათგან აქეთ ძლიერ ბევრნი გადმოდიოდნენ ჩუმად და დღესაც შემოდიან და სახლებიან აქ, თავიანთს ნათესავებთან. ესენი ისეთს სინანულში არიან, რომ, როცა საქართველოში შემოდიან და აქაურს მიწაზე დაადგმენ ფეხს, მაშინვე მიწაზე ემხოზიან და თაყვანს სცემენ, რომ ჩვენს ქვეყანაში ძლივს დაბრუნება გველირსაო. ერთის სიტყვით, სიხარულით აღარ იციან რა ქნან, თითქმის გაგლახავებულნი ბრუნდებიან. ს. ალამბარში მე ვნახე ერთი ახლაგაზდა ქართველი მაჰმადიანი, ასე 21 წლისა, ოსმალეთიდან მოსული; ეს ყმაწვილი კაცი ომის შემდეგ პატარა წაუყვანიათ ოსმალეთში და იქ გაზდილა, დღეს-კი იქ ვეღარ დამდგარა და აქეთ მოსულა სამუდამო საცხოვრებლად, დედის ნათესავებთან.

ამ ყმაწვილ კაცმა წყევლით მოიხსენა ის პირნი, ვინც ჩვენებს აბრიყვებდნენ და ოსმალეთში ასახლებდნენო. მანვე მიაჩნო შემდეგი ცნობები, რაც მომყავს თავის სისრულით.

ოსმალეთიდან დაბრუნებულის ნაამბობით დაწერილი და 1891 წ. დაბეჭდილიადამ გადმობეჭდილი

„შუაგულს ოსმალეთში მცხოვრებ ქართველებზე-კი ვერა შევიტყე-რა და რაც აქეთა მხრის ქართველების ცნობები გავიგე, ამას-კი აქვე მოვიყვან.

- 1) პატარა ტრაპიზონში 150 კომლი ქართველია.
- 2) ახალს ათინაში 200 კომლი.
- 3) თრიპოლსში 100 კომ.
- 4) ორდში 400 კომ.; აქ სკოლაც აქვთ და 150 ყმა.-

წვილი სწავლობს ქართველ მაჰმადიანებისა. მასწავლებლად მოლები არიან; ასწავლიან არაბულსა და ოსმალურს ენებსა.

ირიზეში 600 კომ. აქაური ქართველები ვნახე, გემებსა და ნავებზე მსახურობენ. ამათ ქართული წიგნები მთხოვეს იქ წასაღებად და მეც გავატანე. ამ ირიზელმა ქართველებმა ქართული კითხვაც იცოდნენ. ძალიან გაეხარდათ, რომ მე წიგ-

ნები მივეცი. შიგ ანბანი არისო? მკითხეს. არის მეთქი. ამას ყველა დაისწავლისო, ჩვენში ქალები სულ ქართულად კითხულობენო. იქ სკოლებიც არსებობს: სავაჟო და საქალო. ყველგან მოლები და ხოჯები ასწავლიან. ქალების სკოლას „მექეთეს“ ემახიან. აქ მასწავლებლად არიან ბებერი ხოჯები და მოლები. ყმაწვილებს თათრულსა და არაბულს ასწავლიან. ქალებს ძალიან აფანატიკოსებენ, ისე რომ პარასკეობით ესენი მთელს დღეს სულ „ყურანს“ კითხულობენ.

სხვათა შორის აქ არის მასწავლებლად ერთი ქართველი ხოჯა, გვარად ალი ეფენდი ბოხიძე, სტამბოლის რუმტიაში გაზრდილი.

5) ფლათანა 50 კომ.

7) გერესონი 60 კომ.

8) უნია 800 კომ.; აქ სასწავლებელიც აქვთ. ამ სასწავლებელში სწავლა სამს წელიწადს გრძელდება. ჯერ მოლები ასწავლიან და ბოლოს ერის კაცები. სწავლის შესრულების შემდეგ სტამბოლის რუმტიაში მიდიან, სადაც სამს წელიწადს რჩებიან. აქედემ ზოგნი სასულიერო კაცებად გამოდიან და ზოგნი სხვა და სხვათ.

9) იასონი 60 კომ.

10) ონა 100 კომ.

11) ბოლმანი 50 კომ.

12) ფაცა 400 კომ. მედრესეები აქვთ.

13) ჩარშამბა 10 კომ.

14) სამსონი 200 კომ.

15) დიარ-ბექირს 100 კომ.

16) თერბი 17კომ.

17) კუნჯულას 60 კომ.

18) კიზილ იარმარქს 100 კომ.

19) გეძეზეს 50 კომ.

20) სინაფს 50 კომ.

21) აიანჯუქს 100 კომ. აქ აჭარიდგან გადასულნი არიან.

22) ვართენეს 50 კომ.

23) ალაშენ 301 კომ. და სხვანიც მრავალნი. მარტო

აქ სცხოვრობენ ის ქართველნი, რომელნიც ხემპერ ალა ფაშის მეცადინეობით გადასახლებულან ოსმალეთში.

ყველა ამსოფლებში მუსულმან ქართველები სცხოვრობენ. ამათი სახალხო ენა შინა და გარეთ ქართული ენა არის, ლხინი და ტირილიც ქართულად აქვსთ. ბევრს სოფელს ქართული სახელები უწოდეს. ზემოთ ჩამოთვლილნი კი მათზე ადრეც ყოფილან და იმიტომ თათრული სახელები აქვსთ. ყველა სოფლებს თავის ჯამე აქვს და მოლა, ხოჯები ჰყავთ. მედრესეებიც აქვთ, სწავლა თათრულსა და არაბულს ენებზეა და ამიტომ პატარა ბავშვებს ქართული ავიწყდებათ. ამათი ყადებიც

ქართველ მაჰმადიანები არიან. ესენი ქართულად არჩევენ საქმეს. ამათში ქართული კითხვაც ბევრმა იცის, საქართველოში თავიანთ ნათესავებს ქართულად სწერენ წერილებს და საქართველოდამაც ქართულად მისდით წერილები. ამ ქართველებისაგან აქაურს ერთს მაჰმადიანს გულაღა-კაკაცოლის წერილი მოსვლია, რომლითაც ისინი ეხვეწებიან და ევედრებიან, რომ ეგების ქართული წიგნები მოგვაწოდოთო. ამას წინათაც გაუგზავნია იმათთვის ქართული წიგნები და ეხლაც ამიტომ უთხოვნიათ ამისგან. მე გადავეცი ამას მათებური ლექსები ანზანი-თურთ 200 წიგნი გასაგზავნად. ამათ ნაწერი ქართული წერილებიც ვნახე. ქართულს ასოებს ზოგს არაბულის ასოების სახე მიუღია. ნიმუშები შევკრიბე. ამ ხალხში რომ დღევანდელ დღემდე ქართული წერა-კითხვა და ენა შენახულა, ეს ბევრის მაგალითით მტკიცდება.

ამ დღეებში ერთს ჩემს ნაცნობს მოლასთან, ჰუსეინ-ეფენდი წითლანძესთან ვიყავი. ამასთან ერთმა ქართველ მაჰმადიანმა წერილი მოიტანა და თათრულად ადრესის დაწერა სთხოვა. მოლამ დაუწერა; ქართულად ლაპარაკობდნენ. მე ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა და წერილის პატრონს ვკითხე, თუ წერილს სად გზავნი მეთქი? მიპასუხა, რომ სტამბოლში ცოლ-შვილს უგზავნიო. წერილი როგორ არის დაწერილი მეთქი? იმან მიპასუხა, ქართულადო. მეორე ხოჯასთან ვნახე რამდენიმე ქართული წერილი, ოსმალეთში გასაგზავნი და ადრესის დასაწერად მოტანილი. ვისაც უნდა, რომ ამაზე დარწმუნდეს, ის დარჩეს ვინმე ქართველ ხოჯასთან ერთს ან ორ კვირას, იგი მაშინ დარწმუნდება ამაზე, რადგანაც ნახავს რომ მრავალი სხვა და სხვა პირები მოიტანენ ქართულად დაწერილ წერილებს ადრესების დასაწერად.

შავშეთი და აჭარაში შეკრებილი ცნობები 1892 წ.

ქართველ მაჰმადიანების გარდასახლებისათვის წაქეზება თითქმის იმ დღიდან დაიწყო, როცა ოსმალეთის საქართველოს ნაწილი შეერთებული არ იყო. შეერთების დღიდან ხომ მრავალთ ფანატიკ ხოჯებს და მოლებს გაეხსნათ გზა და კვალი და იგინი თავგადადებით იღვწოდნენ ქართველ მაჰმადიანთა აყრასა და გადასახლებაზედ ოსმალეთის სამფლობელო ადგილებში. ამისათვის ოსმალეთში ოსმალურს ენაზედ აუარებელს პროკლამაციებსაც კი ბეჭდავდნენ და ჩუმად უგზავნიდნენ აჭარელებს და აქეზებდნენ გარდასახლებაზედ. დაკავშირების უმაღლვე აჭარელებმა მოკრიბეს რამდენიმე კაცი, ბარე ოცამდე, აუღეს მათ რუსეთის პასპორტი და ოსმალეთში გაგზავნეს ადგილების საშოვნელად. ეს ხალხი იქ რამდენიმე ხანს დარჩენ და მერე საქართველოში მოვიდნენ თათრის პასპორ-

ტებით და ისურვეს თავიანთ სახლობის წაყვანაც. ამ პირებს მოუტანიათ ცნობები და უთქვამთ ქართველებისათვის, რომ „ჩვენ კაი ადგილებს გვაძლევენ ანატოლიისაკენაო. ანატოლიის ადგილები საქართველოს ჰგავს და აბა ეცადეთ აიყარენით დხ წამოდით იქითო.

ამ გარემოებამ დიდი შიში დაბადა ქართველ მაჰმადიანთა გარდასახლებაზედ. ასახლებდნენ მრავალთ და აქეზებდნენ ალი ფაშა თავდგირიძე, ქემალ ფაშა ხიმშიაშვილი და მრავალიც სხვანი. ოსმალეთში წასულ 20 კაციდამ საქართველოში მხოლოდ ჩვიდმეტი კაცი დაბრუნდა, სამი იქ დარჩა და ვითომც ადგილებს უმზადებდენ წამსვლელთ. ამ პირებს აჭარებდნენ საგზავო ფულიც კი მისცეს. ამ წამხალისებელთ დაბრუნების შემდეგ მართლაც დაიდრა ქართველ მაჰმადიანთა რიცხვი და დაიწყო გარდასახლებაც.

ასე და ამ გვარად, ჩვენ ქართველ მაჰმადიანთ გარდასახლების პირველ დროთ 1877 წელი უნდა აღვნიშნოთ. ესე იგი ომის დაწყებიდანვე. ამიდამ იწყება ჩვენი ტომის შვილთა დაქსაქსვის საქმე და იგი გრძელდება თვით ჩვენ დრომდის. 1877 წლიდამ მოკიდებული არ გასულა წელიწადი და თვე, რომ ქართველ მაჰმადიანები საქართველოდამ არ აყრილიყვნენ და არ გარდასახლებულიყვენ აშკარად და ან მალვით. ამის სრული მაგალითია 1901 წელი. ამ დროსაც კი შავშეთიდამ უჩუმრად ოსმალეთში გადასახლდენ 800 კაცამდე, ჩუმად, ისე რომ მათი გზაც არავინ იცოდა. ამ საქმის გამო დააპატიმრეს შავშეთის სოფლების შვიდი მამასახლისი. გარდასახლებულნი ისე წავიდნენ, რომ თან წაიღეს მარტოდ ლოგინი და ტანთ საცმელი, სხვა ყოველივე საქონელი და ქონები ადგილობრივ დასტოვეს უპატრონოდ. ამ გარემოებამ დიდი ალიაქოთი ასტეხა ადგილობრივ მთავრობის წინაშე და გამოძიება დაიწყეს. არავინ რა იცოდა, თუ რა იყო ამის მიზეზი, რამ აიძულა შავშელები რომ ასე დაყარეს თავიანთი ყოველივე სარჩო-საბადებელი და ოსმალეთში გაიქცნენ. ამ გარემოებას რუსის უმაღლესმა მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და სხვათა შორის მეც კი მკითხეს მიზეზები გარდასახლებისა. ამის შესახებ მე ასეთი ცნობა მივე:

თქვენი მოხელენი ისე უჭირებენ საქმეს, ისე აწვალებენ, ისე სტანჯავენ და ხშირად უშვერის სიტყვებითაც ლანძლავენ, რასაც შავშელები ერთობ ერიდებიან და ამიტომ ყოველივეს სტოვებენ აქ ოხრად; ოღონდ აქაურობას მოშორდნენ და წავიდნენ იქით, სადაც მათ ამ გვარ შემარცხვენი შევიწროება არ ექმნებათ. ეს მე ფაქტებით დავასახელე. დავასახელე ყველა ის მექრთამე და გაიძვერა მდიდარ მოხელენი, როგორც იყო შავშეთის უფროსი და ამ გვარები, ესენი, რომელნიც ხალხს თვით ცოლს და ქალებსაც კი აგინებდნენ, რაც იმა-

თში ერთობ დასაძრახისია. მოხსენებას ყურადღება მიექცა და შემდეგ რა განკარგულება იქმნა ამისი, მე არა ვიცი რა. ჩვენ მივიდეთ ისევ 1878 წ. გარდასახლების ცნობებზე და ავსუსხოთ ის, თუ ამ უბედურების წყალობით რამოდოლი სიმშილი და მსხვერპლი დაიბადა და მომავალში რა დიდი ცრემლები მოჰყვა ქართველ მაჰმადიანთა.

ამავ წლის გაზ. „დროების“ 24 №-ში დაიბეჭდა წერილი „ავარა ლივანის აჯანყებაზე“. წერილში მოთავსებული მიზეზებია არეულობისა და დასაწყისშივე სწერს, რომ „არეულობის მეორე მიზეზი ის არის, რომ ოსმალეთიდან გამდომიან ისეთი ამაგულიანებელი კაცები, რომელნიც ხალხს უქადაგებენ გადასახლებასაო“. ეს წერილი ეკუთვნის ჩვენს ამაგდარ მოღვაწე გ. წერეთელს და იგი წერილი გამსჭვალულია აჭარელთა სიყვარულით და მაღალის ზნეობრივის ღირსების ვალდებულებით. ამბობს იგივე: ნაომარ ხალხს ნუ გადახდევინებთ ხარჯს, მოსპეთ მათში შიმშილი და მოისპობა გარდასახლებაცო“. 35 № „დროებაში“ აწერილია მიზეზები გარდასახლების: პირველი მიზეზი მოღების ფანატიკური ქადაგება არის. მეორე ბეგები და ალიები, რომელნიც ავიწროებენ ხალხს, ესენივე აქეზებენ ხალხსო, ესენი არიან აჭარის ბეგები ხიმშიაშვილები, ქობულეთის თავდგირიძენი და მათთან ტრაპიზონის ფაშა ოსმანი, რომელიც წინამძღოლობს აჭაურ ხალხს და ალეღებს. არიან ბერები ბეჟან ოღლი ჩაქვისა, მაჭახლისა კვიტაძე – წულუკიძეები სულეიმან ბეგ და ალი ბეგი. ამათაც უქეზებიათ. მესამე მიზეზი ახალ დროის გადასახადის ვერ ატანა და მეოთხეც მეტის მეტი ფანატიკობით აღსრულება ისლამისაო. შემდეგ მოჰყავს ამ პირს ეს ამბავი:

მაჭახლური ქალების ამბავი. მოთავსებული ამავ გაზეთში მაჭახლიდამ.

მთელის მაჭახლის ქალების სურვილი ის არის ეხლა, რომ ქრმებს ხელი შეუშალონ წასვლაზედ. დიდი მოძრაობა ამასობაში, იყრებიან მეზობლები ერთმანერთში და თათბირობენ. გამოვა ერთი ქალი ჩადრ დახურული, უქნევს ხელს მეორეს, მეორე მესამეს და ესევე სხვანი. ლაპარაკობენ მასზედ, თუ როგორ მოახერხონ, რომ თავიანთ ქრმები არ გაუშვან ოსმალეთში გადასვლაზედ. ქალები პირდაპირ აცხადებენ უარს, თუ ჩემი ქმარი არ დაიშლის წასვლას, მერე მე არ დავუდგები. თუ ძალით ითხოვა ჩემი წაყვანა, მე მაშინათვე მთავრობას მივმართავ და დახმარებას ვითხოვო. არ გავყვებიო. თუ ძალა იხმარა და მაშინ ჭოროხში დავიხრჩობ თავსაო. ასე მაგრა მდგარან მაჭახლის ქალები გარდასახლებაზედ, მაგრამ გავიდა მცირე დრო და მოღების და ხოჯების წყალობით

კაცებმა დასძლიეს ქალებს და მთელი მაჭახელი გარდასახლდა ოსმალში და მით დაიღუპა ყოველივე საყოველთაოდ.

ამავე დროს არტაანიდამ (არდაგანი) ოთხი ქართველთ მოწინავე პირნი ჩამოვიდნენ თფილისში და მთავარ მართებელს სთხოვდნენ: რადგანაც გავლილ ომისაგან დაზიანებულნი ვართო, ამიტომ რამდონიმე წელს ხარჯს ნუ გადაგვახდევინებთო. საუბედუროდ იქაური ჩინოვნიკებიც ვერ ექცევიან ამათ კარგად. თუ არ გინდათ, მაშინ წადით აქედამ, ეს ადგილი ჩვენ გვინდაო. ამით იგინი სტეხდნენ დიდს ბოროტებას და ხალხის დაღუპვის გარდასახლებასაო. ამითი სარგებლობდენ მოლეები და აქა იქ სოფლებში დამვრებიან და ხალხს ურჩევენ წასვლასაო. შემნიშნავი შიშობს, ვაი თუ არ დააკმაყოფილონ და მის მერე დიდად სამწუხარო იქნება, თუ ჩვენი ხალხის საუკეთესო, ცოცხალი და მოძრავი შვილნი, როგორიც არიან აჭარელნი, შავშელნი და სხვანი, იძულებული შიქმნენ, რომ აქედამ გადასახლდნენ.

ქართველ მაჰმადიანებს ერთის მხრით ის გარემოებაც აშინებდა წამქეზებელთა სიტყვით, რომ 1878 წ. რუს-ოსმალს მორიგების ბერლინის კონგრესის 7 მუხლი შეეხება ოსმალს იმ ადგილების მცხოვრებთ, რომელთაც იგი რუსეთს დაუთმობდა. ამ დათმობილ ადგილების მცხოვრებთ სამი წელი აქვდათ ვადა, რომ ამ წლის განმავლობაში გაჰყიდონ ყოველივე მოძრავი თუ უძრავი და მის მერე გარდასახლდნენო. თუ ამ ხნის განმავლობაში ეს ვერ მოახერხეს და აქ დარჩნენ, მაშინ ისინი აქაურ მცხოვრებლებად ჩაითვლებიანო, ესე იგი რუსეთის. ეს გარემოებაც დიდათ აშინებდა ქართველ მაჰმადიანებს, ფიქრობდნენ, რომ ვაი თუ სამი წელ გავიდეს, მერე აქედამ აღარ გაგვიშონ გადასახლებლად და აქ დავიღუპოთო. ამას რასაკვირველია მოლეები და ხოჯებიც აზვიადებდნენ და ათას ნაირი ჭორებით რთავდნენ.

აჭარელების არეულობის დადინჯების შემდეგ აჭარიდამ რამდენიმე კაცი ეწვია ბათუმის გუბერნატორს და აუწყეს, თქვენ ხარჯი შეგვისუმბუქეთ, შეგვაძლებინეთ, რომ ცხოვრება მოვაწყოთ და მაშინ გადასახლებაზედ არავინ რას იფიქრებსო. ისიც კი სთქვეს, რომ აჭარელნი მშვიდნი და წყნარნი არიან, მათ ვერავინ ააღელვებს და ვერც ოსმან ფაშა ტრაბიზონისა, თუ თქვენ ხალხს შეაძლებინებთ თავის მიწაზე დაარჩენას და ცხოვრებასო. უფროსმა პირობა მისცა, ყველაფერს აგისრულებთო. 1879 წ. გაზეთ „კავკაზს“ მოსვლია ცნობა, რომლითაც სჩანს შემდეგი: აჭარის სამს ნაწილში ზემო და ქვეშო აჭარაში და მაჭახელში დაახლოვებით ექვს ათას კომლამდე ითვლება, აჭარიდამ არც ერთი კომლი არ გადასახლებულა; მხოლოდ ორმა მოსახლემ გამოაცხადა სურვილი გადასახლების. ქვედა-

აჭარიდამ და მაჭახელიდამ რვა ას კომლმა გამოაცხადა გადასახლების სურვილი და ზოგიერთი კიდევ წავიდნენ, მაგრამ ამ რიცხვიდამ დაბრუნდნენ. ამ გარდასახლების მიზეზი ოსმან ფაშა თავდგირიძეა. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს გარდასახლებამ იკლო" და სხვანი.

ეს ცნობები მოცემულია იმ დროის ბათუმის უფროსის სტეფანოვისაგან, ვინც ქართველ მაჰმადიანებს ოსმალეთში ცოცხით ელალებოდა და ვინც ამით კაი სიმდიდრეც შეიძინა. ვიტყვით, რომ ზემოდ დასახლებულ ქვედა აჭარის და მაჭახელის 6000 სიცრუე არის და ამის მაგიერ ჩვენ უნდა მივიღოთ სამჯერ იმდენიც კი, რაგანაც მართოდ მაჭახალიდამ ოსმალეთში წავიდა 30,000 სული ორივე სქესის. ამის ცნობა იმ დროს ჩვენს მთავრობას სისწორით არ შეეძლოთ მოეცად. 120 №-ს „დროებაში“ მოყვანლია შემდეგი ცნობა:

„ამბობენ რომ თითქმის მომეტებული ნაწილი ახალ შემოერთებულ ქართველ მაჰმადიანების გარდასახლებას იპირობენო. ამ უკანასკნელ დროს უკვე დაიწყეს გარდასახლებაცა. ამბობენ, რომ ჯერ გადასახლებულნი სახლდებიან ტრაპიზონში და იქიდან ორს ან ხუთს მოსახლეს სხვა და სხვა სოფლებში სტუმარსავებ აძლევენო. ერთად საცხოვრებელი არაფერი ადგილი მიუციათ ჯერაო. ეს მითაა უფრო სამწუხარო, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში, როგორც ერთია სარწმუნოება, მაშინ ერთიან გვაროვნობა და დედა ენაც დაავიწყდებათ და ჩვენი მოძმე ქართველები გახდებიან ერთ დროს მაჰმადის მტკიცე ანგელოზებად. მოგეხსენებათ რომ, როდესაც ხალხს ამნაირი უძლური ბედი მიადგება, რომ იძულებული შეიქნება თავის სამშობლო მიატოვოს და გარდაიხვეწოს უცხო ქვეყანაში, მაშინ სხვაა, როცა ერთი მუჭა ხალხის კავშირი არ იქნება ერთმანეთისაგან, მაშინ იმათ ახსოვსთ, რომ ერთ დროს ისინი ეკუთვნოდნენ ერთ გვაროვნობას და იმდენად მაშინ ფანატიზმი ვერ იმოქმედებს, რომ გვაროვნობის გახსენება საზიზღრად მიაჩნდეთ.

საუბედუროდ, მოსპობილნი ბევრნაირ საშუალებასა ჩვენ დაგვრჩენია რამდენიმედა შესაძლებელი საშუალება, რომლითაც დარჩენილებს შემდეგისათვის არ ვაფიქრებინებთ მაინც გადასახლებას და როდესაც გადასახლებულნიც დაინახვენ, რომ იმათ უთაური თათრის ხელში ჩერქეზების დღე დაადგებათ, მაშინ დაუჯერებელი არაფერი იქნება, რომ იმ გადასახლებულებმა კიდევ პირი თავიანთ სამშობლოსაკენ მოიქციონ. ამ საშუალების უპირველესი გახლავსთ, რომ მთავრობამ ინებოს რამდენიმე ხნით გადასახადის პატივება" და სხვანი.

ამ წერილის შემდეგიც საინტერესოა, ხოლო იგი გარდასახლების უმთავრეს მიზეზს არ ეხება და ამიტომ იგი აქ არც მოგვყავს. იმავე დროს, 141 №-ში დაიბეჭდა წერილი

მაჭახლის უფროსის თ. დ. წ. ეს წ. ძმა გახლდათ ჩვენის მგოსნის აკაკის და მასთანვე თაღლითი კაცი, ძმის არა მსგავსი, სამხედრო პირი და დიდი გაიძვერა-გაქლესილი, ნაპრის-ტავ-ნადიამბეგი, რომელმაც თავის მოქმედებით მაჭახელი შააწუხა და ამიტომ რასაც აქ მოვიყვანთ, ეს სულ თაღლითი გახლავსთ და აშენებული მასზედ, რომ ქართველ მაჰმადიანებს აჭარაში არაფერი უჭირსთ და რომ ისინი კარგს მდგომარეობაში არიან, ნამეტურ მაჭახელნი, სადაც თვით ეს უფროსი სცხოვრობდა. სხვათა შორის ზემო ხსენებულზე თ. დ. ნ. საყვედურს აძლევს სხვა და სხვა ცნობების დამწერთ მასზედ, რომ იგინი მთლად სტყუიან, რომელნიც სწერენ და ამბობენ, რომ მთელს აჭარიდამ 60 ათასი კომლი გადასახლდაო. მთელს ბათუმის გუბერნიაში 40 ათასი კომლიც არ სცხოვრობს და 60 ათასი საიდან გაჩნდაო. აი თვით ამ ბატონის ცნობაც.

„აჭარის მაზრა გაიყოფა ორად, ზემო აჭარა და ქვემო აჭარა და იმავე მაზრაში შედის მაჭახელი. აჭარა კი არა, მთელ ბათუმის გუბერნიაში არ არის 40,000 მოსახლე მეტი და აჭარის მაზრიდამ 60,000 კომლი ესახლებაო! თუ ნაჩაღნიკები დანაშაულნი არიან გადასახლებაში, რაღათ მოდიან უკანვე ჩუმად. ყველა ჩოხიანი და სერთუკიანი მათი ბატონიაო. ვინც გადაესახლა და ესახლებიან, მგონი რომ მათი ნაჩაღნიკები არც ჩოხიანი იყოს და არც სერთუკიანი, არამედ მოკლე ოსმალურ ტანისამოსიანი“.

ამ წერილის დამწერი ამბობს, რომ ვინც გადასახლდნენ, იმათი უფროსები სულ ქართველ მაჰმადიანები არიანო. ასე რომ იმათი უფროსების ბრალია და არა ჩვენიო. ამაში სცდება დიდათ და კარგად ვიცით, რომ იგი უჯეროდ იცავს თავის პიროვნებას და აშავებს ქართველ მაჰმადიანთ ისეთ უფროსებს, რომელთაც არამც თუ გარდასახლებისთვის წაქეზება, არამედ სასტიკად აფრთხილებდნენ მათ, რომ ბიჭო, ნუ მიხვალთ, ნუ იყრებით, თორემ დაიღუპებითო. ასეთი გახლდათ აჭარის უფროსი ტუჰამ ბეგი შარუშიძე და მარადიდ-გონიოსი ახმედ ეფენდი ხალვაში. თ. დ. ნ. სტყუის და თავის ტყუილებს რომ ჰვარავს, ეს სჩანს მის შედეგ ცნობებიდანაც.

„ზემო აჭარის ნაჩაღნიკათ არის ნიკო მეფისოვი, ქვემო აჭარაში ადგილობრივ ბეგი ტუფან ბეგი და მაჭახელში თქვენნი მორჩილი მონა. გადაესახლა უმრავლესობა ქვემო აჭარიდამ და რამდენიმე პირი აპირებს წასვლას ზემო აჭარიდამ“. ესე იგი წასულან იმ აჭარიდამ ქართველ მაჰმადიანები, სადაც ტუჰამ ბეგი ყოფილა გამგედ – ქართველ მაჰმადიანის შემდეგ ამბობს კვალად – „მაჭახლიდამ გადაესახლა ერთი კომლი, ისიც იმისათვის, რომ სული ბეგი კვირიტაძე-წულუკიძე დეპუტატად იყო გაგზავნილი თფილისში, და ხალხში დიდი ხმა დაუვარდა.“

რუსები ბატონობას აძლევენო. სული-ბეგი გულ დაწყვეტილი იყო – რისთვის არა რა მომცესო და ხალხი უჯეროდა ყოველ მის სიტყვას: რუსის ყირალი უნახავსო და დაუჯერედ სიტყვა". აქაც გარდასახლების ბრალი მაჭახლის ბეგს კვირტა-მე-წულუკიძეს ედება, ამის სიტყვა სჯეროდა ხალხს თურმე და მიტომ გადასახლდნენ. თვით კი ეს უფროსი და მის ამხანაგები კი ქართველ მაჰმადიანთ ერთგულები ყოფილან. შემდეგ მოჰყავს „აჭარის აღმართიდან სამოც კომლმა აილო ბილეთი და ყველა დაბრუნდა ბათუმიდამ, გარდა ათი კომლისა. სოფ. ქვაბის თავიდან ერთმა მუფთმა წაიყვანა თუ-თხმეტი კომლი. სხვა და სხვა სოფლებიდგან თითო ოროლ-კომლი, სულ ოცდა ხუთი კომლამდე. ეს გახლავსთ სულ. მაჭახელის მაზრიდან ოთხმოცდა ათი კომლი წავიდა. ეხლა ამა-თაც სანანებლად აქვთ წასვლა და აღარავინ მიდის და ან რა მიზეზებით წავიდნენ, ყველას დაწვრილებით გაცნობებთ. მიზეზი ის იყო, რომ არ ვიწერებოდი იმ არეულობაზედ, სანამ მოძრაობა დაიწყებოდა წასვლისა. დღეს ღვთის წყალობით აზრი შეიცვალეს. შემდეგში მაინც გამოჩნდება – ვინ არის დამნაშავე".

დიახ ყოველივე გამოჩნდა შემდეგ. პირველი: ჩვენი მთა-ერობის მოხელენი აწუხებდნენ და უტატანებდნენ საბრალო ქართველ მაჰმადიანებს, უყვიროდნენ წადით, დაიკარგეთო. ამით სარგებლობდნენ ფანატიკი ხოჯები, მოლები, და ესენი უქადაგებდნენ გარდასახლებას და უკანასკნელ იქამდის მივიდა საქმე, რომ მთელი მაჭახელი აიყარა და წავიდა ოსმალეთში და არა ოთხმოცდა ათი კომლი, როგორც ამბობს ზემოხსენებული მოხელე. ეს რომ ასე მოხდა და მაჭახლიდამ წავიდა დიდი ძალი ხალხი, ამას ამტკიცებს მაჭახლის სოფლებში მრავალ ალაგას აქა იქ დაშთენილი ნასახლარები. უფრო უკეთესად ეს ამბები ხალხმა იცის. თვით ისინი ლაპარაკობენ მასზედ, თუ რამოდოლა ქართველობა წავიდა ოსმალში ამავე წლის 145 №-ში გაზ. „დროებისა“ იძლევა შემდეგ ცნობებს. ეს რასაკვირველია გამოკრებილია ოფიციალურ გაზეთ „კავკაზიდან".

„აჭარელების გადასახლების ცნობაზედ გაზ. „კავკაზის" უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ოფიციალური შენიშვნა იქაურის მაზრის უფროსისაგან: ამ უკანასკნელ დროს შეკრებილის ცნობებიდან სჩანს, რომ აჭარის მაზრაში ე. ი. ზემო და ქვემო აჭარაში და მაჭახელაში ითვლება სულ 5458 კომლი. კამელარული აღწერა ჯერ აქ არ მომხდარა და ამ სამი წლის განმავლობაში ვგონებ არც მოხდება.

ამ რიცხვში ოსმალეთში გადასახლება ისურვეს ზემო აჭარიდან 16 კომლმა და ქვემო აჭარიდან 1115 კომლმა. ამათში 889 კომლმა მიიღო გადასახლების მოწმობა! დანარჩენი 216 კომლმა არ ისარგებლა იმათთვის დამზადებულ ბილეთებით.

არავინ არ გამოცხადდა ბილეთების მისაღებად. მაქახლიდამ 279 კომლმა მიიღო მოწმობა, მაგრამ იმათში მხოლოდ 90 კომლი გადასახლდა, დანარჩენი 189 კომლი აღარ მიდიან.

ამასთანავე საჭიროა შევნიშოთ, რომ ხშირად ერთი ოჯახიდან ორი და სამი კაცი მიდიან ბილეთების მისაღებად, რადგან ამნაირად იმედი აქვს, რომ ოსმალს ბილეთების დაგვარად უფრო მომეტებულ სამოსახლო ადგილს მიიღებენ; მაშასადამე გადასახლებულების რიცხვი ნაკლები უნდა იყოს. ზოგი ერთი დაბრუნებულები ამბობენ, რომ გადასახლებულ ხალხი დიდს გაჭირებაში არიანო. ოსმალს მთავრობა იმათ არავითარ მიწას და შემწეობას არ აძლევსო და ამის გამო ბევრი უკან მოვა ისევაო. მიზეზი ამ ხალხის გადასახლებისა იყო ქვემო აჭარელ სოფელ ქედის მცხოვრებთ ოსმან ფაშა თავდგირიძე. რაღაც დიდი ადმინისტრაციული თანამდებობა აქვს ტრაპიზონისკენ, ამის მომხრეები უქადაგებდნენ და აგონებდნენ ხალხს, რომ რუსები იმათ სალდათად გაიყვანენ, რომ ცოლების დამალვა რუსების კანონით აღარ შეიძლება, რომ ძალად მოაქრისტიანებნო ამათ და სხ. მაგრამ ახლა ხალხი ცოტ-ცოტათი ხედავს, რომ ეს მქადაგებლები ატყუებენ მათ და ამის გამო აღარ მიდიან, სოფლის მუშაობას ჰკიდებენ ხელს".

თუმცა ასე ტკილად ბრძანებს ბათუმის უფროსი, რომ აღარავინ მიდისო, ვინც წავიდნენ ისინიც უკან მოდიანო, მაგრამ საქმე ასე არ გახლავს, შემდეგ უფრო ბევრი წავიდა და იგინი ერთის მხრით მქადაგებელ მოლებს და ხოჯებს ნებასაც კი აძლევდნენ რომ ამათ ექადაგნათ მათში გადასახლების სასარგებლოდ. ესენი ქადაგებდნენ კიდევ და შეშინებულ ხალხს ჩვენის მოხელეების წყალობით ცხვრის ფარასავებ მიერეკებოდნენ უცხო ადგილებს. ამათივე წყალობა გახლდათ და ამავე დროს ყარსის მხრიდანაც დაიდრა ქართველ მაჰმადიანები და წავიდა ოსმალეთის ადგილებში. ამის შესახებ იმ დროის ერთს რუსულ გაზეთ „რუსკი პრავდაში“ დაიბეჭდა წერილი ყარსიდან მოწერილი, სადაც დამწერი ერთ ალაგას ასე ლაპარაკობს.

ყარსის ქართველ მაჰმადიანთ გადასახლების გამო.

„უეჭველია, რომ ამ ჩვენ ახლად შეძენილ მაზრებიდამ ადგილობრივ მცხოვრებლები – მაჰმადიანები მიდიან ოსმალეთში, მიდიან თითო ოროლა კი არა, არამედ რამდენიმე **ასი და ათასი** ოჯახობით ერთად. რა არის ამის მიზეზი? ახალი მთავრობის დამკვიდრებით ამათი ცხოვრება ძირიანად შეიცვალა, მაგრამ გადასახლება ამით არ აიხსნება. აქაურ მაჰმადიანები მშვიდობიანი, მიწის მომუშავეა და შრომის მოყვარე

ხალხია. ერთმა რუსის აფიცერმა, რომელმაც კარგად იცის ამ ხალხის ხასიათი, მითხრა:

„ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ხალხი მიდის აქედამ. ამათანა ხალხი ძნელად მოიპოვება; თუ კი მთავრობა წესიერად და კაცურად მოეპყრობა მათ, რაც უნდათ იმას გააკეთებინეს. ერთმა განათლებულმა მაჰმადიანმაც თითქმის ესევე მითხრა და მასთანვე დაუმატა: რომ აქაური მაჰმადიანები კმაყოფილი არიან რუსის მთავრობისაო. თუმცა არიან ისეთი ჩინოვნიკებიც, რომელთაც თითქმის უხარიანთ ამ ხალხის წასვლაო, მაგრამ მე ვიცი, რომ თვით მთავრობას კი ეს არა სურს ასეც. მაშ რა არის მიზეზი გარდასახლებისა“ რისგან არის, რომ საუკუნოებით თავის მამულს და მიწა-წყალს მიჩვეული ხალხი ეთხოვება ამ ქვეყანას, ჰკოცნის თავის სახლის კედლებს, თვითეულ ხეს თავის ბაღისას და ისე ტირილით გულ-მოკლული სტოვებს ყველა ამას?

ჩემის აზრით, გადასახლების მიზეზები ეხლანდელ გარემოებათა არ უნდა მიეწეროს, არამედ ისტორიულად ამ მაჰმადიანთა გულში ჩანერგილ რწმუნებას, რომ „გიაურები“ ამათი მტრები არიან, რომ რუსები დღეს თუ არა, ხვალ დაუწყებენ მათ წვალებასა და შევიწროებასა და სხვ. განსაკუთრებით აშინებენ ამათ იმით, რომ ჩვენი მთავრობა იმათ სალდათად გამოიყვანს, რომ შინაურული ცოლქმრული ამათი ადათი მოისპობა და სხ. ეშინიათ კიდევ სომხების შურის ძიებისა და დევნისა. ერთის სიტყვით, ეშინიანთ მომავლის ცხოვრების და არა ეხლანდელის პირობების.

რადა თქმა უნდა რუსეთისათვის ერთი ორად უფრო სასარგებლო იქნება, რომ ისევ ეს მკვიდრი ხალხი დარჩეს აქ. მოსული ხალხი, განსაკუთრებით სომხები, გაასწორებენ ქვეყანას, გამოსწოვენ ყველაფერს დარჩენილებს უკანასკნელ წვენს და წავლენ; და როცა წავლენ, დარწმუნებული იყავით, აქაურ დედა მიწას და ხეებს ტირილით არ გამოეთხოვებიან და არ აკოცებენ. რა გვეშველება ამ შემთხვევაში? რასაკვირველია, ძალდატანებით გაჩერება ხალხისა, რომელსაც გადასახლება სურს, არ შეიძლება, მაგრამ საჭიროა, რომ ჩვენ გავავრცელოთ ამ ხალხში ნამდვილი ცოდნა იმის – თუ რა განზრახვა აქვს ჩვენს მთავრობას, თუ რა კანონებია ჩვენი კანონები, რომ იმათ სარწმუნოებისა და არც მონურ ცხოვრების არავითარი შევიწროება და დევნა არ მოელოს და სხ. ამ გვარის საშუალებით შეიძლება ბევრის შეკავება.

თუმცა ზოგიერთი კეთილი პირნი ასე სჯიდნენ და სწერდნენ სხვა და სხვა ცნობებს, მაგრამ მაინც მით ვერავითარი ძალამო ვერსაიდამ რა მოევლინა და მთელს ყარსის მაზრიდამ რამდენიმე ხნის განმავლობაში აიყარა აუარებელი ხალხი და წავიდა ოსმალეთის სხვა და სხვა ადგილებში. ამ გადასახლებას

მეტად მწარე ისტორია აქვს. ხალხი თურმე თავის სახლის კედლებს და ქვებს ჰკოცნიდა, ისევე ბაღის ხეებს და ისე ცხარე ცრემლ მდენ მტირალი ეთხოვებოდა. ყარსის მაზრა ძველადგანვე ქართველების საკუთრება იყო. აქ სულ ქართველი ტომის ერი ესახლა. ეს ხალიხი ოსმალმა ისლამს დაუკავშირა XVIII საუკუნის განმავლობაში და რამდენიმე ხნის შემდეგ იქ ისე მძლავრად ამოქმედა თავისი ძალა, რომ ქართველმა სადღეისოდ დაკარგა თავის გვაროვნობა, ქართული ენა და თავისი ქვეყნის ისტორიის ცოდნა. მთელს ყარსის მაზრის ქართველთ მხოლოდ ისღა იცოდნენ ოდნავ, რომ მათი კუთხე გურჯისტანია და ოდესმე ისინიც ქართველები ყოფილან. ამათ ამის სამოწმებლად და მაგალითად ხდებიან ყარსის გუბერნიაში დაშთენილ ქართველთ დროების ძველში ნაშთები, ტაძრები, ხიდები, კოშკები და ბევრიც სხვა და სხვა რამ ქართული სახელ წოდებანი, მაგალითებრ სოფლის ქართული სახელები, მთების, ველების და სხვანი, რომელთაც სადღეისოდ ზოგს შერჩა თავის საკუთარი ქართული სახელი და ზოგს კი შეეცვალა ოსმალურზედ.

ასე დაემხო და მოისპო ყარსის მხარეში ქართველთა ხმა და მოგონება და ყოველივე გაოსმალდა – გადაგვარდა. სამწუხაროდ ამ უკანასკნელ დროს თავიანთ დაკარგულ საქართველოში აღარც გადაგვარებულ და დაკარგულ ქართველ მაჰმადიანები დაშთენ და უღმობელის ბედისაგან დასჯილნი შორს, უცხო ადგილებში გარდიხვეწნენ. ასე და ამ გვარად გაწყალდა და განახევრდა მთელი ეს ძველის ძველი ძირეული კუთხე საქართველოს მიწა-წყლისა. მთელს ამ კუთხის ქართველ მაჰმადიანებს ძალიან ბევრი ამბები ახსოვდათ ზეპირად თამარ მეფის შესახებ. იგინი ოსმალურის ენით მრავალ ცნობებს ლაპარაკობდნენ და ამ ქალს თავიანთ მეფედ აღიარებდნენ. ასე დასრულდა ქართველ ტომის და კვალის საქმე ყარსის მიდამოებში და ასე მოისპო საქართველოს ნასახი და ქართველთ ხსენება აქ.

ჩვენი მოხელეების ცნობა აჭარის მცხოვრებთა შესახებ რომ სუსტია, ამას აჩენს შემდეგი გარემოებაც: იმ დროის რუსის გაზეთ „გოლოსში“ გამოანგარიშებით დაბეჭდილი იყო ცნობა აჭარიდამ გადასახლებულთ შესახებ, სადაც მოყვანილია 3000 თუ 5000 ოჯახის აჭარლების სათათრეთში გადასახლება. ეს რიცხვი გაზეთს გამოუანგარიშებია და 3000-იდან 5000 ზედ მისულსა. ამის გამო გაზეთი სწერს ასე:

„ამათვის ჩინოვნიკები და ადმინისტრაციაც კი არ არის საჭირო. აქ უნდა იყვეს დამრიგებელი კაცი, და ხელმძღვანელი ხალხისა. როგორც ყველა მთის ხალხი, ესენი ერთსა და იმავე დროს ძალიან ლმობიერნი და მშვიდობიანად არიან და ძალიან ფიცხნიც. ეს წარმოსდგება გარემოებათაგან და იმ

ხალხისაგან, რომელიც იმას გარს არტყია, თუ რომ შეგვიძლიან რიგიანად მოექცეთ იმათ, თუ დაიმსახურებთ იმათ რწმუნებას, ისინი იქმნებიან კრავზე უმშვიდესნი და თავ-მდაბალნი. ამ დროს ისინი თქვენ ხელთ იქმნებიან, რაც გნებავთ აასრულებინეთ, ისინი თქვენი გამგონი და მიმყოფნი იქნებიან! მაგრამ თუ შეამცნიეს თქვენში რამე მრუდე მიმართულება, თუ ვერ გიცნეს ძმურად, თუ გაიგეს, რომ იმათ უყურებთ, როგორც ქვეშევრდომებს, – ნურაფერს კეთილს იმათგან ნულარ მოელით!.. თუ იგრძნეს თქვენი ძალა და თავიან სისუსტე, ეცდებიან გამშორდნენ და აი ამისათვის არის რომ ისინი მიდიან.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისინი რამდენიმე საუკუნე სცხოვრობდნენ დამოუკიდებლად, თავისუფლად. უნდა სახეში ვიქონიოთ, რომ იმათ არ ესმისთ არც თქვენი კანონები, არც თქვენი ხასიათები და არც მოთხოვნილებანი! აუხსენით ყველაფერი ესა, აჩვენეთ, დაარიგეთ, რომ ეს ასეა, ის ისეა; ეს შეუძლოა, ის არ არის შესაძლო, კანონის წიწააღმდეგია, – ერთი სიტყვით, მოექცეთ ტკბილად, ასწავლედ, გააგებინეთ ყველაფერი და დარწმუნებული იყავით, რომ ისინი გაიგებენ თქვენსას, გერწმუნებიან, როგორც კეთილის მყოფელს, როგორც ძმებს და მასწავლებლებს“ და სხვანი.

დამწერი მოუთხოვს საშუალებას, რომ მხოლოდ კარგის, ძმურის დარიგებით და პატივისცემით შეგვეძლება მათი დაკავება და მოვლაო, თორემ ჩვენ გაცის ვუყვირით, თათრები ხართ, წადით აქედამ, აქ ჩვენ ვიცი ვისაც დავასახლებთო. ამებს იხვევენ მათი წამქეზებლებიც ხელზედ, უქადებენ ამ ხალხს და აბრიყვებენ თავიანთ თავის დასაღუპად. ამას რაღა ფიქრი უნდა, რომ ეს ჭეშმარიტი ცნობა არის და კარგი შეხედულება. ჩვენ ბევრ ნაირს დარიგებას და თათბირებს ვწერდით და ვსთხზავდით და ბოროტ პირთა მეოხებით კი ქართველ მაჰმადიანთ გარდასახლება კი მაინც ჩუმად თუ აშკარად სწარმოებდა, მტერთ უსრულდებოდათ გულის წადილი და საქართველოს მიწიდან ქართველთ ტომის ძენი აქეთ იქით ნელ-ნელა იფანტებოდნენ, თავიანთ სამშობლოს ეღუპებოდნენ, იღუპებოდნენ თვით თავიანთ ოჯახისათვისაც. ბევრს დაღუპულს გული ვერ ემორჩილებოდა. იგი შორს არ მიდიოდა და სცდილობდა რუსეთის დაპყრობილ საქართველოს მახლობლად ოსმალეთის სამფლობელო მიწაზედ დამყარებულიყოს. ამის მაგალითია შემდეგი ცნობა, რომელიც ტრაპიზონში მყოფ ქართველთაგან არის მოთხრობილი და დაბეჭდილი. აი ცნობა.

როგორც გვესმის, ახალ შემოერთებულ საქართველოს ნაწილებიდან ოსმალეთში გადასახლებულნი ტრაპიზონის ახლო დაბინავებულან შემდეგ ადგილებში: ტრაპიზონსა და ხოფას

შუა: 1) იომურას, ტრაპიზონიდან აქედ პარახოტის ორი საათის სავალზედ. 2, სურმენეს, რვა საათის სავალზედ პარახოტით, 3, ოფს, თექვსმეტი საათის სავალზედ ტრაპიზონიდან ხმელეთით, 4) ირიზეს, 20 საათის სავალზედ ხმელეთით. 5, ათინას, 20 საათის სავალზედ ხმელეთით, 6, არხავეს და 7 ამათ ახლომახლო.

„როგორც ამბობენ, ამ შვიდ ადგილას და მის ახლომახლო სოფლებში სულ 5000 მოსახლეა. უმეტესნი ქართველები არიან. ამათგან ნამეტანი სახლობენ სურმენს, ირიზეს და ათინას, დანარჩენ ადგილებში ნაკლებად. ეს სულ, რაც მოვიხსენებდ ხსენებულ ადგილებს სახლობენ და რიცხვით, კომლზედ რომ ხუთი სული ვიანგარიშოდ, 25,000 სული მეტია, ტრაპიზონს იქით უნიემდის დასახლებულან შემდეგ ადგილებში და მის ახლო მახლო: 1, თირიპოლის, სამი საათის სავალი პარახოტით. 800 სული. 2, კირსენს, რვა საათის სავალი ტრაპიზონს იქით, 500 სული. 3, ორდუსს, ათი საათის სავალი ტრაპიზონს იქით და 4, უნიეს, 13 საათის სავალი. ორდუს და უნიეს ყველაზედ მომეტებულად დასახლებულან, მეტადრე უნიეს, 4,000 სული. ამ ოთხსავ ადგილას აჭარელები და მაჭახლები არიან. მხოლოდ უნიეს არიან ცოტა ქობულეთელები. ამგვარად ტრაპიზონს იქით სულ 50,000 სული იქმნება. სამწუხაროდ, უფრო ცუდი დღე ადგება მომეტებულ მოსახლეებს, რომელნიც უნიეს დასახლდნენ. ეხლა უნიედამ ორი დღის სავალზედ უნდა გადასახლონ ნოქსარს. სულ გადასახლებულთ რიცხვი თუ დერვიშ ფაშისაგან ძალით გაყვანილების და თუ ნება ყოფლობით წასულთ 7,800 მოსახლე არის, რაც ტრაპიზონის ახლო მახლოა.

„ამას გარდა ჭანეთში და ტრაპიზონის გარშემო გაფანტულნი არიან. უსახლობისა, ნაკლებულობისა და ჰაერის დაცდისაგან დიდს სიღარიბეში და ავადმყოფობაში არიან. ბევრს ყმაწვილები და დედაკაცობა დახოცვიათ. საზოგადოთ ძალიან მწუხარებაში არიანო და ამბობენ ნანობენ გაოასახლებასო. ოსმალს მთავრობას ვერაფერი შემწეობა ვერ მიუცია და ტრაპიზონის ფაშას საყვედური მისვლია, ამბობენ ზოგს უკან დაბრუნება უნდაო. მაგრამ გასვლისას ბევრს თავისის თუ სხვის შეცდომებით, ისეთი ბილეთები აუღიათ, რომ დაუბრუნებლად გავდივართო. ამ გარემოების გამოდ რუსისის მთავრობისა ეშინიანთ და დარჩენილან საცოდავად. როგორც ვიცით ბერლინის მორიგების ძალით, კიდევ ორ წელს აქვსთ ვადა, რომ უკან დაბრუნდნენ, თუნდ რომ დაუბრუნებული ბილეთიც აქვნდესთ აღებული. როგორც გვესმის, ჩვენში კიდევ გამოსულან და მთავრობას ნება მიუცია ძველ ბინაზედ დასახლებისა. სასურველია, რომ ჩვენმა მართველობამ განკარგულება მოახდინოს ხალხის საცნობლად. ძველს ბინაზედ დაბრუნებას

კარგი ზედ მოქმედება ექნება: ხალხი დამშვიდდება, დაწყნარდება და ოსმალს მოხელეების ტყუებას დაინახავს, მიწა-წყალს მოეკიდება და მშვიდობიანად ცხოვრებას და მამულის შემუშავებას მიეცემა".

თუმცა ჩვენ ასე ვფიქრობდით და ვიმედოვნებდით ქართველ მაჰმადიანთ უკან დაბრუნებაზე, მაგრამ საქმე ასე არ აღმოჩნდა. სწორედ ამ წერილის დაწერის დროს ზემოდ მოხსენებულ ადგილებში ქართველ მაჰმადიანთ რიცხვი ათას კომლობით გადავიდა. ზოგი წინეთ მისულებს დაუკავშირდა და მათთან დასახლდა, ზოგიც ვინ იცის, საით წავიდნენ, სად მოისპნენ უბედურად სილატაკის და ჰავის წყალობით. ხსენებული ადგილების ზოგი ჩვენ ზემოდ ავსუსხეთ და ამიტომ მათ აქ აღარ გავიმეორებთ. გადასახლებულთათვის ასეთი წესიც აქვდათ: პირველ გადასახლება იყო 1877 წ. მეორე გადასახლებულნი პირველად თავიანთ ნაცნობებთან დასახლდებოდნენ და აქედამ ეძებდნენ ადგილებს. მეორე: მესამე გადასახლებულთა რიცხვი მეორე გადასახლებულებთან ისადგურებდნენ და აქედამ ეძებდნენ ბინას. მეოთხე გადასახლებულთ მესამესთან ისადგურებდნენ და ასევეც სხვანი. ოსმალს ტომის ხალხთან კი ამათ არ უხერხდებოდათ ცხოვრება. ასე მიაშვეს ოსმალთად დაბრუნებულ აჭარელებმა 1894 წ.

გარდასახლებულთ ბედს და გარემოებას მეტად დიდს ყურადღებას აქცევდა იმ დროის ერთად ერთი ქართული გაზეთი „დროება“ და დიდათ ამაგდარი სერგეი მესხიც ერთობ ხშირად სწერდა აჭარელთ გადასახლებულების შესახებ. სერგეი მესხს ამით დიდი სამსახური მიუძღვის. ომის დროს ქობულეთში იმყოფებოდა და „დროებაში“ ამბებს სწერდა. შემდეგ ომის, აჭარელ დამშეულთ შეკრებილი ფულიც წაუღო დასარიგებლად მარადიდში, სადაც სამწუხაროდ აჭარელებს რუსი ეგონად და ნავში მოგზაურობის დროს ჭოროხში დამბაჩაც ესროლა ერთმა აჭარელმა. ტრაპიზონის ამ ამბების დროსვე გამოცხადდა ერთი ცნობა ადგილობრივ გაზეთებში ყარსის ნაწილის ფოცხოვის უფროსისაგან, რომ ფოცხოვის ხეობის ქართველ მაჰმადიანები, რომელნიც ოსმალეთში გადასახლდნენ, ეხლა ისევ უკან დაბრუნდნენ და მე არ ვიცი რა ვქნა, მივიღო ყველა ესენი თუ არაო. ამ გარემოებამ ადგილობრივ გაზეთებში კამათი და წერა გამოიწვია. სერგეი მესხმა 189 № -ში „დროებაში“ წერილი მიუძღვნა და გაახსენა მთავრობის მოხელეებს გარდასახლებულთ უკან დაბრუნების შესახებ შემდეგი:

„ბერლინის კონგრესის ძალით, ქართველ მაჰმადიანებს ნება აქვს, რომ სამი წლის განმავლობაში ან გადასახლდნენ და სხვაგან დაშინდნენ და ან შინ დაბრუნდნენ ისევე, თავიანთ შინა მამულზე დაბინავდნენ. ამის წესი დაკანონებულია კონ-

გრესისაგან. ოსმალეთის საქართველო კი რუსეთს შემოუერთდა 1878 წლის აგვისტოდამ, მაშასადამე, გადასახლებულთუ წამასვლელთ ორი წელიწადი აქვსთ თითქმის ვადა და ამიტომ ადგილობრივ მოხელენი აღარ უნდა შიშობდნენ, რომ გარდასახლებულნი უკანვე მიიღონ და თავიანთ მამულებზედ დაასახლონ, რადგანაც ამის კანონი ყველასათვის ცხადი არის და ამკარა“.

ფოცხოვი თავის მიდამოებით ახალციხესთან ახლო არის და ქართველ მაჰმადიანებისაგან შესდგება. ენა კი დაკარგული აქვნდათ იმ დროს, როცა იგინი შემოერთდნენ. ზოგს სოფელში კი ახსოვდათ ქართული ენა. საქართველოს ამბებს და ცნობებს ოსმალურის ენით საუბრობდნენ. ფოცხოვის და ქვაბლიანის ქართველებში ქართული ენა XVIII საუკუნის დამლევს ამოვარდა ძირიან-ფესვიანად. მაინც უნდა ითქვას, რომ ფოცხოვიდამ და მის ახლო მახლო კუთხის სოფლებიდანაც დიდი ძალი ხალხი წავიდა ოსმალეთში და იქ დაიღუპნენ უჩინრად.

ქართველ მაჰმადიანთ რიცხვი თავის ბინაზედ საკმარისი იყო იმ დროს, როცა ამათ აყრას ამზადებდნენ. როგორც ფოცხოვის ხეობა, ისევე ქვაბლიანი, ჩილდირის ხეობა, შავშეთი, იმერხევი და სხვა კურთხეები სავსე იყო ქართველებით. ზოგ ალაგას ეს ქართველ მაჰმადიანები ქართულს ენაზედ ლაპარაკობდნენ, ზოგ ალაგას კი ეს ენა უკვე დაკარგული აქვნდათ და ოსმალურად საუბრობდნენ. წადილი გადასახლების, ანუ ფანატიკობა ორივესი ერთნაირი იყო და წარმოიდგინეთ ის გარემოებაც, რომ ისინი უფრო გულგრილი იყვნენ გადასახლებაზედ, რომელთაც ქართული ენა დაკარგული აქვნდათ. მეტს სისასტიკეს ქართული ენით მოლაპარაკენი იჩენდნენ და ლაპარაკობდნენ წასვლას და მტრობას. ასეთნი იყვნენ ქობულეთელნი, მაჭახლელნი, აჭარელნი და სხვანი, რომელნიც ქართული ენით ლაპარაკობდნენ. შავშეთში კი სადაც ქართული ენა ქართველ მაჰმადიანებს დაკარგული აქვსთ, იქ ეს არ მოხდებოდა, თავის ნებით იქილამ არავინ წავიდოდა, რომ მათ წამქეზებელები არა ჰყოლოდათ. მერე აქაური ხალხი მუშა ხალხია, მხვნელი, მთესველი და მეურნე, მაგრამ არ იქმნა, არც ესენი მოასვენეს ბოროტ ენებმა და აქეზეს თავიანთ თავის დასალუპათ წასვლისთვის – გადასახლებლად. ამაზედ აი რას მოვიყვანთ.

1878 წ „დროების" 20 №-იდან: „არდანიუჯის მაზრაში არავითარი ახალი მოძრაობა არა გახლავსთ რა. ხალხს კარგახანია გამოუცხადეს, რომ მოეცემად უფლება გადასახლებისა; ბევრს უხარიან, ბევრს არა, მიდის მომავალ გაზაფხულზე, ბევრი რჩება. ართვინის მაზრაშიც საკბილო ამბავი არაფერია. ზოგი ერთი აქაური მცხოვრებლები მზად არიან გადასახლდნენ. მხოლოდ ის ცრუ იმედები, რომ ართვინი შეიძლება თავ-

თრებს დარჩეთ, მათ აბრკოლებს. მეორე გაზაფხულზე კი ამათი ქარავანიც გაუდგება გზასა ოსმალების წყალობით. მაინც ზოგი ერთ ალაგს დაცემა და წვალემა არ გაწყვეტილა ართინის ახლო-მახლო. აგერ აჭარის გზებიც მოფენილია გადასახლებულებითა. სტოვებენ სახლ-კარს, მამულს და იმ ადგილს, სადაც ისინი სიყრმით გასდილან, რომელიც იმათთვის ძვირფასია. გარბიან, ღმერთმა არ იცის სადა? აგერ ცოლი ქრმის, ძმა ძმის, შვილი მამის საფლავს დასტირის და ემშვიდობება სამუდამოთ! ქმარი ცოლ-შვილს აბარებს საიმედო კაცს. ამ შემთხვევაში ვინ გამოჩნდა სიტყვით და საქმით მართალი; ჩვენ თუ თათარი. აბა ქართველებმა რითი დაანახვეს, რომ აჭარლები მომძენი იყვნენ?

ამ შემთხვევაშიც ჩვენმა ახალგაზდობამ ვერ აღასრულა თავისი მოვალეობა. იმათი „ახი“ „ოხი“ ფუჭად დარჩა. განა ასე შეჰფეროდა! გაუნათლებელ თათრის მოლებმა აჯობეს ახალგაზდა განათლებულებს. არტაანი, არდანუჯი, ართვინი და აჭარა, როგორც ვხედავთ, უნდა გავერანდნენ. რასაკვირველია, ეს ამბავი საწყენი და უსიამოვნო გახლავსთ, მაგრამ რა გაეწყობა. ახლა უნდა ვეცადოთ, რომ ეს გავერანებული ადგილები ისევ ჩვენ დავიკავოთ. სხვის ხელთ ნუ ჩავაგდებთ. იმერეთში, ქართლში და ჯავახეთში სულ ბევრია უმიწა წყლო გლეხნი. ისინი მაინც გადმოვასახლოდ და დავასახლოდ აქა.“

როგორც გაზეთების ხმები იყო, 1878 წლის შემოდგომიდან გადასახლების საქმე შემცირებულა. სწერდნენ, რომ მთელი შემოდგომა ისე გავიდა, რომ აჭარიდან აღარავინ წასულაო. ხოლო როგორც „დროების“ 260 ნომერში იყო მოყვანილი: ქართველ მაჰმადიანები ამ ზამთარში სხედანო, მაგრამ გაზაფხულზე კი აპირებენ ზოგიერთები გადასახლებასო. მისთვის სამზადისიც აქვსთო. დიახ, ეს მართალია, და ვისაც კი თავში აქვდა თუ არ აქვდა გადასახლება, ყველა ფიქრში იყო გასული და ჭოჭმანში. შინ დარჩენილები, ანუ დამრჩენნი ფიქრობდენ, იქ ვინ იცის რა კაი ცხოვრება ექმნებათ ამ წასულებს და ჩვენ კი აქ უნდა დავშეთ რუსების ხელში და დავილუპოთო. ჩვენ კარგად ვიცით, რომ თვით ასეთნიც კი, რომელთაც არ უნდოდათ წასვლა, ესენიც კი ხარჯავდენ უბრალოდ ფულს და ოსმალეთში კაცებს გზავნიდნენ ადგილების სამეზნელად და საქმის გასაგებათ. ჩვენ ვიცით, რომ ამ ზამთარშიც მრავლად წავიდენ, გადასახლდენ ოსმალეთში და ყველა მათ მალე თითქმის ღალუპვა და ოჯახის დაქცევა მოევლინად. ასე გათავდა ეს მღელვარე ზამთარი და მასთან 1878 წელიც. ამ ხნის განმავლობაში არ დადინჯებულა ქართველ მაჰმადიანის გული და დღე და ღამ მის ცდაში იყო, რომ მამა-პაპეული სამშობლო მიწა დაეტოვებინა და თავის

უძლურებით საცლა ვითომც და სულის საცხოვნებელს ოსმა-
ლეთში წასულიყოს.

ერთის სიტყვით, ქართველთ მაჰმადიანი თვითვე აქცევდა
და ანგრევდა თავის ხელით თავის მამა-პაპეულს სახლ-კარს და
ვენახ-ბოსტანს. სამწუხაროდ რომ იმ დროს, სადაც კი ქართ-
ველ მაჰმადიანს შეხვდებოდი და ჰკითხავდი რამეს, ყველა მას
ამბობდა: – „წავიდეთ, წავიდეთ, ჩვენი აქ დგომა აღარ იქნება. ანუ
მუჰაჯირა გეთთი, მუჰაჯირა გეთთი“ და სხვაც მრავალნი. წასულ-
ნი ისევ მალე შინ ბრუნდებოდნენ და ამის გამო ვინ იცის რა
სულის სატანჯავს წუთებსაც არ სცდიდნენ. ამ გარემოებას
დაგვანახავს შემდეგი ცნობები, რომელნიც მოგვყავს იმ დრო-
ის გაზეთებიდამ, რაც უტყუარს საბუთებს შეადგენს, ხოლო
ისიც კი უნდა ითქვას, რომ გაზეთების საშუალებით ჩვენ ერ-
თობ მცირე ცნობებს ვკითხულობდით გადასახლებულთ შესა-
ხებ. დაღუპულთა და აყრილთა შესახებ ათში ერთი ცნობაც
თუ დაიბეჭდებოდა, დანარჩენთა გადასახლებულთ საქმენი ჩვე-
ნთვის ჩუმი, დაფარული შთებოდა, შთებოდა მით უფრო ამ
არევ-დარევის და გადასახლების დროს, რადგანაც ადგილობ-
რივ მოხელენიც სარგებლობდნენ, ამით ქართველ მაჰმადიანებს
აქეზებდნენ წასვლისათვის, აშინებდნენ, ეუბნებოდნენ წადით,
წადით, თორემ რუსები გაგაქრისტიანებენ, გირჩვენიათ ეხლავ
თავს უშველოთ, წახვიდეთ.

ასე ბოროტათ ექცეოდნენ მოხელენი, ასე აშინებდნენ ამ
ბედკრულ ხალხს და მის საშუალებით მათ თითქმის ჯოხით
მიერეკებოდნენ რეკამდენ უღმერთოდ და ყოველივე ამით
მათ ის გამორჩენა აქვდათ და მოგება, რომ გადასახლების
დროს ამათი მამულები ოხერ ფასად იყიდებოდა და ვინც ასე
იყიდდა მამულს, მაშინ ამ წამქეზებელთ რასაკვირველია საჩუ-
ქარი მიეცემოდათ, შრომა არ დაეკარგებოდათ. ასეც იყო.
ბოროტ წამქეზებელთ საქმე მხოლოდ ამის გარშემო ტრიალე-
ბდა და მათ კარგადაც იღვაწეს და იშრომეს თავიანთ ჯიბის
ასავსებათ და ქართველ მაჰმადიანთ ოჯახებთა დასაღუპათ. ესე-
თი გარემოება ადგილობრივ მოხელეებისა ყველამ იცოდა კარ-
გად და თვით გუბერნატორმაც, რადგანაც ქვეყანა ახლად
აღებული იყო, ამიტომ გუბერნატორი მოხელეებს არას ეუბ-
ნებოდა, ისარგებლონ მათ, მე რა მენაღვლებათ. თავ გასული
მოხელენიც ვინ იცის რას არ შვრებოდნენ. ამათის წყალობით
ცალკე ქართველ მაჰმადიანები იშლებოდნენ და იყრებოდნენ
თავიანთ მამა-პაპეულს მამულებიდამ, ესენი ეკარგებოდნენ თა-
ვიანთ სამშობლოს საყოველთაოდ და ცალკე ამათი მამულები
იყიდებოდა ხურმის ფასად. ესეთი შლილობა, ესეთი აყრა და
დაღუპვა ქართველებისა იყო მრავალთათვის სამწუხარო, სამ-
გლოვიარო და მეტად სატირალი. ვინც გადასახლების წანა-
აღმდეგი იყო ქართველ მაჰმადიანებში, იმ პირს იგინი გაიუ-

რათ სთვლიდენ, რუსთა მომხრეს ეძახოდნენ, მათი აღარაფერი სჯეროდათ. მათ ამის შესახებ ლაპარაკს თავი დაანებეს.

აქ ამ აყრა-დაყრის და დაღუპვის დროს გაჩნდა თავ. გრიგოლ დავითის ძე გურიელი, რომელიც იქვე მსახურებდა ოკრუგის უფროსად. ეს ომის დაწყებამდისაც იქ მსახურებდა. იგი დიდი მომხრე იყო ქართველ მაჰმადიანების და დიდი მფარველი, იგი ამათ წამქეზებელ ადგილობრივ მოხელეებს მეხივით დაეცა, აღუდგა, ქადაგების შესახებ ასმინა, რომ თქვენ ამ ხალხის დაღუპვას თავი გაანებეთ, თორემ მე იმპერატორს გაუგზავნი საჩივარს, რომ თქვენ თქვენის გროშების გულისთვის ხალხს ჰყრით და სხვაგან ასახლებთო. ცოდვა არის თქვენთვის, რომ ასეთ ხალხს თავიანთ მამა-პაპეულს მიწა-მამულს აკარგვინებთო. სხვაც ასეთნი მრავალნი. ამ საყვედურებმა გუბერნატორი გააბრაზა, ამან უთხრა თავ. გრიგოლ გურიელს.

კნიაზო! თქვენ რა გენაღვლებათ, რომ ეს თათრები აქედამ გადასახლდენ ოსმალეთში, თქვენ რა დაგაკლდებათ, თავი დაანებეთ მაგაზედ შრომას და ჩივილს. ეგენი მიდიან, წავიდნენ, მოშორდენ აქაურობას. მაგათ ძვირფას ადგილებს სულ ჩვენი ქრისტიანები შეისყიდიან. გთხოვთ დამშვიდებას.

გრიგოლ გურიელი არამც თუ დამშვიდდა ამით, არამედ აღელდა და პასუხი მისცა, რომ ესენი რათ უნდა წავიდნენ აქედამ, რათ უნდა დაკარგონ თავიანთი ქვეყანა, რისთვის, რათ უორგულეობთ ამათ ჩვენს ხელმწიფე იმპერატორს. ესენი აქ მოსული ხალხი ხომ არ არის, არამედ აქაური ხალხია, მამა-პაპით, მოდგმით სულ აქ უცხოვრიათ, ამათ თქვენ რას ემართლებით, რომ მოლების და ხოჯების სასიხარულოდ ასე მოქმედებთ.

უფროსი გაკვირდა ამაზედ და პასუხათ მისცა შემდეგი:

ესენი სულაც არ არიან აქაურნი მკვიდრნი. ეს კუთხე არის საქართველოს ნაწილი და ეს ხალხი კი თათარია, თათრები არიან, ჯანდაბას მათი თავი, რაკი აქ აღარ უნდათ დგომა, წავიდნენ ოსმალეთში, თქვენ რათ ნაღვლობთ ამაზედ. ესეთი სიტყვა, რომ ვითომც ქართველ მაჰმადიანები თათრები არიან, გრიგოლ გურიელმა ვერ აიტანა. ამან უამბო მას, რომ ესენი ქართველები არიან და ქართულად მოლაპარაკენიო. თქვენ რათ გინდათ, რომ ასეთი კარგი, მეომარი და გულადი ხალხი ჩვენს ხელმწიფეს დაეკარგოსო. ამ კილოთი ლაპარაკი მკაცრად იყო გამართული და გრიგოლ გურიელი ისტორიულად უმტკიცებდა უფროს, რომ ეს კუთხე საქართველოა და ესენიც ქართველები არიან და არა თათრებიო.

უფროსი წინააღმდეგი იყო და ამიტომ გრიგოლ გურიელს უთხრა შემდეგი:

კნიაზო, მერე რა გნებამთ ყველა ამითი?.. მოჟედ ბიტვი ჟელაიტი საზდატ თათარსკი ცარსტვო? ეს არ იქნება,

როგორ შეიძლება.

მერე გრიგოლ გურიელმა პასუხი მისცა და უთხრა, რომ მე მინდა რუსის ერთგულები შევქმნა, თქვენკი ამას თითქმის მიშლითო. ხოლო ის კი მოსარიდებელი და სირცხვილი იქმნება ჩვენის ხემწიფისთვის, რომ ასეთი ქვეყანა დაიჭირეს და შიგ მცხოვრებთ კი საქმე ისე გაუჭირეს, რომ იგინი თავიანთ მამა-პაპეულს ადგილებს სტოვებენ და ოსმალეთში სახლდებიანო. ესეთი საქციელი ჩვენი მთავრობისთვისაც კარგი არ იქმნებაო და მე ამასთანაც მაქვს საქმეო, მთავრობის შერცხვენა ევროპის ერთა და სახელმწიფოთა წინაშე ჩვენიც სირცხვილი უნდა იყოსო.

ასეთი ლაპარაკი იყო, ასეთი მომხრეობა ქართველ მაჰმადიანთ შესახებ, მაგრამ საქმეს მაინც დაწყნარება არ ეძლეოდა, რადგანაც აქეთ მთავრობის მოხელენი რეკავდენ ოსტატურად და ელალებოდნენ ოსმალეთში და იქით მათში კიდევ ფანატიკი მოლები და ხოჯები ნავარდობდენ და ბედ შავ ხალხს აქეზებდენ გადასასახლებლად და მუჰაჯირათ წასვლას. ასე და ამ გვარად ქართველთ რიცხვის დაფანტულია ვინ იცის სადა და სად არა. სამწუხაროა ეს ჩვენის ისტორიისათვის და მეტადრე ქართველ მაჰმადიანთათვისაც, რომ მათ თვისი ნათესავობა ერთმანეთში ასე დაკარგეს და ასე დაიქსაქსენ, ისე დაიფანტნენ, რომ ამ 30 წლის განმავლობაში მათ ერთმანეთის არსებობის და ნათესავობაც კი დაავიწყდათ სრულიად და გახდენ ერთმანეთისათვის საყოველთაოდ დაკარგულნი. ასე დაკარგვა და დავიწყება ჭეშმარიტად რომ ქართველ მაჰმადიანებს არ შეჰფერისთ.

ქობულეთის დაჭერის შემდეგ ჯარი რომ აიყარა და წასვლა დააპირა, იმავე დროს ხალხმაც დაიწყო მზადება, რომ ჩვენც უნდა წავიდეთო და ერთ ალაგას ბარგი ბარხანითაც მოგროვილან. წერილის დამწერს უკითხავს მიზეზი გადასახლების და ქობულეთელებს უთქვამსთ, რომ ჩვენ რუსებს და ქართველებს ახლოს ვერ მივიკარებთო, მათი ადათი და წესი ჩვენი რჯულის წინააღმდეგიაო. ჩვენ ოჯახში შემოცვივდებიან და ყოველივეს წაგვიხდენენო. ამათ წასვლის შესახებ ბილეთების აღებაც მოსდომნიათ. ამ დროს უფროსად ქობულეთში გრიგოლ გურიელი დაუნიშნავდ, ხალხს რომ გაუგია ჩვენს უფროსად გრიგოლ გურიელი დაუნიშნავთო, მაშინათვე მისკენ წასულან. გრიგოლ გურიელი ისე მოექცა, ისე დააწყნარა და პატრონობის იმედი მისცა, რომ ყველა ეს აბარგული ხალხი უკანვე – შინვე დააბრუნა თავიანთის ბარგი-ბარხანით. დიდი პატივის მცემელნი არიან ესენი გურიელის და ამბობენ, რომ ამის ხელში ჩვენ არა გაგვიჭირდებაო.

ამ ცნობის ერთი კვირის შემდეგ ბათუმიდამ სერგეი მესხიც სწერს „დროების" 184-ში შემდეგს: ქობულეთიდან, ჩა-

ქვიდამ და ბათუმის ახლო-მახლო სოფლებიდან მრავლად მიდის ხალხი ოსმალში და შემდეგაც წავლენ ესენიო. ბევრნი კი შიშობენ და ფიქრობენ ვაი თუ ჩვენც ის დღე დაგვადგეს ოსმალეთში, რაც ჩერქეზებს და აფხაზებს დაადგათ და მოვტყუვდეთო. მომეტებული ნაწილი კი სტოვებს თავის მამულს თავის ნებით და მიდის ოსმალეთში. ბათუმიდან სულ გავიდნენ და ამოდოლი ადგილები სულ მოსულ ხალხზედ ოხერ ფასად დაყიდეს. მთელის ბათუმის მათი ადგილები სულ ჩალის ფასად დაისყიდა. ასე დაღუპეს ქართველ მაჰმადიანებმა თავიანთი ოჯახის საქმე ბათუმში. დღეს რომ მათი რიცხვი ერთობ მცირე გახლავს, ეს სულ მისი ბრალია. დალოცვილებს ისე ეგონად, ქრისტიანები შეგვჭამენო. გიაურებთან ჩვენი დგომა აღარ იქმნა და ჰაიდეთ მოვშორდეთ აქაურობასო. სამწუხაროდ, ამათ გადასახლების ხელს უწყობდა და ახალისებდა იმ დროის ომის მთავარ სარდალი დერვიშ ფაშა. ზოგს თურმე ძალას ატანდა, რომ წასულიყო. ზოგს თურმე ნიზამში გასაყვანად შვილებს სტაცავდენ, ოსმალში მიჰყვანდათ და ამ გარემოებით რაზმადნენ მშობლებს ოსმალში წასასვლელად. ამ გარემოებას სერგეი მესხი მწარედ ასწერს და სწერს დიდათ მასზედ, რომ ეს ხალხი თავის მამა-პაპის მიწა-წყალს ჰკარგავს და უცხო ქვეყანას მიდის. დერვიშ ფაშის ბოროტების შესახებ „დროებაში“ სოლ. ბავრელიც სწერდა შემდეგს: „დერვიშ ფაშამ დაიწყო ქადაგება ჩვენ წინააღმდეგ, თავის ყორანიდამ აჭარაში აქეზებდა ხალხს, აგონებდა გადასახლებას, მაჰმადის ძლიერებას, ომის სუფევის მშვენიერებას, თავის უმშვენიერესი ფერიებით და შარიათით... არწმუნებდა ხალხს, რომ უკეთუ ისინი ეწინააღმდეგებიან ურჯულოებას, ეს ყოველი სიამოვნება საიქიოს იმათი იქმნება. გზავნიდა სოფლებში მოლებს და ყადებს ხალხის მოსაბირებლად“.

რადა ფიქრი უნდა, რომ ასეთის ზეციერის და ქვეყნიურის ქარაგებით დერვიშ ფაშას მოლები და ხოჯები ბევრს ქართველ მაჰმადიანს დაღუპავდენ და აუცრუებდენ გულს თავის სამშობლოში ცხოვრებისთვის.

1877 წლის ომის დასაწყისიდანვე ქართველ მაჰმადიანებმა გადასახლებაზე დაიწყეს ლაპარაკი. მათ თითქოს იცოდნენ, რომ ამ კუთხის უმეტეს ნაწილს რუსეთი აიღებს და ამიტომ ჩვენც აქედამ ავიბარგოთო. ჯერეთ რუსებს ეს კუთხე არც კი აქვდათ აღებული, რომ ქართველ მაჰმადიანებმა მრავლად იწყეს გადასახლება ოსმალეთში. ამ გადასახლებულებს ოსმალში მრავალი ტანჯვა მოევლინად, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს თვით ინგლისის გაზეთებმაც. ინგლისური გაზეთის ცნობები ქართულს გაზეთის „დროებისათვისაც“ გახდა საყურადღებო და ამის შესახებ აი რა წერილი დასტამბეს: – ტრაპიზონში გადასახლებულ ქობულეთელების მდგო-

მარეობა. ერთს ინგლისურს სარწმუნო გაზეთში დაბეჭდილია ქვემოთ მოყვანილი ამბავი, რომელსაც ამ გაზეთში ტრაპიზონი დამ იწერებთან. ამ კორესპონდენციის წაკითხვა განსაკუთრებით საინტერესო და საჭიროა იმ ოსმალთს ქართველთათვის, რომელნიც თავიანთ მიწა-წყალს, სახლ-კარს, თავიანთ სამშობლო ქვეყანას სტოვებენ და მიდიან ოსმალეთში იმ იმედით, რომ იქ უკედ ვიცხოვრებთო. წაკითხონ ეს ამბავი იმ ქობულეთელებმა და საზოგადოთ ოსმალთს ქართველებმა, რომელნიც ოსმალეთში გადასახლებას აპირებენ და როდესაც დაინახავენ თუ – რა მდგომარეობაში არიან იმათი გადასახლებულნი მოძმეები, მაშინ, იმედია დაფიქრდებიან და შეჩერდებიან. აი ეს კორესპონდენცია.

როდესაც რუსეთმა გამოუცხადა ოსმალეთის მთავრობას, რომ სანამ ბათუმს არ დაუთმობენ, მანამ ის სტამბოლს არ მოაცილებს თავის ჯარსო, მაშინ კი ოსმალეთმა გადაწყვიტა ბათუმის დათმობა.

დერვიშ ფაშამ გამოუცხადა ბათუმს, აჭარის და ქობულეთის მცხოვრებთ, რომ ვისაც ჰსურს, შეუძლიან გადასახლება. და ამ განზრახვით და აგრეთვე ჯარისა და სამხედრო მასალების წასაღებათ ბათუმში მოვიდა ოსმალთს რამოდენიმე ხომალდი. ხალხი ძალიან გაბრაზდა, როდესაც ეს ამბავი გაიგეს, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ოსმალთს ჯარები დაეხმარებოდა იმათ რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს ისინი დაემორჩილნენ თავიანთ ბედს და გადასწყვიტეს ისევ ოსმალეთში გადასვლა. ჩურჩულს მცხოვრებლებმა პირველად დაიწყეს გადასახლება. ამ ჟამად სულ ოთხი ათას სულამდისინ არიან ბათუმიდან აქ, ტრაპიზონში მოსულნი და დროებით დაბინავდნენ აქაურ ყავახნებში. ამბობენ, კიდევ ბევრნი აპირებენ გადმოსახლებასო.

ამ გადმოსული ხალხის დასახლებლად ოსმალეთის მთავრობამ დანიშნა ადგილები მალაციის მახლობლად, სადაც 10,000 კაცის დასახლება შეიძლება. მაგრამ რადგან ოსმალეთის მთავრობამ ამეზედ მეტი არავითარი მზურნველობა არ გამოიჩინა და სხვა არაფერი შემწეობა არ მისცა გადმოსახლებულებს, ამის გამო შემდეგში იმათ ისეთვე ბედი მოეღისთ, როგორი ბედიც მოუვიდათ აფხაზებს. გადმოსული ქობულეთელები ახლაც ძალიან ჩივიან და ემდურიან ოსმალთს მთავრობას. გუშინ დიდი გროვა გადმოსახლებულების მივიდნენ იქაურ ლუბერნატორთან და სთხოვეს სადგომი და ლუკმაპური მაინც გაგვიჩინეთო; დერვიშ ფაშამ დაგვიპირდა ჩვენაო, ოღონდ გადასახლდით ტრაპიზონში, თითო სულს დღეში ნახევარ ოყა პური გექნებათო. ახლა კი არაფერს გვაძლევენო.

მომეტებულ ამათგანნი ცისქვეშ ყრიან ქუჩებში, ამ ჟამად თავ შესაფარი და ლუკმა პურიც არა აქვსთ. ზოგი კი ჯამეში

და ყავახანებში დგანან. ამას გარდა რამდენიმე ასი კაცი დგას ხის კარვებში, რომლებშიაც ადრე საავადმყოფოები იყო გამართული. აი ამით გაათავა ოსმალოს მთავრობამ თავის მზრუნველობა ამ გადასახლებულებისთვის, რამდენიმე კაცისაგან გავიგონე, რომ ჩვენს ნაცნობებსა და ნათესავებს უნდა შევატყობინოთ ბათუმში და ქობულეთში, რომ არ წამოვიდნენო აქეტიკენ. ზოგი ერმა მითხრეს, რომ უკან დაბრუნებას აპირებენ, რადგან ერთობ დიდ გჭირვებაში და წვალებაში არიანო".

თუმცა ასე იყო მაშინ თქმულება, მაგრამ დერვიშ ფაშა, ალი ფაშა და ოსმან ფაშისაგან დაბადებულ ყემერ ალებმა მაინც თავისი გაიტანეს და ხოჯების და მოლების საშუალებით მსხვერპლს მსხვერპლი მიუმატეს და აუარებელი ხალხი აჰყარეს და უცხო ქვეყნებში გადასტყოცნეს სატანჯველ საწვალეებზე. ამას შემდეგი ცნობები დაგვანახვებს გადასახლებისათვის ქართველ მაჰმადიანები ისე ამრეზილები იყვნენ, რომ ერთ დროს, თვით ქუჩაში მწოლ მაწანწალა ძაღლების დახოცვამაც კი გამოიწვია მათი უკმაყოფილება და ყვირილი, რომ **„უნდა წავიდეთ, წავიდეთ, რადგანაც ჩვენი აქ დგომა არ იქნებაო, ქუჩაში ძაღლები დახოცესო“**. ამის შესახებ „დროების“ 208-რში აი რას სწერს ლევან მჭედლიშვილი.

ამის წინედ „დროებაში“ იყო მოყვანილი მთვრალი მილიციონებისაგან მოკლული ძაღლისათვის რა ამბავი ჩაიდინა ხალხმა. დღეს კი უბრძანებენ სალდათებს, რომ დაიკავონ კეტები და სადაც კი ნახონ, იქ მოჰკლან ქუჩაში მოსიარულე ძაღლები. რაც ამისათვის საყვედური ისმოდა, მე იმას არ შევეხები, რადგანაც ვის უნდა გავაგებინო. როგორ მოგწონთ ესა? განა არ შეიძლებოდა – თუ მავნებელი იყვნენ ის მაწანწალა ძაღლები, სხვა ნაირი საშუალებით მოგვესპო ისინი, რომ არც მოსპობა ხალხისათვის შეგვეხედვინებინა და არც მრავალთათვის გვეჩვენებინა. უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი უბრალო საქმეებისაგან ხალხის გადასახლება დიდი უბედურება არის. ეს არც ჩვენ მოგვეტყება. ასეთ საქმეთა შესახებ ყველა ქართველ მაჰმადიანი ამას ამბობს:

– აქ ვერ დავდგები, ძიავ, უნდა წავიდეთ. ჩვენ ვერ შევეჩვევით... ჩვენ ვერ გავძლებთ.

ახლა თქვენ რომ იცოდეთ, თუ ესენი რა ფანატიკები არიან, მაშინ იტყვით, დაე, წავიდნენ. რომ წავლენ და ნახვენ იქ ტანჯვას, არ დაბრუნდებიან, მაშ რას იზმენო. თქვენ შეგიტყვიათ, რომ ვითომც გადასახლებულები დაბრუნებას აპირობენო, რადგანაც დიდს შეწუხებაში არიანო. გადმოსახლებაზედ კი ვერას მოგეხსენებათ და გაჭირებით კი დიდს გაჭირებაში არიან ჩავარდნილნიო. როგორც შევიტყე, დერვიშ ფაშის დროს ბევრნი ისეთი გადასახლებულან, რომელთაც მისი მორიდება და შიში გქონიათო. ზოგნი ისეთნიც რომ ყაჩა-

ლობას შეჩვეულები ყოფილან და ეხლა იქაც ყაჩაღობით ირჩენენ თავსაო. თუმც ისე იყო, მაგრამ მაინც ფანატიკ პირებს დღე აქვენდათ განათებული და ოსმალოს ფანატიკ აგენტები დადი-ოდნენ ყველა კუთხეში და ხალხს აქეზებდენ წასვლისთვის. ამ გვარი უბედურებანი არტაანის ოლქს უფრო ფართოდ ხვდა. 14 ოქტ. 1878 წ. „დროებაში“ აი რას სწერდა ს. ბავრელი. – „თათ-რების აგენტები დადიან სოფლებში, ადგენენ სიებს, ვისაც სურს გადასახლება, და როგორც მითხრეს დიდის სიამოვნებით აწერენ ხელს“. ერთის მხრით ეს გარემოება გამოიწვია თურმე იმანაც, რომ მცირე ხნის გამგეობის შემდეგ, ასტაანიდამ კარგად ცნობილი და დიდათ პატივცემული ლმობიერი მიხეილ მეფისოვი სხვაგან გადაიყვანეს გამგედ-ართვისს. ამავე წლის ღვინობისთვის 26 ბათუმიდან იწერებოდა ლევან მჭედლიშვილი, რომ ქობულეთელები და აჭარლები გადასახლებისათვის დიდს მზადებაში არიანო. კამისიებიც შეუდგენიათ და ხელს აწერინებენ ესენი, ვისაც კი გადასახლება უნდათ. მერე გადასახლებულებს ხელმოწერილის სიის ანუხვით გაგზავნიან თურმე. ოსმალეთში დეპუტაციაც გაუგზავნიან ბათუმიდამ, სულთანს დახმარებას სთხოვენ, რომ დასასახლებლად მოწყალეობა გვიბოძეთ – ადგილებიო.

ქვემო აჭარაში არის ერთი სოფელი – საღორეთი. ეს სოფელი შესდგება 130 კომლისაგან. ამათ ჰყავსთ ერთი შესანიშნავი პირი, რომელსაც ოსმალოს მთავრობისაგან დიდი გავლენა ჰქონდა და ბათუმში იყო მუფთად (სასულიერო მსაჯული) ჰასან ეფენდი სურმანიძე. ამას მოსვლია წინადადება და თან თხოვნა ბაღდადიდგან, რომ ამან იკისროს და მთელი აჭარა გადაიყვანოს ბაღდადში, რომლისათვისაც თურმე ჰპირდებოდენ დიდ ჯილდოს და ყოველნაირ სამუალების მიცემას ხალხის ცხოვრებისათვის. როგორც შევიტყუეთ ხალხისათვის სრულებით არა გამოუცხადებია ეს ჰაზრი და დაჩუმებული არისო“. დიახ ასეთი ხოჯები სხვებიც იყვნენ და ქედის მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილიც ხომ მკაცრი წინააღმდეგი იყო აჭარელთა გადასახლების ოსმალეთში. ესენი როგორც შესმენილი ხოჯები, წინააღმდეგნი იყვნენ მით უფრო, რადგანაც სწორედ ამ დროს, როცა ქართველ მაჰმადიანებს ოსმალოს აგიტატორები უქადაგებდენ და ამზადებდენ ოსმალში წასასვლელად, სწორედ ამავე დროს ოსმალიდამ ბედის წყევლით და გმობით უკან ბრუნდებოდნენ აფხაზები და ჩერქეზების ნაწილში, რომელთა უმეტესობა ადრევე წავიდნენ ოსმალში ფანატიკობით. ესენი მოტყუვდნენ, იქ დიდი ტანჯვა გამოიარეს, შეწუხება, ბევრი სიმშობლით გაწყდა, ბევრი ჰაერის აუტანლობით, ბევრი სიღარიბე-გაჭირვებამ მოსპო. ვინც გადარჩა, იმათ რამდენიმემ, რომელთაც კი შესძლეს და მოახერხეს დაბრუნების სახსარი, უკან იბრუნეს პირი და ოსმალიდამ ბათუმში მოვი-

დენ თათრის გემით და რუსის მთავრობას ცხარეს ცრემლით, ტირილით და ფეხზედ მთხვევით ევედრებოდენ უკანვე მიღებას თავიანთი მამა-პაპეულს საქართველოს მიწა-წყალზედ.

ჩერქეზების და აფხაზების საცოდავობას კაცი ვერ ასწერს-ესენი როცა შავის ზღვიდამ ხმელეთზედ გადმოვიდენ, მაშინათვე ტირილი დაიწყეს, ეს რა მოგვივიდაო, თავი რათ დავიღუპეთ, რათ წავედითო. მათ შიშის ზომას საზღვარი არ აქვნდათ, ვაი თუ რუსის მთავრობამ ჩვენს ადგილებზედ ჩვენ აღარ მიგვიღოსო. ასეთ გაჭირებულ მოსულთა ვედრება ადგილობრივ მთავრობისაგან შეწყნარებულ იქმნა და მწარეს ცრემლებით მომტირალე ხალხი დაბრუნებულ იქმნა თავის მამა-პაპეულ ქვეყანაში და მით მოცილებულ ათას ვაი ვაგლახს და მწუხარებას. აი სწორედ ამ დროს ასეთ ბედისაგან განწირულ და გარდახვეწილ ხალხთა ტირილის დროს, როცა ესენი თავიანთ მამა-პაპის ქვეყანას უცხოს სამშობლოდამ ცხარეს ცრემლებით მოსტიროდენ და შინ მოილტოდენ, სწორედ ამ დროს შეუგნებლად და გაუგებლად ქართველ მაჰმადიანები კი საქართველოდამ უცხო საღაცა თავისთავის დასაღუპს ქვეყანაში მიილტოდენ. ესენი ცრემლით მოსტიროდენ თავიანთ სამშობლოს და ოსმალოდამ საქართველოში ბრუნდებოდნენ და ამავე დროს მეორენი კი გაფაციცებულის მზადებით მიილტოდენ პირველების დასაღუპს ბინაზედ, ანუ ოსმალს უცხო ადგილებში დასაღუპად.

ისეც ასე არეული და აბრეზილი ხალხი აღარ მოასვენეს და სხვა და სხვა ფანატკი პირებმა იქამდის მიიყვანეს, რომ თვის ინტრესების სასარგებლოდ დეკემბრის რვიდამ მთელი აჭარის ხალხი აშალეს, მათში არეულობა მოახდინეს და ყველა ამაებით იმას მეცადინეობდენ, რომ აჭარელნი ადვილად და მრავლად გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში. ეს ამბავი გაზეთებშიაც დაიბეჭდა, და სერგეი მესხმა ამის შესახებ დიდი მწუხარების შენიშვნა მისცა 15 დეკემბერს „დროებაში“ დაბეჭდილს აჭარიდან მოწერილს წერილს. სწერდა რომ ამ აჯანყებას შემდეგში ხალხის დაღუპვა და გადასახლების მეტი სხვა არა მოჰყვება რაო და ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს ამისო. მართლაც ეს ისე იყო და მომავალ წელში მოჰყვა აჭარელთა სამწუხარო გადასახლება.

ვიტყვი, რომ 1879 წელს ქართველთ გადასახლება ისეთის სიუხვით დაიწყო, რამაც დააცარიელა არამც თუ თითო და ოროლა სოფლები, არამედ მთელი მხარეები, მაგალითებრ როგორც მაჭახელი, დევესქელის ხეობა, ლივანა და სხვა ასეთი კუთხენი. ვიცით ამბებით, რომ პირველ წლის გადასახლებულთ ოსმალს მთავრობა უმეტესად შორეულს ქვეყნებში ასახლებდა, მაგალითებრ აფრიკა და ასეთ კუთხეებისაკენ. 1879 წ. გადასახლებულთ რიცხვი თუ რამოდენა უნდა ყოფილიყოს და

მასთან სხვა და სხვა კუთხეებში უღვთოდ დაფანტული, ამას ასაბუთებს შემდეგი ცნობა, რაც ეხება მარტოდ 1879 გადასახლებულთ ქართველ მაჰმადიანთ დაღუპვის საქმეს.

1906 წ. ოსმალეთის აფრიკის ქალაქ ბეირუთიდან საქართველოში მოვიდა ქობულელი ქართველ მაჰმადიანი კაი კაციშვილი. ეს ქართველი ერთს ევროპიელს მსწავლულს მოგზაურს თანამგზავრად ჰყავდა, მასთან მგზავრობდა. ამათ იმგზავრეს მთელი აღმოსავლეთის ქვეყნები. აფრიკას, ქ. ბეირუთში ერთ ალაგას მას შეხვედრიან რამდენიმე ქათველ მაჰმადიანები, ქართულად მოლაპარაკენი. ეს ყოფილა ყავახანაში: კაი კაცის შვილს ქართული ძლიერ გაჰკვირებია, თუ კართველ კაცებს მე აქ სადა ვხედავო! მერე გასცნობიან ერთმანეთს და ლაპარაკიც დაუწყვიათ. იმათაც დიდათ გახარებიათ ამ კაცის ნახვა და გაცნობა. მერე ლაპარაკი ჩამოვარდნილა ვინაობის შესახებ. მათ უამბნიათ შემდეგი: რომ ჩვენ გურჯისტანიდამა ვართ გადმოსახლებულნი ოსმალეთშიო, ვცხოვრობდით ბურსაშიო, მერე იქიდან აქეთ გადმოგვასახლა მთავრობამაო. აქ ბეირუთში 40 კომლი ვსცხოვრობთ, სხვაგანაც მრავლად ვართო. ჩვენი ხალხის აქეთ ბევრია დაფანტულიო. მათ თურმე გული ეთანაღრებათ დიდათ, რომ ჩვენი ქვეყანა დავკარგედ და გადმოვსახლდით აქეთაო. დიდი მწუხარება გაუცხადებიათ საქართველოს დაკარგვისათვის .

„დროების" 89 №-რში მოყვანილია ცნობა გულო ალა კაიკაციშვილის ასე: ჩვენ დიდს სილატაკეში მოვედით ამ ომიანობისაგან. ყოველივე ჩვენი გაოხრდა და გავერანდა. გმადლობ მმაო ქართველნო, რომ თქვენ დაკარგულ ძველ ძმებს არ ივიწყებთ და გვეხმარებით. ეხლა შევიტყეთ, რომ ჩვენი ძმების მრავალნი, რომელნიც ოსმალეთში გადასახლდნენ, იქ დიდს გაჭირვებაში ჩავარდნილან და ამიტომ აქეთ მოდიან და ჩვენებსაც იხმობენ, რომ „იქით წამოდითო. ნუ დადგებით აქაო." რასაკვირველია დაქცეულს დაქცეული უყვარს, იმას კი აღარ დაუჯერებთ, მაგრამ მოლებმაც შეგვაწუხეს, წამოდითო, გვეუბნებიან: აქ თუ მოკვდით, წესი არ გერგებათო. ყოველიფერი უბედურება ჩვენ დაგვადგა საწყალ ქობულელებს". ეს მართალი გახლავსთ. ასეთი გაქცეულ პირებთაგანი თვით მეც მინახავს ლივანასა და აჭარაში. თავზედ წითელ ფესით დახურული და მედიდურად გადასახლებული ქართველ მაჰმადიანი რა კი იქ დაცემულა, გალატაკებულა, მერე სიმინდის საშოვნელად შინ დაბრუნებულა და თავის მეგობართა და მეზობელთა წინაშე თხოვნით სიმინდი უგროვებია ოსმალში წასაღებათ. ასეთი პირნი ჩუმათ აგროვებენ სიმინდს. მუსულმანების ხათრით ყველა ეხმარებოდა, რადგანც იგი ჩვენი თათარი კაცია და ღარიბი არისო. მინახავს, რომ ასეთ პირებს თვით ამ ჩემი მოთხრობის დროსაც არ გაუტეხიათ შახი და

მრავალთა წინაშე საჯაროდ უთქვამსთ, რომ იქ ჩვენ კარგად ვსცხოვრობთ, იქ სჯობია ვინემც აქაო. ასეთ პირებს ხშირად შევბმივარ და მათთვის ტყუილებით დამიმტკიცებია. იგი და სხვებიც გაჩუმებულან და ერთმანერთისათვის შეუხედავთ და სახით უნიშნავთ. „რომ ეს კაცი მართალს ამბობსო. თუ კარგია იქ, აქ რაღას მოდიან ეს დედა გაგლეჯილის შვილებიო“. ეს მაგალითი მართალი გახლავსთ ჩემის თვალით ნახული მრავლად და ყურით მოსმენილი აჭარა-ლივანაში.

ასეთ მოსულ პირებს ხშირად თან ოსმალურს ენებზედ დაბეჭდილ პროკლამაციებიც მოჰქონდათ, რითაც სთხოვდნენ და აქეზებდნენ ქართველთ მაჰმადიანებს წასვლისთვის. პროკლამაციებს იქ ბეჭდავდა ერთი საზოგადოება, რომელიც მეცადინეობდა საქართველოდამ ქართველ მაჰმადიანთ გარდასახლებას. ოსმალს მთავრობას ქართველი მაჰმადიანები დიდს ერთგულ და თავგანწირულ ხალხად მიაჩნდა და ამიტომაც ისე ეს ადგილები არ ენანებოდათ, როგორც თვით ხალხი და ამიტომაც უფრო ხმარობდნენ ყოველნაირ ღონის ძიებას ქართველთა იქ წასვლაზედ. 1880 წ. ამის შესახებ აი რასა სწერს ცნობილი ქართველთ მოღვაწე ლევან მჭედლიშვილი ბათუმიდან „დროებაში“.

„ვისაც ამ უბედურ ხალხისათვის გული შესტკივა და იცის ამათ ვითარება, ყველა დაგვეთანხმება, რომ ამ ხალხს უბედურების დროს გზაზედ უნდა გადაველობოთ და უფსკრულში დასაღუპათ არ მისცეთ ნება, არ გაუშვათ. ეს არ იქნება ჩვენგან შეუძლებელი, რადგანაც ჩვენ უკვე ხელში გვაქვს ოსმალს კომიტეტის ოსმალური პროკლამაციები რითაც იგინი ხალხს იწვევენ წასვლისათვის. ჩვენ ევროპის სახელმწიფოთ უნდა მივმართოთ და დავავალოთ, რომ მათ როგორც ოსმალეთის შინაური ეკონომიური კითხვების კარგად მცოდნეთ, უწყიან, რომ ისეც დაღუპულს და გადატაკებულს სახელმწიფოში აქედამ ხალხს ნუ იხმობენ, ნუ ატყუებენო. ეს ჩვენ მით უფრო უნდა მოგახსენოთო, რადგანაც უკანასკნელ დროს რუს-ოსმალს ომში მაჰმადიან ჩერქეზები დიდს მონაწილეობას იღებდნენ და მაჰმადიანი მაჰმადიან ოსმალს წინააღმდეგ სასტიკად იბრძოდნენ, რადგანაც მათ ახსოვდათ წინეთ თავის ბინის მოშლა მამა-პაპის ქვეყანაზედ და ოსმალში გადასახლება, სადაც მათ გამოსცადეს დიდი ტანჯვა, სიღატაკე, გაწყვეტა და ბოლოს ვინც გადარჩა და მოახერხა, ისინი შინ დაბინავდნენ და თავის დაღუპვის გამო დღეს ოსმალთა წინააღმდეგ ცხარედ იბრძოდნენ. ასევე მოუვად ქართველ მაჰმადიანებს. მათ კარგად ახსოვდათ, თუ ოსმალთა წყალობით სამშობლოდამ გასვლამ და განდევნამ რა მწუხარება და ჭირი მიანიჭა. ამ ჭირის მტრობა და ცეცხლის ნაპერწკლები დღესაც არის მათს გულში დაშთენილი. ასევე იქნება აჭარელებისთვის.

ასე გულ მწუხარედ სჯიდა ეს გული შესატკივარი მამულის შვილი ლევან ლუკას ძე მჭედლოვი, ა. ჭყონია, გ. კაციანი, სიტყვით დიდათ პატივცემული გრიგოლ ბატონი გურული და მრავალიც სხვანი, მაგრამ გამგონი ვილა იყო. არავინ. ბოროტთა კვალად ოსმალს მთავრობას რამდენიმე კი არა და ასობით ჰყავდა მათი კომიტეტისაგან შესყიდული წამქეზებლებიც, რომელნი ყოველთვის იმას ჰყვიროდნენ, რომ ჩვენი აქ დგომა არ შეიძლებაო. ეს რომ ასე გახლავსთ ამას ასაბუთებს 110 „დროების“ შემდეგი ცნობა.

„ბათუმიდამ გვაცნობებენ, რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ჩამოსულა იქ ორასამდის მოსახლე კაცი მაჭახლიდამ, რომელნიც ტრაპიზონიდან გემს უცდიან ოსმალეთში წასაყვანად ანუ გადასასახლებლად. საცოდავობა იყო ამათი ნახვაო. მშიერ-მწყურვალი დედაკაცები და ბავშვები რამდენიმე დღე ეყარნენ ზღვის ნაპირას, გემს ელოდებოდნო“.

მაჭახლების გარდასახლებას აბრალებენ ადგილობრივ სული ბეგს, რომელიც თვითონ ოსმალში ადრე იყო გადასახლებული, ახლა ჩამოვიდა და არია ხალხიო. მაჭახლელებს გარდა სხვა მხრიდამ ჯერ-ჯერობით არავინ გადასულა ოსმალშიო. ბევრგან ყანები დათესეს და აქედამ სჩანს, რომ წელს მაინც არ აპირებენ წასვლასო. ეს იმედები უბრალო იყო, რადგანაც როგორც ვიცით, ნათესებამ იგინი ვერ შეაკავა. ნათესი მოვიდა, მოკრიფეს და მის მერე გაუდგენ გზას. ვისაც მანამდე მოუხდათ წასვლა, იმათ ყანები სხვებს გადასცეს. ამას შემდეგი ცნობებიც დაასაბუთებენ. 114 „დროების“ მოწინავე წერილი გვაუწყებს შემდეგს: – „გაზაფხულდა და ხელ ახლა მოგვდის ცნობები, რომ ბათუმის მაზრიდამ ხალხი მიდისო, მაჭახლიდამ 200 კომლი წავიდა, მიდიან აგრეთვე ქობულეთელები, ზემო აჭარიდამ და ქვემო აჭარიდამ ხომ შარშან დაცარიელდა თითქმის, ხალხი სტოვებს მამა-პაპეულს მიწა-წყალს სახლ-კარს, რაც გააჩნია, არ დასდევს იმას, თუ რა მოელის შემდეგში და მიდის უცხო ადგილას, გადადის ჩვენის საზღვარიდამ სხვის საზღვარზედ თავის ოჯახის დასაღუპად. ასეთ უბედურებას ერთის მხრით თურმე ჩვენი მოხელენიც აქეზებდენ:

„წადით, გადასახლდით! ჩვენთვის თქვენ აღარ ხართ საჭირო, თქვენს მაგიერ აქ ჩვენთვის სხვა ხალხს დავასახლებთო. ერთის მხრით ამისთანა ჩვენებური მქადაგებლნი იყვნენ და მეორეს მხრით, მათსავე გვერდით სტამბოლიდამ მოსული მოლები და ხოჯები, რომლებიც ეუბნებიან:

წავიდეთ ოსმალში, აქ თქვენ დასადგომი პირი არ გაქვსთ. რუსის ხელში თქვენ არ გაძლებით. გიაურო მართლ მსაჯულება მაჰმადიანს კაცს არას ოდეს არ შეიწყნარებს. მაჰმადის ბრძანება არის, რომ ვინც გიაურის ქვეყანაში მოკვდება, იგი ედემს ვერ ეღირსება, წაწყმდებაო. ორი ამისთანა მო-

ლა მოქმედებს ფანატიკს მაჰმადიანებზე და რაღა თქმა უნდა, რომ ის უკან აღარ მოიხედავს და წინ დაუხედავად ვინ იცის, სად წავა.

უნდა ითქვას, რომ დიდათ ამაგდარი სერგეი მესხი მეტად დიდს ყურადღებას აქცევდა ამ ერის საქმეებს და ყოველთვის მაღალის სიბრალულით ააშკარავებდა მათს დასაღუპს ცნობებს. ამაზედ კიდევ გულ სათუთქ ცნობას 1880 წ. 14 მაისს სწერენ ბათუმში: გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილია ბათუმშიდან მიღებული კორესპონდენცია, რომელიც შეეხება ამ უკანასკნელ ოსმალეთში გადასახლებულთ საქმეს: ეხლა 400 სული ჩამოსულა მაჭახლის მთებიდან ბათუმში იმ განზრახვით რომ აქ ოსმალს გემი მოვიდოდა და წაიყვანდა. ათი დღე თითქმის მშვიერ-მწყურვალ ხალხი ყრილა გარეთ, ზღვის ნაპირას, მაგრამ გემი არ მოსულა. ოსმალს კონსულს კი იმათთვის ვერ გაუბედნია პირ-და-პირ გამოეცხადა, რომ ფადიშახს არ სურს თქვენი გადასახლება ოსმალეთში და გემს ნუ მოვლითო. ბოლოს რუსის გემ „როსტოვს“ წაუყვანია ეს ხალხი ნახევარ ფასად. სულ შარშან წასულა ბათუმის მაზრიდან 6000 კომლამდის, მაგრამ ზოგიერთებმა მეტად კარგი ადგილ მამული მიატოვეს. წელს ისევ დაბრუნდნო, რადგან ოსმალეთში შიმშილი და ბევრი ტანჯვა-წვალება გამოიარეს.

ერთი სწერს: მაჭახლელთა გადასახლების მიზეზს და ამბობს, რომ მიზეზი იმათის წასვლის ის არისო, რომ მათ საყანური ადგილები ცოტა აქვსთო, მეორენი ამბობენ, რომ რაც რუსმა აიღო ეს ქვეყანა, მას შემდეგ ჩვენი მიწა გაშავდა, წყალი გამწარდაო და ღმერთმა გონება წაგვართვაო. ნამდვილად კი მიზეზი ის არის, რომ ესენი ოსმალს დროს სულ ქურდობით, კონტრაბანტებით და ავკაცობით სცხოვრობდნენ და ეხლა კი ეს მათ აღარ შეუძლიანთო.

ეს არის ჭორი და ცილი ერთ იმ მრავლთაგანი, რომლითაც აღვსილნი იყვნენ იმ დროს ჩვენი მოციქულ მოხელენი. ეს რომ მართალია, ბევრჯელ დაუსაბუთებიათ „დროებაში“ ცნობილ ბავრელს, ა. ჭყონიას, ჭია-ჭამიას, კრაზანას და სხვებსაც. შენიშნავს აგრეთვე ზემო ხსენებულ მწერალთ, რომ ყველა ამაებთან მოლები და ხოჯებიც ურჩევენ წასვლასაო. საკვირველი აქ ერთი ის არის, რომ ეს წამსვლელნი საქართველოდან არ მიჰყავს თვით ოსმალს გემებს და მათ ნაცვლად რუსის გემები ეზიდებიან და გადაჰყავსთ! ყველამ ვიცით, რომ ოსმალს მთავრობას ეხლა აღარ სურს ამათი იქით წასვლა და ჩვენი გემები კი ეზიდებიან. ესეც ერთი დაფარული მანქანები უნდა იყოს. ამასვე ასაბუთებს შემდეგი ცნობა, რომელიც 20 ივნისს „დროებაშია“ დასტამბული. „ბათუმის მაზრის უფროს ტრაპიზონის ვალისაგან (ღუბერნატორი) მო-

სვლია ქაღალდი, რომელსაც ის ატყობინებს, გადმოსახლებულებს ვეღარ მივიღებო. საზარელ მდგომარეობაში ჩაცვივნულან ბათუმის მაზრის ქართველ მაჰმადიანები. ამ ამბის გამო მრავალს დაეტოვებინა თავის მიწა-წყალი, გაეყიდა ავეჯეულე-ბა, საქონელი, სახლებიც კი წასვლისთვის და ბათუმში იგი უცდიდა წამავალ გემებს წასაყვანად. ასეთ პირთ წასვლა დაუშალა გრიგოლ გურიელმა, მათ მისცა 15,000 მ. სესხად და იგინი ამ ფულით დაბრუნდნენ თავიანთ გაოხრებულ მამულებში.

19 ივნისს „დროებაში“ გ. გურიელი სწერს, რომ მე მქონდა ბათუმის ბეგებთან ლაპარაკი გადასახლების შესახებ და მათ მითხრეს, რომ მიზეზი ამინ მრავალწიანია და სხვათა შორის აი რაო.

1, შთამომავლობითი ჩვენდამი კუთვნილი მიწა-ადგილების დამტკიცება.

2, სარწმუნოების და სჯულის არ შეხება. რასაც არც შეხებიან და არც ეხებიან.

3, ჩვენი ენის და ჩვეულების მცოდნე პირთა მრავლად დანიშვნა, რომელთაც უშიშრად მოვახსენებთ ჩვენი ცხოვრების და გაჭირების ცნობებს და

4, ამ სამის წლის განმავლობაში გადასახადის ჩუქება ჩვენი სიღარიბის და შემდგომ ომიანობისა სარჩოს ნაკლებობისათვის.

მაგრამ ვერც ერთი ნიშანი ჩვენი მოწყალებისა ჩვენ ვერ დავინახედ და რადგანაც ბერლინის კონგრესის ძალით ჩვენ უფლება გვქონდა ამ სამი წლის განმავლობაში გადასახლების უფლება ან აქ დარჩენისაო. ამიტომ ჩვენ ვექილები გავგზავნეთ სტამბოლში და ადგილებს ვითხოვთ. თუ მოგვცეს ადგილები, მაშინ გადავსახლდებით, აქ არ დავრჩებითო. რაც შეეხება რომ ჩვენ ქართველები ვართ და არა თურქებიო, ესეც კარგად ვიცით და ისიცაო, თუ ჩვენ როდის დაუჭერივართ ოსმალთ და ან როდის გაუთათრებივართო. ამ ცნობას ასაბუთებს შემდეგი მაგალითი, რომელიც ანუხსულია 5 ივლისს „დროებაში“ 1880 წ. – „ბათუმის ქალაქის გამგეობამ ერთი იმისთანა ახალი გადასახადი შემოიღო, რომელიც ბათუმის მიდამოების და სოფლის მცხოვრებელთ მძიმე ტვირთად აწვებაო. ეს გადასახადი დაედო კაიუმუკებს, ფელუკას და ნავებსო. უწინ ოსმალეთის მმართველობის დროს რამდენჯერაც შემოსცურავდა ბათუმის ბოლოში მენავეს იმდენი შაური უნდა გადაეხადნაო, და ეხლა კი ამნაირი გადასახადი მოსპეს და დააწესეს მთელი წლის გადასახადი 15 მანეთის ერთად აღებაო. ესეთი ხარჯებიც კი უხდებოდათ თურმე მრავალთ წასვლის მიზეზად.

3 აგვისტოს გაზ. „დროებაში“ არის ყარსიდან დაბეჭდილია შემდეგი ცნობა „კავკაზიდან: – „მთელის ყარსის მა-

ზორიდან თითქმის ყველა მაჰმადიანი მცხოვრებნი სტოვებენ თავიანთ მიწა-მამულს, ადგილ-წყალს და ოსმალეთში გადადიანო. მიზეზი ამისა ის არისო, რომ ადრე ოსმალს ხელში ეს ხალხი ბატონად გრძნობდა თავის თავს, როგორც უნდოდა ისე ეპყრობოდა ქრისტიან ხალხსო და ახლა რუსის ხელში თავის თავი დაჩაგრულად მიაჩნიადო, ძველებურად ბატონობის ნებას არ მისცემენო, და ამის გამო გადადიან ოსმალეთშიო, სადაც იმათი ბედის გამგებლად გიაურები არ იქნებიანო“.

რედაქცია ეჭვობს ამ შენიშვნისათვის, არა გვგონია, რომ მიზეზები მარტოდ ეს იყოსო. უეჭველია აქაც იგივე პირობები იქნება, რაც ბათუმსა და სხვაგან გახლავსთო. ჩვენც ასევე ვფიქრობთ, თორემ ქართველ მაჰმადიანთ დანატოვარნი ისე ადვილად არ წავიდოდნენ ოსმალეთში თავის მიწა მამულიდამ, რადგანაც იგინი ზემო ქართლის მცხოვრებებით მიწის მუშაკნი იყვნენ და არიან კიდევ. ამ ცნობის მეორე დღეს, 6 აგვისტოს „დროებაშივე“ დაიბეჭდა განცხადება ბათუმის გუბერნატორის, რომელიც ქართველ მაჰმადიანთ უცხადებდა შემდეგს: „ბათუმის ზოგიერთი სანჯახის ფუხარები და ალები ტყუილად აჰყოლიან და ლაპარაკობენ, რომ რუსის მთავრობა ჩვენს საკუთარს მიწა-წყალს და სამართალს წაგვართმევენო, რომელიც ოსმალს დროს გვქონიაო. ამისთანა ტყუილის ხათრით და ამბით შემინებული ხალხი ამდგარა, დაუგდია ოხრად თავის სახლ-კარი და ემზადება მუჰაჯირად წასვლას ოსმალეთში. საწყალმა ის კი არ იცის, რომ იქ მათ მოელის დიდი მწუხარება: სიმშილი, წყურვილი და ცოლ-შვილის სიკვდილი. ამისთანა გონჯი ხაბარის და ამბების გასამტყუნებლად ჩვენ გვინდა გამოუცხადოთ ხალხს მთავრობის კეთილი ჰაზრი და სურვილი“.

შემდეგ ამის ეხება განცხადება მუსულმანის სჯულს, სარწმუნოებას და ოჯახს ვერავინ შეეხებაო, ამის ფიქრი ნურავის აქვსთო, მუსულმანების წესების და ოჯახის საქმეების შეხება ჩვენი საქმე არ არისო. მუსულმანი და ქრისტიანი კანონის წინაშე ყველა ერთი არისო. მხოლოდ ვითხოვთ, რომ სისხლის ალება მოისპოს მათ შორის ადამიანურს გზას დაადგენო. უამისოდ ყოველივე ჩვენი ბრალდება უბრალოა და უსაფუძვლოვო. განცხადება შეიცავს თორმეტ მუხლს. 8 მუხლი შეეხება გადასახლების საქმეს და ამიტომ აქ მხოლოდ ეს მოგვყავს. აი ეს მუხლი:

„8. სანამდის ბერლინის კონგრესით დადებული ვადა გადასახლებისა არ გავა, მანამდის მუსულმანებს შეუძლიანთ თავისუფლად გადასახლება ოსმალეთში. იმათ შეუძლიანთ გაჰყიდონ თავის სახლ-კარი და ნივთები, მაგრამ ადგილ-მამულს ვერ გაჰყიდიან. მოაჯირს შეუძლიან მარტო მიუღკის გაყიდვა, თუ ოსმალსაგან ბოძებული თაფი აქვს. ბერლინის კონგრესის დადებული ვადა რომ გავა, იმის შემდეგ-

გაც შეუძლიანთ თითო თითოს თვითეულს სახლობას ოსმალეთში გასვლა, მაგრამ ამისათვის პასპორტი უნდა აიღოს".

ასე გახლდათ საქმე ბერლინის კონგრესზედ საქართველოს ადგილების და ქართველ მაჰმადიანთ შესახებ. აქ საუბარი იყო გამართული, იქ სჯიდენ და ვადას ადგენდენ ჩვენ შესახებ და ჩვენ კი არას გვკითხავდენ. საქართველო ოსმალეთისათვისაც ისეთივე უცხო იყო, როგორც თვით ბერლინის კონგრესი ევროპიელთათვის. არც ერთნი გვიცნობდენ და არც მეორენი. ოსმალეთს საქართველო ეჭირა მხოლოდ მიტომ, რომ ქართველები ეთათრებინა და აჭარელებისაგანაც სისხლი ეწოვათ. ეს იყო მათი საქმე, მის მეტი სხვა არაფერი და მიტომაც მოხდა საქმე, რომ კონგრესზედ ქართველ მაჰმადიანთ საქმე უბედურად გათავდა. შემდეგში ამ გათავებამ მათთვის დასაღუპი მოვლენა იქონია და აზიურად ხალხის გადასვლ-გადმოსვლა თავის მიწა-მამულიდამ და მოსპობა. ქართველებს რომ შნო გვქონოდა და კონგრესზედ კაცები გაგვეგზავნა, იქ ჩვენებს ელაპარაკნათ ქართველ მაჰმადიანთ შესახებ, მაშინ საქმე ისე გათავდებოდა, რომ ოსმალეთის საქართველოდამ ერთი ქართველ მაჰმადიანიც არ დააპირებდა და არ წავიდოდა უცხო ქვეყნებში. ეს ჩვენ ვერ ვქმენით. ამას არც თვით ქართველ მაჰმადიანებმა მიაქციეს ყურადღება და როცა საქმე გაფუჭდა, როცა გადასახლებულებთ კარზედ დაღუპვა, შიმშილი და სიკვდილი მოადგათ, როცა მათ სამშობლოს უცხო ქვეყნებიდამ გამოტირვისთვის სალმის გზავნა დაიწყეს, როცა შინ დაბრუნების სახსარს ეძებდენ და ამ ძებნაში სწუხდებოდენ კიდევ შეუზრალეზლად. ჩვენ მხოლოდ მაშინ გავახილეთ თვალები და დავიწყეთ წერა. თვით ქართველ მაჰმადიანთ მოწინავე პირებიც ხომ დაიხოცნენ ამ საქმის განსჭვრეტისათვის. იგინი არსებობდენ მხოლოდ ფანატიკობის და ვერაგობისათვის.

მათ თავიანთ თანამემამულეებს ვერაფერი სიკეთე და სამსახური გაუწიეს იმ გაჭირვების და გათახსირების დროს, ნაცვლად სამსახურის დასაღუპის ქადაგებით აქეზებდენ და გადასახლებისთვის წინ მიუძღვოდენ. მათ ამისთანა შრომით დაიმსახურეს საგმობი ცნობა ისტორიაში და უარ საყოფი ღირსება, საკიცხი მათ მომავალ თაობისაგან მწარის გმობით და უარის ყოფით. მთავრობის ამავე ზემოთ დაპირებულ განცხადების დაბეჭდვის დროს რუსულ გაზეთ „გოლოსში" დაბეჭდილი იყო ესეთი ამბავი და ეს ამბავი „დროებამაც" გადმობეჭდა. აი: – „ერთი იმ საქმეთაგანი, რომლითაც მალე გადაწყვეტა სასურველია მმართველობის და ყველა ადგილობრივი ინტერესებისთვის, უსათუოდ არის საკუთრებისა და თავის უფლად გაცემის ადგილების აღვიარება ბათუმის გარეშე მდებარე მიწისა. ამ საქმის გადაწყვეტას განსაკუთრებით ეხლა ექმნება დიდი მნიშვნელობა, რადგანაც ადგილობრივ მცხოვ-

რებნი აწმყო წესების კმაყოფილნი არ არიან და სულ ყველანი გადასახლებას აპირობენ ოსმლეთის სამფლობელოში. ამავე დროს იმავე გაზეთის სიტყვით, ბათუმის გუბერნატორს წარუდგნენ აჭარისა და სხვა ადგილების ბეგები და სთხოვეს, რომ თუ გასურთ, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში გავმაგრდეთ, მაშინ ჩვენი მამულები დროით დაგვიმტკიცეთ და ჩაგვაბარეთ, რომ ვიცოდეთ ჩვენი საკუთრების ვითარებაო. მთავრობა დაჰპირებია, მაგრამ დაპირება კი დროზედ ვერ შეუსრულეს. ამ საგანს შემდეგ „დროებაც“ მიუბრუნდა და შეეხო, რომ მთავრობა დაპირებას არ უსრულებს, უგვიანებს და ამიტომ მოსალოდნელია, რომ ჩვენ იგინი ვერც მუქარით შევაშინოთ, როგორც „გოლოსს“ ჰგონია და ვერც რამე დაპირებითაო. ისევ მართალი საქმეა საჭირო, თუ გვინდა რომ ეს ხალხი თავის მიწა მამულზედ დარჩეს და ეს ახლად შეძენილი კუთხე ხალხით არ დაცარიელდესო.

25 აგვისტოს არდანიუჯიდან ს. ბაგრელი სწერს შემდეგ ცნობას შავშელთ გადასახლებულეზზედ. „გადასახლებულეზების ქარავანი თანდათან მატულობს, თითქმის აჭარის, მურღულის და იმერხევის ნახევარი წავიდა. არდანიუჯიც იცლება, არტაანის ხომ დიდი ხანია დაცლილია; დანარჩენნიც მიდიან და უნდა ხელში შეგვრჩეს ვერანა სოფლები“. დამწერი დიდათ სწუხს ამ გარემოებაზედ და ამბობს, რომ მთელი ეს კუთხე სულ დაცარიელდება და გავერანდებაო. აქ საკვირველი საკითხი ჩვენთვის ერთი ის გახლავს, რომ ერთნი სწერენ გადასახლებულთ რიცხვს ასობით ან ასეულად და ან კომლად. მეორენი კი სწერენ ათასობით და ათიათასობით. ორში მართალი ის გახლავს, რაც შემდეგ თვით საქმემ გამოაჩინა და რაც ჩვენც ვნახეთ და ავწერეთ.

მეტი არ იქნება აქ მოვიყვანოთ ამავე დროს შემდეგი ამბავი, რაც იმ დროის ქართველ მაჰმადიანთათვისაც უნდა გახდარიყოს საყურადღებო. 25 აგვისტოს „დროებაში“ დაბეჭდილია: – „16 აგვისტოს ბათუმში აგერ ხუთი დღეა, რაც აქ მოვიდა ოსმალეთიდან გემი, რომელმაც მოიყვანა თან ათასი სული ქრისტიანი (?) აფხაზები. ესენი თხოულობენ თავიანთ მამულში დაბრუნებას, დასახლების ნებას. მათს თხოვნას არ უსრულებენ. საბრალონი სადრტვინველ მდგომარეობაში იმყოფებიან. თვრამეტი დღეა მას აქეთ, რაც გემში ისე ყრილ არიან, როგორც თევზები კასრაში. ხან აწვიმსთ, ხან მზე სწვამსთ, საქმელი ჰური არა აქვსთ. ამბობენ, შიმშილისაგან უკვე ათი კაცი მოკვდაო. კერძო ქველ-მოქმედება არ ყოფნისთ“.

აფხაზების საცოდავობამ ქვეყანა შეაწუხა, ბევრი სწერეს და ილაპარაკეს. ამ მწარე გარემოებას აგვისტოს „დროება“ კიდევ შეეხო. გაზეთმა ამ წერილით და აფხაზების უბედურების ანუხვით ქართველ მაჰმადიანებს ბევრი რამ გაახსენა, ასევე

ჩვენს საზოგადოებას, თუ ხშირად როგორ აქეზებდნენ და კიდევაც აქეზებენ მრავალნი მტერნი გადასახლებას და როგორ ღუპავენ აფხაზებივითო. გაზეთმა საკანონო საზოგადოს წესით აღიარა, რომ აფხაზებს თავიანთ ქვეყანაში დაბრუნების უფლება აქვსთო. ამათი დაბრუნება კი მთავრობისათვის არ იყო საჩუქარი, რადგანაც აფხაზეთში მათს ადგილებზედ რუსებს ასახლებდენ და რუსის დიდკაცებს ურიგებდნენ ათასი დესეტინობით, რათა იქ განმტკიცდეს მომავალში რუსის ერის ნიადაგიო.

ერთის სიტყვით დატანჯეს შინ დაბრუნებული აფხაზები ზღვაში და ზღვის ნაპირას ყრით. 13 აგვისტოს შეუწყნარებიათ ახაზების თხოვნა და გადაუყვანიათ აფხაზეთში დიდის მსხვერპლის შეწირვის დროს. ამ უბედურთა მწარე დღეებს და წუთებს ქართველ მაჰმადიანებიც კარგად ხედავდნენ თავიანთის თვალებით.

11 ოქტომბერის „დროებაში“ დაბეჭდილია ფელეტონი აჭარიდამ. მგზავრთაგანი ერთ ალაგას გადასახლების შესახებ ასე სწერს: „აჭარელების აზრით, დიდი ცოდვა და დიდის სჯულის წინააღმდეგია, რომ რაკი ურჯულოებმა მათი ქვეყანა დაიჭირეს, მათი იქ დარჩენა! ზედა აჭარაში გამოჩენილ პირთა რიცხვში ითვლებიან ლომან ეფენდი, დიდი ჭკვიანი კაცი, დიდი გავლენისა ხალხში. აჭარელებმა რომ გაგზავნეს ოსმალეთში აღმორჩეულნი პირნი დასაზვერავად მათთვის ადგილე გისა. ეს ლომონ ეფენდი აღმასრულებელ პირთა რიცხვში გახლდათ. დაბრუნდა რა მოგზაურობიდამ, აი რა სიტყვები წარმოთქვა ყრილობაში. „ბევრი ადგილი დავიარე, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთანა (აჭარა) შემკობილი და საჩვენო ვერსად რა ვნახერა. ამის გარდა ნამდვილი მაჰმადიანობა ჩვენში დარჩენილა, რჯული ჩვენისთანა სუფთად და წმინდად არავის უჭირავსთ სახონთქროში, – სადაც თითქმის ყველგან ქართველობა (ქრიტიანება) შეპარულა. ამის გამო არ გირჩევთ გადასახლებას. ამგვარივე რჩევას, როგორც გავიგე, სწერენ აქაური ხოჯები, სტამბოლში მცხოვრებნი. მათ მიწერ-მოწერა აქვსთ დღესაც ზოგიერთ გამოჩენილ აჭარელებთან“.

რამდენადაც ქართველ მაჰმადიანებს ახალ მთავრობის ზოგი რამ აწუხებდათ, იმდენადვე მათ აშინებდა სხვა და სხვა ფანატიკური გარემოებანიც, რჯულის შეხება, სალდათის გაყვანა, ქალების პირბადის ახდა და მრავალიც სხვანი. გარდასახლებასაც უპეტესად ამიტომ აპირობენო. ამ ჭორებს უვრცელებდნენ მათ მათივე მტრები. 27 აგვისტოს „დროებაში“ დაბეჭდილია წერილი ქობულეთიდან, საიდანაც მომყავს ერთი ადგილი, რაც გარდასახლებას შეეხება:

„ის პირები, რომელნიც გადასახლდნენ ოსმალეთში, დარჩათ აქეთ უძრავი საცხოვრებელი მიწა-წყალი, სასაკუთრო,

საზიარო აქ დარჩენილებისა და ეს მიწა-წყალი, როგორც ამბობენ, წასვლის უმაღლეს ჩამოართვა ადგილობრივმა მთავრობამ აქ დარჩენილებს და სახაზინოთ ჩარიცხეს. რასაკვირველია ამ გვარი ქცევა ზოგი ერთ უფროსებს უკლამს გულს აქ დარჩენილების მოცდის სურვილი და აბრაზებს ჩვენზედ". მეორე მოკლული პირების გაჭრაც აბრაზებს მათაო, რაც მაჰმადის სჯულის წესით წინააღმდეგია და შეუძლებელი მიცვალებულის გაჭრაო. ესეც აშფოთებს თურმე, მაგრამ რა. განა ესენია მარტო. მათ ყველაფერი აშფოთებდა, გაბრაზებულნი ყმაწვილებივით იყვნენ და აღარ იცოდნენ რა ექნათ, თავი როგორ შეენახათ თავიანთ მიწა-მამულზედ. ყოველი უბრალო რამე ბრახს ჰგვრიდა და წამდაუწუმ წავიდეთ ყვიროდნენ, წავიდეთ და წავიდეთო. 14 ნოემბერს „დროებაში" ერთი ქართველ ბეგთაგანი წერილს სწერს ფელეტონად. სხვათა შორის ერთ ალგას იმ გარემოებასაც ეხება, თუ ქართველ მაჰმადიანები რათ სახლდებიან უცხო ოსმალეთის ადგილებშიო. ამის მიზეზი ერთის ბეგისთვის იმ დროის მთავარ მართებელსაც უკითხავს ასე: „რა არის მიზეზი, რომ თქვენ სამშობლო მამულს სტოვებთ, სახლ-კარს ყოფა ცხოვრებას და მიდიხართ საზღვარ გარეთო? თუ რამ გაჭირება გაქვსთ, ნურავის მოგვერიდებათ, მე მითხართო? და სხვა კიდევ ბევრი კეთილი და გონიერი სიტყვები გვიბრძანაო“. ამაზედ ერთ ქართველ მაჰმადიანს მიუგია დაახლოვებით ასეთი პასუხი: ბატონოვო, თქვენთან მოსვლა ვერ მოვახერხეთო, მოვახერხოთ და მოვიდეთ, ვინ იცის იქნება არც მოგვიშვან, ეხლა რაკი აქ მობრძანდით, ისევე აქ მოვახსენებთ ყველაფერსაო. მიზეზი ჩვენის გადასახლებისა გახლავსთ ისაო, რომ ჩვენი აქ ყოფნის საქმეები აირ-დაირია, ჩვენი საკუთარი მამულები წაგვართვეს და მთავრობის კაცებმა თავიანთვის მიიკერძესო. ჩვენ ვსთხოვთ რამეს და ყურს არ გვიგდებენო. ისე გვიცქერიან, როგორც ძაღლებს, თავიანთ ახლად მითვისებულ მამულებში წყაროებიც კი გაიყვანეს და ჩვენ კი ჩვენებზედ ხელს გვაღებინებენ და აბა მამ რა ვქნათ, სად და როგორ წავილეთ იოლათა, რომ არ გადავსახლდეთო. თუ ჩვენს მდგომარეობას ყურადღებას არ მიაქცევთ, მაშინ ან ციმბირში გაგვგზავნეთ ან გემში ჩაგვყარეთ და ოსმალეთში გაგვისტუმრედ თქვენს ბათუმში ყოფნამდეო.“ ეს პირი სწერს, რომ ჩვენ ფანატოკებს გვიწოდებენო, რომ ვითომც ფანატიკობით ვსტოვებთ ჩვენს სამშობლოსაო. სჯულის ფანატიკი სამშობლოს არ დასტოვებს ადვილათაო. საქმე აქ იმას შეეხება, რომ ჩვენს საკუთრებას გვართმევენ, თვით ისაკუთრებენ და აბა ჩვენ რალა გვეთქმის ამის მეტი და ან რა გავაკეთოთ. თუნდ თქვენ ქრისტიანებს ასე რომ მოგეცნენ, მაშინ თქვენ კი დაშთებით აქაო... არა მგონიაო. უნდა ითქვას, რომ ეს ბეგი თავის ჰაზრით მართალია, მაგრამ აქ

მათში ვინ არ არის მართალი, ყველა და თითქმის ყველგან, მაგრამ მათ რომ ფანატიკ წამქეზებლებიც ჰყვანდათ და აქეზებდნენ გადასახლებისათვის, ამას კი ვგონებ ეჭვი და თათბირი არა სჭირდება, ყოველივე მართალია.

30 ნოემბერს „დროებაში“ ფელეტონია დაბეჭდილი, სახელდობრ „მომძის აღსარება“ ბათუმელის ქართველ მაჰმადიანის ახმედ ალა გოგონ ოღლისაგან, იგივე ნადირამე. ეს ახმედ ალა გამოცდილი კაცია და თავის სამშობლო ქვეყნის და ისტორიის ვითარების მცოდნე. ამ პატივცემულ პირს თვით სახარების ცოდნაც ჰქონია. აქ მოჰყავს ადგილები სახარების. ამბობს, რომ ჩვენი გადასახლების მიზეზები პირდაპირ ჩვენი უსაკუთრობა არის და უმიწა-მამულოდ დატოვებაო. ჩვენ თუ ჩვენს იარებზედ ლაპარაკის უფლება გვექნება და ჩვენი საკუთრებაც ჩვენს ხელთ იქნებაო, მაშინ აქედამ არავინ დაიმჯრება და წავაო. ესენი უკმაყოფილონი არიან თვით ოსმალეთის მთავრობაზედაც, რომ ქართველ მაჰმადიანებს გათათრების უმაღვე საადგილმამულო მიწათ მოვალეობის უფლებაც შეუცვალეს და ქართული საკუთრება მოშალესო.

ჩემგან შეკრებილი და დაბეჭდილი 1891 წ. ქობულეთელების გადასახლება.

ქობულეთიდან ოსმალს მთავრობა ხალხს ოსმალში ასახლებდა ძველადგან. ამათი გადასახლების ცნობები ცოტა არის. ხოლო ქობულეთში ხშირად უამბნიად, რომ ქობულეთელი მოუსვენრები არიან და ამიტომ ოსმალნიც მათ ხშირად ასახლებდენ სხვა და სხვა კუთხეებშიო. ყველაზედ მწვავე გადასახლება ქობულეთში 1877 წ. დაიწყო. ამ დროთა გადასახლებულთ შესახებ იტყვიან სხვა და სხვა ცნობებს. ერთნი იტყოდნენ, რომ ქობულეთიდან ოსმალში გადასახლდა 2500 მოსახლეო ანუ 12 000 სული ორივე სქესისო. მეორენი ამბობდნენ, რომ 5000 მოსახლე წავიდაო. ხოლო მათში რამდენი რიცხვი იყო, ამისი კი არა იცოდნენ რა. მესამენი იტყოდნენ, რომ ალი ფაშამ ქობულეთიდან გადასახლა 7000 ათასი მოსახლეო.

ალი ფაშამ 7000 კომლი გადასახლაო. ჩვენთვის კარგად არ არის ცნობილი, თუ ეს 7000 კომლი მან მარტოდ ქობულეთიდან გადასახლა, თუ სხვა კუთხეებიდანაც, მაგ: ჩაქვიდამ, კახაბრიდამ, მაჭახლიდამ, აჭარიდამ თუ ან სხვა რომელიმე კუთხიდან, ან მარტოდ ქობულეთიდან. ისიც არის ამბათ დაშთენილი, რომ ალი ფაშამ 30,000 ათასი სული გადაიყვანა ოსმალშიო. შეიძლება 7000 კომლიდან 30.000 სული იყო. ესეც ადვილი შესაძლებელი არის, ხოლო ჩვენ მის შესახებ კი ვერა გავიგეთ რა, თუ ალი ფაშამ ეს 7000

ათასი კომლი საიღამ გადასახლა.

ამ რიცხვს ამბობენ ქობულეთში. აჭარაში ამბობენ 2500 კომლს, მაჭახელში 30,000 სულს და ბათუმში კიდევ სხვა გვარად. ჩვენ ხალხის გადმოცემის ცნობების მეტ ნაკლებობას ვერ შევხებით. მოვიყვან ახლა იმ გადასახლებულთა ცნობებს, რაც 1891 წლებს იქმნა შეკრებილი და რის ზოგი ცნობები იმავ დროის ქართულ გაზეთებშიც იქმნა დასტამბული. ჩვენ შეკრებილი ცნობები ზემოდ მოყვანილ ცნობებს ერთობ ეწიწა აღმდეგება. მაშინაც იყვნენ და დღესაც იქმნებიან მრავლად ისეთნი, რომელთაც კარგად ეხსომებათ ის გარემოება, თუ ქობულეთიდან რამდენი ათასი კომლი თუ სული გადასახლდა. ამის შესახები ცნობები ჩვენის ისტორიისათვის ძვირფასად დაფასდება.

გადასახლებულნი ქობულეთის მაზრიდან.

სოფ ქაქუთი, გადასახლდა . . .	30 კომ.
სოფ ლელვა, გადასახლდა . . .	25 კომ.
სოფ. წყავრუკა, გადასახლდა . . .	50 კომ.
სოფ . კუხე, გადასახლდა . . .	40 კომ.
სოფ. ჩეხედენი, გადასახლდა . . .	30 კომ.
სოფ. აჭყვისთავი, გადასახლდა . . .	30 კომ.
სოფ. ზენეთი, გადასახლდა . . .	40 კომ.
სოფ. ალამზარი, გადასახლდა . . .	100 კომ.
სოფ. გვარა, გადასახლდა . . .	30 კომ.
სოფ. ხუც უბანი, გადასახლდა . . .	50 კომ.
დაბა ძველ-ქობულეთი გადას.	40 კომ.
სოფ. კონდიდი, გადასახლდა . . .	20 კომ.
სოფ. კოხი, გადასახლდა . . .	30 კომ.
სოფ. კვირიკე, გადასახლდა . . .	137 კომ.
სოფ. დაგვა, გადასახლდა . . .	30 კომ.
სოფ. სამება გადასახლდა . . .	20 კომ.
სოფ. ჭახათი, გადასახლდა . . .	10 კომ.
სოფი კეჭიეთი, გადასახლდა . . .	20 კომ.
სოფ. ვარჯანული, გადასახლდა. . .	15 კომ.
სოფ. ტყემაკრავი, გადასახლდა . . .	10 კომ.
სოფ. ცხემუანი, გადასახლდა . . .	10 კომ.
სოფ კობალაური, გადასახლდა . . .	40 კომ.
სოფ. ჩურუქსუდამ, გადასახლდა . . .	80 კომ.
სოფ. ზარა ბოსელი, გადასახლდა . . .	25 კომ.
სოფ. დიდი ვაკე, გადასახლდა . . .	40 კომ.
სოფ ზემო ხინო, გადასახლდა . . .	40 კომ.
სოფ. ჩაქვა, გადასახლდა . . .	13 კომ.
სოფ. ხალა, გადასახლდა . . .	40 კომ.

სოფ. ჩაქვის თავი, გადასახლდა	.	40 კომ.
სოფ. გორგამნეები, გადასახლდა	.	20 კომ.
სოფ. მახინჯაური, გადასახლდა	.	40 კომ.
სოფ. ორთო ბათუმი, გადასახლდა	.	15 კომ.
სოფ. ყოროლის თავი, გადასახლდა	.	25 კომ.
სოფ. აგარა, გადასახლდა	.	14 კომ.
სოფ. ახალ შენი, გადასახლდა	.	20 კომ.
სოფ. ხალვაშენეები, გადასახლდა	.	40 კომ.

და სხვა და სხვა.

ქობულეთის ნაწილში აქ მოხსენებულ სოფლებს გარდა სხვა წვრილი და დიდი სოფლებიც არის. წვრილ სოფლები-დამ წასულთ ცნობები ჩვენ ვერა შევიტყუეთ რა, რადგანც იქი-დამ თითო ოროლა კომლი წასულა. აქ არ ვახსენეთ ზოგი ერთის სოფლები, სადაც დღეს სულ აღარავინ სცხოვრობს, მთელი სოფელი დაიცალა და გადასახლდა. სოფელში მოსახლეთა სახლები ტყის ნადირის თავ-შესაფარად გადაიქცა. ასეთ სოფლების რიცხვიც დიდი არის. ასეთი იყო მაგალითებრ სოფ. კვირიკე, საიდანაც მთლად წავიდა ხალხი. სოფელი სულ ცარიელი დარჩა.

მანც უნდა ითქვას, რომ ხალხის თქმით ქობულეთის ნაწილიდამ 2000 კომლზედ მეტი წავიდ. ვისაც კი ჰკითხავ, თუ ქობულეთიდან რამდენი მოსახლე წავიდა? ყველა გეტყვის, რომ 2000 ათას მოსახლეზე მეტია. ჩვენგან მოთვლილ გადასახლებულ ცნობები კი ვგონებთ 1200 მოსახლეზედ მეტი არ არის. ხალხი ლაპარაკობს, რომ 2000 მოსახლეზედ მეტი წავიდაო და აქ მოყვანილი ცნობები კი სხვას გვეუბნება. ამის მიზეზი ვგონებთ ის უნდა იყოს, რასაც ჩემი გამოუცდელით პატარ-პატარა სოფლებიდან წასულთ მცირე რიცხვს არ ვნუსხავდი, რომელთა რიცხვიც ოსმალთა მფლობელობის დროს აქეთ ერთობ დიდი იყო. მთელი ქობულეთის ველები, ტყეები და ფერდობები სულ სოფლებით იყო სავსე. დღეს კი იქ ნასოფლარებიც აღარა სჩანს. ვგონებდ სულ ამეებიდამ უნდა იყოს მომხდარი ამათ რიცხვის უცოდინრობა და შეცდომა, თორემ დღესაც იტყვიან ხოლმე, რომ ქობულეთიდან 2000 ათასი მოსახლეზედ მეტი წავიდა „მუჰაჯირათაო“, ზოგნი 2500 მოსახლეს იტყვიან, ზოგნი კი 5000 მოსახლესაც და ყოველივე ამას დაბეჯითებითაც ირწმუნებიან.

შეკრებილი 1892 წ. გადასახლებულნი ქვედა აჭარიდამ.

სოფ. დანდოლოდამ, გადასახლდა	.	10 კომ.
სოფ. ჯალაბაშვილები, გადასახლდა	.	5 კომ.
სოფ. გოგიაური, გადასახლდა	.	5 კომ.
სოფ. ზაქარიამეები, გადასახლდა	.	10 კომ.

სოფ არსანაული, გადასახლდა მრავლად. რიცხვი წასუ-
ლებისა ვერ შევიტყე. სთქვებს, რომ მთელი სოფელი წავიდაო.
რა იყო წასვლის მიზეზი, რომ მთლად აიყარნენ, ამის მიზე-
ზი უცნობად დამიშთა.

სოფ. გოგისეული, გადასახლდა . . . 25 კომ.
სოფი კოკიტაური, გადასახლდა . . . 4 კომ.
სოფ. გელიაშვილები, გადასახლდა . . . 5 კომ.
სოფ. ბაბუჩაშვილები, გადასახლდა . . . 5 კომ.
სოფ კეკელიძე, გადასახლდა . . . 5 კომ.
სოფ. გეწამეები, გადასახლდა . . . 2 კომ.
სოფ. შალაძე, გადასახლდა . . . 4 კომ.
სოფ. ცხომრისი, გადასახლდა . . . 90 კომ.
სოფ. აბუკეთი, გადასახლდა . . . 15 კომ.
სოფ. კანტაური, გადასახლდა . . . 10 კომ.
სოფ. ტბეთა. (შავშ. ტბეთი არ არის ეს) გად. 30 კომ.
სოფ. ნავანები. ხოჯის ქადაგებით გად. . . 40 კომ.
სოფ. ქვაშტა, გადასახლდა 20 კომ. გადასახლებას აქე-
ზებდნენ ამ სოფლის მემატონე ჯაყელები.
სოფ. ვაიო, გადასახლდა . . . 25 კომ.

სოფ. აქუცა, გადასახლდა. 15 კომ. აქ სცხოვრობდნენ
მაჰმადიანთ ერისთავები. ესენი აქეზებდნენ ხალხს გადასახლე-
ბისათვის, თვითაც მთლად გადასახლდნენ ოსმალეთში. ამ სო-
ფლიდამ გახლდათ ხოსროვ ფაშა, ერისთავი, ოსმალეთის დი-
დი მინისტერი. ეს ხოსროვ ფაშა 1840 წლებს იყო ინგლისში
გაგზავნილი.

სოფ. დაბა ქედა, გადასახლდე . . . 20 კომ.
სოფ. მერისი. წინედ აქ 700 კომ. იყო, ეხლა კი 100
კომლი არის, მაშასადამე გადასახლებულა 600 კომ.
სოფ კუჭური, გადასახლდა . . . 14 კომ.
სოფ. კაპარტყე, გადასახლდა . . . 10 კომ.
სოფ. სიხლაძე, გადასახლდა . . . 10 კომ.

სოფ. ქემში ოღლი, ამათ ქრისტიანობა დიდხანს შეუ-
ნახავთ, ამიტომ უბრძვიათ. გადასახლდა 10 კომ.

სოფ. ალიქოღლი. აქ დასახლებულან მესხეთიდან მოსუ-
ლი ქართველ მაჰმადიანები, ბევრი უბრძოლიად. გადასახლდა
10 კომლი.

სოფ. გოგნიძე, აქაურ ქართველებსაც სჯულისთვის ბევ-
რი უბრძოლიად, გადასახლდნენ 15 კომ.

სოფ. მეძიბნა. აქაური მცხოვრებნი ბრძოლაში გამწყდა-
რან, მერე აქ დასახლებულან არდანუჯის და ართვინის ქართ.
მაჰმადიანები. გადასახლდა 10 კომ.

სოფ. შავაბურა. მშვენიერი სოფელია, ხშირად სოფ.
შავად იბურება, გადასახლდა 20 კომ.

სოფ. აგოთა, გადასახლდა . . . 5 კომ.

სოფ. სილაბაური, ესენი ისლამს დაუკავშირდნენ 1780 წ.
გადასახლდნენ 10 კომ.

სოფ. გარეტყე, 1850 წ. ოსმალთ ომში ამათაგან ბევ-
რნი გამწყდარან, გად. 10 კომ.

სოფ. სამზიარი, მშვენიერ სამზირალ ალაგას სძევს, გა-
დასახლდა 10 კომ.

სოფ. ნამონასტევი, გადასახლდა . . . 5 კომ.

სოფ. ორცვა გადასახლდა . . . 30 კომ.

სოფ. კაკაოლლი, გადასახლდა . . . 5 კომ.

სოფ. ძენწმანი, გადასახლდა . . . 8 კომ.

სოფ. კორომხეთი, გადასახლდა . . . 15 კომ.

სოფ. ორთახოხნა, გადასახლდა . . . 15 კომ.

სოფ. დერე ხოხნა, გადასახლდა . . . 10 კომ.

სოფ. ლოლაძე, გადასახლდა . . . 5 კომ.

სოფ. შოთიძე, გადასახლდა . . . 20 კომ.

სოფ. ახო, გადასახლდა . . . 5 კომ.

სოფ. გობურნეთი, გადასახლდა . . . 5 კომ.

სოფ. ვარჯანისი, გადასახლდა . . . 10 კომ.

სოფ. კენივრი, გადასახლდა . . . 5 კომ.

სოფ. სვანივრი, გადასახლდა . . . 8 კომ.

სოფ. ქინძაკარა, გადასახლდა . . . 5 კომ.

სოფ. წონივრი, გადასახლდა რამდენიმე კომლი.

სოფ. ბზუ ბზო, გადასახლდა . . . 30 კომ.

სოფ. ზვარე, გადასახლდა . . . 40 კომ.

სოფ. ზე სოფელი, გადასახლდა . . . 10 კომ.

სოფ. გულეზი, გადასახლდა . . . 15 კომ.

სოფ. სალორეთი, გადასახლდა . . . 60 კომ.

სოთ. ქვედა მახუნცეთი, გად. . . 40 კომ.

სოფ. ზედა მახუნცეთი, გადასახ. . . 20 კომ.

სოფ. კვირიტაული, გადასახლდა . . . 10 კომ.

სოფ. ბაბუჩაშვილები, გადასახლდა . . . 10 კომ.

სოფ. ბელტური, გადასახლდა . . . 15 კომ.

სოფ. დოლოგანი, გადასახლდა . . . 20 კომ.

სოფ. საფარა, გადასახლდა . . . 10 კომ.

სოფ. ჭიკანძე, გადასახლდა . . . 8 კომ.

სოფ. კაპნის თავი, გადასახლდა . . . 20 კომ.

სოფ. კიბე, გადასახლდა . . . 15 კომ.

სოფ. ჭალახმელა, გადასახლდა . . . 15 კომ.

სოფ. უჩხითი, გადასახლდა . . . 10 კომ.

სოფ. კირნათი, გადასახლდა . . . 10 კომ.

სოფ. მილისი, გადასახლდა . . . 15 კომ.

სოფ. ერგე გადასახლდა . . . 10 კომ.

სოფ. მიკიტაური, გადასახლდა . . . 15 კომ.

სოფ. ხელვაჩაური, გადასახლდა . . . 6 კომ.

სოფ. შარაშიძე, გადასახლდა	.	.	6 კომ.
სოფ. თოფალაშვილები, გად,	.	.	10 კომ.
სოფ. ურეცი, გადასახლდა	.	.	15 კომ.
სოფ. დედაბერა, გადასახლდა	.	.	5 კომ.
სოფ. სიმონეთი, გადასახლდა	.	.	10 კომ.
სოფ. მახო, გადასახლდა	.	.	5 კომ.
სოფ. თხილნარი, გადასახლდა	.	.	5 კომ.

სოფ. ყარაშარვალი. 1850 წ. ამ სოფლის მცხოვრებ (40 კომ.) ქართ. მაჰმადიანები ოსმალთა ბრძანებით ოსმალეთში გადასახლეს, ამათ ალაგას აფხაზები დასახლდნენ.

სოფ. ყომრალო მთელი სოფლის მცხოვრებნი 60 კ.) ოსმალეთის მთავრობამ 1850 წ. ოსმალთა აფრიკაში გადასახლა, ამათ ალაგას იქიდან შავი ხალხი მოიყვანეს და დაასახლეს. ესენი დღესაც სცხოვრებენ აქ. (არაბები)

სოფ. წითელი მიწა. ამ სოფლის ქართველ მაჰმადიანები (50 კომ) მთავრობის ძალით ოსმალში იქმნენ გადასახლებულნი 1850 წლებს.

აჭარის (ქვედა სოფლებიდან გადასახლებულთ სწორე ცნობები ჩვენ არ გვაქვს. ეს ცნობები მე შევკრიბე 1891-93 წლებს, როცა იქ მრავლად სცხოვრობდნენ ისეთი პირნი, რომელთაც გადასახლების ყოველივე კარგად ახსოვდათ. ამათის სიტყვით ვწერე ეს ცნობები. იგინი ამბობდნენ, რომ ქვედა აჭარიდან 1500 კომლზედ მეტი წავიდა ოსმალში. ჩემი მოყვანილი ცნობები კი ამ რიცხვს არ უდრის, იგი მცირე არის. აჭარიდან ხალხი მთლად აპირებდა გადასახლებას. ამისთვის იგინი სამზადის ომის დაწყების დროსვე მიეცნენო. ამ გარემოებას მოლები და ხოჯებიც უფრო ამწვავებდნენო.

მთელი აჭარა რომ არ დაიცალა და არ გავიდა ოსმალში, ამის მიზეზი არის აჭარის მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი მერისელი, რომელიც აჭარლებს ამშვიდებდა, აწყნარებდა და არ უშვებდა წასასვლელათაო. ამავე აზრის იყვნენ თითო ოროლა სხვა და სხვა ბეგები და მათ შორის ტუპამ ბეგ. შარუაშიძეო. ეს პირნი რომ არ ყოფილიყვნენ, მაშინ შეიძლება აჭარლები მთლად გადასახლებულიყვნენო, რადგანაც მათ დიდი წამქეზებლები ჰყვანდათო. ასეთნი იყვნენ თვით ქართველ გვარის ფაშებიცო, მაგალითებრ როგორც ოსმან ფაშა თავდგირიძე, ალი ფაშა თავდგირიძე, ქემილ ფაშა ხიმშიაშვილი და მრავალიც სხვანიო.

სთქვს ამათ, ჯერეთ რუსებს ეს ომი არც კი დაეწყოთ, რომ აჭარელებმა უკვე აყრისათვის სამზადისი დაიწყეს, რადგანაც მათში თქმულება იყო, რომ ამ კუთხეს რუსნი უსათუოდ აიღებენო. ეს ომი მათ რაც უნდა ძვირად დაუჯდეს, ამ მხარეს კი მაინც აუღებელს არ გაუშვებენ და ამიტომ

ჩვენ წინათვე გვირჩევნია, რომ მოვიშალოთ და წავიდეთო. ის იყო ომი თავდებოდა, მორიგებაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი და ამ კუთხის შეერთებაზედ და ქართველ მაჰმადიანებმაც დაიწყეს სამზადისი, აყრა და წასვლა ოსმალშიო. ჯერ რუსები არ იყვნენ მოსულნი, რომ ესენი უკვე მიიპარებოდნენ ოსმალეთშიო. ასე, რომ ვისაც კი ცოტა კაი მამული აქვნდა, ის იმას ჰყიდდა ფუხარა კაცზედ და თვით კი მიდიოდა ოსმალშიო. ამიტომ ბევრის გადასახლებულის ცნობა წერილობით სულ არ სჩანს. წინად წასულების ზოგი უკან მობრუნდაო, რუსებმა ეს არ იცოდნენ. იგინი თავიანთ მამულებს დაეპატრონენ ისევეო, მყიდველთაგან უკან დაიბრუნესო. უმეტესი ნაწილი კი ოსმალში დაშთნენო. ხშირად მომხდარა ისიც, რომ პატრონს ორჯერ მეტი მიუცია ფული და ისე დაუბრუნებია თავისი მამული უკანვე. ბათუმში კი ვინც გაყიდა რამე მამული და წავიდნენ, მათის რიცხვის კი არავინ დაბრუნებულა უკან, მამულების დავა აღარ აუტეხნიათ.

შეკრებილი 1892 წ. გადასახლებულნი ზედა აჭარიდამ.

სოფ. ბაკოდამ, გადასახლდა . . .	3 კომ.
სოფ. თხილვანა, გადასახლდა . . .	5 კომ.
სოფ. გორხანაული, გადასახლდა . . .	8 კომ.
სოფ. კოლონჩნარი, გადასახლდა . . .	10 კომ.
სოფ. ყაიბაში, გადასახლდა . . .	3 კომ.
სოფ. ბერსენაული, გადასახლდა . . .	4 კომ.
სოფ. დაბა ძველი, გადასახლდა . . .	10 კომ.
სოფ. ოქრო პარულა, გადასახლდა . . .	10 კომ.
სოფ. ორთა მეჭელე, გადასახლდა . . .	5 კომ.
სოფ. სკვანა, გადასახლდა . . .	3 კომ.
სოფ. ხეხაძირი, გადასახლდა . . .	8 კომ.
სოფ. ორთა ხევი, გადასახლდა . . .	2 კომ.
სოფ. ძმა გულა, გადასახლდა . . .	5 კომ.
სოფ. ბახმარო, გადასახლდა . . .	10 კომ.
სოფ. ფურტო, გადასახლდა . . .	5 კომ.
სოფ. მჭედრული, გადასახლდა . . .	3 კომ.
სოფ. თათერული, გადასახლდა . . .	3 კომ.
სოფ. ბუთურაული, გადასახლდა . . .	5 კომ.
სოფ. ნენია, გადასახლდა . . .	3 კომ.
სოფ. გუნდარა, გადასახლდა . . .	5 კომ.
სოფ. ყინჩაური, გადასახლდა . . .	5 კომ.
სოფ. გორგაული, გადასახლდა . . .	6 კომ.
სოფ. ფორჩხა, გადასახლდა . . .	2 კომ.
სოფ. წაბლანა, გადასახლდა . . .	3 კომ.
სოფ. კალოთა, გადასახლდა . . .	3 კომ.

სოფ. ფუშრუკაული, გად.	.	.	2 კომ.
სოფ. რაქვთა, გადასახლდა	.	.	5 კომ.
სოფ. ვერნები, გადასახლდა	.	.	4 კომ.
სოფ. მალაკური, გადასახლდა	.	.	4 კომ.
სოფ. პაპაშვილები, გადასახლდა	.	.	3 კომ.
სოფ. კობალთა, გადასახლდა	.	.	5 კომ.
სოფ. ქუთაური, გადასახლდა	.	.	3 კომ.
სოფ. დარჩიძეები, გადასახლდა	.	.	5 კომ.
სოფ. წყაროთა, გადასახლდა	.	.	5 კომ.
სოფ. შუბაანი, გადასახლდა	.	.	6 კომ.
სოფ. ტომაშეთი, გადასახლდა	.	.	5 კომ.
სოფ. აგარა, გადასახლდა	.	.	10 კომ.
სოფ. საციხური, გადასახლდა	.	.	8 კომ.
სოფ. სამახრეო, გადასახლდა	.	.	5 კომ.
სოფ. ვანაძეები, გადასახლდა	.	.	10 კომ.
სოფ. მიმითა, გადასახლდა	.	.	12 კომ.
სოფ. ალძე, გადასახლდა	.	.	5 კომ.
სოფ. წინწკარა, გადასახლდა	.	.	5 კომ.
სოფ. სტეფანწეშვილები, გად.	.	.	3 კომ.
სოფ. ტუნაძე, გადასახლდა	.	.	10 კომ.
სოფ. ირემაძე გადასახლდა	.	.	6 კომ.
სოფ. შავაძე, გადასახლდა	.	.	5 კომ.
სოფ. ყადიოღლები, გადასახ..	.	.	5 კომ.
სოფ. ჯირკვა, გადასახლდა	.	.	3 კომ.
სოფ. გადასახვევი, გადასახლდა	.	.	10 კომ.
სოფ. ოქროაშვილები, გადასახლდა	.	.	5 კომ.
დაბა ხულო, გადასახლდა	.	.	25 კომ.
სოფ. ქედლები, გადასახლდა.	.	.	10 კომ.
სოფ. ღორჯომი, გადასახლდა	.	.	15 კომ.
სოფ ზეგანი, გადასახლდა	.	.	5 კომ.
სოფ. ლომსაძენი, გადასახლდა	.	.	3 კომ.
სოფ. ტბეთა, გადასახლდა	.	.	7 კომ.
სოფ. სამოლეთი, გადასახლდა	.	.	4 კომ.
სოფ. მოფრინიძე, გადასახლდა	.	.	12 კომ.
სოფ. დაკლაკიძე, გადასახლდა	.	.	8 კომ.
სოფ. ცონარიძე, გადასახლდა	.	.	10 კომ.
სოფ. ჯაბანიძე, გადასახლდა	.	.	6 კომ.
სოფ. ქიძინიძე, გადასახლდა	.	.	3 კომ.
სოფ. ღვანა, გადასახლდა	.	.	10 კომ.
სოფ. ლომინაური, გადასახლდა	.	.	5 კომ.
სოფ. გოგინაური, გადასახლდა	.	.	5 კომ.
სოფ. კვინიხიძე, გადასახლდა	.	.	3 კომ.
სოფ. კარპეტი, გადასახლდა	.	.	10 კომ.
სოფ. მაწყვალთა, გადასახლდა	.	.	5 კომ.

სოფ. ჯუმუშაური, გადასახლდა . . 40 კომ.

ამ სოფლის ხალხი ოსმალის მთავრობას გადაუსახლებია ოსმალში 1850 წლებს, რაღაც წინააღმდეგობის გამო.

სოფ. ოლდაური, გადასახლდა . . 10 კომ.

სოფ. ბელეთი, გადასახლდა . . 5 კომ.

სოფ. დიოკნისი, გადასახლდა . . 5 კომ.

სოფ. ტაბახმელა გადასახლდა . . 10 კომ.

სოფ. ბოგაური, გადასახლდა. . . 5 კომ.

სოფ. ელელეიძე, გადასახლდა . . 15 კომ.

სოფ. მანიაკეთი, გადასახლდა . . 8 კომ.

სოფ. კორტოხა, გადასახლდა. . . 15 კომ.

სოფ. რიყეთი, გადასახლდა . . 10 კომ.

სოფ. დანისპარულა გადასახლდა . . 8 კომ.

სოფ. ახალ დაბა, გადასახლდა . . 6 კომ.

სოფ. ცხემლისი, გადასახლდა . . 5 კომ.

სოფ. ჟანივრი, გადასახლდა . . 10 კომ.

სოფ. წინსაყარი, გადასახლდა . . 10 კომ.

სოფ. ნალვარევი, გადასახლდა . . 5 კომ.

სოფ. ბრილი, გადასახლდა . . 12 კომ.

სოფ. ვარჯანული: (მესამე) გად. . . 3 კომ.

სოფ. წყომრისი, გადასახლდა . . 5 კომ.

სოფ. ჭალა, გადასახლდა . . 2 კომ.

სოფ. ზემო ხევი გადასახლდა . . 15 კომ.

სოფ. ბარათაული, გადასახლდა . . 5 კომ.

აქ უცხოვრიათ ბეგებ ბარათოღლებს, ბარათაშვილები, ესენი ეხლა სულ ოსმალში გადასახლებულან. აქ არავინ დაშთენილა.

სოფ. გომართელი, გადასახლდა . . 6 კომ.

სოფ. ვანი, გადასახლდა . . 8 კომ.

სოფ. ნიგაზეული, გადასახლდა . . 4 კომ.

სოფ. ჩაო, გადასახლდა . . 7 კომ.

სოფ. თაგო, გადასახლდა . . 12 კომ.

სოფ. აბულეთი, გადასახლდა . . 5 კომ.

სოფ. მელაძე, გადასახლდა . . 6 კომ.

სოფ. ჩანჩხალო, გადასახლდა . . 6 კომ.

სოფ. დანისპარულა, გადასახლდა . . 5 კომ.

აქ ჩამოთვლილ სოფლებიდან გადასახლებულთა რიცხვი აჩენს, რომ ზეგნიდამ ისე უხვათ არ წასულან, როგორც ეს ლივანიდამ, ქობულეთიდან და სხვა ადგილებიდან იქმნა. ამის მიზეზი ის არის, რომ აქაური ქართველ მაჰმადიანობა უფრო მხვნელ-მთესველი ხალხია, მეურნეობის მიმდევარი, ამიტომ ესენი გადასახლების საქმეს ისე არ მისდევდნენ, როგორც სხვა ქართველ მაჰმადიანები.

თუმცა დაბეჯითებით სთქვს, რომ ზეგნიდამ 2000 კომ-

ლზედ მეტი წავიდაო. 500 კომლი ომის დაწყების დროს გადავიდნენ და ზოგნიც მერე, ვიდრე დრო იყო გადასახლებისაო. მე კი ამ რიცხვის გადასახლებულთ ცნობები ვერ შევკრიბე. სჩანს ცნობების მომთხრობ მოხუცებულ ქართველ მაჰმადიანები ნაკლებ რიცხვს მეუბნებოდნენ ხოლმე, ან იქნება ისიც მოხდა, რომ ამათ, ზოგი რამ შორი, ანუ მიყრუებულ სოფლებიდან წასულთ ცნობები არ იცოდნენ, მეც მიტომ არას მეუბნებოდნენ. მე მაინც გადაწყვეტით ვერას ვიტყვი, ხოლო ჩემი მგზავრობის დროს 1891-1896 წლამდის ვისაც კი ჰკითხავდი, თუ ზეგიდამ რამდენი წავიდა ოსმალშიო? გეტყოდნენ თამამად, რომ 2000 კომლზედ მეტო.

შეკრებილი 1892 წ. მურღულის ხეობის სოფლები.

სოფ. ტრაპენი, გადასახლდა	50 კომ.
სოფ. არხვა, გადასახლდა	45 კომ.
ამ სოფელში დარჩა მარტოდ ერთი გვარის ოჯახი, სა-	
ხელდობრ ბოლქვაძენი.	
სოფ. ჟვანა, გადასახლდა	20 კომ.
სოფ. ქამალეთი, გადასახლდა	30 კომ.
სოფ. პუქურეთია, გადასახლდა	40 კომ.
სოფ. ერგვანი, გადასახლდა	25 კომ.
სოფ. კორიდეთი, გადასახლდა	30 კომ.
სოფ. ოსმალო, გადასახლდა	20 კომ.
სოფ. დუჩა, გადასახლდა	15 კომ.
სოფ. მეზრე, გადასახლდა	30 კომ.
სოფ. ძანცულა, გადასახლდა	20 კომ.
სოფ. იფრხევი, გადასახლდა	35 კომ.
სოფ. კაპარჭეთი, გადასახლდა	40 კომ.
სოფ. გურბინი, გადასახლდა	30 კომ.
სოფ. ბაგა, გადასახლდა	50 კომ.
სოფ. ქურა, გადასახლდა	20 კომ.
სოფ. ჩხალეთი, გადასახლდა	30 კომ.
სოფ. გოგილეთი, გადასახლდა	25 კომ.
სოფ. ბაშქორი, გადასახლდა	50კომ.
სოფ. ფორსეთი, გადასახლდა	40 კომ.
სოფ. ჭალაკი, გადასახლდა	30 კომ.
სოფ. გომჩირეთი, გადასახლდა	25 კომ.
სოფ. ურძუმა, გადასახლდა	35 კომ.
სოფ. ნაღვარევი, გადასახლდა	40 კომ.
სოფ. კეკლი, გადასახლდა	25 კომ.
სოფ. ზედა აქურა, გადასახლდა	30 კომ.

სხვა და სხვა წვრილ სოფლებიდან წასულთ ჩვენ არ ვასახელებთ. ასე რომ მთელი მურღულის მხარე დაიცალა, სო-

ფელში თითო ოროლა კომლი დარჩა. მთლად ამ კუთხიდან მუჰაჯირად 1500 კომლზედ მეტი წასულა, ჩვენ კი ნაკლები რიცხვი გვაქვს შეკრებილ-მოყვანილი. მურღულის ხეობა მეტად მშვენიერი ხეობა არის, მდიდარი მადნებით და მოსავლითაც უხვი, ჭამითაც კარგი. ამიტომ ქართველ მაჰმადიანები მალე მოვიდნენ გონებაზედ და გარდასახლებულთა ბევრი დაბრუნდა ისევ და დასახლდა თავის სამშობლოში. ამით გადასახლებულებმა დაბრუნების დანიშნულ ვადას მოასწრეს და მიტომ იქმნენ მთავრობისაგან მიღებულ და თავ-თავიანთ ალაგას დასახლებულნი.

შეკრებილი 1893 წ. გადასახლებულნი ლივანის სოფლებიან.

სოფ. ბაგინი, გადასახლდა	20 კომ.
სოფ. დევესქელი, გადასახლდა	25 კომ.
სოფ. ცანათისი, გადასახლდა	10 კომ.
სოფ. ოხორჯონი, გადასახლდა	8 კომ.
სოფ. ბანაკა, გადასახლდა	3 კომ.
სოფ. სამახრეო, გადასახლდა	7 კომ.
სოფ. არვეთი, გადასახლდა	4 კომ.
სოფ. ნიაგი, გადასახლდა	5 კომ.
სოფ. ებრიკა, გადასახლდა	4 კომ.
სოფ. მამა წმინდა, რამდენიმე კომლი გადასახლდა, რიცხვი ვერ გავიგე.	
სოფ. ღნია, გადასახლდა	3 კომ.
სოფ. ადაგულა, გადასახლდა	20 კომ.
სოფ. პეტრული, გადასახლდა	7 კომ.
სოფ. კვარცხანა, გადასახლდა	10 კომ.
სოფ. სინქოთი, გადასახლდა	12 კომ.
სოფ. არხვა, გადასახლდა	15 კომ.
სოფ. ორჯი, გადასახლდა	25 კომ.
სოფ. ავანა, გადასახლდა	5 კომ.
სოფ. თხილაძე, გადასახლდა	7 კომ.
სოფ. კოსტლა, გადასახლდა	10 კომ.
სოფ. წითურეთი, მთლად გადასახლდა. სოფელი კარგა ფართო მცხოვრებთა რიცხვი ყოფილა. დაახლოვებით უნდა ყოფილიყოს 60 კომ.	
დაბა ბორჩხა, გადასახლდა	40 კომ.
სოფ. ქელასყური, გადასახლდა	20 კომ.
ქსელასყურის ხეობის სოფლებიანად გად.	200 კომ.
სოფ. არჩუეთი, გადასახლდა	30 კომ.
სოფ. ჭკადუეთ, გადასახლდა	20 კომ.
სოფ. კინწყურითი, გადასახლდა	40 კომ.

სოფ. ცოცხები, გადასახლდა . . .	30 კომ.
სოფ. ზედა უბანი, გადასახლდა . . .	25 კომ.
სოფ. მურკეთი, გადასახლდა . . .	15 კომ.
სოფ. შუბანი, გადასახლდა . . .	20 კომ.
სოფ. ნადარბაზევი, გადასახლდა . . .	20 კომ.
სოფ. ბურდუხეთი, გადასახლდა . . .	20 კომ.
სოფ. საბაური, გადასახლდა . . .	15 კომ.
სოფ. გორგაული, გადასახლდა . . .	10 კომ.
სოფ. ქესტაშა, გადასახლდა . . .	12 კომ.
სოფ. ხიჩკარა, გადასახლდა . . .	20 კომ.
სოფ. ოლდაური, გადასახლდა . . .	30 კომ.
სოფ. ჯონკურეთი, გადასახლდა . . .	25 კომ.
დაბა მარადიდი (დიდი) გადასახლდა . . .	60 კომ.
სოფ. მარიდოდი, გადასახლდა . . .	40 კომ.

ერთს ქვემო მარადიდი ეწოდება, მეორეს ზემო მარადიდი. ლივანის სოფლებში ყველაზე მეტი მტრობა ლივანის ხოჯებმა და მოლებმა გამოიჩინეს, მიუხედავად იმისი, რომ ამათი უფროსი იყო გონიერი ახმედ ეფენდი ხალვაში, რომელიც მცხოვრებთ აწყნარებდა და აშოშმინებდა, რომ ნუ იყრებოდა, ოსმალში ნუ მიხვალთ, რუსნი არაფერს დაგიშავებენო, იგინი მაინც თავიანთ ჰაზრს მკაცრად იცავდნენ, ამიტომ გადასახლდნენ ისე, რომ ორივე მარადიდი თოთქმის მთლად დაიცალა.

ლივანის შესახებ ქართველ მაჰმადიანებმა მიაგებეს: ლივანში ბევრი სოფელი ისე დაიცალა, რომ იქ დღეს აღარავინ სცხოვრობს, სოფლები მთლად მოისპო, სახლები სულ დაიქცა და დაინგრა. ასეთი ცარიელი სოფლები მე არც ამინუსხავს. ეს გარემოება საბუთდება მათისავე მონათხრობის შემდეგის ცნობებისაგან.

მცოდნე ქართველ მაჰმადიანებმა სთქვეს, რომ ლივანიდამ 2000 კომლი მეტი წავიდაო. აქ აღარავინ დარჩაო. ჩემი ანუსხული ცნობები კი არც 1000 კომლია. მაშასადამე მე გამოპარებული და აუწერელი მაქვს კარგა საკმარისი რიცხვის სოფლებთა ცნობებს. ლივანა დიდი კუთხე არის, აჭარაზედ მეტი.

შეკრებილი 1893 წ. გადასახლებულნი მაჭახლის სოფლებიდან.

სოფ. გვარა, გადასახლდა . . .	40 კომ.
სოფ. ქედ-ქედი, გადასახლდა . . .	35 კომ.
სოფ. ჭანივრი, გადასახლდა . . .	30 კომ.
სოფ. აჭარის აღმართი, გადასახლდა . . .	20 კომ.
სოფ. ცხემლანა, გადასახლდა . . .	40 კომ.
სოფ. ჩუკუნეთი, გადასახლდა . . .	25 კომ.

სოფ. ჩხუტუნეთი, გადასახლდა .	25 კომ.
სოფ. ხერთვისი, გადასახლდა .	45 კომ.
პატარა ხერთვისი, გადასახლდა .	25 კომ.
სოფ. მინდიეთი, გადასახლდა .	40 კომ.
სოფ. აგარა, გადასახლდა .	30 კომ.
სოფ. ევფრატი, გადასახლდა .	25 კომ.
სოფ. ქვაბის თავი, გადასახლდა .	20 კომ.
სოფ. ზედა-ვაკე, გადასახლდა .	20 კომ.
სოფ. გორგამეთი, გადასახლდა .	25 კომ.
სოფ. საფუტკრეთი, გადასახლდა .	35 კომ.
სოფ. სინდიეთი, გადასახლდა .	25 კომ.
სოფ. მაჭახლის პირი, გადასახლდა .	20 კომ.
სოფ. კირნათი, გადასახლდა .	30 კომ.
სოფ. მალაკონი, გადასახლდა .	20 კომ.
სოფ. ჭალახმელა, გადასახლდა .	30 კომ.
სოფ. უჩხითი, გადასახლდა .	30 კომ.
სოფ. მილისი, გადასახლდა .	15 კომ.
სოფ. ძნელიეთი, გადასახლდა .	35 კომ.
სოფ. ბაზარეთი, გადასახლდა .	30 კომ.
სოფ. კახეთი, გადასახლდა .	40 კომ.
სოფ. ნაქალაქევი, გადასახლდა .	25 კომ.
სოფ. ოჯიბაური, გადასახლდა .	20 კომ.
სოფ. გომარეთი, გადასახლდა .	40 კომ.
სოფ. კეჟერეთი, გადასახლდა .	15 კომ.
სოფ. ხინკალეთი, გადასახლდა .	20 კომ.
სოფ. კირკიტეთი, გადასახლდა .	30 კომ.
სოფ. საყანური, გადასახლდა .	40 კომ.
სოფ. გვიანეთი, გადასახლდა .	20 კომ.

და სხვაც წვრილი სოფლები. ჩვენ ყველას აქ არ ვახსენებთ. ეს ცნობაც მაჭახელში შევკრიბე, მიაშბეს მცოდნე რთველ მაჰმადიანებმა, რომ ყველაზედ მრავლად მაჭახლელები გადასახლდნენო. ოსმალს დროს აქ სცხოვრობდა 30,000 კაცზედ მეტო. ომის გათავების შემდეგ ერთ დროს აქედამ გადასახლდა 17,000 ათასიო, მერე კიდენ გადასახლდნენო, ისე, რომ მთელი მაჭახელი დაიცალაო. მართლაც და ჩემი მგზავრობის დროს ტყეებში ხშირად მხვდებოდა ხალხით სრულიად ცარიელი სოფლები. გადასახლების შემდეგ მაჭახელში სულ 700 კომლიდა ირიცხებოდა. ასე დაცარიელდა ეს კუთხე, ასე მოისპო აქ ქართველ მაჰმადიანთ რიცხვი. ვინც ოსმალში წავიდნენ, ისინიც იქით გაწყდნენ.

შავშეთიდან წასულნი.

შავშეთიდან – ანუ მთელის შავშეთის სოფლებიდან გადა-

სახლდა 10,000 სული. უკანასკნელ ომის დროს, ვიდრე გადასახლების ვადა გათავდებოდა.

შემდეგ წლებს, ანუ 1895-1902 წლებამდის, სხვა და სხვა დროს გადასახლდა 1000 კომ. უკანასკნელი რიცხვი ოფიციალურად იყო დასაბუთებული და პირველი ცნობები კი შავშეთში მიაშვს. სამწუხაროდ, რადგანაც აქ ქართველ მაჰმადიანებს ქართული ენა დაკარგული აქვს, ამიტომ მე მათი სოფლები სათითაოდ არ ავსახებ და ისე არ მოვიხსენებ, როგორც სხვა კუთხის სოფლები ავწერეთ, თუ საიდან, ანუ რომელ სოფლიდან რამდენი სული წავიდა ოსმალეთში. მე იქ ზედ მიწევნით ზემოხსენებული ცნობა მიაშვს. მეორე ცნობა კი შეეხება ასეთ შემთხვევას: 800 კომლმა დასტოვა ყოველივე თავის უძრავი ქონების, მაგალითებრ სახლკარი, სულადი საქონელი, სახლის ყოველივე ავეჯეულობა. მარტოდ მოკრიბეს საჭირო ლოგინი, ტანთ-საცმელი და მთავრობის ჩუმათ გადასახლდნენ ოსმალეთში.

ეს მათი გადასახლება ისე ჩუმად მოხდა და ისე ოსტატურად, რომ რუსის მთავრობის მოხელეს იქ ვერა შეუტყვიარა. მერე კი გაიგეს, მაგრამ ერთობ გვიან. ამაზედ უმაღლეს მთავრობამ გამოძიებაც მოითხოვა მასზედ, თუ ქართველ მაჰმადიანები რა მიზეზებით გაიპარნენ ოსმალეთშიო. ეხლა ჩვენ ავსახავთ შავშეთის ნაწილის იმერ ხევის სოფლებს, რომელშიაც მცხოვრებნი, ანუ ქართველ მაჰმადიანები ქართულად ლაპარაკობენ. იმერ ხევი შავშეთის შუა სძევს. იგი ართვინის ოლქის ნაწილს შეადგენს. რადგანაც დღემდე ქართული ენა აქვს შენახული, ამიტომ ავსახავთ სათითაოდ.

ჩემის მგზავრობის დროს შავშეთში შეკრებილ ცნობებმა გვაჩვენა, რომ 1878 წლიდან ვიდრე 1882 წლამდის ოსმალეთში „მუჰაჯირად“ წასულა 10,000 სული, ეს რიცხვი მომცეს იქაურ ქართველ მაჰმადიანებმა, რომელთაც ეს უბედურება თავიანთ თვალთ ენახათ და „მუჰაჯირის“ გამო დაწვრილებით ლაპარაკიც იცოდნენ. ესენი ამბობდნენ, რომ წასულთა რიცხვი ამაზედ მეტი იყო. მე მეტი არ ავსახებ, მარტოდ მოვიყვანე ის რიცხვი, რაც მათ დამისახელეს. სხვა და სხვა სოფლების კომლობით ავსახვას მე არ გამოვეკიდე.

შეკრებილი 1893 წ. შავშეთის ს იმერხევიდან გადასახლებულნი (ართვინის ოლქი).

სოფ. ხოხლეური გადასახლდა	.	15 კომ.
სოფ. აგარა, გადასახლდა	.	20 კომ.
სოფ. შოლტის ხევი, გადასახლდა	.	25 კომ.
სოფ. წყალსიმერი, გადასახლდა	.	40 კომ.

სოფ. წითლოეთი, გადასახლდა .	10 კომ.
სოფ. დიობანი, გადასახლდა .	20 კომ.
სოფ. იფრხევი, გადასახლდა .	10 კომ.
სოფ. ივეთი, გადასახლდა .	20 კომ.
სოფ. უბე, გადასახლდა .	25 კომ.
სოფ. ძიოსი, გადასახლდა .	15 კომ.
სოფ. ხემწვრილი, გადასახლდა .	20 კომ.
სოფ. დაბა ძველი, გადასახლდა .	20 კომ.
სოფ. ბელტიეთი, გადასახლდა .	20 კომ.
სოფ. ზაქიეთი, გადასახლდა .	15 კომ.
სოფ. ბაძგირეთი, გადასახლდა .	25 კომ.
სოფ. ლეონიძე, გადასახლდა .	10 კომ.
სოფ. ჩიხარი, გადასახლდა .	15 კომ.
სოფ. ციხის ხევი, გადასახლდა .	10 კომ.
სოფ. უსტამისი, გადასახლდა .	20 კომ.
სოფ. გრილ-აგარა, გადასახლდა .	25 კომ.
სოფ. შიკიური, გადასახლდა .	15 კომ.
სოფ. ლივანის ძირი, გადასახლდა .	10 კომ.
სოფ. ჩაქველთა, გადასახლდა .	12 კომ.
სოფ. შავმთა, გადასახლდა .	15 კომ.
სოფ. ხარსანა, გადასახლდა .	10 კომ.
სოფ. გორგიტიხანა, გადასახლდა .	20 კომ.
სოფ. ოქროს წუა, გადასახლდა .	10 კომ.
სოფ. ახალ დაბა, გადასახლდა .	8 კომ.
სოფ. გარყლუფი, გადასახლდა .	15 კომ.
სოფ. ჯვარები, გადასახლდა .	10 კომ.
სოფ. მიქელეთი, გადასახლდა .	20 კომ.
სოფ. მანატბა, გადასახლდა .	25 კომ.
სოფ. წყეთის ძირი, გადასახლდა .	15 კომ.
სოფ. დევაგულა, გადასახლდა .	20 კომ.

ეს ცნობები იმერხევიდამ წასულთ შესახებ შევკრიბე შავშეთს და იმერხევის სოფელ წყალ სიმერს. მოთხრობილი არის კარგად მცოდნე მოხუც მუხთრებ და სხვა ასეთ პირებთან, რომელთაც კარგად ახსოვდათ გადასახლების ცნობები. ესენი იტყოდნენ ხოლმე, რომ ჩვენ სისრულით ვერ გეუბნებით წასულთა რიცხვსაო. თუმცა იმერ ხევი კლდე დრონი ადგილებია, მაგრამ მაინც აქ ხალხით სოფლები სავსე იყო. ეხლა კი აქ აღარავინ არის, განახევრდა-დაცალიერდაო.

აქ მოყვანილი ცნობები შემოწმებული არის ადგილობრივ სოფლებში, იქ სადაც რა გადასახლება იყო. არის მეორე ნაირი ცნობებიც მუჰაჯირათ წასულთ შესახებ, რაც ზეპირად იცოდნენ მუსულმანთ ხოჯებმა და მოლებმა. მე ეს ცნობები ერთად არ დავწერე სოფლის მუხთრებისაგან ნაამბობი. ერისკაცთა და მოხუცებულთა ცნობები ცალკე დავწერე და ხო-

ჯების და მოღებისაგან მოთხრობილი ცალკე. ეხლა მოვიყვან ამათაგან მოთხრობილ ცნობებს, ერთნი მეორეს შეესაბამებინ. შეესაბამებინ არა მარტო ხალხის და სოფლების რიცხვით, არამედ თვით გადასახლების მიზეზების ამბებითაც. მაგალითებრ 1889-1891 წ. მე მქონდა ლაპარაკი სხვა და სხვა ხოჯებს და მოღებთან და მათ ერთხელაც არ უთქვამსთ გადასახლებულთ საცოდაობა, გაჭირებულთ ცხოვრება და ის სიმწუხარე, რასაც გადასახლებულნი ოსმალეთში სცდიდნენ.

ბევრჯერ განგებ ველაპარაკე სხვა და სხვა ხოჯებსა და მოღებს. ვკითხე ბევრი რამ სიტკბოთი და ნამდვილ ისლამის გულშემატკივრობით, რომ რათ წავიდნენ აქედამ, რათ დაილუპეს თავი მეთქი, მაგრამ მათგან მე პასუხი კი არა და სიტყვა, კრინტიც ვერ გავიგე. მე რომ გადასახლებულთ გაჭირებას და ვაებას ვუამბობდი, იგინი სულ განაბულნი ისმენდნენ და პასუხათ იძლეოდნენ: – „აღბათ გამჩენელი ღმერთის ბრძანება ისეთი გახლდათ და მათაც მიტომ დაადგათ ეგეთი დღენი, კაცი ღმერთის ბრძანების წინააღმდეგი ხომ არ გახდება. რა უყოთ, ყველაფერი ღვთის ბრძანებას ემორჩილებაო“ აი ეს და ასეთი სიტყვები იყო მათ პასუხათ. ამდენ ხოჯებსა და გოლებში მარტოდ ერთი ხოჯა ვნახე, რომელმაც მწუხარება განაცხადა გადასახლებულთ შესახებ და სინანულით სთქვა, რომ ჩვენმა ხალხმა უბრალოდ დაილუპა თავი, დასტოვა სახლ-კარი და წავიდნენ თავიანთ თავის დასაღუპათ.

ეს ხოჯა გახლავსთ ნური ეფენდ ბერიძე, იგივე დაბა ხულოს ყადი, გონიერი კაცი, რომელმაც 1894 წ. ბევრი რამ ამბები მიაგზო ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრების შესახებ. ასეთ ცნობებს გარდა, მანვე მიაგზო, რომ 1878 წ. როცა დიმიტრი ბაქრაძე მოგზაურობდა აქეტკენ, იგი ჩვენს სახლში იყო რამდენსამე დღესაო, ასევე გიორგი ყაზიბეგი და სხვასაც ბევრ ასეთ მოგზაურონი ქართველ ქრისტიანებისაო. ამ ხოჯის წინაპარნი იყვნენ სულ გონიერი სასულიერო პირნი და ერთი მათგანი გახლდათ თვით მამა ამისი ჰაჯი ლომან ეფენდი ბერიძე. ეს პირი სტამბოლში სცხოვრობდა. იგი ალოცებდა სულთან აზიზს ამავე სულთანის დროს. იგი სტამბოლში დადგენილ იქმნა მთელის ოსმალეთის შეიხულ ისლამათ. ამ პირს დიდი ხმა და გავლენა ჰქონია ოსმალეთის მთავრობაზედ. იგი თურმე დიდი მფარველი იყო ქართველ მაჰმადიანების სტამბოლში. მის დროს ქართველ მაჰმადიანს იქ ვერავინ დასჩაგრავდაო. ნური ეფენდი ამ პირისაგან ყოფილა გამცნებული. მიტომაც ეს დიდი წინააღმდეგი ყოფილა ქართველ მაჰმადიანთ მუჰაჯირად წასვლის.

შევიტყე, რომ ხოჯებს და მოღებს ცოდვათ მიაჩნდათ თურმე და ვერავინ რა სიტყვას იტყოდა გადასახლებულთ გაჭირებულ ცხოვრების შესახებ. ეს იმიტომ, რადგანაც იგი

რჯულის ცოდვა იქნებოდა. სასულიერო პირს რაც გინდ გაჭირებული ცნობები შეეტყო მუჰაჯირთა ცხოვრების შესახებ. იგი აქ მას სულ არ გაამჟღავნებდა, არაფერს იტყოდა, რომ მით გული არავის ასცრუებოდა იქით წასვლაზედ. სწორე ცნობები ყოველთვის უნდა დაეფარა და თუ ლაპარაკს დაიწყებდა, მაშინ უნდა ეთქვა, რომ მუჰაჯირნი ოსმალეთში ძრიელ კარგად სცხოვრობენო. ესეთი გარემოება ამ წოდებისა ისე მძლავრად არის აზვირთებული, რასაც ფანატიკობის საზღვარი არა აქვს. 1894 წ. მე ვიყავი ბორჩარს და მურღელის ხეობას. მეზავრობის დროს ბორჩხაში ვნახე ერთი ქართველ მაჰმადიანი, ოსმალში მუჰაჯირად წასული. ეს ქართველი ხოჯა არის. იქ გაჭირებაში ჩავარდნილა და მიტომ მოსულა თავის სამშობლოში, რომ აქ საჭმელი სიმინდი მოაგროვოს და გაგზავნოს ოსმალში თავის ოჯახში საჭმელად, თორემ იქ მშვიდრები ვიხოცებითო.

ეს ხოჯა სუფთათ ჩაცმული კი იყო, ხალხში საჭიროდ ლაპარაკობდა, რომ მუჰაჯირები ოსმალში კარგად სცხოვრობენ. იქ მათ კაი ცხოვრება აქვსთ, ფულსაც ოქროს შოულობენო. ასეთის თავმოწონებით ლაპარაკობდა ეს ხალხში მუჰაჯირთა შესახებ. ერთ ალაგას, მის ლაპარაკის დროს, მე აღარ დავუთმე და ხოჯებისა და მოღვების წინაშე უთხარი: ძიავ, თუ მუჰაჯირნი იქ ასე კარგად სცხოვრობენ, მაშ თქვენ აქ რათ მოხველით და სიმინდს რათ აგროვებთ იქ წასაღებათ მეთქი. მას ეწყინა ეს თქმა, ხოჯებმა და მოღვებმა ერთმანეთს შეხედეს და მერე ამ მოსულმა მკითხა: ეგ ვინ გითხრა შენაო? ვინც გითხრა, იმას ისიც უნდა ეთქვა, რომ მე სიმინდს ფუხარა ხალხისთვის ვაგროვებო, ფუხარა იქაც არის და აქაცაო. ეს პირი თურმე მთავრობის ჩუმათ აგროვებდა სიმინდს და შეწირულებას, იგი არავის უნდა შეეტყო და მით უფრო გაიურს. მე ვინც მითხრა ამ მოსულის საიდუმლო ხოჯის ამბავი, იმან ის კი არ მაუწყა, რომ ეს საქმე, ან შეწირვა სწარმოებდა საიდუმლოდ და მისი გამხელა არ შეიძლებოდა. ეს რომ მცოდნიყო, მაშინ არც მე ვკითხავდი ამ პირს ისე საჯაროდ. ხოჯებმა ბევრი მეხვეწეს, სთქვი, ვინ გითხრა ეგ ტყუილიო, მაგრამ მე არ უთხარი. ერთმა ხოჯამ სთქვა:

ვინ ეტყოდა და ჩვენი მუსულმანი კაცი ეტყოდაო.

ამ საიდუმლოდ მოსულ ხოჯამ დიდი ძალი სიმინდი მოკრიბა, თითქმის რამდენიმე ათასი ფუთი. ყველა იგინი ოსმალში გემით წაიღო. ამავე პირს ეთქვა, ჩვენები იქ ისე იტანჯებიან სიღარიბისაგან, რომ შვილებს ჰყიდიან სიმინდშიო, ამიტომ იმას დიდი დახმარება მისცეს მურღელის ხეობაში და ლივანას. ჩემს იქ ყოფნის დროს წავიდა ეს პირი ოსმალში და თან წაიღო დიდი ძალი სიმინდი. აქ მე ეხლა მოვიყვან იმ ცნობებს გადასახლებულთ შესახებ, რაც კი მოთხრობილი

არის ხოჯებისა და მოღობისაგან. ეს ცნობები შეიძლება ზემოდ მოყვანილ ცნობებს ეწინააღმდეგებოდეს. ამის შესახებ ჩვენ ვერაფერს ვიტყვით. ცნობების არ ცოდნის მიზეზები ის გახლავსთ, რომ ამ გადასახლების შესახებ არაფერი ცნობები იწერებოდა. ზოგნი ჩუმად მირბოდნენ და აღარ ბრუნდებოდნენ. აქ მოყვანილ ცნობებთან სოფლებს კი არ დავასახელებ, რადგანაც ყველა ამ კუთხის ქართველ მაჰმადიანთ სოფლებში მაჰმადიანთ შორის ქართული ენა დაკარგული, მოსპობილი არის. მე დავწერ ისე, როგორც მცოდნე ხოჯები და მოღობი ლაპარაკობდნენ. ვფიქრობ, რომ ალბათ მათ ყველა ეს ცნობები ოსმალურად სადმე დაწერილიც აქვდათ, თუ მათის ქადაგების ცდით რამდენი ხალხი გადაასახლეს ოსმალში. ეს მათ მთავრობასთან გამოადგებოდათ.

როგორც გამოირკვა ოსმალთა სასულიერო წოდების ქადაგება და ლაპარაკისაგან, მათ მეტად დიდი ზეგავლენა ჰქონიათ იმ ქართველ მაჰმადიანებზე, სადაც ქართული ენა დაკარგული ყოფილა. ხოჯები ასეთებს უფრო ადვილად იმორჩილებდნენ, ამათ უფრო მრავლად ასახლებდნენ, თუმცა არცარა ქართულად მოლაპარაკე ქართველ მაჰმადიანებს დააკლეს გადასახლების ტრფიალება. ერთნიც და მეორენიც უხვად მიდიოდნენ თავიანთ თავის დასალუპათ და სულის საცხონებლად. დაურთავთ კვალად, რომ ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო წოდებას შეიძლება ამ მუჰაჯირათ წასულთ შესახებ რამე დაწერილი ცნობებიც აქვდესთ, ყოველივე შეიკლება.

საერთო ჯამი გადასახლებულთა ცნობების.

ეს ცნობები შეკრებილი არის 1891-94 წლებამდე. ცნობების რაოდენობა მოთხრობილი არის ბათუმის მუფთის ჰასან ეფენდი გვერდამესაგან. ჰასან ეფენდი გვერდამე აჭარის სოფელ ზუნდაგული გახლავსთ, კარგი, გონიერი მუფთი არის. რუსის მთავრობის ნიშნებს გარდა სხვაც ბევრი ღირსებაც აქვს, მასთან შეგნებული მის მცნებაც, რომ ჩვენ ბატონო, ქართულად მოლაპარაკენი ვართო. ჩვენი სოფელი სულ ღვინის ჭურებით არის სავსეო. ჩვენი ქალ-ბაღანა სულ ქართულად ლაპარაკობენ, ეხლა ჩვენებმა ქართული კითხვის სწავლაც დაიწყეს. თქვენც ამობმანდით ჩვენს სოფელში და ნახეთ ყოველივე ესენიო.

ამ მუფთს 1877-78 წ. ომების გამო ბევრ-ნაირი წვალება გამოუვლია. იგი კარგად იცნობს ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებას. მას გადასახლების წინააღმდეგ დიდათ უშრომნია და აჭარის მუფთ ახმედ ეფენდი ხალიფაშვილთან ბევრს ცდილა, რომ აჭარიდამ ხალხი სულ წასულიყო. ამ პატივცემულ მუფთს

ოსმალურს ენაზედ რაღაც ბარათები და მინაწერი ცნობები აქვს სხვა და სხვა თათრულ წიგნების კაზმებზედ, საიდამაც იგი ტყობილობს ცნობებს წასულთ შესახებ.

ამ პირთან ხშირად მქონია ლაპარაკი წასულთა შესახებ. მიკითხავს საერთოდ ჯამი მთელ ქართველ მაჰმადიანების ცნობები და დამივალვია მისთვის ამის მოცემა. მან შეასრულა ჩემი თხოვნა დარამდენიმე წლის განმავლობის შემდეგ გადმომცა ეს ცნობები წასულთ შესახებ. ამას მე აქ ვათავსებ ისე, როგორც ამ ცნობილმა სასულიერო პირმა გადმომცა. აი მისი სიტყვები და ცნობანი:

- 12,000 ათასი წავიდა ქობულეთ-კინტრიშიდამ.
- 5000 ათასი წავიდა ბათუმიდამ.
- 3000 ათასი წავიდა კახაბრიდამ.
- 30,000 ათასი წავიდა მაჭახლიდამ.
- 10,000 ათასი წავიდა ქვედა-აჭარიდამ.
- 8000 ათასი წავიდა ზედა-აჭარიდამ.
- 20,000 ათასი წავიდა ლივანიდამ. მარადიდელნი მთლად დაიცალნენ. ლივანა არის ლოზანას სევი, ანუ მთელი ჭოროხის ხეობა ართვინამდე.
- 8000 ათასი წავიდა მურლულის ხეობიდან.
- 5000 ათასი წავიდა იმერ ხევიდან, შავშეთის ნაწილი.
- 10,000 ათასი წავიდა მთელის შავშეთიდან 1000 კომ.
- 20,000 ათასი წავიდა არტანის სოფლებიდან.
- 25,000 ათასი წავიდა ოლთისის სოფლებიდან.
- 5000 სული წავიდა ჩხალის ხეობიდან 500 კომ.
- 4000 ათასი წავიდა ართვინიდან 600 კომ.
- 5000 ათასი წავიდა ჩილდირიდან.
- 10,000 ათასი წავიდა ფოცხოვიდან და ამის სხვა კუთხის სოფლებიდან.

მისი სიტყვებით: ეს არის ჩვენი ცნობა. ამდენის ვიცით, რომ წავიდნენ, ამაზედ მეტიც და არა ნაკლები. ვკითხე, თუ ეს ცნობები მათ სადა აქვსთ შენახული, სადმე ნაწერები აქვსთ წიგნებში, თუ სხვა გვარ აქვსთ შენახული? – იქნება ეს მარტოდ სასულიერო წოდებამ იცის და ესეც იმიტომ, რომ ოსმალოს მთავრობის წინაშე სათქმელად აქვნდესთ, თუ როდის და რომელ კუთხიდან რამდენი წავიდა ოსმალში, ან თუ სხვა რამ საჭიროებისათვის შეუდგენიად ეს ცნობები ამის მიზეზები მუფთმა არ მითხრა და გადმომცა შემდეგი: – „რასაც მე მოგახსენებთ სულ მართალთა, ოსმალში მუჰაჯირათ წასული მილიონის იქნება და არა თუ ათასები, ჩემი ამბები სულ სწორი გახლავსთ.

ერთმა ნაცნობმა მითხრა, რომ გადასახლებულთ ცნობებს ესენი მიტომ აზვიადებენ, რომ იმით აქ დარჩენილებში უფრო ადვილად აღძრან და გამოიწვიონ გადასახლების ფიქრებიო.

ამაზედ მე მუფთს ვკითხე. მან ეს ეჭვი იწყინა და განმეორებით მომიგო: – „ოსმალში ქართველ მუსულმანთა რიცხის მილიონები არის. მე გადასახლების დიდი წინააღმდეგი ვიყავ და თქვენ რასაც ბრძანებთ, ეგ მე ფიქრათაც არ მომსვლია. ჩემ შესახებ ჰკითხეთ ამა და ამ ბეგებს და იგინი გეტყვიან საქმის სისწორესა. დაუმატა მუფთმა: – „ჩვენ ყველაფერი კარგად ვიცით, თუ საიდან რა წავიდა. ბევრი რამ თითო ოროლა მუჰაჯირის წასვლა მე თქვენთვის არ მითქვამს, ესეც უნდა იცოდეთ. თუ ჩემს სიტყვას არ დაიჯერებთ, მაშინ ჰკითხეთ ჰაჯი ლომან ეფენდი ბერიძეს, გულო ალას და დედი ალას, აჭარის მუფთას ახმედ ეფენდი ხალიფაშვილს, სურმანიძეს. იგინიც ამას გეტყვიან, რომ ოსმალში ჩვენების მილიონი წავიდა და არა ათასი და ოცი ათასი“.

ამ პატივცემულმა მუფთმა სთქვა, რომ წასულთ რიცხვის ცნობა ჩემზედ წინედ სხვა მუფთმაც იცოდაო. მე თქვენ ცოტა წასულებისას ერთად არას გეუბნებითო. მათი რიცხვიც რომ ვიანგარიშოთ, იგიც კაი ბევრი იქნებაო. მე ასეთების არ მიანგარიშნაო. ამ მუფთის მითითებით მე ვკითხე ზოგი ერთ პირებს. მასთან უჩვენე ის ჯამი, რაც მე მოვიყვანე წასულების და მათ მითხრეს, თქვენ ერთობ ცოტას ამბობთ, მუფთს სწორეთ უთქვამსო. მიბძანდით ოსმალში, იქ ნახეთ ჩვენების სოფლები და ქალაქები და მის მერე თქვენ ვერას იტყვითო. სთქვეს, იქ სად გაჩნდა მამ ჩვენების იმდენი თუ იგინი აქედამ არ წავიდნენო. ასე დამისაბუთეს იმ ცნობების სინამდვილე, რაც მუფთმა ჰასან ეფენდიმ გადმომცა. მე დავრწმუნდი მასზედ, რომ ასეთ წასულთ მუჰაჯირთა ცნობები ქართველ მაჰმადიანთ ცენტრალურ სასულიერო გამგეობაში უნდა იყოს დაცული. ასეთ შუა გულ გამგეობათ ჩვენ მიგვაჩნია ბათუმის მეჯლისი და აქაური მუფთი და ამიტომ ამის მოცემულ ცნობებსაც ეჭვი არ უნდა ექმნეს ჩვენგან.

7000 ათასის გადასახლება.

ნაამბობი ქობულეთის ხოჯის ემინ ეფენდი კობლაძის მიერ.

ეს ხოჯა გავიცან 1890 წ. არაბული ლოცვები ამისაგან ვისწავლე. ეს გამაცნო თავ. გრიგოლ გურიელმა (გენერალი) და მას ჯილდოც მისცა. ამ ხოჯასთან გადასახლებულთა შესახებ ხშირად მქონია საუბარი. მან გადმომცა შემდეგი: ალი ფაშა თავდგირიძის დარიგებით ოსმალში მუჰაჯირად წავიდა 7000 მოსახლეო. მე ეს ცნობა საეჭვოდ მივიღე და ხოჯას ვკითხე შვიდი ათასი მოსახლე თუ სული მეთქი? მან მომიგო: – სული, კაცი, ქალი, ბაღანა კი არა, ერთი მოსახლე, შვიდი ათასი. აქ აღარავინ დარჩა, მთლად წავიდნენ. მეც მეუ-

ბნებოდნენ წავლას, მაგრამ მე არ წაველ, აქ, ქობულეთის ჯამეზედ მოველ და დავჯექ. ამით მე ცოტა ოდენი ხალხიც შევიწინაზე და იგინიც აღარ წავიდნენ მუჰაჯირად. ყოველი საქმე გადასახლებისა ეკუთვნის ალი ფაშა თავდგირიძეს და ყემპერ ალა ფაში ოლლი ჩივაძეს.

ახალციხეს შეკრებილი და დაწერილი მესხეთ ჯავახელების გადასახლება. 1850 წ.

იაკობ პეტრესძე ისარლოვის ცნობებით დაწერილი.

მესხეთ-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანთ შორის ბეგები განთქმულ არიან ავალიშვილები, ფალავანდიშვილები, ორბელიანები, ხიდირბეგიშვილები, ერისთავები, ათაბეგები და სხვანი. ამათში იყვნენ ისეთი ბეგები, რომელთაც სამი ათასი დესეტინა მამულიც კი აქვდათ. ასეთ მოწინავე ბეგები აქ კარგად სცხოვრობდნენ, მათ აქვდათ მდიდარი ცხოვრება.

ეს ბეგები XVII საუკუნის ნახევრამდის თავადიშვილების ღირსების იყვნენ. ისლამთან დაკავშირების შემდეგ ამათ თავადობის მაგიერ ბეგობა მიეცათ, ხოლო ის მამულები კი, რომელნიც მათ ქართველთ მეფეებისაგან აქვდათ მიცემული, იგინი კი მათ საკუთრებათ დაშთა. ოსმალთს ხელში ყოფნის დროს ეს ბეგები თითქმის გავლურდნენ, გათახსირდნენ ისე, რომ მათმა ცხოვრებამ უმეტესად ველური სახე მიიღო და იგინი გახდნენ თითქმის ტყის ველურ ბეგები. მათ ვერც ოსმალთა ცხოვრებაში დაიკავეს ფართო ადგილი. მათი განვითარების და ცოდნის ვერაფერი მიიღეს და მასთან ქართულიც სულ დაკარგეს. ყოველივე დაკარგეს ისე, რომ თვით თავიანთ გვაროვნობის მომდინარეობის ცნობაც კი აღარ ახსოვდათ, თვისი ვინაობა ვინ იცის რად მიაჩნდათ.

თვისის მამულებით სტკბებოდნენ და იმას კი არ აკვირდებოდნენ, თუ ეს ამოდოლა მამულები მათ ვინ მისცა, ვინ დაუმტკიცა და სხვაც ბევრი ამგვარნი. მედიდურებდნენ ბეგობით და იმას კი აღარ აკვირდებოდნენ, თუ ან ეს ბეგობა მათ საიდან ებოძათ, იგი საიდან წარმოსდგა, რა და რის უფლებით მიიღეს მათ ეს წოდება. ყოველივე ასეთის მოსაზრებისათვის იგინი მკვდრები იყვნენ, დაძინებულნი, უმეცრები სდა სხვანი, რის მოთვლაც აქ საჭირო არ არის. ეს რომ ასე იყო და ჭეშმარიტი, ამას ასაბუთებს შემდეგი გარემოება, რაც ცხადია და ნამდვილი.

ოსმალთან დაკავშირების დღიდან იგინი გახდნენ დაუძინებელი მტერნი თავიანთ ვინაობის, ნათესაობის და არა ფიქრობდნენ იმას, რომ შეიძლება ქართველ კაცს ისლამის რჯული აქვდეს, იგი იყოს სჯულით წმინდა მუსულმანი და მასთანვე იყოს კაი გურჯი-ქართველი, მასთან მოყვარე თავის

ქვეყნის, თავის სახლი კაცების და სხვაც ბევრი ასეთების. ამათ ის შეადგინეს სჯულის მცნებათ, რომ ისლამის მიღების შემდეგ უნდა გეჯავრებოდეს ყველა ესენი და მასთან გული და სულიც ოსმალოსაკენ უნდა მიგელტოდეს. ჩვენი ყოველივე დიდება იქით უნდა აღორძინდეს და აყვავილდესო. ამიტომაც მათ დაიწყეს საქართველოს მტრობა და ამ მტრობაშიაც დალიეს მათ მთელი თავიანთი სიცოცხლის დღენი, ცხოვრება, მამულები და სხვაც ყოველივე ამ გვარნი. ამათ ასე განადირებას ოსმალოს მთავრობაც რასაკვირველია ხელს უწყობდა და აქეზებდა.

ასეთ დიდების მექონ და დამკარგველ პირებმა ადრიდგანვე იწყეს ოსმალში გადასახლება და 1850 წ. იქამდის მიღწიეს, რომ საქართველოს დაუწყეს ყურება გველურად და მტრის თვალით. გაველურდნენ უსამართლოდ, შეუფნოდ და მასთან გაუვერანდათ თვით აუარებელი ქონებაც, მათ იწყეს თავიანთ მამულების ოხერ ფასად დასყიდვა და მასთან ოსმალში გადასახლება. ამათ თავიანთ მამულების დასყიდვა უცხო ტომის ხალხზედ 1830 წლიდამ იწყეს და 1850 წ. იგი საკმარისადაც დააწინაურეს, ამ უკანასკნელ ხანას კი ყოველივე გაათავეს, დააბნიეს და მის შემდეგ თვითაც სულ ოსმალში გადიქუხნენ. მოისპნენ საქართველოში და მგონი მოისპნენ თვით ოსმალეთშიაც.

ამათ შეიძლება თავიანთ თავის დაღუპვის საქმე კი აპატიოს ვინმემ და სხვების გაბრიყვება და აყრა და გადასახლებას კი არავინ აპატიებს. ეს მათი არ საპატიებელთ ცოდვა გახლავსთ ის გარემოება, რომ მათ 1829 წლის შემდეგ ამხედრება იწყეს მესხელ-ჯავახელ ქართველ მაჰმადიანების და ოსმალში გადასახლების. ამათი ნატვრა ერთი 1830 წელს იქმნა შესრულებული და მესხეთ ჯავახეთიდან დიდი ძალი ქართველ მაჰმადიანების იქმნა წასულ-გადასახლებული. მეორე ხანა არის 1850 წელი, როცა ამათ მრავლად აჰყარეს თვის თანამემამულე ქართველ მაჰმადიანები და ყველა იგინი ოსმალში გადასახლეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის წინაშე მათ ამითი დიდი საძრახისი ხსოვნა დაიტოვეს, მასთან განუსაზღვრელი და ბოროტი სამსახური წინაშე საქართველოსი და ქართველი ერისა, 1850 წ. ამათ ისრულეს გული და გადასახლდნენ მრავლად.

გადასახლება 1855 წ.

ცნობები არის დარჩენილი და ეს დღესაც ბევრს ახსოვს კარგად, რომ სოფ. ჯუმუშაურის მცხოვრებლებისათვის რაღაც ცილი შეუწამებიათ და ამიტომ ოსმალს ბრძანება მოსულა, რომ მცხოვრებნი სულ ოსმალეთში გადმოასახლეთო. მცხოვ-

რებნი მართლაც მალე შეუკრებნიათ და გადასახლებისათვის გაუმზადებიათ, მალეც გაუმზავრებიათ ეს ბედშავნი. ამ სოფლის ხალხთან სხვებიც მოუყოლებიათ, სულ მათი რიცხვი რამდენიმე ასი სული ყოფილა.

რა ქმნეს ამათ ისეთი დიდი დანაშაული, რა ჩაიდინეს და რა მოაწყეს, რომ მით გადასახლების ღირსება დაიმსახურეს, ამის ცნობა ხალხმა არ იცოდა. მაშინ იმას კი იტყოდნენ ხოლმე, რომ დიახ ამა და ამ სოფლის ხალხი სულ ოსმალში გარეკეს, ხოლო რისთვის და რა მიზეზით ამის ცნობის კი მათ არაფერი იცოდნენ. ისიც შეიძლება, რომ იქმნება ამ გადასახლების ცნობები ბევრმა იცის კარგად და დაწვრილებით, მაგრამ ჩვენ მათ არ ვიცნობთ და ამიტომ ეს 1855 წ. გადასახლებაც რჩება ჩვენთვის უცნობლად, მაგრამ განა ეს ერთი გადასახლება არის ჩვენთვის უცნობი. არა, ამ ერთს გარდა ათასიც სხვა ამბები გვაქვს გაუცნობი. ყოველივე ამის მიზეზი კი ის გახლავს, რომ მასზედ არც თვით ქართველ მაჰმადიანები სწერდნენ რამეს და ოსმალს მთავრობაც ხომ სულ არ აქცევდა ყურადღებას და არაფერს ნუხსავდნენ.

მესხეთ ჯავახელთ ადასახლება, დაწერილი 1898 წ.

მესხეთ ჯავახელთ გადასახლება ძველიდგანვე ყოველთვის უმეცრულის საქმეებით ყოფილა გარემოცული. მესხელ-ჯავახელთ ერთი რომელიმე ხოჯა ადვილად აიყოლიებდა და გადასახლებდა ხოლმე. მესხ-ჯავახნი ტეტეები არიან, ძალიან უკან ჩამორჩომილნი, როგორც ქართლის უბირი გლეხები. მაინც ეს კუთხე ზემო ქართლად იწოდებოდა ძველად. ამიტომაც ამ უბირ ტეტია ტლანქ გლეხებს ადვილად იყოლიებდნენ ოსმალთ მქადაგებლები და ასახლებდნენ ოსმალში. ამათი ბრიყვულად გადასახლება სწარმოებდა ძველად და სწარმოებს დღესაც, სამწუხაროდ და მეტად უმეცრულად. ამის მაგალითს ქვემოთ მოყვანილი ცნობები დაგვანახვებს.

ქობულეთელ, აჭარელ, ლივანელთ და სხვა ასეთ კუთხის ქართველ მაჰმადიანებს ასე უმეცრულად ვერავინ აიყოლიებს. მართალია ესენიც სახლდებოდნენ 1877 წ. 1882 წ. მაგრამ ამათ საქმე სხვა იყო. ესენი ახლად შემოერთებულები იყვნენ, ჩვენ და რუსის მთავრობას არ იცნობდნენ. ამას გარდა ჩვენი მოხელენი მათ იქით ერეკებოდნენ. ამით სარგებლობდნენ მათი მოლები და ხოჯები და ესენიც დიდის შიშით უქადაგებდნენ და აშინებდნენ სჯულის საქმეში, რაისა გამო ესენიც სახლდებოდნენ.

მესხელ-ჯავახელთ კი ეხლა ასეთების კარზედ არაფერი ადგათ, მაგრამ როგორც ზემო ქართლის ტეტეები, ძველადგანვე ტეტეურად მირბოდნენ ოსმალეთში და ეხლაც ისევ

უმცირულად მიიზიან. აი ამით შესახებ 1898 წ. რას ვსწერდი ახალციხიდან გაზ. „ცნობის ფურცელში“.

„ს. წნისი. (ახალციხის მაზ.) მაჰმადიანები და ქართველი გლეხები. სოფ. წნისში სცხოვრობს 40 კომლი ქართველ მუსულმან მესხები. ამ რამდენიმე წლის წინეთ, ამ სოფლიდან 7 კომ. ქართველ მაჰმადიანები ოსმალეთში გადასახლდნენ. ამათი მამულები შეისყიდეს ბორჯომის ხეობაზე მცხოვრებ ქართველ ქრისტიან გლეხებმა. ესენი უფლე მივიდნენ და ნაყიდ ადგილ-მამულებზე დასახლდნენ.

ოსმალეთში წასულ ქართველ მუსულმანებს ბედმა უმტყუნა, მათ იქაური ადგილები არ მოეწონათ, გარდა ამისა, ოსმალთ მათ ჩვეულებრივ „გურჯი“ უწოდეს. ამათ კი ეს ურთობ ეუცხოვათ. ბევრს უთხრეს, რომ ჩვენ გურჯელები კი არა, მუსულმანები ვართო, მაგრამ ამით არა ეშველათ-რა, ყველა გურჯს უძახდა. საქმე ბედშავთ მოეგვარათ, განიძრახეს საქართველოში დაბრუნება. მალე 2-3 კაცი გამოგზავნეს საწნისს და თავიანთ ნათესავებს და მეზობლებს დაავალეს თავიანთ მამულების უკან დაბრუნება მყიდველთაგან.

ეს ამბავი ქართველ გლეხებს მალე ეუწყათ. მათ უარი განაცხადეს. ჩვენ ვერ ავიყრებით აქედგან. თუ უკან დაბრუნდებოდნენ, მაშინ რათ მიიზიდნენ ოსმალეთში. ან რათ ჰყიდდენ მამულებსო. ამაზე უსიამოვნება მოუხდათ. მუსულმანებმა მათ დევნა დაუწყეს. დღესაც კიდევ სასტიკად სდევნიან. ეს 7 კომლი ქართველ ქრისტიან გლეხნი ისე არიან მომწყვდეულნი 40 კომლ მუსულმანებში, როგორც ზღვის საშუალოს ობოლი ნაფოტი. საქმე ისე გამწვავებულა, რომ მუსულმანთა ბავშვები ქრისტიან გლეხებს საჭმლის მოხარშვის დროს ბუხრიდან ნაგავს უყრიან. ერთი სიტყვით ისე მწარეთ სდევნიან, რომ ამ საწყლებმა აღარ იციან რა ქნან და საით წავიდნენ.

მე ჩამოვხტი ამ სოფელში. ვნახე ეს ხალხი და უნდა მოგახსენოთ, რომ გული ცეცხლით ამევსო. ამათი უბედური მდგომარეობის შესახებ აქ ვრცლად ვერ განვაგრძობ, შემდეგ მოგახსენებთ უფრო საფუძვლიანათ. ვიტყვით კიდევ, რომ ესენი დიდს დევნაში არიან. წარმოიდგინეთ რომ პატარა ბავშვებს კი დაუბრძოლებიათ. თითქმის ყველა მწარე დევნას არს მიცემული. მათი შველის ცნობა არსაიდან სჩანს, თუმცა ახალციხის ბლალაოჩინი დიმიტრი ხახუტაშვილი ბევრს სცდილობს მათ დასახმარათ. ვნახოთ, შემდეგ როგორ დატრიალდება ამ გლეხთა საქმე.

მესხ-ჯავახთ გადასახლება მარტოდ ეხლა კი არ მოხდა ამ სოფლიდან, არა ამათ გადასახლება სწარმოებს კანტი-კუნტად თვით 1830 წლებიდან. მაშინ ვინც წავიდა ხომ წავიდა და ვინც არა და დარჩა აქ. შემდეგ დროში არც ამათ მოისვენეს და ესენიც ყოველთვის წასვლის სამზადისში იყვნენ.

ჩვენ ვიცით კარგად, რომ მარტოდ სოფ. წნისიდან კი არა, სხვა სოფლებიდანაც მრავლად წასულან, მაგალითებზე როგორც სოფ უდიდამ, ვალედამ და სხვა ასეთ სოფლებიდანაც.

თუმცა ესენი აქ კარგად სცხოვრობდნენ, არც არავინ აწუხებდათ, მაგრამ მარტოდ თავიანთის უმეცრებით გარბოდნენ და ყოველივე ამის მიზეზი იყო მათი უმეცრება. ამის სრული ნიშანწყალი არის სოფ. ასპიძიდან ქართველ მაჰმადიანთ გადასახლება თვით ჩვენს დროსაც კი. მერე განა მარტო ეს ასპიძა დაიცალა, არა, ბევრიც სხვები. უმეტესი სოფლის ცნობები ჩვენ არა გვაქვს. თუ რამ არის, ისიც დიდის ცდით შეგროვილი. მესხ-ჯავახეთის სოფლებიდან მრავლად გაქცეულან თვით 1860 წ. 1870 წ. და მის შემდეგაც. ყოველივე ამის ცხადი ნიშანი არის სოფ. წინისიდან წასვლა თვით ჩვენ დროს და მერე მათი უკანვე დაბრუნება.

ქობულეთელ-აჭარელები ამას ასე მაინც არ სჩადიან. მათ საქართველო და ქართველი ხალხი ისე არა სძულთ, როგორც მესხელ ჯავახელებს. თვით აქაური ქართველ ბეგებიც კი დღეს სათათრეთიდან მოსულ ქურთებს დაემსგავსნენ, ეს კი აჭარელ ბეგებზე შორის იშვიათი გახლავსთ.

გადასახლებული 80 ათასი.

1882 წ. გაზეთ „დროება“ და „მომამის“ ცნობები.

გაზეთ „დროებაში“ 1882 წ. № 73. და ამავე წლის ქუთაისის გაზ. „მომამში“ 40 №-ში დაბეჭდილი იყო შემდეგი ცნობა:

მთელის ბათუმის მაზრიდან გადასახლდა ოსმალეთში 80 ათასი სული ორივე სქესის.

დარჩა წაუსვლელი 60 ათასი სული ორივე სქესის.

მამასადამე ბათუმის ოლქში 140 ათასი სული გამზადებულია წასასვლელად. ეს რიცხვი შეეხება მარტოდ ბათუმის ოლქის მცხოვრებ ქარველებს. სხვა კუთხიდან წასულების სხვა არის. ამის ცნობა რუსის მთავრობას არა აქვსთ და ესენი ვერც მოკრეფდენ ამას.

იყო ისეთი შემთხვევებიც და ეს ერთობ ხშირად, რომ სოფლის მეოთხედი მცხოვრებნი ოსმალში ჩუმად, უპასპორტოდ მირბოდნენ, არავის ატყობინებდნენ და, ფიქრობდნენ, რომ თუ იქ მოგვეწონა, მაშინ დავდგებით და თუ არა და ისევ უკან მოვალთო. მართლაც ასეთების ზოგი მოსულა უკან და თავისაგან ოხრად დატოვებულ მამულს დაჰკატრონებია, ზოგს მამული აღარ დახვედრია, ზოგიც აღარ მოსულა და იქ დარჩენილა. ამ სახით ჩვენის ტომის რიცხვს ბევრი ისეთი ოჯახები დაჰკარგვია, რომელთა ცნობებიც არავის სცოდნია.

ეს ზემო რიცხვი 80 ათასი გაზეთების გამომწერებით უნდა იყოს აშენებული იმ ცნობებზე, რა დღიდანაც მათ დრო დაენიშნა გადასახლების, ე. ი. სამი წელიწადი 1878-1882 წლებამდე. ეს ცნობები ცხადი საქმე არის იმ დროის ადგილობრივ სამართველოებიდან იქნებოდა შედგენილი, რადგანაც 1882 წ. უკვე შეეძლოთ რუსეთის მოხელეებს ასეთი ცნობები შეკრიბათ.

აფრიკაში გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანები.

ისტორიულად ვიცით, რომ ოსმალეთის მთავრობამ ქართველ მაჰმადიანებს XVIII საუკუნის დამდეგიდან ხშირად დაუწყო აყრა და ოსმალს ქვეყანაში გადასახლება. ასევე მათგან ხშირად ასახლებდნენ აფრიკის ქვეყნებშიც. ამის სრული მაგალითი არის თვით ის გარემოებაც, რომ 1740 წლებს აფრიკის მთავარ გამგე ფაშად სულეიმან ნიბამე იყო, რომელიც 1752 წ. ახლაციხის ვალი ფაშად იქმნა დანიშნული.*) რომლის ცხოვრებაც ჩვენ სხვაგან გვაქვს აღნიშნული და ამიტომ აქ მასზედ სხვას არას ვიტყვით. ამ ფაშისავე დროს აფრიკაში სხვა ქართველ ფაშები და სხვა და სხვა სამხედრო მოხელენიც ყოფილან, სამწუხაროდ. ჩვენ კი ამათ შესახებ ბევრი არაფერი ცნობები გვაქვს.

*) ისტორია ოსმალს საქართველოსი, ჩემი გამოც. 1914 წ.

ქობულეთს, კახაბერს და აჭარაშიაც ჩემთვის ხშირად უამბნიათ, რომ ჩვენებური კაცები აფრიკაშიაც ცხოვრობენო, იგინი ძველად გადუსახლებიათ იქაო. ამ გადასახლების ამბები წინეთ კი სცოდნიათ აქეთ, ხოლო ჟამთა ვითარების გამო სადღეისოდ კი აღარავის ახსოვს, ამ მცოდნე კაცი დღეს მათში აღარავინ არის. ასე მივიწყებას ერთის მხრით ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რადგანაც აფრიკა გაცილებით შორს არის ოსმალეთზედ.

იყო კიდევ ასეთი გარდმოცემაც: ბევრს ეხსომება, რომ ბათუმის ახლომახლო სოფლებში ადრე მრავლად ესახლნენ არაბები თავიანთის ცოლშვილით. მათი რიცხვი არც მცირე იყო. რუსთაგან ამ კუთხის შეერთების შემდეგ ეს არაბები აქ აღარ დარჩნენ და სულ გადასახლდნენ ოსმალში. მათ აქ დგომა უხერხულად მიაჩნდათ. ესენი ისე გადასახლდნენ, რომ დღეს ბათუმში მათი რიცხვის სულ აღარაფერი სჩანს. მქონია შემთხვევა და ამათ შესახებ ხშირად მიკითხავს ცნობები, თუ იგინი საიდან მოუყვანიათ და დაუსახლებიათ აქ და ან რისთვის გადასახლდნენ ამ უკანასკნელ დროს მეთქი? მათ მომიგეს შემდეგი გადმოცემა:

საიღამაც ეს არაბის ხალხი გადმოუსახლებიათ, სწორედ ამათ სოფლებში, სადაც ამათ უცხოვრიათ, იქ იმ სოფლებში დაუსახლებიათ აქედამ გადასახლებული ჩვენებური გურჯები. როდის იყო ეს გადასახლება, ან რა მიზეზების წყალობით, ჩვენ ამაზედ ვერა შევიტყუეთ რა. ამის მერე როცა ვისურვეთ ამ გადასახლებულების შესახებ რამე ცნობების შეკრება თვით ამ არაბებისაგან, რომ იქმნება მათში ვინმემ რამე იცოდეს, თუ მათ სოფლებში ვინ დაასახლეს და ან როდის, ამ დროს ეს არაბები აქ აღარ იყვნენ. დღეს ხომ მათი რიცხვი სულ აღარ არის, გადასახლდნენ და ამით ჩვენ ვერ ვისარგებლეთ.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ აფრიკაში ქართველ მაჰმადიანთ რიცხვი გაფანტული უნდა იყოს სხვა და სხვა ადგილებში, ამას კი ეჭვი და ფიქრი არ უნდა. ეს ჩვენ კარგად ვიცით, ხოლო ის კი არ ვიცით, თუ იქ ქართველები სად და სად სცხოვრობენ და ან მათ იქ სადღეისოდ ქართული ენა იციან თუ არა. ბევრს ქართველ მოგზაურს ვკითხე ამათ შესახებ, მაგრამ მათგან მე ვერა შევიტყუე-რა, თუმცა იმას კი ამბობდნენ ხოლმე, რომ „დიახ, აფრიკაში ჩვენებურებიც სცხოვრობენო“. კითხვა მიგვიცია; თუ სად სცხოვრობენ, რომელ კუთხეში, ან მათი სოფლის სახელები ხომ არ იცით? მათ ყოველივე ამაზედ პასუხი უთქვამთ, რომ ეგ ჩვენ არ ვიცითო. მაინც ბედმა არ დაგვტოვა სულ ცარიელი. ამ უკანასკნელ წლებს ჩვენ შევიტყუეთ ცოტა ოდენი ცნობები, რაც ცხადად გვისაბუთებს, რომ დიახ, აფრიკაში ქართველ მაჰმადიანთ მცხოვრებთ რიცხვი დღესაც ყოფილა და იქ მათ ქართული ენაც არ დავიწყებიათ.

ამის შესახებ ჩვენ აი რას მოვიყვანთ: ქობულეთში სცხოვრობს ერთი ქართველ მაჰმადიანი გულო ალა კაიკაციშვილი, ბათუმში კარგად ცნობილი. ამის ერთმა შვილმა ასლანმა თფილისში გაათავა გემნაზიის სწავლა, ამის მერე ოდესის უნივერსიტეტში სწავლობდა. ეს იქ გადაიცვალა. ამ გულო ალა კაიკაცის მეორე შვილი 1900 წ. ბათუმში ერთ ევროპიელ მოგზაურთან ოსმალური ენის მთარგმნელად დადგა, მოგზაურს სამგზავროდ თან უნდა გაჰყოლოდა მთელს აღმოსავლეთის ქალაქებში და ეს მალეც მოხდა. ევროპიელი გაემგზავრა და კაიკაცის შვილიც გაჰყვა თანა. ამ მოგზაურ მსწავლულს აღმოსავლეთის ქალაქებში კარგა ხანს მოუხდა მგზავრობა. ამასთანვე მგზავრობდა ჩვენი თანა მექვეყნე კაიკაციშვილიც. ერთ დროს ესენი ჩასულან აფრიკის ქალაქ ბეირუთში, სადაც დარჩენილან კარგა ხანს. აქ ყოფნის დროს კაიკაციშვილი თურმე ხშირად დაიარებოდა სხვა და სხვა ყავახანებში.

ერთ ყავახანაში შესულა. სხვათა შორის იქ ერთ ალაგას ოთხი კაცი მჯდარა, რომელნიც ყავას სომენ თურმე და

მასთან ქართულადაც ლაპარაკობენ. ქართული ენის გაგონება კაიკაცისშვილს დიდათ გაჰკვირვებია, თან გახარებია კიდეც და ამიტომ მაშინათვე იმ ოთხი კაცის ახლოს მისულა და ქართული სიტყვით სალამი მიუცია. იმათაც გაჰკვირვებია ეს და თან დიდათაც გახარებიათ. მალე ერთმანერთი გაუცვნიათ და ლაპარაკიც დაუწყვიათ თავ-თავიანთ შესახებ. კაიკაცისშვილს თავის იქ მისვლის ყოველივე უამბნია. იმათ ლაპარაკი აღტაცებით მოუსმენიათ და სულ თურმე პირში უყურებდნენ ქართული სიტყვების გამოთქმას. თავის ამბების დასრულების შემდეგ მერე უამბნია მთელი თავიანთის კუთხის ამბები, ესე იგი ბათუმის ოლქის, ქობულეთი, აჭარა, ლივანა და სხვების. ამის ამბების დასრულების შემდეგ მათ დაუწყვიათ თავიანთი ამბები და უამბნიათ, უთქვამსთ შემდეგი:

ძიავ! ჩვენ აქ აი საიდან და როგორ ჩავარდით: ჩვენ ვსახლობდით ოსმალეთში, ბურსას ახლოს. იქ მოხდა სხვა და სხვა ავი საქმენი. ამის გამო ჩვენ ჩამოგვეკიდნენ, ჩვენ გვიცნეს დამნაშავედ. ამის მიზეზით იქიდან აგვყარეს და აქეთ გადმოგვასახლეს. 40 ოჯახი აქ ბეურუთში ვსცხოვრებთ და დანარჩენიც აქეთ იქით სცხოვრებენ სხვა და სხვა სოფლებში და ქალაქებშიო. უთქვამთ, რომ ეს გადასახლება ჩვენი დასჯა არისო.

ამათ საქართველოს შესახებ ანუ თავიანთ კუთხის გამო დიდი გულის მტკივნელობა გამოუჩენიად. ლაპარაკის დროს თურმე აღარ იცოდნენ რა ექმნათ. ამ ამბის შეტყობის დროს ბათუმში ვნახე ზოგიერთ მოხუც ქართველ მაჰმადიანები და მათ ვკითხე აფრიკაში მცხოვრებთ მათ მომმეთა ამბები და აი რა შევიტყე.

თქვენში რომ ეხლა ციმბირს იტყვიან, ჩვენებურ კაცებს რომ გზავნიან, ძველად ჩვენში ჩვენი ციმბირიც ის ყოფილა. ვინც ჩვენში დაამავებდა რამეს, ყველა მათ იქა გზავნიდა და მით სჯიდა. ამიტომ ძმაო იქით ჩვენებიც ბევრი არის წასული. ოსმალს მთავრობისაგან როგორათაც ჩვენს ციმბირათ აფრიკა და არაბისტანი აქვდა დადგენილი, ისევე ჩვენი აჭარა, ლივანა, შავშეთი და სხვა ეს ადგილები დადგენილი იყო ოსმალს საციმბიროთ. ოსმალში ვინც რამეს დაამავებდა, გაქუცავდა ან მოკლავდა ვისმეს, ყველა იმათ აქ აციმბირებდნენ, აქა გზავნიდნენ. ჩვენც ეს მეხანჯლობა და კაცის კვლა სულ მათგან ვისწავლეთ, თორემ ძველად ჩვენ ასეთები არა ყოფილვართ.

ამათვე სთქვს: აქ ჩვენში რომ არაბები სცხოვრებდნენ, ისინიც ძველად ყაჩაღობის გამო გადმოუსახლებიათ აქეთ საციმბიროთ, იმიტომაც გაიქცნენ 1878 წ. ეს ომი მოხდა ამით ისარგებლეს და წავიდნენ იქით, თორემ რომ ეს ომი არ ყოფილიყო, უამისოდ ოსმალს მთავრობა იქით მათ არ გაუ-

შვებდაო. სხვა რამ ცნობები ამათგან ვერა შევიტყე რა, ხოლო ის კი ხშირად უთქვამს, რომ აფრიკაში ჩვენები ბარე სამი არისო, სამი ნიშნავს მრავალს.

ამის შემდეგ მე ვნახე სტამბოლიდამ მოსული ქართველ ახალ გაზრდა მოლები, რომელთაც სწავლა სტამბოლში დაემთავრებინათ. მათ ცნობები ვკითხე ბურსის ქართველ მაჰმადიანთ შესახებ და ისიც თქვენ ხომ არ იცით, იქიდან სად გადასახლეს მეთქი? მათ აი რა გადმომცეს ამის შესახებ: ბურსის ახლო მახლო სულ ღარიბი ხალხი სცხოვრებს. მათ თავიანთ საკუთარი მოლის შენახვა არ ძალ უძსთ, ამიტომ რამაზანში სალოცავად ჩვეს გაგვზავნეს. იქ ცუდი ჰაერია და რამდენიმე ჩვენებური მოლიები დაიხოცნენ კიდეც, სტამბოლს ვეღარ დაბრუნდენ. ჩვენ იქ ყოფნის დროს შევიტყეთ, რომ ბურსიდან ჩვენებურებს სხვა და სხვა უშორეს ადგილებში ასახლებდნენო. მიზეზები გადასახლების ის იყო თურმე, რომ რადგანც ის ადგილები არ ვარგოდა და იქ ჩვენებურები იხოცებოდნენ. მერე ამათ ავ-კაცობა დაიწყეს და მხოლოდ ამის მოხერხებით გადირჩინეს თავი და მთავრობამ იგინი შორს გადასახლაო, ვგონებთ აფრიკაში, თორემ მათ იქიდან არსად წაიყვანდნენო. ეხლა ბურსაში ჩვენებურთა რიცხვი ერთობ ცოტა არისო, სთქვს ამათ: „დაიხ, ყველა ეს ჩვენებურები ბურსიდან აფრიკაში უნდა იყვნენ წასულნიო“.

ლაზების გადასახლება 1820-78 წ.

ლაზების რიცხვი ლაზისტანში ძრეელ შემცირდა. დღეს მთელ ლაზისტანში ამათი რიცხვი შეადგენს არა უმეტეს 20,000 ათას. ოსმალეთში-კი ამათი რიცხვი გაბნეული უნდა იყოს რადენიმე ათასის. ამას ასაბუთებს ლაზისტანში დარჩენილი დიდი რიცხვი წასულთ ნასოფლარების, ნასაყდრების და სხვაც ასეთნი. ბევრი რამ ცხადათ მოწმობენ მათ რიცხვის სიმრავლეს. მართოთ გემების, ნავების და ასეთების კეთების გამო ესენი თავიანთ ქვეყნიდამ ათასობით არიან დაკარგულნი, ნამეტურ ნაოსნობის ცოდნით. აქამდისაც კი მთელი შავი ზღვის ნაპირები და ამასთან ოსმალეთში სხვა ზღვებიც სავსე იყო ლაზელი ნავოსნებით. ყველა ესეთი ენერგიელი მხარეები კი მათ დიდის რიცხვის სიმრავლეს აცილებდა და აშორებდა. ამიტომაც უნდა ითქვას, რომ ლაზების ყოველნაირი ენერგიული ხელოსნობა, ვაჭრობა, სილამაზე და ან სხვა რამ ასეთი ღირსება მათ ტომის მოსასპობ იარაღათ ითვლებოდა.

ასე და ამ გვარად, ლაზების რიცხვი ოსმალეთში რომ დიდის რიცხვის უნდა იყოს, ამას ფიქრი არ უნდა. ამავე გარემოებას ასაბუთებს ის ცნობებიც, რაც 1907 წ. ფრანგუზული გაზეთებიდან გადაბეჭდილი იყო რუსულ გაზეთებში. იქედამ

ქართულ გაზეთებშიაც დაიბეჭდა ეს ცნობა, მასთან ადგილობრივ რუსულ გაზეთებშიაც, რომ ოსმალის იმპერიაში ლაზების რიცხვი შესდგება 70,000 ათასიდან. ამ რიცხვის განცხადებამ ბევრი ქართველი დააფიქრა. ზოგს ტყუილი ეგონა, ზოგს ვინ იცის რა არა, მაგრამ ყოველივე ეჭვი უსაფუძვლო გამოდგა, რადგანაც ეს რიცხვი ლაზებისა ამოღებული ყოფილა თვით ოსმალის სახელმწიფო სტატისტიკურის აღწერილად და ამიტომ ეს ჩვენთვის არც საკვირველი უნდა იყოს, რომ ოსმალში ლაზების რიცხვი შვიდას ათასისგან შესდგება. აქ მცირე განსხვავება მხოლოდ იმაში უნდა იყოს და ჩვენც მიტომ არ დავიჯერეთ, რადგანაც ნათქვამი იყო, რომ ოსმალეთის იმპერიაში ლაზების რიცხვი ასი ათასი არისო. ეს ჩვენ მივიღეთ ულაზისტანით, მართლაც აქედამ წასულთ და ოსმალის იმპერიაში დაფანტულთ. ეს კი ასე არ ყოფილა თურმე.

ფრანგულ გაზეთებს საერთოდ უანგარიშნიად და თვით ლაზისტანის მცხოვრებ ლაზების რიცხვი შეუერთებიათ გადასახლებულთ ლაზთა რიცხვს და იქიდან გამოსულა შვიდასი ათასი. მათი რიცხვი ასე ყოფილა გამოანგარიშებული:

200,000 ათასი რუსეთის ლაზისტანის საზღვრებიდან ტრაპიზონამდის .

100,000 ათასი ტრაპიზონის ვილაეტს და სხვა ადგილებში და,

400,000 ათასიც მთელს ოსმალის იმპერიაში. ასე და ამ გვარად ჯამი შეუერთებიათ და გამოსულა 700,000 ათასი.

აქედამ 300,000 ათასი ლაზი თავის სამშობლოში ყოფილა და 400,000 ათასი მთელს ოსმალის იმპერიაში. 1909 წ. ლაზისტანიდან საქართველოში მოვიდნენ ოსმალის ლაზელ მუსულმან სჯულის მექონ სამხედ. ბეითალ ექიმები. ჩვენ გავიცანით იგინი. მათ ჩვენგან ლაზისტანის შესახებ ფრანგული წიგნები იყიდეს. იგინი თავიანთ ქვეყნის ისტორიით დიდათ დაინტერესებულ იყვნენ. სთქვეს, რომ ჩვენი ქვეყნის შესახებ ოსმალურს ენაზედ სულ არაფერი წიგნებია დაბეჭდილიო. ამიტომ ფრანცუზული იყიდეს წასაკითხათ. ამათ ვკითხეთ ლაზების რიცხვი მთელს ოსმალის იმპერიაში და მათ სთქვეს, რომ მთელს ოსმალის იმპერიაში ლაზების რიცხვი ნახევარ მილიონზედ მეტი არისო, ასე 6-7 ასი ათასი უნდა იყოსო. ამათის ცნობებით დასაბუთდა ფრანგული გაზეთების ცნობები.

აფხაზების გადასახლება ოსმალეთში.

აფხაზების გადასახლება ოსმალეთში ახალი საქმე არ არის.

ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ ოსმალთ-აფხაზები სჯუ-

ლის უჯატობის გამო გადუსახლებიათ 1690 წ. რამდენი გადასახლეს მაშინ და ან სად დასახლეს იგინი, ამისი ცნობა არ არის. მის შემდეგ გადუსახლებიათ კიდევ 1760 წლებს. ამის მერე ამათი გადასახლება მომხდარა 1810 წელს, მის მერე 1828 წ. მომხდარა ფოთის და აფხაზეთის ალებების დროს. მერე მცირე ხანს შეჩერდა, 1854 წ. კიდევ გადასახლდნენ. ყველა ამ გადასახლების მიზეზები რა იყო, ამის არაფერი სჩანს, ხოლო შეიძლება ასე ვსთქვათ, XVII და XVIII საუკ. გადასახლება უნდა ყოფილიყოს ოსმალის მთავრობის ბრძანებით სჯულის გამო და XIX საუკ. გადასახლება-კი უნდა ყოფილიყოს ისლამის შიში, ანუ გაქრისტიანებისა. ამას ასაბუთებს აფხაზების უკანასკნელი აჯანყება და გადასახლება 1866 წ.

გარდასახლების შესახებ ლაპარაკი და ოსტატობა ამათშიც ისევე ძველი იყო, როგორც ქართველებში და ოსებში. ამის შესახებ ოსტატური ლაპარაკი და გარდასახლებისათვის მოწყობა იწყება იმ დროდამ, როცა ესენი ისლამს დაუკავშირდნენ და მის მერე ამათგან ხან ოსმალის მთავრობა მძლავრებით ასახლებდა და ხან რამე დასაყვავების მანქანებით, გულის მოგებით, ან ოსმალში უკეთესი ადგილების მიცემით, ან შესყიდვით; სულ ამ გარემოების წყალობა იყო, რომ ქართველ მაჰმადიანები, მაჰმადიან ოსები, მაჰმადიან აფხაზები და ჩერქეზები გადასახლებას ადვილად შეეჩვივნენ. XVII საუკ. ხდებოდა ისიც, რომ როცა ამათ მთავრობა ასახლებდა, მაშინ ესენი წინააღმდეგნი იყვნენ და ძალას ხმარობდნენ, როცა გადასახლებას წინ მიზნად ისლამი ედო. მაშინ კი ესენი თვით თავიანთის ნებით მირბოდნენ ოსმალეთში.

როგორც ქართველთ გადასახლებას აქვს დიდი ისტორია, ისევე აფხაზებისას. მართალია უკანასკნელ გადასახლების დროს ამათ წინ ისლამის შიში აქვდათ და რუსების მტრობა და ფიქრი მის, რომ ვაი თუ გაგვაქრისტიანოს. მაგრამ ამავე დროს მათ თურმე გულიც დიდათ ეთანაღრებოდათ, ქვეყანას სტოვებდნენ, მიდიოდნენ, მაგრამ გული ვერ სთმობდა და მათ თვალები უკან რჩებოდათ. ის უბედურება, რაც აფხაზებს გამოუვლიად გადასახლების დროს, იგი ქართველ მაჰმადიანებს სულ არ განუცდიათ. აფხაზების გარდასახლების საქმე ყოველთვის დიდის მსხვერპლის შემწირველობით სწარბობდა. ეს მსხვერპლით შეწირვა აი რა გვარ იყო:

ყოველ გადასახლების დროს აფხაზები იჩენდნენ მგზავრობის დიდს გამოუცდელობას, არ ცოდნას იმ ადგილების, სადაც თვით მიდიოდნენ, არც მის შეგნება აქვდათ, თუ ამ გადასახლების საგმლად გზაში რა მოჰყვებოდათ. ყოველივე ეს-კი მათ კარგათ სჩაგრავდა, მწარე ცრემლებს აღვრევინებდა.

აზხაზნი ისპობოდნენ თავიანთ მშვენიერს სამშობლოში და მასთან უსიხარულოდ სწყდებოდნენ ოსმალეთში. ოსმალეთში

ამათი გაწყვეტა ხდებოდა, მით უფრო, რადგანაც მათ ხონტ-ქრის ხაზინის იმედი აქვდათ და იქიდან-კი მათ სულ არაფერი ეძლეოდათ.

ოსმალეთში ესენი იფანტებოდნენ დაქსაქსვით. მათი რიცხვი იქ სულ მოისპო და გადაგვარდა, ცოტაოდენი სტამბოლს დარჩნენ ჩერქეზებთან ერთად. ოსმალეთში ამათ თავიანთ საკუთარი სოფლები არსად აქვდათ. ამათ ოსმალეთთან ერთად ასახლებდნენ. ამიტომ მოკლე დროის განმავლობაში აფხაზური ენა დაიკარგა, თვითაც მოისპენ. საოსმალოში კაცი მათ რიცხვს დღეს ვეღარსად ნახავს ერთობით. თითო ოროლა კაცს შეხვდებით კანტი-კუნტათ. ცოტათ სტამბოლში არიან, მაგრამ ისინიც გაწრიოკებულნი არიან და ყავახანის მუდმივ მოსიარულეთ ითვლებიან.

აფხაზთა მოდგმას ოსმალეთში მიეცა უკვე დასასრული. იგი დღეს მოსპობილად უნდა ჩაითვალოს. მათისას კაცი იქ მალე ნასახსაც ვერ ნახავს. ამის მაგალითია შემდეგი: 1829 და 1854 წ. ომიანობის გამო აფხაზები რომ ოსმალში გადასახლდნენ, მაშინ სამი სოფლის ხალხი შუაგულ ოსმალს ადგილებში არ წავიდნენ, ესენი ბათუმის ახლოს კახაბერში დასახლდნენ. მის მერე გავიდა ხანი, მოახლოვდა 1877 წ. ხსენებული კუთხე რუსეთის საქართველოსთან იქმნა შემოერთებული. ამ შეერთების დროს ხსენებულ სოფლები ჩვენც ვნახეთ. მის მერე რა მოხდა აქ, კარგი არაფერი. აფხაზებმა გამოიჩინეს დიდი ფანატიკური უმეცრება და მის მეოხებით იგინი აქედამაც დაიქსაქსენ. შევიტყე, რომ არაბისტანში წავიდნენ და იქ კიდევ დიდის სიცხეებისაგან მთლად გაწყვეტილან. .

აფხაზებმა ისლამის მიღებით ვერ ისარგებლეს, თავისი ცხოვრების წესებიც დაკარგეს და ვერც ისლამისაგან მიცემული შეიმჩნვიეს. ისლამი მათ ვერ გამოიყენეს. ამით მათ ქართველებმა აჯობეს. ქართველებმა ისლამი ისე გამოიყენეს, რომ მით მათი ოჯახი არ მოსპობილა, მათ შეინარჩუნეს თავიანთ ცხოვრების წესები, საქართველოში მათი ოჯახი ისევ ძველ ოჯახს ჰგვანდა. მართალია გადასახლების დროს ამათაც ეძლეოდათ დიდი უხერხულობა და მათი ბევრი რამ იღუპებოდა და იშლებოდა უღვთოდ და უმწეოდ, მაგრამ ისე-კი არა ეს, როგორც აფხაზებთ შორის ხდებოდა. ამიტომ საჭიროა ეს ცნობებიც მომიყვანოდ აქ.

აფხაზი გადასახლების დროს სულ ვერ იჩენდა ჭკუიერ მოხერხებას, იგი მონა ხდებოდა ფანატიკ მოღვების და ხოჯების. მას უკიდურეს ფანატიზმს გარდა სხვა არა მიაჩნდა რა ცხოვრებაში უმთავრეს საქმეთ. ამათ ამის მეტი სხვა აღარა აგონდებოდათ რა გადასახლების დროს. ესენი სულ არა ფიქრობდნენ მასზედ, რომ იქმნება ოსმალში ცხოვრება გაგვიჭირდეს და ისევ აქეთ მოვბრუნდეთო. ამიტომ ნუ ვიღუპავთ თავს,

ნუ ვლუპავთ ცოლ-შვილს და ჩვენს უძრავ და მოძრავ ქონებას. ამის ფიქრი მათ სულ არ აქვნდათ ხოლმე. ქართველ მაკმადიანები კი ამას ყოველთვის ფიქრობდნენ.

აფხაზი თავის გადასახლების დროს სულ ოხრად და უპატრონოდ სტოვებდა თავის ფაცხა-სახლ-კარს. მასში აღებული ფული თითქოს ცოდვით მიაჩნდა და ამიტომ მათ დაკარგეს დიდი ძალი ქონება, სახლები, სოფლები, აუარებელი მამულები და ვინ იცის, რამდენი რა სოფლის სიმდიდრე, მთები, ტყეები და მეტად ძვირფასი სახლები. ყოველივე ეს მათში რატომ ხდებოდა, რადგანაც მათ გადაწყვიტეს თურმე, რომ ოსმალში გინდ მშვივრებიც დავიხოცნეთ, ჩვენ აქეთ მაინც პირს არ ვიზამთო.

ამათი ოთხ-ფეხი საქონელი სულ მუქთათ, თითქმის ოხერ ფასად იყიდებოდა. ძრეელ ხშირად არც მყიდველი იყო და ამიტომ აფხაზს ისე უფასოდ და უპატრონოდ ურჩებოდა ოთხ-ფეხი საქონელი. ამ აყრილ ოჯახებთა გამო მეტად მწარე მდგომარეობაში ვარდებოდნენ თვით კატა და ძაღლებიც-კი, რადგანაც მათ პატრონები შორდებოდნენ, მათ მეპატრონეთ აღარავინ შთებოდა. მნახველთ სთქვეს, რომ ასეთ დროს ძაღლები სულ ღმუოდნენ იმ წუთს, როცა მათი პატრონები გემებში სხდებოდნენ და თავიანთ სამშობლოს ესალმებოდნენო. რაც ამ დროს აფხაზთა გადასახლების გამო უბედურება და საცოდავობანი მოხდა, ამას კაცი ვერ ასწერს, მისი ანუსხვა შეუძლებელი არის, მას კაი ცოდნა უნდა და მასთან კაი მომთხრობი. მართალია ამათ შესახებ თვით რუსულ გაზეთებშიაც იბეჭდებოდა ცნობები, რომ აფხაზები ოსმალში სახლდებიანო, ამის მეტი სხვა არა ისმოდა რა. ხოლო ამ გადასახლების დროს რა ჯოჯოხეთის მსგავსი სურათები სწარმოებდა, რა სულის სატანჯველი წუთები სტრიალდებოდა, აფხაზთა რიცხვი რა განუსაზღვრელს სატანჯველის ცეცხლით იწოდა, ამაზედ-კი არავინ რას ამბობდა.

ყვიროდნენ მრავალნი: – წავიდნენ, წაეთრიონ ოსმალში, მაგათ მშვენიერ ადგილებს ჩვენ მოუყვანთ პატრონებს. ხოლო რათა და რისთვის უნდა წასულიყვნენ ეს ბედ შავნი თავის სამშობლოდამ და რა მიზეზისათვის, ამას-კი არავინ ასახელებდა. თუ აფხაზებმა რა დააშავეს, რა ქმნეს ამ ბედ-შავთა ისეთი, რომ ბოლოს მათი დანაშაულობის შეწყალება გარდასახლებით დაბოლავდა. ამ გადასახლებით დაიღუპა აფხაზეთი, ამით მიწა ზედ გასწორდნენ იგინი, ამით გათახსირდნენ იგინი. რამდენს ამის გამო სული ამოუვიდა უღვთოდ, რამდენი კაცი და ქალი დაიხრჩო ზღვაში და მდინარეებში, რამდენი გაწყდა მოგზაურობისაგან, რამდენი რა სხვა უბედურება გამოსცადეს ამ გადასახლების დროს, ამას კაცი ვერ მოსთვლის.

სხვა და სხვა მტერთა შიშით აფხაზი საქართველოში იტან-

ჯებოდა სულიერად. აქ ამ ტანჯვას აძლევდენ სხვა და სხვა მტრები, რომლებიც მას აშინებდნენ გაქრისტიანებით და რუსის მთავრობისაგან უწყალოს დევნით. ყოველივე ეს-კი იყო ტყუილი და მტრობით მოგონილი, რომ ამით აფხაზეთი დაცლილიყო და მერე ამათი ადგილები სხვებს ჩაეგდოთ უფასოდ, ოხრად. ეს ასეც მოხდა.

ოსმალში აფხაზები დაიტანჯნენ ხორციელად. იქ ამათი ორი ტანჯვა ერთად შეერთდა, სულიერი და ხორციელი. ამას ვერ გაუმდლეს მათ და 50,000 სულზედ მეტი სადღეისოდ აღარც 5000 სული არის, მოისპნენ, გაწყდნენ სილატაკისაგან, გადაგვარდნენ და სხვანი. ასე გათავდა აფხაზეთის საქმე. რაც დღეს აფხაზეთში ხალხია დარჩენილი, ორი იმდენი ოსმალში გაწყდა და ერთი იმდენი გზაში. ამათ სულიერ და ხორციელ ტანჯვის გამო აქ მოვიყვან ერთ ცნობას, რომელიც მოყვანილი არის ალექსანდრე ეპისკოპოსის ცხოვრებაში. აი აქ რას სწერს არქიმანდრიტი ამბროსი:

1866 წ. აფხაზეთის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ, როცა სჯულის გამო ვინ იცის რაები არ ხდებოდა, ამ დროს ერთი მაჰმადიან აფხაზი სახელად ურუსო ალექსანდრე ეპისკოპოსთან მისულა. ეპისკოპოსმა მისვლის მიზეზი ჰკითხა. აფხაზმა მოახსენა შემდეგი:

თქვენთან მიტომ გიახელით, რადგანაც მე სამუდამოთ ვეთხოვები ჩემს სამშობლო ქვეყანას, მივდივარ ოსმალეთში საცხოვრებლად, ჩემი შვილი ვაჟი-კი ვერ გამიმეტებია, ვერ წამიყვანია იქ, მეშინიან, ამის მეტი არა მყავს რა. ცოლი და სხვა შვილები ადრე დავკარგე. არ ვიცი, რა მომელის უცხო მხარეში, მაგრამ მაინც ვტოვებ აქ ჩემს საყვარელ ქვეყანაში. მინდა ეს აქ იყოს. გარდა ამისა არ მინდა, რომ ჩემი უბედურება ჩემს ერთად ერთ შვილსაც გაუზიარო. ამიტომ ვტოვებ აქ და ვითხოვ თქვენგან დახმარებას და მფარველობას, თუ კი ეს მისთვის საჭირო იქნება ოდესმე.

აი ასეთის გულ საწვავის და სულიერის ტანჯვით ყოფილან შეპყრობილნი, როცა თურმე აფხაზები თავიანთ სამშობლოს სტოვებდნენ და ოსმალეთში მიდიოდნენ. არც ეთმობოდათ ეს ქვეყანა და ვერც გარემოებას ეთვისებოდნენ. უმთავრესად კი ამათ უბედურების მიზეზათ გაქრისტიანების საქმე ხდებოდა, რასაც მათი ხოჯები და მოლები უფრო ამწვავებდნენ და რაც იყო მიზეზები ყოველივე მათის უბედურების და სამშობლოდამ გადასახლების და დაღუპვის. ამ უბედურების მიზეზებათ რამდენათაც მაჰმადიანთ სასულიერო წოდება იყო, მათზედ მეტი დანაშაულობა ჩვენც მიგვიძღვის, რადგანაც მათ ძალით გაქრისტიანება გახდა ყოველივეს მიზეზები. ეს ძალით მოწყობილი საქმე რომ არ ყოფილიყო, უამისოდ აფხაზები თავიანთ ქვეყნიდამ ფეხსაც არ მოიცვლიდნენ, ერთი კაციც

არ წავიდოდა აქედამ ოსმალში. ერთის მხრით, რომ ყოველივე ცდა უბრალო იყო და უმნიშვნელო, ესა სჩანს იმ გარემოებიდანაც, რომ ძალით სჯულიდამ სჯულზედ გადასულნი უკანასკნელ წლებს, ნამეტურ 1877 და თვით 1880 წლებშიაც კი, ისევ ისლამზედ გადავიდნენ.

ჯიბრმა ჯიბრი გამოიწვია, ყოველივე ცდა უბრალოდ დაიკარგა და მით საცოდავი აფხაზებიც თავიანთ სამშობლო ქვეყნიდანაც აიშალნენ და ვინ იცის საით წავიდნენ და გადასახლდნენ, სადაც მათ უკანასკნელ უწყალოდ მოსპობა და გაწყვეტაც მოევლინად. 1894 წლებში ბათუმში მე ვნახე რამდენიმე აფხაზი, ოსმალოდამ დროებით მოსულნი და ბათუმის ახლოს თავიანთ მონათესავე აფხაზებთან დროებით მცხოვრებნი. ესენი გავიცანი. ლაპარაკი გვქონდა გადასახლებულ აფხაზებზედ. იგინი ქართულად კარგად ლაპარაკობდნენ. აქ მე მოვიყვან ეხლა იმას, რაც კი მათ სიტყვით სიტყვა მიაძბეს. აქ ჩემსას არასფერს მოუმატებ, ყოველივე მათი ნათქვამი არის.

ბატონო ძიავ, რაც მოხდა, მოხდა, ჩვენ კი დავილუპეთ. ზოგი ჩვენი ბრალია, მაგრამ უმეტესი კი თქვენების ბრალია. ძალით სჯულიდან სჯულზედ გადასვლა არ არის კარგი. ჩვენ ორსავ მხრიდამ გვაშინებდნენ. ჩვენც ხამი ხალხი ვიყავით, ამიტომ მოვიშალენით ჩვენის ცხოვრებიდამ და წავედით ოსმალში საცხოვრებლად, სადაც ჩვენ ამით თითქმის დავილუპენით. ადრე იქ ჩვენი აფხაზების 100 ათასი კაცი მეტი იყო, დღეს კი იქ ამის აღარც მეათე ნაწილი დარჩა. ვინც იქ ჩვენი საცოდაობა ნახა, ვინც ჩვენი გაჭირება და სილატაკეს შეესწრა, იგინი ცრემლებს ღვრიდნენ ჩვენის საცოდაობით.

ასეთის საცოდაობით და გაჭირებით გაწყდა მთელი იქაური აფხაზები. გადარჩა ძალიან მცირე რიცხვი. ცოტანი სტამბოლში ვცხოვრობთ. ოსმალში ჩვენი დღეს აღარაფერი არის. იქ თქვენ აფხაზებს ვედარსად შეხვდებით, ცოტაოდენი აქეთ ლაზისტანში არიან დასახლებულნი. ესენიც აქ ისე წამხდარან, რომ მათ აფხაზურის აღარაფერი იციან, იგინი ლაზებს დანათესავეებიან და დღეს ლაზურად ლაპარაკობენ. თქვენ მათ ლაზებისაგან ვედარ გაარჩევთ. ასე დაილუპა ჩვენი საქმე, ასე მოვიშალენით ჩვენის ქვეყნებიდამ და იქაურის ქვეყნებიდამაც.

ჩვენი ქალები და ნამეტურ დედაბრები და ბერი კაცები ცხარეს ცრემლით მოსტირიან თავიანთ სახლ-კარს. რამდენსაც იგინი მოიგონებენ თავიანთ სოფლებს, იმდენად იგინი მწარეთ სტირიან ხოლმე. თქვენ არ გინახავსთ მათი საცოდაობა და ტირილი, ამიტომ შეიძლება თქვენ ეს არც კი წარმოიდგინოდ. ყოველივე ეს ჩვენი დალუპვის მიზეზები სულ თქვენი ბრალია. ძალას გვატანდნენ, გვაშინებდნენ და ჩვენც ღობორც ხამი ხალხი წავედით, გავიქეციით და მის მერე ბევრიც ვინანეთ, ვიწყევლეთ და ვწუხდით, მაგრამ მეტი რა გზა

გვექონდა, შიშის გამო ყოველივეს ვითმენდით და ამ მოთმინებაშიაც სუ გავეწყდით და მოვისპენით. დღეს აფხაზების რიცხვი ოსმალეთში სამთლით საქებარია, ჩვენ იქ აღარსად არაფერი ვართ. ან თქვენ რა იპოვეთ ამით, რა შეიმატეთ ჩვენის დაღუპვით, ეს ჩვენ არ ვიცით. ჩვენ კი მოვიშალენით ჩვენის ქვეყნიდამა და მისის წყალობით სულაც მოვისპედ. ეს სულ ძალადობის ბრალია.

აფხაზების გადასახლება საქართველოდამ ოსმალეთში იწყება XVIII საუკ. დამდეგიდამ. მინამდის ამათი გადასახლება თუ ხდებოდა, იგი ოსმალს მთავრობის მეთაურობით იყო. მერე-კი XIX საუკ. დამდეგიდამ-კი, ესენი როგორც ისლამის ფანატიკები, თავიანთ სურვილით მიზნოდნენ ოსმალეთში. ამათ წასულთა რიცხვს ასე ანგარიშობენ თვით აფხაზები.

5000 ათასი გადასახლდა და 1810 წ.

10,000 ათასი გადასახლა 1829 წ. ფოთის აღების დროს.

20,000 ათასი გადასახლდა 1856 წ.

15,000 ათასი წავიდა 1860-1866 წლებს. ოთხივ დროის გადასახლებულთ რიცხვი ზედ მიწევნით მცოდნეთ ანგარიშით უდრის

50,000 ათას. აქ, საქართველოს აფხაზეთში დარჩენილან სადღეისოდ შემდეგნი მცხოვრებნი:

20,000 ათასი გაქრისტიანებულ აფხაზნი და

20,000 XVII საუკ. შემდეგ გამაჰმადიანებულნი.

სულ მამასადამე აფხაზების რიცხვი საქართველოს აფხაზეთსა თუ ოსმალეთში უნდა იყოს 90,000 ათასი. ეს რიცხვი ჩვენ ერთობ მცირედ მიგვაჩნია. ნუ თუ მთელი აფხაზეთი ძველად 100 ათასზედ მეტი არ იყო ორივ სქესის, ეს შეუძმლებელი არის.

ოსმალში წასულთ აფხაზთა რიცხვი სადღეისოდ თითქმის მოისპო. რაც ამათ მწუხარება ნახეს, ამაზედ მეტი ჭირი ჩერქეზებმაც გამოიარეს. აფხაზთ გადასახლება იყო მარტოდ გადასახლება სულის საცხონებლად ოსმალეთში, თორემ სხვაფრივ მათთვის იქ იყო ტანჯვა სულის, ცხოვრების გენიაჯოჯოხეთი და არა აფხაზეთის მსგავსი სამოთხე ქვეყანა და მასში ნაზათ ცხოვრება. ეს რომ სწორედ ასე იყო და ცხადი, ამას ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ ოსმალში მყოფი აფხაზები ყოველთვის ცრემლით იგონებდნენ თავიანთ სამშობლოს, თითქმის ცრემლს ღვრიდნენ შინ დაბრუნებისათვის, მაგრამ აბა ამის ძალას მათ ვინ მისცემდა, როცა მათ ჭირში სულიც აღარ აქვნდათ შერჩენილი.

მაინც მათში გამოჩნდნენ იმოდენიც, რომელთაც მოახერხეს იმდენი ქონების შეძენა, რითაც მათ შეეძლებოდათ სამშობლოში დაბრუნება. ესენი მოემზადნენ, აკრიფეს ყოველივე თავიანთი ბარგი-ბარხანა და 1879 წ. აგვისტოში გა-

მოუდგნენ საქართველოს, წამოვიდნენ აქეთ. ამათი რიცხვი ორივე სქესის შესდგებოდა 1000 სულზედ მეტს, მთელი დიდი გემი ასეთის წამოსვლის აფხაზებით გაივსო. ეს ოსმალოს გემი ბათუმსაც მალე მოადგა, იგი აფხაზებით ბათუმს მოვიდა დროით, მაგრამ გემი ხმელეთს ვერ მოუახლოვდა. აფხაზებს ეცნობათ, რომ თქვენი მიღება აქ შეუძლებელი არისო. გემი დარჩა ზღვაში, ხმელეთიდან კარგა მოშორებით. მაშინ აფხაზებს გამოუელიად დიდი სატანჯველი, ცრემლი, ტირილი. შიმშილით კაცები და ქალებიც დახოცილან. მერე კი შეიწყნარეს მათი თხოვნა და დააბრუნეს აფხაზეთში.

ლაზების გადასახლების ამბები შეკრებილი თვით ლაზებში.

ლაზების გადასახლებას დიდი ისტორია აქვს. ეს ჩვენ ზეპირ ამბებით ვიცით, რადგანაც ლაზებში მოხუცებულთა ზეპირად იცოდნენ ლაპარაკი, რომ ჩვენი ძველები ოსმალეთში ხშირად გადუსახლებიათო. რაც დღეს 1894 წ. ლაზები არიან, ადრე ათი ამდენი ყოფილა, დღეს მთელი ლაზისტანი ხალხით იქნებოდა სავსეო. მაგრამ აი ხომ ხედავთ, რომ მთელი ლაზისტანი განახევრებული არისო. ლაზებით სავსე გახლავსთ მთელი ოსმალეთიო.

ლაზების უმეტესი ნაწილი ხელოსანი და წვრილი ვაჭარი ხალხია. იგინი ადვილად მგზავრობენ სხვა და სხვა ქვეყნებში და ხელოსნობით და ვაჭრობით სცხოვრებდნენ. ვიდრე ესენი ქრისტიანები იყვნენ, მინამდის ამათგანნი უმეტესად საქართველოში გადმოდიოდნენ და ხელოსნობდნენ. უმეტესად დურგლები და კალატოზები სულ თქვენებში მოდიოდნენ სამუშაოთაო, გურიას, იმერეთს და სხვაგანაც.

მართლაც ძველად უმეტესად ხალხი სხვა და სხვა ხელობას ამ ლაზებისაგან სწავლობდნენ. რაც ლაზები ისლამს დაუკავშირდნენ, მას შემდეგ მათი მისვლა-მოსვლა ქართველებთან შემცირდა, რადგანაც სასულიერო წოდებას ამის შიში აქვდა და მიტომ აქეთ აღარ უშვებდნენ, რომ მისვლა მოსვლით და სახელოსნო საქმეთა დამოკიდებულების წყალობით მათ ძველი სჯულის აღარა გახსენებოდათ რა.

ამიტომ ზემო ხსენებულ კუთხეთა მაგიერ ლაზებს დარიგება მიეცათ, რომ მათ სახელოსნო საქმეებისათვის ოსმალეთის ქვეყნებისაკენ ევლოთ, რითაც იგინი უფრო მეტ ხელფას აიღებდნენ. ლაზებმაც დაიწყეს ამიტომ იქით მოგზაურობა და მართლაც უშიშრად იწყეს საქმეების შოვნა და მუშაობა. პირველ დროებში ამათ უმთავრეს ბინათ შავი

ზღვის ნაპირა ქალაქები და დაბები იყო. მერე უმეტესად ტრაპიზონში გაიმართეს სადგური ბინა, საქმე ისე მოეწყო, რომ ამ ორასი წლის წინედ 1700 წ. ტრაპიზონში ლაზთა ხელოსნობის იყო რამდენიმე ათასი სული, რომელნიც იქიდან მარჯვედ ემგზავრებოდნენ მთელს ოსმალს იმპერიის ქალაქებში და იქ ესენი ხშირად დიდ საქმეებსაც შოულობდნენ.

ასეთის საქმიანობის წყალობით ლაზები თურმე ლაზისტანს ხშირად სცილდებოდნენ და საქართველოს სანაცვალოდ ოსმალეთის ქალაქებში სახლდებოდნენ. 1770 წლებს თვით კოსტანტინეპოლიც კი სავსე ყოფილა ლაზელი დურგლებით, კალატოზებით, ხუროებით, მჭედლებით და სხვა ხელოსნებით. სამწუხაროდ, ძველადგანვე ლაზების ეს სახელოსნო ცოდნა და საქმიანობა გახდა მათს გადასახლების უმთავრეს მიზეზათ და ესენი ამიტომ თავიანთ ქვეყანას ერთობ ადვილათაც ეკარგებოდნენ. ეს დაკარგვა ხშირად მათის ნებითაც ხდებოდა. თავის ქვეყნიდან შორს წასული ხშირად შინ აღარ ბრუნდებოდა და იქით ირთავდა თათრის ქალს, სადაც მერე მას გადაგვარებაც ელოდა. ასე ლაზისტანს დიდი რიცხვი აქვს მოშორებული თავის ასპარეზიდან და დაკარგულნი.

ასეთ მოცილებულთ გარდა ლაზების რაღაც ჯავრი ჰქონდა ოსმალს მთავრობას, ამიტომ აქედამ ხშირად მათ მტრობითაც ჰყრიდა და ასახლებდა ოსმალს ქვეყნებში. ჩვენში ბევრს ახსოვთ, რომ ლაზები ძალიან ხშირად ძალითაც აუყრიათ და ოსმალში გადაუსახლებიათ. ხშირად უმიზეზოთაც ჰყრიდნენ მათ. აყრის მიზეზათ ერთი უბრალო დანაშაულობაც კმაროდა თურმე. გარდა ამისი ასახლებდნენ მიტომაც, რადგანაც შარს უგონებდნენ სჯულის გამო. ხშირად შარის მიზეზათ ღუზების სიკარგეც ხდებოდა. რაც ლაზების გადასახლება დაწყობილა, მის შემდეგ გასული იქმნება ორასი წელიწადი. ლაზებს სჯულის გამო შარს ვერ უზამდნენ, რადგანაც ესენი წინათვე კარგი წმინდა თათრები იყვნენ. ამათი დანაშაულობა ამათი სიკარგე იყო, რაც ოსმალებს ძრვიელ შურდათ. ორასი წელიწადი ჩვენ 1700 წლიდან უნდა ვიგულისხმოთ. აქ ნათქვამ სიკარგეში იგულისხმება ბევრნაირი რამ უპირატესი მხარენი და მასთან უმთავრესად კი მათი სილამაზეც.

მუსა კულუხაშვილი, მახმედ თომაშვილი და ოსების გადასახლება ოსმალეთში

(ვასილ თედეშვილის ცნობებით)

ჩვენს ქართველ მაჰმადიანთ გვერდით ჩვენივე მეზობელთ და მოძმე ოსთ მაჰმადიანთ საქმეც მეტად საინტერესო არის. ოსეთის ისლამთან დაკავშირება ეკუთვნის XVII საუკუნის ნა-

ხევრიდამ, თითქმის იმ წლებიდან, როცა აფხაზეთში იწყეს ისლამის ვრცელება. ჩვენ ისლამთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ ყველა სჯულს პატივს ვსცემთ, მხოლოდ არა ვართ თანახმა მის, რომ კაცმა რომელიმე სჯულის გამო მთელი თავის თავი და ისტორია დაივიწყოს.

რაც ქართველთ მოუვიდათ, როგორც ქართველ მაჰმადიანები გათახსირდნენ ისლამის გამო და დაკარგეს ყოველივე, ესევე მოუვიდათ თითქმის ოსებს. ესენიც ისევე გათახსირდნენ და გაგარეულდნენ, როგორც ქართველები. თუმცა ისიც უნდა შეინიშნოს, რომ ისლამს სულაც არ უშლის ის გარემოება, რომ მის მაღიარებელთ შორის თათრის ტომთა გარეშე სხვა ერნიც იყვნენ მაღიარებლად. ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ ჩვენში კი ეს ასე არ მოხდა და ისლამის სასულიერო წოდების წყალობით სულ სხვა სენი და ბოროტება დატრიალდა, როგორც გვარის, ანუ ნაციის მჭამელად. ეს კი არ არის კარგი და პატიოსანი. სწორედ ასეთ გარემოებაში იყვნენ და არიან ჩავარდნილნი თვით ჩვენი მეზობელ მოძმე ოსებიც. ეს რომ ასე არის, ამას გამოაჩენს შემდეგი.

ოსები იმავე თავიდანვე ისლამის საშუალებით ისეთ ფანატიკობით აღმოსჩნდნენ, რაისა გამო მათ ოსმალში გადასახლება იწყეს 1770 წ. მის მერეც მათი რიცხვი არ მოსპობილა და ყოველთვის ჰქონიად გადასახლების ნატვრა და ტრფიალება. 1770 წლების შემდეგ გადასახლება 1812 წ. მოხდა, მის მერე 1829 წ. და შექველია სხვა და სხვა დროსაც მოხდებოდნენ, მაგრამ იგინი ჩვენთვის უცნობი არის. ამიტომ ჩვენ ავხსნავთ ისევე ამ ჩვენი XIX საუკუნის გადასახლების საქმეს, რაც უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩვენთვის. ეს უკანასკნელი გადასახლება ოსებში იწყება 1840 წლიდან და გრძელდება 1866 წლებამდე. უკანასკნელი გადასახლება არის მათი მეტად საგრძნობელი და მასთან საყურადღებოც.

უკანასკნელ გადასახლების მიზეზათ აფხაზეთის საქმე გახდა და აფხაზეთა გადასახლება ოსმალში. აფხაზეთა აყოლებას აქ ამათში მიზეზები იმ გადასახლებასაც ედება, რადგანაც 1830 წლებიდან ოსებში ქრისტიანობასაც უწყეს გავრცელება და ეს გარემოება ბევრის ოსისთვის იყო საწყენი. აქ ამ უკმაყოფილობას მხარი მისცა ოსმა მუსა კულუხოვმა, ოსეთში ოზლასტნოი უფროსმა. ამასა და იმ დროის კავკავის ეპისკოპოსთ შორის ცოტა მტრობაც ჩამოვარდა. მერე საქმე რომ გამწვავდა, ამ მუსა კულუხოვის დარიგებით აიშალნენ ინგუშნი, ქისტები და მასთან მაჰმადიან ოსებიც. ამ მუსა კულუხოვის ცდით 1860 წლიდან 1866 წლამდე ოსეთიდან ოსმალეთში გადასახლდა 20 ათასი მეტი მუსულმანის სჯულის მექონ ოსებთაგანი. 20 ათასი სული ისეთის ერისათვის, როგორც ოსები არიან, უნდა ითქვას, რომ იგი ერთობ საგრ-

ძნობელი დანაკლისი არის. ოსები თურმე თავიანთ სამშობლო-
დამ არსად არ წავიდოდნენ. ამის მიზეზი ქრისტიანობის გავ-
რცელება გამხდარა ოსებში. ქრისტიანობის გამო ზემო ხსენე-
ბული მუსა კულაევი კავკავის ეპისკოპოს გადაჰკიდებია, მერე
ეპისკოპოს ამაზედ უჩივლია, ამიტომ ამათში მტრობა ამტყდა-
რა და უკანასკნელ მუსა კულაევს 20 ათასი ოსთა მაჰმადია-
ნობა ოსმალში გადუსახლებია და თვითონაც იქ გადასულა.
იქ ამას თურმე ფაშობა მისცეს იმოდოლა ხალხის მიყვანის
გამო.

მუსა კულაევს დიდად უმეცადინია და მაინც მთლად
ოსთა მუსულმანობის სრულიად გადასახლება ვერ მოუხერხე-
ბია. მას წაუყვანია ზემო რიცხვის ხალხი, ამაზედ მეტი აქაც
დარჩენილან. ოსები ოსმალეთის სახელმწიფოში ისე დაუფან-
ტავთ და დაუპნევიათ, რაისა გამო მათ ასე მოკლე დროის
განმავლობაში ოსების ხსოვნის ყოველივე წარხოცვიათ, მო-
სპობილან. ისლამის წინაშე ოსებიც ისეთივე მუსულმანები
არიან, როგორც მესხელ და ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანები.
ასე უღვთოდ დაიკარგა ამოდენა ხალხი ოსმალეთში. ოსებთან
ერთად გადუსახლებიათ ინგუშები და ქისტებიც, უმეტესად კი
მუსულმან ოსები.

როგორც ჩვენ ქართველ მაჰმადიანები ვართ უბედურები,
ისევე მაჰმადიან ოსები იყვნენ. როგორც ჩვენ არ გვაქვდა
შეგნება სჯულსა და ქვეყანაზედ, ისევე ოსთა მაჰმადიანები
ყვნენ. მათ სულ არ აქვდათ მის შეგნება, რომ შეიძლება
ოსი ოსის, ანუ ირონის – თუ ერის ტომისა იყოს და მასთანა-
ვე ისიც შეიძლება, რომ ერთი ოსი ქრისტიანობას აღიარებდეს
და მეორე ისლამს, ამასთანავე ერთიცა და მეორენიც იყვნენ
რუსის ქვეშევრდომნი, რუსეთის ხელში იყვნენ და მუსულმანს
ხმას არავინ სცემდეს. იგი აქ დაშთეს თავის ისლამით უვნებ-
ლად. არა ამის შეგნება მათ არ აქვდათ და ამიტომ ყოველ-
თვის იმას ფიქრობდენ, რომ ისლამის მექონ კაცს უსათუოდ
მუსულმანის სჯულის მექონი ხელმწიფე უნდა ჰყვანდესთო.

ამიტომაც იყო, რომ ოსის მაჰმადიანები ყოველთვის მომ-
ხრენი იყვნენ შამილისა. ესენი შამილს საიდუმლოდ პატივს
სცემდნენ და მასთან დახმარებასაც აძლევდნენ საიდუმლოდ,
რაც უკანასკნელ ცნობილ იქმნა თვით რუსეთის მთავრობის
წინაშე და რამაც გამოიწვია დიდი უსიამოვნობა. მთავრობამ
ცნობების კრება დაიწყო. ამ გარემოებას მახმედ თომაშვილიც
გაუმძლავრდა. ბევრს ალაგას რუსეთის მხედრობას სხვა და
სხვა ვიწროებიდამ უსაფრდებოდნენ და ჯარს უხოცდნენ. ბევ-
რის ხოცვის შემდეგ ყოველივე ძლეულ იქმნა და მახმედ თო-
მაშვილი ციმბირში გადასახლებული, მუსა კუთხაშვილი
კი ოსმალში გადავიდა.

შამილის დაპყრობამდე მუსულმან ოსებს იმედი აქუნდათ,

რომ იქნება შამილი გამაგრდეს და კავკასიაში იგი მუსულმანთა მეფედ გამოცხადდეს და ყველა მუსულმანებიც მის მფარველობის ქვეშ ვიქმნეთო. იმედი ჰქონიად, რომ თუ შამილი არ დაეცა, მაშინ ჩვენთვის შეიძლება რომ ოსეთში, ოსების წილ გამთავრდეს მახმედ თომაშვილი, რომლის გვარიც წარმომდგარია გვარი – თამარაშვილიდან და რაც ნათესავი არის ბაგრატიონებისაო. მაგრამ ეს ვერ მოხდა და ვერც მოხერხდებოდა. რაკი მუსა კულუხაშვილი ოსმალში გადასახლდა და მახმედ თომაშვილიც ციმბირში გაგზავნეს, მის გამო მაჰმადიანთ ოსებიც დიდს მწუხარებაში შთაცვივდნენ და მათ სახსრად და მშვიდობის ნიშნად მხოლოდ გადასახლება დაინახეს.

შეიძლება მუსა კულუხაშვილს და მახმედ თომაშვილს ვერც-კი გაეწყობოთ რამე. ამის ნიშანი არის ის გარემოებაც, რომ მათი ამყოლი არ იყვნენ ქრისტიან ოსები. იგინი გავლენას ახდენდნენ მარტოდ მუსულმან ოსებზედ. ამის უმთავრეს მიზეზად ისე თვით მათი შნო და გავლენა არ იყო, როგორც ისლამის სახელწოდება და მისი მიმართვა. ამ გარემოებას ზედ დაერთვა მათი ცდა და ამიტომაც მოხდა ისე უადვილესად ოსთა გარდასახლება ოსმალეთში. მუსულმან ოსების ცოტაოდენი მაინც დარჩენ ოსეთში და იგინი დღესაც სცხოვრებენ აქ. ოსმალეთში გადასახლებულ ოსების დღეს არავინ რა იცის. იგინი ოსმალეთის სხვა და სხვა კუთხეებში დაიბნენ და ასე დაბნეულნი სცხოვრებენ. მოკლე დროის განმავლობაში მათი რიცხვი იქ სამუდამოდ მოისპობა. ცოტაოდენი ამათ რიცხვი სტამბოლში სჩანს. იქ ესენი მიკედლებულნი არიან გადასახლებულთ ჩერქეზებს და აფხაზებთან. ყველა ამათში დღეს საერთო ენად ოსმალური ენა არის მიღებული.

უნდა შეინიშნოს, რომ ოსებმა თავიანთ სამშობლო უბრალოდ დაჰკარგეს, რუსები შემდეგ არ გააქრისტიანებდნენ და არცარა სხვა რამ ტვირთს დააკისრებდენ გადასახადათ. ამის ფიქრებით იყვნენ ოსები, ამისი ეშინოდათ და მიტომაც აიყარნენ და წავიდნენ ოსმალში. იქ ამათ არაფერი შეძლება გაჰყვათ თურმე და მიტომ მოკლე დროის განმავლობაში დიდს სილატაკეში ჩავარდნენ. ბევრი თურმე ნანობდა დიდათ, რომ ჩვენი სამშობლო რათ დაგვარგეთ და აქეთ რათ წამოვედითო. ზოგი დაბრუნებასაც აპირებდა, მაგრამ შეძლება არ აქენდათ და მიტომ ვედარას ახერხებდენ წამოსასვლელად. ასე და ამ გვარად დაილუპნენ ეს ბედშავნი ოსმალეთის სახელმწიფოში. ამათ გადასახლების შესახებ ოსებში ბევრნაირი ზეპირ ამბებია დაშთენილი. იგი ღირსია შეკრების და ანუსხვის. ამიტომ ურთავთ აქ ამ ზეპირ ცნობებსაც:

5,000 ათასი ოსი გადასახლდა 1829 წ.

3,0040 ათასი ოსი გადასახლდა 1856 წ.

20,000 ათასი გადასახლდა 1863-1866 წ.
სულ 28 ათასი ორივე სქესის. სხვა ცნობები ჩვენ არ
გვაქვს.

გადასახლების ქადაგებანი

ეს ქადაგება 1877 წლებს არის შედგენილი. ამით უქა-
დაბებდნენ ქართველებს, ლაზებს, აფხაზებს, ოსებს და სხვებ-
საც .

ეს ქადაგება შედგენილია ოსმალის სასულიერო წოდე-
ბისაგან და წარმოგზავნილი ქართველ მაჰმადიანთ ხოჯებსა და
მოლებში საქადაგებლად. ამას მოვიყვანთ სიტყვით-სიტყვას,
როგორც ქადაგებდნენ 1877-1881 წლამდე.

„მართლ-მორწმუნე მუსულმანებო, ჩვენისთანა ბედნიერი
ხალხი არც ერთი სჯულის ხალხი არ არის. ჩვენ ჩვენის სჯუ-
ლის ძალით დიდი ბედნიერები ვართ, ხოლო ამ ბედნიერებას
კი ჩვენ არ უფრთხილდებით და არ ვაფასებთ. ასეთ ბედნიე-
რებას სხვა სჯულის ხალხი დანატრულებულია. ჩვენ რაც გინდ
ცოდვა ჩავიდინოთ, რაც უნდა ავი საქმე ვქნათ, მაინც ბო-
ლოს ღმერთი გვაპატიებს. ორივე მხარეს შვებას გვამლევს,
აქაც და იქაც – საიქიოს. ჩვენ ყველა მუსულმანები საიქიოს
ჯენეეთში წავალთ, იქ ჩვენთვის ჯენეეთის კარი ღია იქნება,
მხოლოდ მუსულმანმა უნდა ეცადოს, რომ სიკვდილის დროს
მუჰამედის ლოცვა არ დაივიწყოს და „სელვათი“ სთქვას.
ასეთია ჩვენი წმინდა სჯული, ასე გვფარველობს ჩვენ, ასე
გვაპატრონობს, საიქიოსაც გვაბედნიერებს, ჩვენ სამოთხე სიცო-
ცხლეშივე გვაქვს მოპოვებული, ესეთი ბედნიერება არც ერთ
ხალხს არა აქვს. იგინი ამას დანატრულები არიან. ეს მარტოდ
ჩვენა გვაქვს, მარტოდ ჩვენ მუსულმანებს, მარტოდ ჩვენა ვსა-
რგებლობთ ამით.

ხოლო ჩვენ კი ასეთი წმინდა ბედნიერი სჯულის ფასი
კი არ ვიცით, არც ვცდილობთ რომ გავიგოთ და შევიტყოთ
მისი ფასი და ვეცადოთ მით, რომ ოდესმე ჩვენი სული საი-
ქიოს წავა და სხეულიც ჯენეეთში შავა. იმ დროს ჩვენი
წმინდა სჯულის მექონი ხორციც ისეთ წმინდა მიწაში დაიმარ-
ხოს, ისეთ ალაგას, სადაც მუსულმანს შეჰფერის, რაც სასიამოვ-
ნო იქმნება თვით იმ სულისთვის, რომელიც გვამს – ხორცს გან-
შორდა. ჩვენ სულის ვალის საქმეებს კი ვასრულებთ და ხორ-
ცისათვის კი არა ვზრუნავთ, არა ვსცდილობთ, რომ სულის
გასვლის შემდეგ ხორციც კარგ ალაგას დაიმარხოს. ჩვენ კი მას
უწმინდურ მიწაში ვმარხავთ, უწმინდურ გიაურებს ვაქელინებთ
ფეხ-ქვეშ. ეს არ შეგვფერის ჩვენ. ჩვენი წმინდა სჯულის მე-
ქონი სხეულიც ისეთ მიწაში უნდა დაიმარხოს, სადაც ის შვე-
ბას მიიღებს, სიამოვნებას და ისიც ცხონდება, თორემ მარტოდ

სული ცხონდეს და ხორცი კი უწმინდურთ ფეხ-ქვეშ გაილახოს. ეს არ იქმნება ჩვენთვის კარგი, მარტო სული ცხონდეს და ხორცი კი დაიტანჯოს, ეს ღვთის მოსაწონი საქმე არ არის.

ყოველი მუსულმანი ამის ფიქრს უნდა მიეცეს, ამაზედ უნდა იტიროს მან, რომ სიკვდილის შემდეგ რაკი ყველა ჩვენი თათრის სულელები წმინდა მუჰამედთან – ჯენეეთში წავლენ, ხორციც კაი ალაგას იყოს, სულმა ჯენეეთში იხაროს და ხორცმაც აქა. ამაზედ მეტი სიმდიდრე მუსულმანისათვის სხვა არაფერია საჭირო. ჯერ ღმერთი გვითმენს ამას, იგი ელის ჩვენგან, რომ ჩვენ გონს მოვიდეთ და ხორცის საქმეს უპატრონოთ. თუ ეს ასე არ შევასრულეთ, მაშინ მუსულმანისათვის ჯენეეთის კარი დაიკეტება. მუჰამედი შემოგვწყობა, ყველანი ჯოჯოხეთში ვიწყებთ სვლას. მერე იცით, რა იქნება იქ, რა საშინელება, პირიდან გველები ჩაგვიძვრებიან და ჩვენი წელებიდან ამოყოფენ თავს და ცეცხლს წამოისვრიან პირიდან. ჩვენც სატნჯველს მივეცემით, იქ ჩვენთვის ცეცხლის, გველების და ასეთ მავნე მხეცების მეტი სხვა იქ არაფერია, ჩვენს სამუდამო ტანჯვას ჩვენვე დაუწყებთ მზერას, იქ ჩვენთვის არსაიდან რა შველა იქმნება, სულ დავიტანჯებით სულით, ხორცით, ყველაფრით, გველები ხან შეგვჭამენ და ხან ცოცხლებს გადმოგვყრიან პირიდან, რომ ვიტანჯოთ და ვიკვნესოთ. ხან ანთებულს კუპრის ცეცხლში ჩაგვყრიან, მაგრამ არც იქ დავიწვით, იქაც წვისაგან დავიტანჯებით.

მაშინ ჩვენთვის ერთი ბეწო წყალი დიდი ფული ეღირება, მაგრამ ამას ვინ მოგვცემს, არავინ. ხან კი შავი ზღვასებ წყალი მოვარდება და ცეცხლს გააქრობს, მაგრამ ჩვენც დავიღუპებით, იქ ზღვის ვეშაპები ჩაგვყლაპამენ, ეხლა იქ დავიტანჯებით იმათ გვამში, მერე წყალიც გადავა, დაშრება ვეშაპები პირიდან გადმოგვყრიან, მერე კიდევ ცეცხლში ჩავარდებით და სამუდამოთ ასეთ ტანჯვაში ვიქნებით, რომ ყველა ესენი ავიციდინოთ. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი სხეულიც სიკვდილის შემდეგ წმინდა მიწაში იქმნეს დამარხული.

მერე, სად არის ასეთი წმინდა მიწა, მკითხავთ თქვენა? მე გეტყვით: იქ არის ასეთი მიწა, სადაც ჩვენი ფადიშახი ზის, იქ არის იქ. მერეთ ამისათვის რა არის საჭირო, რომ ჩვენი სხეულიც წმინდა მიწაში დაიმარხოს, მით წმიდა მაჰმადი არ გავარისხოთ და ჩვენც ავსცდეთ ჯოჯოხეთში ტანჯვას. ამიტომ ჩვენი კაცისათვის აქედგან მხოლოდ გარდასახლება არის საჭირო, თათრის მიწაში „მუჰაჯირათ“ წასვლა, თორემ სხვა ყოველივე მოხერხდება.

ოო! გადასახლება, გადასახლება! რა ძნელი გასაგონია, რა დიდი საქმეა, მაგრამ რა გაეწყობა. ვისაც სააქაო საიქიოს ურჩევნია, ვისაც სურს, რომ სააქაოს ცოდვები ეპატიოს და

საიქიოს ლხენა მიიღოს, იმისათვის ეს ძნელი არ იქნება. ვისაც ჯოჯოხეთში ტანჯვის ეშინიან, ის ამას არ შეუშინდება. ის ყველას მოახერხებს და მით სამუდამო ტანჯვასაც ასცდება. ვინც ამას ვერ მოახერხებს, ის ბლავცი უნდა იყოს, მტერი თავის სულისა და ხორცისა. ამისთანა კაცი ისევე აქ დარჩეს, აქ იყოს, აქ არის მისი ბინა და ბარემ ბოლოს გაგიაურდეს, გაქართველდეს, კერპებს, უსჯულოებს და უღმერთოებს მიემატოს. ჩვენ მუჰამედს და ფადიშახს ასეთი მხდალები არა სჭირიათ. მაგრამ ვაი მათი ბრალი, ბოლოს ინანებენ, როცა ჯოჯოხეთში სამუდამო ტანჯვას მიეცემიან.

მაგრამ იცით რას გეტყვით, ვისაც ეს არ უნდა, ვისაც ტანჯვის ეშინიან, იმან აი რა უნდა ქმნას: ვიდრე გადასახლებას იფიქრებს, მინამ მან ჯერეთ ეს მხარე უნდა ამიღოს გულიდამ, ამოირიცხოს, დაივიწყოს და მერე გაბედოს გადასახლება, თუ არა აქიდამ რომ წავიდეს და იქ შენანება დაიწყოს, თუ რათ წამოველო, ასეთი კაცი ისევე აქ დაშთეს, აქ არის მისი ადგილი. იქ რაც უნდა გაჭირება ნახოს, უსახლობა, უპურობა, უფულობა და ქალ-ბაღანაც მოუშვიდეს, გინდ სულ მხოლოდ მუსულმანებზედ დაეყიდოს, მაინც იგი შენანებაში არ უნდა შევიდეს და აქაური არაფერი არც უნდა გაიხსენოს, არც ბალი-ბოსტანი, არც ცივი წყალი, სახლ-კარი, არც ავი და არც კარგი.

ერთის სიტყვით არაფერი არ უნდა მოიგონოს, სიტყვით თუ საქმით ეს მხარე სრულიად უნდა დაივიწყოს, ამოირეცხოს გულიდამ ისე, რომ ვითომც ამ მხარეს შავი ზღვა სცემია და მით დიდ ზღვათ ქცეულა, წაულეკია ყოველივე და მოსპობილა. რაკი ერთხელ დაიდრა კაცი და წავიდა, ის აქაურობას უნდა მოესხლიტოს, მოშორდეს და აქ მოსვლის აღარაფერი უნდა იფიქროს, იქ იყოს, იქ მოკვდეს და წმინდა მიწაში დაიმარხოს და მით სამუდამოთ ასცდეს ჯოჯოხეთში ტანჯვას. აბა ვისაც კი შეგიძლიანთ სულისა და ხორცის შველა, საიქიოს სამუდამო სიცოცხლე და ცხონება, ადექით, მოშორდით აქაურობას, წადით იქით, სადაც ჩვენი სჯულის მზენი და მთვარე ამოდის, სადაც წმინდა მიწა არის, სადაც ჩვენი ფადიშახი ზის, სადაც მუსულმანის ხმა ისმის, იქ არის მხოლოდ მუსულმანის ბინა, იქ არის მისი საუკუნო სახლ-კარი, ადგილი, სამარხი და ცხონება, ჯენეთში წასვლა. აბა თქვენ იცით, მართლ მორწმუნენო, თუ მრავლად წახვალთ გაიურების ქვეყნიდამ, მოშორდით მათს ყველაფერს, ავსაცა და კარგსაც. გაფრთხილებთ და წინათვე გაუწყებთ საქმის გარემოებას. ახლა თქვენ იცით წასვლის საქმე და სულის ცხონებისათვის ზრუნვაც.

ამ ქადაგებას მოლები და ხოჯები წარმოსთქვამდნენ ცხარეს მჭერ-მეტყველურის კილოთი და ხალხს ისე იმონებდნენ,

რომ სმენელნი გულში ხელს იცემდნენ და გმინავდნენ თავიანთ ბედზედ, რომ ეს მუსულმანის წმინდა ქვეყანა ამ გაიურებს რად ჩაუვარდა ხელშიო. ყველა მსმენელი მზათ იყო, რომ ჯამედამ გასულიყო, მაშინათვე შესდგომოდა გადასახლების საქმეს და მით ეცხოვებინა თავის სული საიქიოს საუკუნოდ.

გარდასახლების, ანუ „მუჰაჯირად“ წასვლის წახალისებისათვის ამ ქადაგებას გარდა სხვა ქადაგებანიც აქვდათ მოლებს და ხოჯებს, რომელთაც იგინი ყოველ პარასკევ დღეს წარმოსთქვამდნენ ჯამეში. ყველა ასეთ ქადაგების მეოხებით ზემო ხსენებულ მქადაგებლებმა თავიანთ საწადელსაც მიაღწიეს და ქართველთ მაჰმადიანთ უმრავლესობა თავიანთ ცხოვრებლად მოშალეს და ოსმალში გადასახლეს, სულ აქეთ იქით დააპნიეს. უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგი ერთ ალაგას, ქართველ მაჰმადიანებში იყვნენ ისეთნიც, რომელნიც ხალხის ყოველ მაჰმადიანებში იყვნენ ისეთნიც, (რომელნიც, ხალხის „მუჰაჯირად“ წასვლის წინააღმდეგნი გახლდნენ, ხალხს დაწყნარებას უქადაგებდნენ, ბინიდან არ მოშლას, არსად გადასახლებას. ასეთი იყო სხვათა შორის აჭარის მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი, იგივე სურმანიძე, სოფ. მერისელი.

ერთ დღეს მთელს ზედა და ქვედა აჭარაში ხალხი შეიკრიბა ერთად. ყველა იმას ყვიროდა, რომ ჩვენი აქ დარჩენა არ შეიძლება, ჩვენ უსათუოდ მუჰაჯირად უნდა წავიდეთო. ესენი ამბობდნენ.:

რუსნი მოვლენ და ჩვენ ყველას გაგვაგიაურებენ.

მეორენი იტყოდნენ:

რუსნი მოვლენ და ჩვენ სულ გაგვაქართველებენ. გაიური გავხდებით, გვეტყვიან გურულებ რათ ლაპარაკობთო?

მესამენი იტყვიან: .

რუსნი მოვლენ ჩვენ დავილუპებით, სულ გავქართველებით, ჩვენ ქალ-ბაღანას მოგვტაცებენ, ოჯახში შემოვლენ და წაგვიღწამენ, იგინი კერპები არიან, იმიტომ ჩვენი მოშლა სჯობიან აქედამ და „მუჰაჯირად“ წასვლა. სხვანი კიდევ სხვას ლაპარაკობდნენ რუსთა შესახებ. ყველა შიშს ამბობდა, ხორციელად და სულიერად დაკარგვას. მაშინ ყველა გარდამეტებული ფანატიკი იყო. ამ ფანატიკობას და მტრობას მათში ის გარემოებაც უფრო აფართოვებდა, რადგანაც რუსებმა არტაანი აიღეს და ქართველ მაჰმადიანებსაც ზოგი ერთ სულის კაცებმა აუწყეს, რომ ჩვენი საქმე წასული არის, ჩვენ ქვეყნებს რუსნი უსათუოდ აიღებენ, ჩვენც სულ დავილუპებით. ზოგნი იმედებს ამბობდნენ, რომ რუსნი ამ ქვეყანას აიღებენო. ბევრის ლაპარაკის შემდეგ ამათ დაასკვნეს ასე: ჩვენი მუფთი გონიერი კაცი არის, წავიდეთ ქედაში და ვკითხოთ მას ამის შესახებ და ვნახოთ, ის რას გხვირჩევს, რას

გვეტყვის „მუჰაჯირად“ წასვლაზედ.

ესენი მალე გაემართნენ ქედისკენ და 4000 ათას კაცზედ მეტი გაჩერდნენ ქედის ჯამეს წინ. აქ მალე გაჩნდა მუფთი ახმედ ეფენდი. ამას ხალხმა გადასახლების შესახებ კითხვები მისცა. ხალხის გადასახლების მიზეზების საფუძველად ზემო მოყვანილ ქადაგებაში გატარებულ ზოგი რამ ცნობები მოჰყვანდათ. ახმედ ეფენდომ იცოდა კარგად, რომ ეს ხალხი წაქეზებული იყვნენ სხვათაგან. ამან მალე მიმართა ხალხს, დააწყნარა მათი მდულარება და გარდასახლების შესახებ თავისებურის ენით უთხრა შემდეგი სიტყვა, რომელიც ჩემს მგზავრობის დროს აჭარაში ბევრს ახსოვდა. ეს უეჭველია დღესაც ეს-სომეხათ მათში ბევრს.

სიტყვა მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილის.

მართლ მორწმუნე მუსულმანებო! თქვენ მეკითხებით, რომ რა ვქნათ ჩვენაო! მუჰაჯირად წასვლა გვინდა, აქ არ დავრჩებით, რადგანაც რუსნი გიაურები არიან, აქ მოვლენ, ჩვენ გაგვაქრისტიანებენ, ქალებს წაგვიბილწავენ, ბალებს მოგვტაცებენ, ბოლოს სულ დავიღუპებით, იგინი სულ ა კერპები არიან, უღმერთონი და უსჯულონიო? ყველა ეს თქვენ გაშინებთ დიდათ, ამიტომ მე გეტყვით თქვენი კითხვების პასუხებს: რუსნი უსჯულონი არ არიან, არც კერპები, მათ ღმერთი სწამთ, მათი კერპობის გამო ჩვენ წიგნებში არსად არაფერი სწერია. თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ უნდა მუჰაჯირად წავიდეთო. მერე, სად უნდა წახვიდეთ? ვისთვის და რისთვის? რა გაშინებთ თქვენა, რად სწუხართ, ჯერ ხომ რუსნი არ მოსულან, მოიცადეთ, მოვიდნენ იგინი. თუ მართლა აგვიღებენ და დაგვიჭერენ ჩვენა, ყველა ამას რასაც თქვენ ამბობთ, მაშინ გავიცნავთ, თუ მართლა რუსნი ისე გვიზამენ, გაგვაგიაურებენ, ბალებს დაგვტაცვენ, ქალებს წაპილწვენ. მაშინ თვით ეს მოხუცი გამოვალ თქვენს წინაშე, ავიღებ ხელში ხმალსა და დამბაჩას, გაგიძღვებით წინ და შევებრძოლოდ. ბრძოლაში ვინც მოკვდება, ის ხომ მორჩება, მოისვენებს და ვინც დარჩება, იმას კიდევ როგორც ერჩიოს, ისე მოიქცეს, უნდა აქ დარჩეს რუსების ხელში და უნდა ოსმალში წავიდეს მუჰაჯირად.

„მუჰაჯირად“ წასვლა არ არის ადვილი საქმე. იგი ძნელი რამ არის. ჩვენ წიგნებში ამაზედ აი რა სწერია: მუჰაჯირად წასულმა კაცმა გზაში თავის ცოლი და ქალები ისე უნდა წაიყვანოს, რომ მათ პირბადე არ მოვხადოთ და სახე არავინ დაუნახოსო, თორემ იგი ცოდვა არის სჯულისაო.

„მუჰაჯირად“ წასულმა კაცმა ყმაწვილები ანუ პატარა შვილები გზაში ისე უნდა ამყოფოს, რომ მათ პური არ მოე-

მშეთ და ტანთსაცმელი და წულები არ მოაკლდესთ, თორემ იგი დიდი ცოდვა იქნება.

„მუჰაჯირად“ წასულმა კაცმა უსათუოდ ხუთი ვახტის ლოცვა უნდა შეასრულოს, თორემ უამისოდ დიდი ცოდვა იქნება. ამით სჯულის საქმეც წახდება მუსულმანი კაცისათვის.

„მუჰაჯირად“ წასვლისთვის აი რა უნდა იცოდეთ თქვენა:

თქვენ აქ თქვენს მამა პაპის სახლ-კარზედ სცხოვრობთ, სადაც თქვენ გაქვსთ თქვენი საკუთარი ბალი-ბოსტანი, ყანები და ყოველივე საზრდოება, გაქვსთ სახლის ქონება და ზოგს შეძლება, მაგრამ უმეტესობა კი ჩვენში ფუხარათ არის და-რჩენილი, ღარიბათ. ცხოვრებთ ისე, რომ იოლად მიდიხართ და ცოლშვილსაც არჩენთ დიდის შრომით.

„მუჰაჯირად“ რომ გინდათ წასვლა და უნდა მოიშალოთ აქ თქვენის ძველების საცხოვრებლიდამა, მის მერე თქვენ იცით, რა მოჰყვება თქვენს ცხოვრებას ოსმალეთში? აქ სადაც შეძლება და მამა პაპისაგან დატოვებული მამულები გაქვსთ, აქ ამ საკუთრების დროსაც ვერ ცხოვრებთ კარგად, რიგიანად და ოსმალში შორს, უცხო ალაგას, სადაც თქვენ არც სახლ-კარი დაგხვდებათ მზათ, არც ბალი, ბოსტანი, არც სხვა რამ ის შეძლება, რაც აქ გაქვსთ, აბა იქ თქვენ როგორ იცხოვრებთ? თქვენი ცხოვრება იქ არაფრად არ ეღირება. თქვენ ამით უფრო ცოდვებს ჩაიდენ სჯულის წინაშე, ვინემც სიკეთეს. ამიტომ მე გირჩევთ, რომ ამ სამზიდის თავი დაანებოთ და თქვენს სახლებში, ცოლშვილში დაბრუნდეთ. თქვენ მე მიყურეთ და ჩემს სიტყვას, სხვების დარიგება თქვენ არ გინდათ.

თქვენ ამბობთ, რომ მუსულმანი კაცი მარტოდ იქ ცხოვდება, სადაც მისი სჯულის ფადიშახი ზისო, იქ არის მისი ბინა და სამარხიო. ესეც არ არის სწორი. მიწა ყველგან მიწა არის, იგი არც მუსულმანისი არის, არც გიაურის, იგი ღმერთისა არის. მისი პატრონი ღმერთია. ჩვენ არც ფადიშახი გვაცხონებს და არც იქაური მიწა. მუსულმანი ცხონდება მხოლოდ თავის კეთილის, კარგის საქმით, კეთილის რჩევით. მუსულმანი თუ ავი კაცი არის, იმას არავინ აცხონებს, გინდ იგი მექას და მედინას წავიდეს. ამიტომ მე გირჩევთ, რომ ასეთ ფიქრებს თავი დაანებოთ. თუ მუსულმანი წმინდა არის და კაი კაცი, იგი ყველგან ცხონდება. თუ მუსულმანი წმინდა მუსულმანი არის, ის უსათუოდ რუსის მიწაზედაც ცხონდება, ამას ფიქრი და შიში არ უნდა. კარგ მუსულმან კაცს ცხონებას ვერავინ წაართმევს, ვერც რუსი და ვერც სხვა ვინმე. ამიტომ გირჩევთ, რომ თქვენ გადასახლებას თავი დაანებოთ და თქვენს სახლებში დაბრუნდეთ ცოლშვილთან“.

ასეთის ქადაგებით ახმედ ეფენდიმ ამოდოლა მოზღვავე-

ბული ხალხი სწრაფად დაამშვიდა და მის მერე ყველა დამშვიდებული წავიდა თავის სახლში და „მუჰაჯირად“ აღარავინ გასულა. ხოლო ეს დაწყნარება იყო დროებითი და როცა რუსებმა არზრუმის გაცვლა მოინდომეს და ამის სამაგიეროდ ოსმალთა მათ ბათუმს, ართვინს და სხვა კუთხეებს აძლევდა, მაშინ კი ხელ-ახლავ აიშალნენ. აქ მათ მქადაგებლებმაც დაუწყეს ქადაგება და აჭარის რუსის საქართველოსთან დაკავშირების შემდეგ მრავლად დაიწყეს აშლა და გადასახლება. ახმედ ეფენდი არც მერე აკლებდა თავის ქადაგებას მათ.

ქართველ მაჰმადიანთ ის პირნი, რომელთაც არ სურდათ, რომ მათ სამშობლო საქართველო დაეკარგად.

ახალციხის აღების შემდეგ ჩვენ კარგად ვიცით, რომ რაკი ახმედ ფაშა არზრუმში გადაიყვანეს, ამიტომ მას დიდი ძალი ქართველ მაჰმადიანები გადაჰყენენ თან და არზრუმის თემში დასახლდნენ. მაშინ თურმე ამ გადასახლებულებს წინააღმდეგი ყოფილა ქორ უსეინ ბეგი ხიმშიაშვილი. ქორ უსეინ ბეგს ოსმალთა მთავრობის ჯავრიც სჭირებია, რადგანაც მათი სახლი მრავალ გზის აოხრებულა. თვით მის მამასაც ხომ თავი მოსჭრეს 1815 წ. ახმედ ფაშის სიკვდილის შემდეგ ქორ უსეინ ბეგს სურდა ფაშობა, მაგრამ ოსმალნი ამათ გვარის კაცებს ფაშობას ადვილათ აღარ აძლევდნენ. ისიც ძნელი შემთხვევა იყო, რომ ახმედს მისცეს ფაშობა.

ქორ უსეინ ბეგი. დიდი წინააღმდეგ იყო ოსმალთა მთავრობის. ნამეტურ სწყინდა ის გარემოებაც, რომ ქართველ მაჰმადიანთ გადასახლება ხშირად და ადვილად სწარმოებდა. რაკი ქორ უსეინ ბეგს ოსმალთა მთავრობა ეჭვით უმზერდა, ამიტომ მას უპირატესობას არ აძლევდნენ და ამას გარდა სდევნიდნენ კიდევ. ესეც რასაკვირველია სამაგიეროს უხდოდა. აჭარელები რომ „ნიზამის“ წინააღმდეგ წავიდნენ, ამის მეთაურობაც მის საქმე იყო. რაც შეეხება ქართველ მაჰმადიანთ გადასახლებას, ესეც იშვიათი იყო, რადგანაც ქორ უსეინ ბეგის ეშინოდათ და აბა გადასახლებას ვინ გაბედავდა, რომელი მოლა და ხოჯა იტყოდა ადვილად რამეს. ამას გარდა ქორ უსეინ ბეგი ოსმალთა მთავრობის უწყობასაც მკაცრად ეწინააღმდეგებოდა. მათი წესების გავრცელების ნებას თითქმის ამხოვდა.

ეს დასმენილ იქმნა სულთანის წინაშე, რომ სელიმ ფაშის ძე ქორ უსეინ ბეგი თქვენი მტერია, გურჯების გამოსახლებას აჩერებს, აქეთ არ უშვებს, ამას გარდა თქვენი მოშორებაც უნდაო. რუსებს და ქართველებს ემხრობაო. ოსმალთა მთავრობა ამაზედ გაჯავრდა. ამათ მალე ზომები მიიღეს და ქორ უსეინს აჭარაში მიუსიეს ერთი ხელ-ღონიერი

და ძლიერი ვიღაც ჭყონია, ახლად გათათრებული. ამას თან გააყოლეს მრავლად გამოჩენილი ხელ ღონიერი გმირები, მაგრამ ამათ ვერაფერი გააწყეს. ქორ უსეინ ბეგმა იგინი სწრაფად გასდევნა ქედიდამ. ამის მერე მთავრობამ აჭარაში მას მიუსია რვა ათასი ჯარის კაცი და მის მერე – კი იგი ძლეულ იქმნა თავისთანა მომხრეებით. შემდგომ ამის ქორ უსეინ ბეგი სტამბოლში იქმნა გაგზავნილი. იქ ამას თავი მოსჭრეს და მით იყარეს ჯავრი. ასეთ დროსაც კი ქორ უსეინ ბეგ ქართველ მაჰმადიანებს სულ იმას ეუბნებოდა, რომ თქვენ გურჯები ხართ და თქვენი ქვეყნიდამ ფეხს ნუ იცვლით, ოსმალოში ნუ სახლდებითო.

ქართველ მაჰმადიანებში ყოველთვის ყოფილან თითო ოროლა ასეთ პირნი, მაგრამ სამწუხაროდ მათ შესახებ სულ არაფერი ცნობები გვაქვს. ქორ უსეინ ბეგის გამო ოსმალოს მთავრობა ისე გაბრაზდა, რომ ხიმშიაშვილებს ძრიელ სასტიკად დაუწყო მზერა, ამათ გვარის კაცებს ძალიან მტრობით უმზერდნენ. ქორ უსეინ ბეგს რომ ქართველ მაჰმადიანთ გადასახლება ჭირივით სძულდა, ეს დღესაც ბევრს ახსოვს მათში. ასეთისავე თვისების იყო მისი ძმის შვილი შერიფ ბეგი, რომელიც ცხადი მოწამეა ბიძასშვილის თვისების.

შერიფ ბეგი ხიმშიაშვილი. კაცი კარგად ცნობილი.

ამის მამა ახმედ ფაშა იყო და პაპა სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი. შერიფ ბეგი დიდათ სცდილობდა, რომ სამცხე-საათაბაგო რუსეთის იმპერიას უომრად ჩაბარებოდა. დაკავშირების შემდეგ ეს დიდათ სცდილობდა, რომ ქართველ მაჰმადიანები ოსმალში არ გადასულიყვნენ. ეს მათ აშკარად ეტყოდა ასე: ნუ ილუპავთ თავს, ნუ ღუპამთ ცოლშვილს, თორემ ბოლოს ინანებთ. ეტყოდა ხოლმე, ბიჭო, სად მიხვალთ, სად ემგზავრებით, დაჰკარგავთ ყველაფერს, აქაც მოიშლებით და ვერც იქ იშოვით რამეს. რუსებს თქვენს გარდა სხვანიც ჰყავს თათრებით ყმათ, მაგრამ მათ არავინ აქრისტიანებს. ამიტომ გირჩევთ აქ დარჩენას. ამ კილოთი არიგებდა ეს ბეგი მათ. ამის დარიგებას დიდი ისტორია აქვს, ამიტომაც მოვათავსეთ აქ ამის სურათი. ღირსი კი არის, რომ ამის დარიგება გადასახლების შესახებ სულ აინუსხოს.

ტუპამ ბეგ შარუაშიძე. აჭარის ბეგი. მერე ამავე ნაწილის უფროსი. დიდი ერთგული თავის ქვეყნის, მომხრე ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრების და თითქმის მისთვის მებრძოლიც, რომ ქართველ მაჰმადიანები ოსმალში სულ არ წასულიყვნენ. ამ პირის ასეთ ცდას კაი ისტორია აქვს, უადგილობის გამო ვერ ვნუსხავთ დაწვრილებით. მე თვით მეცხოვრია ამ პირთან და მინახვს, თუ ეს როგორ არიგებდა მუჰაჯირად წამსვლელთ, რომ იგინი ოსმალში არ წასულიყვნენ 1891-92 წლებს, ამასთან ცხოვრების დროს, მე ვნახე ასეთი მაგალი

თები.

ოსმალოდამ ერთი აჭარელი მოვიდა და ამ ბეგს უკან დაბრუნებას და მიღებას სთხოვდა. ბეგმა უთხრა: მე ხომ გეუბნებოდი, რომ ნუ მიხვალ, თორემ ისევ უკან მობრუნდები. ეხლა მე რა გიყო. ხომ ხედავდი, რომ სახლ-კარი და სოფელი თან არ მოგდევდა. შენ რაღას მიზნობდი? და სხვანი. ბეგმა მიაშბო, რომ აყრის და გადასახლების დროს მე 2000 3000 კაცის შენახვა მიხდებოდა, მუდამ დღე მათ აჭარაში ფქვილს ურიგებდი მუქთათ და ასე ვაწყნარებდით. ეს ბეგი დიდი მოყვარეა „ვეფხის ტყაოსნის“ კითხვის.

ახმედ ეფენდი ხალვაში. კაცი მახვილ-გონიერი, მარადიდის უფროსი. დიდათ მომდურავი ოსმალეთის მთავრობის მასზედ, რომ მათ საქართველო გაანადგურეს და ქართველი ერიც მოსპესო. იყო დიდათ მაწყევარი საქართველოს დაცემის. იყო დიდი მოსარჩლე ქართველ მაჰმადიანების და დიდათ მონატრე მისი, რომ ესენი თავიანთ ქვეყნიდამ არ აყრილიყვნენ და ოსმალში არ წასულიყვნენ. ეს პირი სასტიკად ებრძოდა იმ პირთ, ვინც გადასახლებისათვის ქართველ მაჰმადიანებს აქეზებდნენ. გადასახლების წინააღმდეგ ამის შრომა ბრწყინვალე არის იმ დროსაც, როცა იგი მარადიდის უფროსად იყო. სამზღვარ გარეთელ მოღებები და ხოჯები სულ გარეკა და ვინც შინ იყვნენ, იმათაც აუკრძალა, რომ გადასახლებაზედ არ იქადაგოთ, თორემ მე სასტიკად დაგსჯითო. ამის შრომის ისტორია „ლივანის აღწერაში“ ვრცლად მაქვს, ამიტომ აქ ეს ვიკმაროდ. ის კი უნდა ითქვას, რომ ამ პირს ნივთიერთათაც ბევრი აქვს დახარჯული ქართველ მაჰმადიანთ წინაშე. ქართული კითხვაც იცოდა.

გულო ალა კაიკაციშვილი. იგივე ქათამაძე. კაცი გონიერი, ქართული წერა-კითხვის კარგად მცოდნე. შეერთებამდის ქობულეთიდან ეს ქართულ გაზეთებში წერილებსაც სწერდა. ოსმალს, მთავრობის დროს იყო ალი ფაშის ადიუტანტი. ამის მოღვაწეობას აქვს დიდი ისტორია. იყო დიდი მოღვაწე-მშრომელი მისთვის, რომ ქარველ მაჰმადიანები არ აყრილიყვნენ, ოსმალში არ გადასახლებულიყვნენ. ეს პატივცემული პირი ბევრს ქადაგებდა, რომ ნუ იყრებით და ოსმალში ნუ მიხვალთ, თავს ნუ იღუპავთო.

დედი ალა ნიქარაძე. მეგობარი გულ ალასი და თითქმის განუყრელი ძმა მისი. ოსმალს დროსაც მსახურებდა, მერე რუსის სამსახურში იყო. იყო გონიერი კაცი, დიდი მოყვარე თავის სამშობლო ქვეყნის და ენის. დიდათ სცდილობდა, რომ ქართველ მაჰმადიანები ოსმალში არ წასულიყვნენ. ამისათვის იგი ბევრნაირ ზომებს ხმარობდა. 1892 წ. აჭარაში ამოვიდა ქედაში, ზავთიებს ჯამაგირი ამოუტანა ბათუმის გამგეობიდან. მე მას კარგად ვიცნობდი. ქედაში ერთ ალაგას შევხვდით

ერთმანერთს. აქ იყო სხათა შორის ერთი ქართველ მაჰმადიანი, ქედის სამართველოს სახლის პატრონი და მეორეც სხვა ქართველ მაჰმადიანი. ორივე მუჰაჯირად წასვლას ემზადებოდნენ. ესენი დედი ალამ სასტიკის სიტყვებით გაჰკიცხა. სხვათა შორის უთხრა: – „თქვე უბედურებო, თქვენა, სად მიხვალთ, სადა, თქვენი თავი ყაზანის თათრები ხომ არ გონიად. დაილუპავთ თავს, წახვალთ და მერე მომიგონებთ მე“. მერე მე მითხრა ჩემად: ჩემო ზაქარია! გული მიწუხდება, როცა ასეთ ვირებს ვხედავო. ასე და ამ გვარად დედი ალასაც დიდი შრომა აქვს დადებული მასზედ, რომ რაც შეიძლება ქართველ მაჰმადიანები ოსმალში ცოტა გადასახლებულიყვნენ. მითხრა ოხვრით: – ჩემი და გულო ალას ცდა იყო, რომ ჩვენის ქვეყნიდან ოსმალში არავინ წასულიყო, მაგრამ არ იქმნა, ამას ჩვენ ვერა შველეთ რა. ღმერთმა ჰკითხოს იმათ, ვინც ესენი გააბრიყვესო.

აბდილ ეფენდი მიქელაძე. აჭარის სოფელ ორცველი. ოსმალის მთავრობის დროს ფერშლად იყო, რუსების ხელში ქათიბი იყო (სოფლის მწერალი) 1878 წ. ქართულ გაზეთის კითხვაც ისწავლა. მერე „დროებას“ კითხულობდა, შემდეგ აჭარიდამ წერილებსაც სწერდა „დროება“ და „ივერია“-ში ამ კაცსაც დიდი შრომა მიუძღვის 1893 წ.. მწუხარებით მითხრა შემდეგი: – „მუჰაჯირის წასვლას მე დიდის დარდით უყურებ, ამაზე მათთან ხშირად მილაპარაკვია, მტერი ბევრი იყო, აბრიყვებდნენ, ჩვენი არაფერი ესმოდათ“ და სხვანი.

ჰასან ციციშვილი. იყო რუსის დაბალი მოხელე. იყო გონიერი კაცი, ქართული კითხვა ისე შეისწავლა, რომ აჭარიდამ გაზ. „ივერიაში“-ში წერილების წერაც დაიწყო. თუმცა ამის დროს, გადასახლება მრავლად აღარ სწარმოებდა, მაგრამ იგი მაინც მხურვალედ ებრძოდა ამ გარემოებას, რომ ოსმალში აღარავინ წასულიყო ქართველ მაჰმადიანი. ეს თავის თავს ქართველ მაჰმადიანს უწოდებდა ყოველთვის.

ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი-სურმანიძე. ცნობილი მუფთი. მახვილ-გონიერი. მერისის ხეობის სოფ. მერისელი. იყო დიდათ მომხრე ქართველ მაჰმადიანების, დიდათ მეცადინე, რომ რაც შეიძლება აჭარელები არ აყრილიყვნენ და სულ არ გადასახლებულიყვნენ ოსმალში. იხილეთ ზემოთ ამის შესახებ საჯარო სიტყვა.

ხოჯა ჰაჯი ლომან ეფენდი ბერიძე. გამოჩენილი მოხუცი, კარგად მცოდნე ისლამის. წმინდა მუსულმანი, მასთანვე თავის თავს გურჯათ-ქართველად სთვლიდა. იმავ თავი-დგანვე ეს პირი ყველა ქართველ მაჰმადიანს აფრთხილებდა, რომ ოსმალში ნუ წახვალთ, თორემ თავს დაილუპავთ, საქართველოსთანა ადგილებს თქვენ იქ ვერ იპოვნით, მე დამივლია იქ და ამას იმიტომ გაუწყებთო. გარდიცვალა 1891 წ.

ნური ეფენდი ბერიძე. ჭკვიანი, მახვილ გონიერი ხოჯა არის და მასთან ყადიც დაბა ხულის მეჯლისის. ამასაც თავის წინაპარავით დიდი როლი მიუძღვის გადასახლების წინაშე. ზეგნის სოფლებიდან რომ თითო ოროლა კომლი მიდიოდნენ, ეს სულ ამ ხოჯის და ასეთების საქმე იყო. ამის აღწერას ნახავთ ზეგნის აღწერაში“.

ჰასან ეფენდი მუფთი გვერდამე. ახმედ ეფენდი მუფთის შემდეგ ეს იყო ბათუმის და აჭარის მუფთი. იმავ თავიდანვე ეს ჰასან ეფენდი იყო მკაცრად ქომაგი მის, რომ ქართველ მაჰმადიანები ოსმალში არ წასულიყვნენ. იყო ქართულად მოლაპარაკე, თავის თავს ქართველად აღიარებდა. ბათუმში დიდი მამულებიც აქვდა, იყო ღარიბთა მოწყალე. დიდი შრომა აქვს ამას დადებული გადასახლებულების წინააღმდეგ. იგი მოკლულ იქმნა ვერაგულად 1907 წ.

ოსკარ ხოჯა არდანუჩი. 1893 წელს, აჭარაში ხმა გავარდა, რომ არდანუჩი ოსმალადამ ერთი ხოჯა მოსულა და ჯამეში ქადაგება დაუწყებია, რომ ქართველ მუსულმანები ოსმალში ნუ მიდიხართ, თორემ იქ თავს დაიღუპავთო. თქვენი ქვეყანა ეს არის და ამიტომ ნუ ჰკარგავთ თქვენი ძველების მეზელებებს (საფლავი) სახლ-კარს და ბაღ-ბოსტანსო. ამ კილოთი იგი ხშირად ქადაგებდა თურმე. სამწუხაროდ ამ ხოჯის ამბები კარგად ვერ შევიტყე.

სოფ. ჭვანის ჰასან ხოჯა. ამ ხოჯას სოფ. ჭვანში სკოლა აქვდა, თვითონ ქართული კითხვაც იცოდა. ბავშვებსაც ასწავლიდა ამას. იყო დაუცხრომლად მოქადაგე, რომ ზედა აჭარელნი მუჰაჯირად არ წასულიყვნენ. ამის სასარგებლოდ სხვანიც შრომობდნენ თითო ოროლა.

ქართველ მაჰმადიანთ ხოჯები, რომლებიც ჰქადაგებდნენ გადასახლებას.

ასეთ ხოჯების და მოლების მეტად დიდი რიცხვი იყო. ჩვენ ყველას არ მოვიხსენებთ, რადგანაც მათი ანუსხვა შეუძლებელი არის. მოვიყვანთ მხოლოდ სამის ასეთის ხოჯის ცნობებს. ესევე ცნობები განმარტავს დანარჩენ ხოჯების და მოლების მეცადინეობის პირობებს. ერთი ხოჯის და მოლის ქადაგება თავისის შინაარსით ასი და ორასი ხოჯის ქადაგების შინაარს იპყრობს. აქ ერთი და ათი ხოჯა და მოლა ვერ გადასახლებდა 80 ათას, ანუ 200 ათას და მეტსაც.

დელი მამად ეფენდი. აჭარის სოფელ კაპნის თაველი. ეს იყო ხოჯათ ბათუმის ძველ ჯამზედ. არის მეტის მეტი ფანატიკი. ქართველ მაჰმადიანი არის, მაგრამ ქართველების სისხლს სომს. მთელი თავისი დღენი სულ ბოროტ ლაპარაკსა და ქართველების მტრობაში ატარებს. ამან აშალა დიდი

ძალი ქართველობა და დაღუპა თავის სამშობლოდამ. ამის მტრობამ საქმე იქამდის მიიყვანა, რომ თვით რუსეთის მთავრობამაც შეუტყო, მალე დააპატიმრეს, თფილისშიც ჩამოიყვანეს. მერე აპატიეს, იგი ისევ თავის ჯამზედ იქმნა დადგენილი და პირობა ჩამოართვეს, რომ დღეის შემდეგ შენ აღარა ილაპარაკორაო. მაგრამ ეს მაინც თავის გველობას არ იშლის. 1891 წ. აჭარაში მეღნით სავსე შუშა მესროლა თავში და დამიყვირა, რომ შე გიაურო, აქ ჩვენში ნუ მოდიხარ და თქვენი ქალაღდები ნუ მოგაქვსო. ეს ხოჯა ცოტა აფრაკათაც არის, ოსმალურად „ღელის“ მიტომ უწოდებენ. ქართველ მაჰმადიანებს კი დიდი ვნება მოუტანა.

ხოჯა იბრაიმ ეფენდი. აჭარის სოფ. კაპნის თაველი, ძმა ღელი მაჰმადისა. სტამბოღში ნამყოფი და ნასწავლი. მასთან დიდი ფანატიკი, წრეს გადასული. ამისი გულიც თავის ძმასავებ ქართველთა მტრობით და ღვარძლით არის სავსე. მას ქართველი ერი და საქართველო ისე სძულს, როგორც ჭირი, თუმცა მათ სოფელში ყველა სოფელღნი სულ ქართულად ლაპარაკობენ. ეს ხოჯა ისეთი ნასწავლი არის, რომ ერთ დროს აჭარაში მეც შემება და მიმტკიცებდა, რომ თამარ მეფე თათრის ქალი იყო და არა ქართველიო. ეს პირი დღე და ღამ ქართვეღების მტრობაში ატარებს. ყვეღგან ქართვეღების ამოჟღეტას ლაპარაკობს, ან მთღათ ოსმალში გადასახღებას. მან ბევრი ქართველ მაჰმადიანი გააბრიყვა და გადაასახღა ოსმალში. მისი ქაღაღების წანაღღმღეღი თვით მათშივე იყვენენ. ასეთი იყო აჭარის მუფთი ჰასან ეფენდი გვერდამე. ამიტომ იგი ვერას აწყობდა, თორემ მას შაეღლო ერთი ხღლის დაქნეღით მთელი აჭარა აეყარა.

რაც არის იბრაიმ ეფენდი და მისი ძმა ღელი მაჰმად ეფენდი, ისეთეღბივე არიან სხვანიც მრავაღნი, როგორც ხოჯეღბი, ისევე მოღღეღბი, როგორც ხნიერნი ისვე ახაღღგაზრღღეღბი. ყვეღღას დევიზი ის არის, რომ იქაღღაღონ ქართველ მაჰმადიანთ აყრა, ოსმალში გადასახღება და მით სუღღის ცხონება. მათ ამისთვის კარგად იღვაწეს, მთელი კუთხის ერი აჰყარეს და დაღღუპეს. მათი შრომა და ცდა არის მათი ქვეყნის დაღღხობა და დაქვეღვა, ამათ ასეთის ამაღით მოიხსენენს.

გრიგოღ ღავითის ძე გურიელი. რუსეთის გენერაღი ერთ დროს ბათუღმის ოკრუღღის უფროსი, ძნეღად რომ ქართველ მაჰმადიანებს ასეთი მოსარჩღლე ჰყოღღდათ. ამის მოღღხოღებას დიდი ისტორია აქვს. ერთ დღეს ამ პირმა გაჭირეღულთ მაჰმადიანებს 10,000 მ. თავის საკუთარი ფული დაურიღა. ასევე არც სხვა დროს მოუკღღია მათთვის თვისი მფარვეღობა. ეს პირი მათ პატივისცემას ყვეღგან ხმა მაღღლა იცავდა. დიდი წინაღღმღეღი იყო მათი გადასახღღების.

მიხეიღ მეფისოღი. ახაღციხელი ქართველ კათოღიკე,

ერთ დროს იყო ართვინის ოკრუგის უფროსად. იყო მეტად გონიერი პირი, კარგად მცნობი ქართველ მაჰმადიანების და მშრომელი ყოველთვის თავ-დადებით, რომ ქართველ მაჰმადიანები ოსმალში არ გადასახლებულიყვნენ. მთელ ოსმალს საქართველოს ეს პირი ისე იცნობდა, როგორც თავის ხელის გულს.

პეტრე უმიკაშვილი გაზეთ „ივერია“-ში სწერა მრავლად ქართველ მაჰმადიანთ შესახებ.

ილია ალხაზიშვილი სწერდა მრავლად მესხელ-ჯავახელთ ქართველ მაჰმადიანთ შესახებ.

დურმიშან შალვას-ძე ჟურული. ერთ დროს ბათუმის უმფროსად ყოფილი. კაცი ერთგული თავის ქვეყნის, მარტივად მცნობი მთელ ქართველ მაჰმადიანების, მათი მოსიყვარულე და მფარველიც. ეს ქართველი კაციც დიდათ მფარველობდა ქართველ მაჰმადიანებს და ცდილობდა, რომ რაც შეიძლება ოსმალში სულ არავინ გადასახლებულიყოს.

სოლომონ ასლანოვი. ფსევდონიმით ბავრელი. კაცი გულ-შემატკივარი და დიდათ ამაგდარი ქართველ მაჰმადიანთა წინაშე. ეს პირი მათში მსახურებდა კარგა ხანს, იყო მათი ცხოვრების კარგი დარაჯი, სწერდა ხშირად წერილებს. მისი საინტერესო წერილებით სავსე არის 1878 წ. 1885 წლამდის ქართული ყველა დრო გამოცემანი. მისი წერილები ბრწყინავენ მაღალის მამულის შვილურის პატივისცემით. ვეცდები, ამის ყველა ნაწერები წიგნად გამოვცე.

ლევან ლუკას ძე მჭედლიშვილი. ლევანი გახლავთ მეორე დარაჯი ქართველ მაჰმადიანების და მასთან მარჯვენა მკლავი იმ დროის ქართულ გაზეთ „დროების“, სადაც ამის წერილებიც ხშირად იბეჭდებოდა ქართველ მაჰმადიანთ შესახებ, რათა იგინი საქართველოდამ არსად გადასახლებულიყვნენ.

სერგეი სვიმონის ძე მესხი. ქართველ მაჰმადიანთ შესახებ გაზეთ „დროება“ში სწერა წერილები მრავლად. ყოველ წერილში იგი მათ ინტერესებს იცავდა გულ მხურვალედ და სამაგალითოდ.

ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე. ქართველ მაჰმადიანების შესახებ ამისი ერთი დიდი წერილი დაიბეჭდა 1873 წ. ჟურ. „კრებულში“. წერილს ეწოდება „სხვათა შორის“. მთელი წიგნი ამ საინტერესო წერილს უკავია. ამას გარდა 1877 წ. ომის დროს ნიკოლოზ იაკობის ძე ომის ასპარეზედ იყო რუსეთის მხედრობის მახლობლად. აუარებელს წერილებს სწერდა რუსულ გაზეთებში. 1878 წლიდამ ტფილისში მას გამოჰყვანდა რუსული გაზეთი, სადაც იგი ქართველ მაჰმადიან გადასახლების საქმეს ხშირად ეხებოდა და ყოველთვის მაღალის გონიერებით იცავდა მათ გადასახლების საქმეს.

იაკობ სპირიდონის ძე ფანცხავა. ამ დროს ამ განა-

თლებულმა კაცმაც დაბეჭდა ფოთში თავის ნაწერების ერთი წიგნი. იქ სხვათა შორის მოათავსა ერთი წერილთ, რომელიც გულ მტკინვეულად ეხება ქართველ მაჰმადიანთა გადასახლების საქმეს ოსმალეთში.

ილია ჭავჭავაძე დიდათ გულ მტკინვეულობით იყო სავსე. ქართველ მაჰმადიანთ გადასახლებას მწუხარეს თვალით უმზერდა. დიდათ დაინტერესებული იყო ამათის ცხოვრების კითხვებით. ერთ დროს ილია ჭავჭავაძემ მთელი დეპუტაციაც კი გაიცნა ქართველ მაჰმადიანების, გაზ. „ივერია“-შიც მრავლად სწერდა წერილებს 1877 წლიდამ.

ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე. ცნობილი მწერალ-მოდვანე. პუბლიცისტი. მეისტორიე, 1897 წ. ესეც შეეხო დიდის ყურადღებით ქართველ მაჰმადიანთ კითხვების საქმეს გაზ. „ივერია“-ში.

იონა მეუნარგია. იმგზავრა აჭარაში, მათ შესახებ დასწერა კარგი მიმოხილვა.

თედო სახოკია. სწერა წერილები, რაც იბეჭდებოდა „მომამბეში“.

სიმონ იოსელიანი. 1879 წლიდამ მსახურობდა ახლად შემოერთებულ ოსმალს საქართველოში. 1888 წლიდამ გახლდათ აჭარის უფროსის თანა შემწედ. მე გავიცან 1890 წ. მას შემდეგ მე სულ მათთან დავიარებოდი, ყოველ წელს აჭარაში მასთან მქონდა ბინა. მგზავრობის დროს იგი მიწვევდა დიდს მფარველობას და მასთან არც თავის პურ მარილს მაკლებდა. ჩემი მასთან ყოფნის დროს მე გავიცან მისი ცხოვრება და უნდა ითქვას, რომ სიმონ იოსელიანი გახლდათ ერთი გულ შემატკივარი ქართველი მამულიშვილი, რომელიც ქართველ მაჰმადიანებს დიდს მფარველობას უწევდა, დიდს ქომაგობას. ამის მოქმედება მათში არის დიდათ ამაგდარი. გადასახლების შესახებაც ამას დიდი შრომა, დიდი ამაგი აქვს დადებული, რომ არ წასულიყვნენ.

ლუკა ანდლულაძე. იყო ცხენოსანთა და ფეხოსანთა უფროსი აჭარაში. 1890 წ. გავიცან იგი, მოგზაურობის დროს მე მასთან ბაქენდა ბინა. იგი ყოველთვის გულ მტკინველობით ეხებოდა ქართველ მაჰმადიანთ საქმეებს და თვით ჩემ თვალით წინ დიდათ აფრთხილებდა მათ მუჰაჯირად წასვლაზედ.

თავ. ივანე ჯაიანი მსახურობდა ლივანის ბორჩხის ცხენოსან და ფეხოსანთ უფროსად. იყო დიდი გულშემატკივარი ქართველ მაჰმადიანთ შესახებ. იგი დიდს დარიგებას აძლევდა მუჰაჯირად წამსვლელებს, მით ბევრსაც აჩერებდა. ამას გარდა იგი ქართულ გაზეთებში ლივანიდამ წერილებსაც სწერდა. ყველა წერილით ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებას ეხებოდა. ბორჩხაში ამას ქართველ მაჰმადიანთ ბავშვებზეც ჰყვანდა მოწაფედ და მათ ქართულ კითხვასაც ასწავლიდა. მურღულის ხე-

ბას, დევესქელის ხეობას ართვინისაკენ და სხვა კუთხეებში მოგზაურობის დროს მიწევდა ესეც დახმარებას.

ჩვენ აქ სამი პირის მოხსენება ვიკმაროდ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სხვა კუთხეებშიც კი სადაც ქართველები მსახურებდნენ, ესენი ყველგან დიდს მფარველობას უწევდნენ ქართველ მაჰმადიანებს. მაგალითებრ ასეთი იყო ვასილ დეკანოზოვი, რომელიც ხულის უფროსის თანაშემწედ იყო, მერე შავშეთშიც მსახურებდა. ასეთ პირთა ცნობები „აჭარის აღწერაში“ მაქვს მოთავსებული, ამიტომ აქ არას ვსწერ.

პავლე ლუკას ძე მჭედლიშვილი. ქართველ მაჰმადიანებს ბევრნაირად აფრთხილებდნენ, რომ მათ თავიანთ მამულები არ დაეტოვებინათ და ოსმალში არ გადასახლებულიყვნენ. აფრთხილებდნენ მრავალნაირად. ეუბნებოდნენ ბევრ რამეს და თვალთ წინ მაგალითად აფხაზებს და ჩერქეზებსაც უყენებდნენ. ამათ აუწყებდნენ, რომ მომავალში ეს ადგილები ძრიელ გამძვირდება, დიდი ფასი დაედება და ამიტომ ნუ ჰკარგავთ ამ სიძვირფასეს. ამას გარდა სხვა ფრივათაც ბევრნაირად აფრთხილებდნენ.

სწორედ იმ დროს, როცა გამწვავებული იყო ქართველ მაჰმადიანთ გადასახლების საქმე და იგინი იყრებოდნენ უწყალოდ, ბათუმში გამართული იყო დიდი საუბარი ქართველ მაჰმადიანებთან, რომ ბათუმს ნუ სტოვებთ ოხრათ, თორემ ბოლოს ინანებთ, ბათუმს მომავალში დიდი მომავალი მოელის და სხვაც ასეთნი. სწორედ ამ დროს, პარისის ერთს 1881წ. ფრანგულ გაზეთში ვრცელი წერილი დასტამბა ჩვენში კარგად ცნობილმა ქართველ კათოლიკე პავლე მჭედლიშვილმა, სადაც დაწვრილებით აუნუსხა ევროპიელთა მრეწველთა და ვაჭართა ის გარემოება, თუ მომავალში ამ ქალაქს რა სავაჭრო და სამრეწველო მნიშვნელობა მიეცემაო. ესევე წერილი ნათარგმნი იქმნა ქართულად და ამავე წლის გაზეთ „დროების“ 272-ში დაბეჭდეს, რომელ წერილის შინაარსითაც უმეტესად ქართველ მაჰმადიანთ ეუწყებოდა ბათუმის არ დატოვება, ადგილების არ დაკარგვა, ოსმალში არ გადასახლება და სხვაც ასეთნი. ამ წერილის დასკვნა ეს არის.

ვინაიდგან ბათუმს მიმავალში მოელის დიდი სამრეწველო ასპარეზი. ეს კუთხე და ქალაქი იქნება შუა გული, ანუ ცენტრი მთელის აღმოსავლეთის და ევროპის ერთა სავაჭრო და სამრეწველო საქმეების, სადაც აუარებელი საქონელი შემოვა ევროპიდან და მერე ყველა ეს საქონელიც მოიფინება მთელს აღმოსავლეთს ქვეყნებში. ამას გარდა ამ ქალაქის ადგილებს დაედებაო დიდი ფასი. მაშინ ისარგებლებს ის, ვისაც ამ ქალაქის ადგილები ეკავებათ, ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც ნიშნები უკვე სჩანს. კავკასიის ტომთა სამრეწველო და სახელოსნო საქმეთა გამო ბათუმში დაიხსნებიან დიდი ძალი

ქარხნები და სამრეწველო კანტორებიო.

აქ გაიხსნება ნავთის გასატანი დიდი ქარხნები და მთელს ევროპაში აქედამ გაიტანენ ნავთეულობასო.

ბათუმი იქმნება კავკასიის ოდესაო. აქ დაიხსნება დეპო-ები ხორბლის, სიმინდის, ღომის, ბრინჯის, ქერის და სხვა.

აქ გაიხსნება ბამბის სავაჭროები, მატყლის და სხვაც ამ გვარებისაო. აქ გაიხსნება შავი ქვის სადგურები, ქარხნები გადასატანათ და გადასადნობათაცო.

ბათუმის მომავალს ცხადათ აფართოვებს მისი პორტო ფრანკოთ დანიშვნაო. ამ წერილიდამ ჩვენ მხოლოდ სამი მუ-ხლი მოვიყვანედ და ამიდამ სჩანს, რომ აქ არამც თუ მარტოდ ზემო ხსენებულ სარეწველო და სავაჭროები გაჩნდებიანო, არამედ ღვინოების გასატანიც, ხილეულობის, ბზის და ასეთის ხე-ტყის, თვით კვერცხების და სხვაც ბევრი რამ ასეთების, კაცი აქ ყველას ვერ მოსთვლის.

ყველა ესენი კი იყო ქართველ მაჰმადიანთა წინაშე გამოძახილი ხმა-დარიგება, აბა, ასეთ ადგილებს თქვენ ნუ სტო-ვებთ, ოხერ ფასად და მუქთათ ნუ აბნევთ და ნუ მიხვალთ ოსმალშიო. ამა გამოძახილის განმარტება ქართველ მაჰმადი-ანთ კარგად უნდა შეეგნოთ და თვით გამოძახით უნდა დაე-მატნათ, რომ დიახ, მადლობელი ვართ თქვენი, რომ ასეთ დარიგებას გვაძლევთ და გვაბრთხილებთ, რომ თვით ჩვენ არ დავლუპოთ ჩვენი თავიო. მაგრამ სამწუხაროდ ეს არ იქმნა. მათ ამ წერილის დედა აზრს ვერ მიხვდნენ, თუ განგებ არ შეი-გნეს და მის მეოხებით ბათუმში ყველაფერი დაკარგებს მით. ამიტომაც არის, რომ დღეს ბათუმში ქართველ მაჰმადიანები ასე ნატამალობენ.

ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსიევ-მესხიევი. ეს პირი იმ დროს, როცა რუს-ოსმალს ომი დაიწყო, ახალციხის მაზრის უფრო-სად იყო. იგი იყო სამხედრო პირი, გახლავთ შვილი ცნო-ბილის მესხთან ოჯახის. მამა ამისი გახლდათ იაკინთე მესხი-ევი, დიდი მეგობარი პოეტის გრიგოლ ორბელიანისა, ნამეს-ტნიკის გამგეობის მოხელე და მასთან ქართულ მწერლობაში მონაწილეობის მიმღები. ნიკოლოზ მესხიევი იყო მახვილ გო-ნიერი ქართველი, გულ შემატკივარი მამულშვილი, მასთან კარგი მწიგნობარი, განათლებული კაცი და ქართულ მწიგ-ნობრობის გარეშე რუსული და უცხოეთის მწერლობისაც კარ გად მცოდნე. ეს სამარადისო ადამიანი იქამდის დაახელოვებული იყო ქართულს მწერლობასთან, ქართველი ერის არსებობის ინტერესებთან, რაისა გამო მან ქართულის ენიდამ რუსულ ენაზედ გადასთარგმნა და ცალკე წიგნათ დასტამბა ილია ჭავჭავაძის ცნობილი „ქვათა ღაღადი“. ამავე პირმა სთარ-გმნა ქართულიდამ რუსულ ენაზედ ალ. ყიფშიძის წიგნები „მთიულეთი“ და „კახეთის ამბოხება“. ორივეს დაბეჭდვას უპი-

რებდა იგი, მაგრამ ეს მან ვეღარ მოასწრო და გადაიცვალა. ამ თარგმანთა გარეშე იგი იყო ერთგული მუშაკი ქართული მწიგნობრობის და ადრე ქართულ ჟურნალ გაზეთებშიც სწერდა. ყოველივე ამასთან იყო კარგი კანონმდებელი. სადაც კი მსახურებდა იგი, ყოველგან სტოვებდა ჩინებულს მახსოვრობას. ასეა მაგალითებზე თვით დღესაც, რომ მისი ჩინებული მართვა-გამგეობა დღესაც კარგად ახსოვთ ახალციხის მაზრაში მთელ ქართველობას და მასთან სხვა ტომის მცხოვრებთაც.

ჯერეთ 1877 წ. ომის ხსენება არცკი იყო, რომ ნიკოლოზ მესხიევს დიდი ყურადღება აქვდა მიპრობილი თვის სამართველოს ქალაქ ახალციხიდან ადგილობრივ ზემოხელთ ქართველ მაჰმადიანთ კუთხეებზედ. მაგალითებზე ასეთი იყო ჩილდირის ხეობა, ფოცხოვი, ქვაბლიანი და სხვა კუთხეები. ნიკოლოზს დაახლოვებული კავშირი აქვდა ზეგანში შერიფ ბეგთან, მისვლა მოსვლაც. ამათში მოლაპარაკებაც იყო გამართული, რომ თუ ომი დაწყობილიყო, მაშინ იგინი რუსებს უსისხლოდ უნდა ჩაბარებოდნენ. ომის დაწყების დროსაც ქართველ მაჰმადიანებზე დიდი, ფხიზელი შეხედულება აქვდა ნიკოლოზ მესხიევს. ამან თავის მეცადინეობით დიდათ დაიახლოვა ქართველ მაჰმადიანები და მათ ხშირად დახმარებასაც აძლევდა. როგორც ეს მათ სცემდა პატივს, ისევე იგინი ესიყვარულებოდნენ მას. ეს გარემოება უმაღლესმა მთავრობამაც იცოდა.

ამიტომ ორსავ მხარეს დიდი პასუხის გება და ტვირთი აწვა თავზედ. აქედამ მას დავალებას აძლევდა თვით იმ დროის მთავარ მართებელი და ქართველ მაჰმადიანებიც რაღა ფიქრი უნდა ბევრ რამე საიმედო ცნობებს სთხოვდნენ, მომავალ ცხოვრებაზედ კითხვებს აძლევდნენ. ესეც მათ ყოველთვის დარიგებას და უშიშრობას აუწყებდა, მასთან აიმედებდა, რომ თქვენ არამც და არამც არ აიყარნეთ და სხვაგან არ გადასახლეთო. ამ საქმისთვის მას მიუძღვის დიდი შრომა და ამაგი, დაუზარებელი ღვაწლი. სამწუხაროდ მისი შრომა ქართველ მაჰმადიანთ ჩილდირს და ნამეტურ ფოცხოვს არ იქმნა დაფასებული და ჯერეთ ომი არცკი იყო გათავებული, რომ ფოცხოველთ დაიწყეს გადასახლება. ამათ და სხვა ხეობის ქართველ მაჰმადიანთ გადასახლებას ნიკოლოზმა მწუხარების თვალთ შეხედა, ცნობები იმ დროის მთავარ მართველსაც მოახსენა. აქ მისი მოხსენება ყურადღებით იქმნა მიღებული და მიეცა დავალება ნიკოლოზ მესხიევს, რომ მას ქართველ მაჰმადიანებში ემოქმედნა დიდათ და ამისათვის ფულიც-კი დაეხარჯა, რომ რაც შეიძლება მით ცოტანი გადასახლებულიყვნენ.

ნიკოლოზ მესხიევმა დავალებას დიდის მოყვარეობით შეხედა და შეუდგა საქმის შესრულებას. მოახერხა ისიც, რომ რამდენჯერმე ფოცხოვს და აჭარას საიდუმლოდ ჩავიდა, იქ

თავის ნაცნობებს საჩუქრები ჩაუტანა და თან დავალება მასზედ, რომ რაც შეიძლება ცოტანი გადასახლდენ თავიანთ ქვეყნიდამაო. ამ ქადაგებისათვის მას ჰყვანდენ კარგი ქართველ მაჰმადიანები, ისეთნი, რომელთაც თურმე ქართული კითხვაც კი იცოდნენ კარგად. ესენი დიდათ მოქმედებდენ აუფრელობლის სასარგებლოდ, მაგრამ ფოცხოვში მაინც ვერ იმოქმედეს, ფოცხოველნი დიდის ფანატიკობით აღმოსჩდენ, ჯერ ომი არ იყო გათავებული, რომ იგინი გადასახლებას მიეცნენ. ამის წინააღმდეგ ნიკოლოზმა მიიღო ყოველ ნაირი ღონისძიება და ეცადა ფოცხოველთ არ გადასახლებას. ამისათვის მან ფულებიც ხარჯა ბლომად. მასთან ქართულს ენაზედ პროკლამაციაც დაბეჭდა და გაუგზავნა თავის მეგობრებს, რომელნიც ქართველ მაჰმადიანებს უკითხავდენ, და სადაც ქართული არ იცოდნენ, იმათ ოსმალურათ უთარგმნიდენ და ასმენდენ ნიკოლოზის დარიგებას მასზედ, რომ იგინი აღარ წასულიყვნენ, თავიანთ ქვეყანაში დაშთენილიყვნენ, რადგანაც რუსის მთავრობა მათ ყველაფერს თხოვნას შეუსრულებდა.

ფოცხოვრიდამ დიდი რიცხვი წავიდა ოსმალში. აქ თუ ვინმე დარჩა და აღარ დაიძრა, ეს იყო ნიკოლოზის შრომა და ამაგი. ამასობაში ომიც გათავდა. ამ გარემოებით ნიკოლოზს შეუსრულდა თავის ნატვრა, ქართველ მაჰმადიანთ ადგილების შემოერთებელი იქმნა რუსეთის საქართველოსთან. მხოლოდ ეს შემოერთება არ იქმნა ისეთის შედეგის მექონი, როგორც ჩვენ გვენატრებოდა. შემოერთებისუმალ მთავრობისაგან აქ ისეთი მოხელენი იქმნენ დანიშნულნი, რაისა გამო ფოცხოვში, ქვაბლიანს და აჭარას გადასახლება და ხალხის შლილობა ხელახლავ იქმნა დაწყობილ-განახლებული. ამ გარემოებამ ნიკოლოზი დიდათ დაანაღვლა. მან ეს ამბები მთავრობას მოახსენა, ამიტომ იგი სწრაფად დანიშნეს გამომძიებლად. მალე ჩავიდა შემოერთებულ ადგილებშა, გადასახლების მიზეზები გამოიძია და აღმოსჩნდა ყოველივე, რომ ამ გადასახლების მიზეზნი რუსის მოხელენი ყოფილიყვნენ, ამათი უსამართლო საქციელი, ყვირილი, ტუქსვა და ათასიგ სხვანი, რაც ახალ ხალხს არ მოსწონდათ.

იმ დროის მთავარ მართებელმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია. საჩქაროდ ფოცხოვში დაარსებულ იქმნა ოკრუგის გამგეობა. როგორც თვით ნიკოლოზმა მიაჩნო, ეს ოკრუგის გამგეობა მთელს რუსეთის იმპერიაში პირველი მაგალითი იყო. ამ ოკრუგის უფროსად დანიშნულ იქმნა ნიკოლოზ მესხიევი, რომელსაც დიდი მთავარი დიდათ ავალეზდა, რომ ეს ცდილიყო იქ, რათა მათგან აღარავინ აყრილიყო და გადასახლებულიყო. ნიკოლოზმა აქ გამგეობის დროს დიდათ იმეცადინა გადასახლების წინააღმდეგ. მისთვის ფულსაც ხარჯავდა, ეცადა დიდის დარიგებით. დროით შეაჩერა ფოცხოველთ

გადასახლება. თუ ეს პირი არა, უამისოდ მალე მთელი კუთხე დაიცლებოდა თურმე ხალხით. დღეს თუ ფოცხოვში არის ვინმე ქართველთაგანი დაშთენილი, ესენი არიან მაშინდელ დარჩენილთაგანი, რომელთა აქ დარჩენაზედ დიდი შრომა მიუძღვის ნიკოლოზ მესხიევს. ფოცხოვში დღეს თუ ვინმე ქართველ მაჰმადიანი თავის მამა-პაპეულს მიწაზედ სცხოვრობს, ეს არის ნიკოლოზ მესხიევის შრომა და ამაგი, რის ცნობებიც ჩვენ შევკრიბეთ.

ფოცხოვში, ამ პირველ ოკრუგის გამგეობის ასპარესზედ, ნიკოლოზის შრომა მრავალ ღირსებია არის. დავასახელებთ მხოლოდ ერთს. მაგალითებრ ნიკოლოზის ცდას გადასახლების წინააღმდეგ. თავის საბრძანებელს გარდა იგი სხვა კუთხის ქართველ მაჰმადიანთ გადასახლებასაც თვალ ყურს ადევნებდა. მაგალითებრ ამას დიდათ სწყინდა ზეგნელების აყრა და გადასახლება ოსმალეთში. ველიკი-კნიაზის ბრძანებით 1880 წ. იმოუგზაურა აჭარაში, სოფელ დანის პარულას ჩავიდა, იქ ქართველ მაჰმადიანები შეკრიბა, გამოჰკითხა გადასახლების ცნობები და მასთანვე მისცა პირობა, რომ თქვენ ოღონდ ნუ იყრებით, ნუ ჰკარგავთ თქვენს ძველს ადგილებს, ნუ იღუპავთ ოჯახსო. რასაც თხოულობთ, ჩვენ ყოველივეს შეგისრულებთო. ამის პირობაც იყო დადებული მაშინ, რაც უმაღლეს მთავრობასაც მოხსენდა მისგან. ნიკოლოზმა მთავრობას თამამად მოახსენა ის ცნობა, რომ გადასახლების მიზეზებათ ჩვენი მოხელენიც ჩაითვლებიანო. ამიტომ მათში უსათუოდ ქართველები უნდა იქმნენ დანიშნულნი გამგეთ და მასთან მეტად კარგი, პატიოსანი პირნიცო.

ასეთი ცდა იყო ამ პირის მასზედ, რომ ქართველ მაჰმადიანები რაც შეიძლებოდა ცოტა გადასახლებულიყვნენ. ამ აზრის მომხრე პირებს მან ფულს გარდა მენდლებიც კი დაურიგა და სხვაც ბევრი რამ, მაგრამ მაინც ძირეულად ამ უბედურებას არა ეშველარა და გადასახლების ფიქრები არ მოისპო. თვით დღესაც კი არიან ამ გადასახლებით გაზვიადებულნი. მართალია გადასახლების წინააღმდეგის ქადაგებით ბევრი არა გაკეთდარა, მაგრამ რა გაეწყობა, ჩვენ აქ ეს იმიტომ მოვიყვანედ, რომ ვიცოდეთ რამე ცნობები მასზედ, თუ ჩვენ ქართველთ შორის ვინ რა აზრის და შეხედულების იყო, ვინ რას აკეთებდა და როგორ სცდილობდა მასზედ, რომ საქართველოს ერს თავის მიწა-მამულიდამ რაც შეიძლება ცოტა შვილები წასვლოდა უცხო ადგილებში თავის დასაღუპათ და ოჯახის მოსასპობათ. ასეთ აზრის კაცთა ჯგუფს ეკუთვნოდა ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსიევ-მესხიევიც.

ნიკოლოზ მესხიევმა როცა თავის ცნობები გადმომცა, მაშინ სხვათა შორის გადმომცა შემდეგი ცნობებიც გადასახლებულთ შესახებ. ეს ცნობები მას ახალციხეში მსახურების დროს

შეუკრებია მოხუცებულთაგან.

სოფ. რუსთავიდან 1813 წლებს, ოსმალში გადასახლები-
ბიან 60 კომლი. მათ მაგიერ იქ ქურთები დაუსახლებიათ.

სოფ. აწყურიდან გადასახლებულან.	100 კომ.
სოფ. უდიდან გადასახლებულან .	50 კომ.
სოფ. ვალედან გადასახლებულან .	30 კომ.
სოფ. ზიკილიდან გადასახლებულან	20 კომ.
სოფ. საყუნეთიდან გადასახლებულან	25 კომ.
სოფ. ქვალის ხევიდან გადასახლებულან	10 კომ.
სოფ. ორფოლიდან გადასახლებულან	15 კომ.
სოფ. ინდუსიდან გადასახლებულან	10 კომ.
სოფ. ზემო ლაზარიდან გადასახლებულან	16 კომ.
სოფ. გიორგი წმინდიდან გადასახლებ.	20 კომ.
სოფ. სვირიდან გადასახლებულან .	10 კომ.
სოფ. ბოგიდან გადასახლებულან .	15 კომ.
სოფ. კლდიდან გადასახლებულან .	20 კომ.
სოფ. წნისიდან გადასახლებულან .	15 კომ.
სოფ. ასპინძიდან გადასახლებულან	50 კომ.
სოფ. ახალშეიდან გადასახლებულან	15 კომ.
სოფ. ხერთვისიდან გადასახლებულან	30 კომ.

ხერთვისის გადასახლება ძველათაც ყოფილა, ქართველთ
მაგიერ აქ ქურთები დაუსახლებიათ.

ამ სოფლებების გადასახლების ცნობები მოთხრობილია
ახალციხის ქართველ კათოლიკეთ მოძღვართაგან. მათის გადა-
სახლება მომხდარა 1810-1855 წლებამდე. ხოლო ეს ერთობ
მცირე რიცხვი არის.

XVII საუკუნის გასვლამდე მესხეთს, ჯავახეთს, ფოცხოვს,
ჩილდირს ერთი მილიონი ქართველი იყო, მერე ამ რიცხვმა
დიდათ იკლო. XIX საუკუნის დამდეგს ამ კუთხეში სულ
200 ათასი სული იქნებოდა.

200 სოფ. ახალციხის მაზრაში იყო.

200 სოფი ახალქალაქის მაზრაში.

100 სოფ. ფოცხოვს თავის მიდამოებით.

100 სოფ. ჩილდირს თვისის მიდამოებით.

ყველს ამ სოფლებში ძველთაგანვე სცხოვრებდნენ
ქართველ მაჰმადიანები. მათ შორის ქართველ მართლ-
მადიდებელთ და კათოლიკეთ ეკავათ 60 სოფელი. და-
ნარჩენი სულ ქართველ მაჰმადიანების იყო. ესენი კი 1810
წლის შემდეგიდან აქედამ ისე იყურებოდნენ და ოსმალში სა-
ხლდებოდნენ, რაისა გამო დღეს მათი რიცხვის სოფლების აქ
ადარც მესამედი არის. უმეტესი ნაწილი ხალხიც მოისპო გა-
დასახლებით და მასთან სოფლებიც. სამწუხაროდ, ჩვენ ცნო-
ბები არა გვაქვს, თუ მესხეთ ჯავახეთის 400 სოფლიდან რამ-
დენი ქართველ მაჰმადიანი გადასახლდა ოსმალეთს 1810 წ.

15, 1829 და 1855 წლებს. საჭირო კია მათი ცოდნა. ეს გარემოება ახსნის იმის მიზეზებს, თუ დღეს მესხეთსა და ჯავახეთში ქართველ ტომის კვალი რისაგან მოისპო.

ოსმალოდამ მოსულ ქართველ მაჰმადიანისაგან ნაამბობი:

გადასახლებულ გურჯების ოსმალეთში მწარედ მოიგონებენ ხოლმე ქობულეთელი – ქობულეთს.

ჩაქველნი –ჩაქვას და მის სამოთხის მსგავს სოფ. მახინჯაურს და სხვათა კუთხეებს.

მაჭახლელნი ცრემლით სტირიან მაჭახლის დაკარგვაზედ, აქაურ მშვიდ და კარგ ჰაერის დათმობაზედ.

შავშელნი გლოვობენ შავშეთის შესანიშნავს მოსავალს, კარგს ჰაერზედ და ცხოვრებაზედ.

აჭარელნი მწარედ დარდობენ აჭარის დაკარგვაზედ და ემდურიან იმ პირთ, ვინც ისინი გააბრიყვეს და მოშალეს აჭარის ცხოვრებიდან და ოსმალეთში გადარეკეს.

ლივანელნიც დანტრულნი არიან ჭოროხის ყურებას, მის მიდამოებს და დარდით აღარ იციან რა ქმნან და ვის დაემდურონ.

ყველა ამათ მწუხარებას საზღვარი არა აქვს, ყველა იგინი მარტოდ მის ნატვრაში და არიან, რომ თავიანთ ქვეყანისაგან დაკარგულნი მშვივრები სულ არ დაიკარგნენ.

მოხუცნი მოსტირიან თავიანთ ძველების მეზელუხებს.

ახალგაზრდანი მოსტირიან თავიანთ ნათესავეებს, სწუხან და ამბობენ, რომ მართალია ჩვენ დღეს ცოცხლები ვართ, მაგრამ ასეთის სიცოცხლით რა გამოდის –არაფერი, ჩვენი ნათესავეებისათვის მკვდრები ვართ, მათი მოგონება ჩვენ დარდს გვიჩენს, ცეცხლს წაგიკიდებს, მათის მოგონებით ჩვენ გვაგონდება ჩვენი ქვეყნებიც, სოფლები, მთები, ტყეები, ცივი წყაროები, კაი ცხოვრება და ჯანის სისაღე.

ამ კილოთი და ასეთის საგოდებელის სიტყვებით ჩვენთვის ბევრს გულ მოკლულ ქობულეთელს და აჭარელს უამბუნია ხოლმე და უეჭველია, ბევრი კიდევაც ილაპარაკებს, დღესაც თუ კი მათ ვინმე ჩვენთაგანი შეხვდება და მიამიტად გამოჰკითხავს „მუჰაჯირთა“ ცხოვრების ცნობებს.

ეს ცნობები ნაამბობია 1893 წ. ოსმალოდამ აჭარაში მოვიდა ერთი ქართველ მაჰმადიანი. მუჰაჯირის შესახებ მან აი რა გვიამბო, რაც სიტყვით სიტყვა მოგვყავს: მუჰაჯირი მთლად ფუხარად შეიქმნა, გადარიბდა, მუჰაჯირი ცუდათ დაიპნა, სიღარიბემ გააფუჭა თითქმის ყველანი. მუჰაჯირის უმეტესი ნაწილი მოკვდნენ, მოისპნენ, მით მორ-

ჩვენ სიფუხარე-სილატაკეს. მუჰაჯირის ყველას დაავიწყდათ ერთმანეთი, ერთის საფლავი მეორემ აღარ იცის, ხშირად ერთმანეთის ცრემლიც ენატრებათ.

მუჰაჯირი-მუაჯირს რომ შეხვდება, მაშინ ყველა იგინი ერთმანეთის მწუხარებით ეუბნებიან სალამ მალე იქს და მერე ოხვრით იწყებენ ლაპარაკს თავიანთ ცხოვრებას და დაკარგვა-ზედ. ყველა მუჰაჯირი ნატრობს, ნეტა ისე არ მოვკვდე, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ აღარ ვნახოვო, მაგრამ ამას ვინ აღირსებს მას, არავინ.

მუჰაჯირები მთლად სოფლიერნი არიან, მათში არ არის დიდი კაცები, ალიები, ბეგები, ზენგინი კაცები. ვინც ჩვენი დიდი კაცები და ფაშები იყვნენ, იგინი სულ სტამბოლში სცხოვრობენ. ჩვენ კაცსკი იქ პატრონი არ ჰყავს, ყველა გაჭირვებულია, ყველა დარდიანათ არის, ყველას იქ ოსმალენი გურჯს ეუბნებიან, მიწებსაც ცოტას აძლევენ, სამუშაო ფულსაც, სხვაც ყველაფერს ასე. ეს არის მუჰაჯირის ცხოვრება ოსმალში დღეს.

1893 წ.

გადასახლებულთა რიცხვის სხვა ცნობები.

სამწუხაროდ ჩვენ არ ვიცით, თუ ეს ამოდოლა გადასახლებულთა ქართველ მაჰმადიანები სადა ცხოვრობენ, სად რომელ კუთხის ქალაქებსა და დაბებსა და სოფლებში. ჩვენ ზემოდ მოვიყვანეთ რამდენიმე ცნობა იმ ქალაქების და დაბების, სადაც ქართველ მაჰმადიანები სცხოვრებენ, ეხლა აქ განმეორებით მოვიყვანთ ერთ ცნობას, რომელიც ნაამბობია ერთის მუჰაჯირად წასულისაგან, რომელიც კარგა ხნის შემდეგ მობრუნდა და იგი მე აჭარაში ვნახე 1904 წ. ამან აი ეს ცნობები მომცა დიდის ფიცით და სინამდვილით. ამის სხვა ვარიანტი ზემოთ ორ ალაგას არის დაბეჭდილი.

ხოფას სახლობს 600 კომლი.

ირიზეს სახლობს 240 კომლი.

ოფს სახლობს 200 კომლი.

ფლატანას სახლობს 400 კომლი.

თრიპოლს სახლობს 600 კომლი.

ორდს სახლობს 1000 კომლი.

ჩერშემბეს სახლობს 200 კომლი.

ბაფარს სახლობს 1000 კომლი.

ბოლომანს სახლობს 200 კომლი.

არხავეს სახლობს 120 კომლი.

ტრაპიზონს სახლობს 100 მოსახლე.

ბელღევანს სახლობს 150 მოსახლე.

გერესონს სახლობს 340 მოსახლე.

აბდალს სახლობს 120 მოსახლე.
ზაცას სახლობს 1000 მოსახლე.
თერმეს სახლობს 100 მოსახლე.
სინოპს სახლობს 130 მოსახლე.
სამსონს სახლობს 150 მოსახლე.

სულ 6850 მოსახლე. უმეტესი ნაწილი აქ სცხოვრებენ ქობულეთელი, კახაბრელი და აჭარელი. წვრილ სოფლის ანგარიშს არ ვნუსხავთ, რადგანაც იქ ესენი ცოტანი სცხოვრებენ სხვებთან შერეული, ამიტომ მათი რიცხვის მე არ ვიცი, მაინც მათი რიცხვი იქნება 1000 მოსახლეო, მაშასადამე ამ გადასახლებულთა სიტყვით ოსმალეთში, შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებს და დაბებში ქართველთა რიცხვი უნდა სცხოვრობდეს ამდენი. ეს რიცხვი აქეთ უმეტესად ლაზების მეზობლობისთვის დასახლებულან, რომ შუაგულ ოსმალეთში არ წავიდნენო. ყველა ამათ ჰპატრონობდა ალი ფაშა თავდგირიძე, ოსმან ფაშა და სხვანიო. იქ ჩვენებურებს ყველას თავისებური ტანთსაცმელი აცვია და ჩვენს ენაზედ ლაპარაკობენო.

ამ კაცის სიტყვიდამ შევიტყე, რომ იგინი ქართულს ლაპარაკობდნენ, მაგრამ არიან ცხარე მუსულმანები, მოძულე გიაურების. საქართველოს ხსენება მათ ჭირივით სძულთ თურმე, თუმცა გურჯისტანს კი პატივით იხსენიებენ. ამ პირმა ბევრი რამ მიაძმო და სხვათა შორის ალი გურიელის გათათრების საქმეც, მერე გურულებისაგან მისი დახვრეტა 1798 წ. ამისაგან მონათხრობი ამბები აჭარიდამ თფილისში გამოგზავნე. აქ ერთ რედაქციაში დაიკარგა იგი. აქ მოყვანილთ წასულთ შესახებ მე სხვა ცნობების შავი არ მაქვნდა, ამიტომ იგი ვეღარ მოვიგონე, ვერ ავნუსხე, ნამეტურ ალი გურიელზედ გამოთქმული ლექსი, რომელიც ქართველ მაჰმადიანებს გამოუთქვამთ ძველად და რაც ამ მოსულმა კაცმა ზეპირად იცოდა.

ჩვენგან მიერ შეკრებილი ცნობების შემდეგ გავიდა კარგა ხანი და 1912 წ. „სახალხო გაზეთის“ 615 №-ში დაიბეჭდა წერილები კონსტანტიპოლიდამ გამოგზავნილი დავით ჩიქუანისაგან, რომელსაც სტამბოლში მცხოვრებ ერთის ქართველ კათოლიკე ბერის დახმარებით მარტოდ სტამბოლის მახლობლად, ისმითის სანჯაყში უპოვნიათ ქართველ გადასახლებულთ კვალი, სადაც მთელს სანჯაყში მათი რიცხვის ყოფილა 2524 კომლი. დავით ჩიქუანის წერილები ჩვენ დიდის მადლობით წავიკითხე. ამაზედ სტამბოლში წერილიც მივსწერეთ და ქართველ კათოლიკეთ ბერებს შევეკითხეთ ამათ ცხოვრების შესახებ. მღვდელმა სტეფანე ვარდიძემ მომწერა, რომ ქართველ მაჰმადიანები თვის ცხოვრებაში ნივთიერათ, ანუ ქონებრივად კარგად სცხოვრებენო, ეროვნულად კი იგინი სულ გათახსირებულნი არიანო. ამას ფიქრი და ეჭვი არ უნდა. აი ესეც ისმითის სანჯა-

ყის ქართველთ სოფლებში მცხოვრებთ რიცხვი, რომელნიც „სახალხო გაზეთიდან“ უცვლელად მოგვყავს აქ.

საბაჯა. კომლი	160	ყაზანდერე	30
ჩუბუკლა	80	სერვეთიე	50
აჰმედიე	60	აღსადირი	20
მაჰმედიე	60	დადინ-ლული	60
აბაზეი	20	იენი-მელე	50
დერბენდი	50	შევეკეთიე	15
შირინ-სულხია	60	იჯადიე	20
შეისულიე	80	ნემეთიე	15
თათარ ქეი	40	ხესენიე	50
ბილაბა	30	შეილიკი	50
ჩეფნი	100	ჩურუქ-ბაი	30
თელინ-კუნდუ	40	შემურიე	30
ფერადიე	20	დიბეკტაში	90
დაშმე	60	თეზეი	30
ასარ-ქეი	10	ილიმე	30
თამარ-ქეი	30	ირშადიე	30
ბორჩა (ჰამედიე)	130	მემნუნე	50
უნე	10	ნაიდოე	120
ჩერქეზ-ქეი	20	პაწა ჰადიმიე	40
ლუფთიე	30	სენიე	50
სოფიე	25	სალამიე	50
ბაშქირე	30	ულვიე	50
ახმედიე	40	ური-ჩეხმე	30
ჩატალტაში	20	შეჰრეთი	45
ალანჩანი	40	შუქრიე	40
ბალკაია	34	ჰაჯი-მერჯან	60

ბიჩქიდერე 50
 გულდბი 50

სულ: 2524 კომლი
 კომლზე 8 სული რომ ვიანგა-რიშოთ, გამოვა 20,192 სული.

მ უ ჰ ა ჯ ი რ ი ს

ქალების გასაყიდი ბაზარი ტრაპიზონს და ონსტანტინოპოლს.

ამ ბაზრებზედ იყიდებოდა ქართველთ ქალები, ლაზების, აფხაზების, ოსების და ნამეტურ ჩერქეზელების. აქ ჰყიდდნენ როგორც საქართველოდან მოტაცებულთ, ისევე მეზობლეთაგან გაყიდულთ და წაყვანილთ. ამათ გარდა აქვე ისყიდებოდნენ თვით თავიანთ ნებით გადასახლებულთ მუაჯირთა ქალებიც. ერთ ასეთ ამბავს გადმოგვცემენ ფრანგული გაზეთების ცნობები, საიდანაც 1871 წ. ჟურ. „ცისკარში“ ივანე კერესელი-

მეც სწერს შემდეგს გადმოცემას.

XVIII საუკ. ბოლოს ტრაპიზონში ყოფილა ერთი ფაშა, სახელდობრ სელიმი რომელიც საქართველოდამ ქალების წაყვანას და ოსმალეთში მხოლოდ თათრებზედ დასყიდვას დიდათ უწყობდა ხელს. ამავე დროს ყოფილა ერთი გამოჩენილი ოსმალი, სახელდობრ სადულლახ ალა, იენიჩარად ყოფილი, მერე ამას საქართველოში დაუწყვია მგზავრობა და ქალებით ვაჭრობა ტრაპიზონს, კონსტანტინეპოლს და სხვა ქალაქებშიაც. გასაყიდ ქალებს ეს ყოველთვის საქართველოში ჰყიდულობდა, ესევე ატაცვინებდა ქართველებს მაშინ, როცა სოფელი სოფელს დაეცემოდა ასაკლებად და ტყვეებს წაიყვანდნენ. ამას გარდა როცა მებატონები ჰყიდდენ თავის ყმების და მონების ქალებს.

ასეთ ცოცხალ საქონლის დასაყიდი მეიდნები და ბაზრები დღემდეც დარჩენილან თურმე ტრაპიზონს და კონსტანტინოპოლს. მაგალითებრ კონსტანტინეპოლს დღესაც კი თურმე ის ბაზარი იმ სახელით იწოდება, როგორც იგი იწოდებოდა იმ დროს, როცა იქ ქართველთ შვილები ცხვრებივით ისყიდებოდნენ. ერთი ასეთ დიდი ბაზარი ყოფილა კონსტანტინეპოლს, ბაზისტანის მეიდნის ზემოთ, სადაც ერთ ალაგას სხვათა შორის ფარჩეულობაც ისყიდება. აქ ერთ მყუდრო ალაგას ისყიდებოდა ქართველთა ქალებიც, სადაც ოსმალნი სავაჭროდ მარტოდ მუსულმანებს უშვებდნენ და ქრისტიანებს კი არა.

ამ ბაზრში ოთხ-კუთხივ დუქნები არის, ორ სამ კიბიანის ასასვლელით. ამ კიბეზედ ვაჭრებს უსხდნენ ტყვენი, რომელთაც ჰყიდნენ იგინი. აქ ლამაზი ქალის შოვნა ერთობ ძვირი იყო თურმე. აქვე ისყიდებოდნენ მუჰაჯირთა ქალებიც. ყოველივე ეს ამბები გამოუქვეყნებია ერთ ფრანცუზს დოქტორს **ჟიბერტს**.

აფხაზთა შესახებ

1864 წ. პეტერბურგის რუსული გაზეთიდან

1860 წლის შემდეგ 1866 წლამდე ოსმალში წავიდა 25 აფხაზი და არა 15 ათასი, როგორც 169 გვერდზედ მოვიხსენედ ამ წლების გადასახლებულთ შესახებ.

ოსმალთ გადასახლება იმეცადინეს და ყველა აფხაზს ჩერქესს და სხვათა მუსულმან მთიელთ სტამბოლი ჩაუნერგეს გულში, რომ თქვენ ყველანი სტამბოლს მიხვალთო. მთიელთაც უხაროდათ ეს, რომ იგინი სტამბოლს მიდიოდნენ. ის კი არა, ამათ სხვა და სხვა უხეირო ადგილებში ასახლებდნენ. აქ დაკარგეს მშვენიერი მთიანი თავისუფალი ადგილები და იქ კი

სტამბოლის მაგიერ ჯოჯოხეთის სიცხიანი ადგილები მიიღეს.

ამას გარდა, ამ ბედშავთ რა ეწვიათ 1863 და 1864

წ. ტრაპიზონთან მისულებს, გაუჩნდათ ყვავილი, წითელა, ყელ-ჭირება, სახადი და ამითი იგინი იმოდენი დაიხოცნენ, რომ ნახევარი აღარ მისულა დაპირებულ სამოთხემდის. ყველა ასეთ სატკივრებს აჩენდა მათი ჭუჭყიანობა, რასაც იგინი განიცადენ თავიანთ სილატაკის გამო.

ამათ სილატაკემ იქამდის გაიხმაურა, რომ თვით რუსეთის მთავრობასაც კი შეებრაღა იგინი და მათ გადასახლების დროს ოჯახზედ 10 მან. დახმარებას აძლევდა, რაითაც მათ შაეძლოთ წასვლა. ეს მათ იმიტომ კი არ ეძლეოდათ, რომ ამით იგინი წასასვლელად წახალისებულიყვნენ, არამედ ეძლეოდათ ზნეობრივ დახმარებათ, რადგანაც მათი მამულები აქა რჩებოდა ოხრად და უპატრონოდ. მეორე, იგინი თავიანთ ყოველივე ვენახეულობას, ბოსტანს და ყანეულობასაც ასე სტოვებდნენ და არ სპობდნენ, როგორც ამას ოსმალოს ხოჯები უქადაგებდნენ.

ოსმალოს მთავრობამ ამათ დახმარებათ მისცა გადასატანი, ანუ წასაყვანი სამხედრო გემი. აფხაზების და ჩერქეზების რიცხვს მრავლად ასახლებდნენ სერბიის და ბოლგარიის სამზღვრებისაკენაც, რადგანაც ოსმალოს მთავრობას ამ ხალხთ დიდი შიში აქვდა და აფხაზების და ჩერქეზების საომარის მხნეობით ფიქრობდა მათს ძლევას.

ამ კუთხეებშიც აფხაზები თითქმის მოსპობილ იქმნენ. დღეს აქეთ აფხაზთა და ჩერქესთა რიცხვის აღარაფერი სჩანს თითქმის. ამათი რიცხვის კი ასე ყოფილა: სულ 75 ათასი ყოფილა აფხაზების, ჩერქეზების და სხვა მთიელთა. ამათში 25 ათასი აფხაზი ყოფილა, 25 ათასი ჩერქეზი, 25 ათასიც სხვა და სხვა მთის ერნი. აქედამ 25 ათასი ყარსისა და ბათუმის ვილაეტებში დაუსახლებიათ, 25 ათასი არზერუმისკენ და 25 ათასიც სერბიის და ბოლგარიის სამზღვრებზედ. სადღეისოდ აქ მათის რიცხვის აღარაფერი არის, გაწყდა, მოისპო, ვინც დარჩნენ, ისინიც გადაგვარდნენ, დღეს ოსმალურად ლაპარაკობენ.

როგორც აფხაზებს, ისევე ჩერქეზებს და ქართველებსაც ხელს უწყობდნენ დიდათ ის გარემოებაც, რომ ესენი ოსმალოს ომში თავიანთ ნებით გადიოდნენ საომრად და იქ იგინი თითქმის სწყდებოდნენ. ოცში შინ ხუთი კაცი აღარ ბრუნდებოდა.

**მუჰაჯირების წერილები მოწერილები ოსმალეთიდან
1888-90 წლებს.**

I

ჩვენს ხისიმთ და მოსაფერთ მრავალ წყალობას მოგახსენებთ. ღმერთის ნებით თქვენი საქმე კარგად იქმნეს, მემლექეთი მოწყობილი იყოს, ვოლას ნებით თქვენც ყველანი კარგად ბრძანდებოდეთ. ჩვენ საქმეს თუ იკითხავთ? წავხდით, დევილუპეთ, ზენგინობა გვეგონა და სულ ყველანი ფუხარა გავხდით. დეილუპა დუნია, მუჰაჯირობა ცეცხლით აივსო. აქეთ ნულარავინ წამოვა ძმავ, თორემ ჩვენსავით დაილუპვის. მუჰაჯირი სტირის დლე-ღამ, წამოსვლა უნდათ, მაგრამ ფარა აღარ აქვსთ. მუჰაჯირის ამბავს ხოჯა ახმედ ეფენდი გეტყვით. პური არ გვაქვს, ნუ წამოხვალთ აქეთ, თორემ პურს ვერ იშოვით. მანდ იყავით, ნუ მოიშლებით, თათარი მანდაც კარგა იქმნება თავის ბინაზედ. ჩვენი დარდი ეს არის, რომ თქვენები აქეთ მუჰაჯირად არ წამოვიდნენ, თორემ დეილუპებით, სულ წახდება დუნია – ნუ მოიშლებით თქვენ ძველებზედ.

II

ძმაო რეჯებ, სელამით, ღმერთის ძალით მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ღმერთის ნებით იყოს, რომ ჩვენ შინ დავბრუნდეთ, თორემ ფუხარა წახდა. ქალ-ბაღანას პური არ აქვს, ტანთ არაფერი აცვია, ფარაც არ გვაქვს. გვიშველეთ რამით. მთლა მუსულმანობო წახდა. მუჰაჯირი ნუ მოდის, დეილუპვის მათი საქმე. ჩვენები ახლა სხვაგან წევიდნენ, იქაც ფარა არ არის. ისევე მანდ იყავით, მანდ სჯობია, აქ მოკვდებით ყველანი, ჩვენც სულ ვკვდებით შიმშილით და სიტიტვლით. ჩვენი ქვეყანა კარგი არის, ძვირი არის, აქეთ ნუ მოხვალთ, ჩვენი თხოვნა ეს არის.

III

შვილო მევლუდი! შენს თავს ვენაცვალე და შენს პატარა ხოსიას და უსუფას. შვილო! მათ უნახავ ნუ მომკლავ. აქ მუჰაჯირთან არ დამტოვო, ცოტა ფარა მომაშველე და მე მაშინათვე წამოვალ ვოლას ღმერთს ძალით მანდ შენთვის ვიქნები, დუნია წახდა, დეილუპა ჩვენი საქმე, მუჰაჯირი წახდა, აქეთ ნულარავინ წამოვა, თორემ მთლა წახდება მათი პური. აქ ვერას იშოვნიან, ნუ წამოვლენ, ეეელა გააფრთხილე, მანდ სიკვდილი სჯობია, ჩვენ ყველა მუჰაჯირს თვალი ანდით გვიჭირამს. სელამი ყველას, მანდ შიმშილით მოკვდეთ ის მირჩვენია, აქ არ დავრჩე. უბედურება ვნახეთ, დეილუპა ჩვენი საქმე.

შეესება

სოფ ზუგდიდი (ქვემო აჭარა) გადასახლდა ნტ კომი დარჩა.

V კომლი-

სოფი წნისი (ახალციხის მაზრა) ნ კომლი გათხელებულან

ეხლაც Iy"

უ ნ დ ა ი ყ ო ს

ქართველები აფრიპაში-სცხოვრებენ ბერუთს და არა ბერი/უთს.

ქნრთვე:ლე.ბი სცხოვრებენ მიხიჩას ქალაქ ათაზარსვ-ეგვიპეტს.

აფრიკას და ბევრსაც სხვა ალულებში-, ყველგან :იგინი :'იკ:არგები'აწ,'

ენას' ჰკარგავენ-

შეცდომა

აფხაზელების გადასახლეა' '1'.868-64 წი იყოს ჩპგ ათასე სუ-

ლის და არა Iნ, ათასი სულის', როგორც მოხსენებელია წ1!2,:3)ნშ,1,,ქ

' ქართული ანბანი

, გ, დ, ე, ვ, ზ, ც, თ, ი, კ., ლ, მ- ნუცზ ო, გდჰ.

,ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ, შჰ ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ, ჳ,